უინსტონ ჩერჩილი

მოახლოებული ქარიშხალი

ინგლისურიდან თარგმნა
რუსუდან მახათაძემ

გამომცემლობა ინტელექტი
თბილისი

ნობელის პრემიის ლაურეატები

საგამომცემლო პროექტის ავტორი

კახმეგ კუდავა

ISBN 99940-39-82-2

© რუსუდან მახათაძე, 2006.
© გამომცემლობა „ინტელექტი", 2006.

„...ნობელიანტის ფაქტების პოეზიამ ისტორია შეცვალა“

სერ უინსტონ ლეონარდ სპენსერ ჩერჩილი გახლდათ ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, ორატორი, მწერალი და პუბლიცისტი, სამხედრო ისტორიულ-მემუარული ხასიათის ნაშრომთა ავტორი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი 1940-45 და 1951-55 წლებში, თანამონაწილე „დიდი სამეულისა“ და ერთ-ერთი იმათგანი, ვისი მცდელობითა და ხელშეწყობით ჩამოყალიბდა თანამედროვე მსოფლიო. იგი დიდი ბრიტანეთის ისტორიაში შევიდა, როგორც XX საუკუნის ყველაზე თვალსაჩინო პოლიტიკოსი, რომელიც ხელისუფლებაში ყოფნისას მოესწრო ექვს მონარქს — დედოფალ ვიქტორიათი დაწყებული, ელისაბედ II-ით დამთავრებული. ჩერჩილი, თავისი განუყრელი ცილინდრითა და ხელჯოხით, იყო შესანიშნავი დიპლომატი, მოყვარული მხატვარი და, ყველაფერ ამასთან ერთად, შეუდარებელი კირითხურო და შესანიშნავი მებაღე — ჩინებულად უვლიდა თავის ბაღს ჩართუელში. მისი ნახატები პერიოდულად იფინებოდა სამეფო აკადემიაში, მოეწყო პერსონალური გამოფენაც. პიკასოს, რომელსაც არ მოსწონდა ჩერჩილის კონსერვატორული პოლიტიკური შეხედულებები, უთქვამს, — ბრიტანელ პოლიტიკოსს სერიოზულად რომ მოეკიდა ხელი მხატვრობისათვის, შესაძლოა, ერთობ თვალსაჩინო მიღწევები ჰქონოდაო. ჩერჩილი გახლდათ დიდებული, უბრწყინვალესი ორატორი. სწორედ მას ეკუთვნის გამოთქმა „რკინის ფარდა“ და „ცივი ომი“, რომლებიც ესოდენ ესადაგება ომის შემდგომ პოლიტიკურ სიტუაციას.

ჰერცოგ მარლბოროს არისტოკრატიული გვარის შთამომავალი უინსტონ ჩერჩილი დაიბადა 1874 წლის 30 ნოემბერს. ის გახლდათ უფროსი შვილი ჯანეტ ჯერომისა და ლორდ რენდოლფ ჩერჩილისა. დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ უინსტონი 1888 წელს შედის ჰაროუს პრივილეგირებულ სკოლაში.

უინსტონ ჩერჩილის სამხედრო კარიერა დაიწყო სენდჰერსთში სამეფო სამხედრო სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ. მამის სიკვდილიდან არც თუ დიდი დრო იყო გასული, როდესაც 1895 წელს ჩაირიცხა ჰუსართა მეოთხე პოლკში ლეიტენანტად. კუბაზე ესპანურ არმიაში სამხედრო მეთვალყურედ ყოფნის შემდეგ იგი გადაიყვანეს ინდოეთში. 1898 წელს ეგვიპტეში ჩავიდა და მონაწილეობას იღებდა ცნობილ ბრძოლებში არა მარტო როგორც სამხედრო პირი, არამედ, როგორც ჟურნალისტიც.

1897 წელს „London Daily Telegraph"-ის კორესპონდენტი უინსტონ ჩერჩილი შეუერთდა გენერალ ბლადის ექსპედიციას მალაკანდის სრუტის მიდამოებში. ამავე სტატუსით იღებდა იგი მონაწილეობას სამხრეთ აფრიკაში გაჩაღებულ ბურების ომში საწყის ეტაპზე. აქვე 1899 წლის 15 ნოემბერს ტყვედ ჩაუვარდა ლუის ბოტას — სამხრეთ-აფრიკული კავშირის მომავალ პირველ პრემიერ-მინისტრსა და მერმისში მის ახლო მეგობარს.

ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ ჩერჩილმა ერთხანს ამერიკის შეერთებულ შტატებში დაჰყო, კითხულობდა ლექციებს, და მიღებული გასამრჯელო საკუთარი პოლიტიკური კარიერის მომზადებას მოახმარა თავის სამშობლოში. 1898 წლის სტარტი წარუმატებელი გამოდგა. მხოლოდ ორი წლის შემდეგ 26 წლისა გახდა პარლამენტარი. შემდგომმა სამმა წელმა პოლიტიკაში მნიშვნელოვანი წინააღმდეგობანი გამოავლინა ჩერჩილისა და ლორდთა პოლიტიკას შორის, რომელსაც მესვეურობდა ჯოზეფ ჩემბერლენი. ამიტომ 1904 წელს მან მონაწილეობა მიიღო თემთა პალატის არჩევნებში ლიბერალთა პარტიიდან.

ლიბერალთა გამარჯვების შემდეგ ჩერჩილს არაერთგზის შესთავაზეს კაბინეტის მუშაობაში მონაწილეობის მიღება. თავდაპირველად იმ სამინისტროს ხელმძღვანელობა დააკისრეს, რომელიც კოლონიების საქმეებით იყო დაკავებული, შემდეგ კი — დედოფლის საიდუმლო მრჩევლობა. როდესაც 1908 წელს ჰენრი ასკვიტი პრემიერ-მინისტრად დაინიშნა, ჩერჩილი სათავეში ჩაუდგა საბჭოს, სახელმწიფოს შიდა ვაჭრობასა და შინაგან საქმეებს რომ განაგებდა. ამ თანამდებობებზე იგი ახორციელებდა ისეთ პროგრამებს, როგორიცაა მოხუცთათვის პენსიების დანიშვნა, ჯანმრთელობის დაზღვევა და სხვ.

1911 წელს უინსტონ ჩერჩილი გახდა სამხედრო-საზღვაო სამინისტროს პირველი ლორდი და სათავეში ჩაუდგა ბრიტანეთის ფლოტს პირველ მსოფლიო ომში. ეს, კაცმა რომ თქვას, მისი მხრიდან არც თუ დიდ

სტრატეგიულ ნიჭიერებას მოითხოვდა, რამდენადაც ნახშირიდან თხევად საწვავზე გადასული შესანიშნავად აღჭურვილი ინგლისური ფლოტი ღირსეულ მეტოქეს არ შესჯახებია გერმანული გემების სახით.

იმ წლებში ჩერჩილის უმთავრესი მონაპოვარი გახლდათ ბრიტანეთის სამეფო საჰაერო-სამხედრო ძალების შექმნა, თუმცა დარდანელზე მათი წარუმატებელი ოპერაციის შემდეგ იგი სერიოზული კრიტიკის ობიექტი შეიქნა და 1916 წელს თანამდებობიდან გადადგა. ის ფრონტზე წავიდა გენერალ-ლეიტენანტის ჩინით და სათავეში ჩაუდგა დედოფლის მეისრეთა მე-6 პოლკს. თუმცა სულ მალე პრემიერმა ლოიდ ჯორჯმა ფრონტიდან გამოიხმო და ქვეყნის სამხედრო მომარაგების სამინისტროს ხელმძღვანელად დანიშნა.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, 1918-21 წლებში, ჩერჩილმა, როგორც სამხედრო საქმეთა სახელმწიფო მდივანმა, მთელი რიგი რეფორმები გაატარა. 1921-22 წლებში დიდი ბრიტანეთის კოლონიების საქმეებს განაგებდა და უშუალო მონაწილეობას იღებდა ზოგიერთი არაბული სახელმწიფოსა და ახლო აღმოსავლეთში ებრაული სახელმწიფოს შექმნის საკითხის გადაწყვეტაში (იმ მანდატის ჩარჩოებში, რომლითაც ერთა ლიგამ აღჭურვა ბრიტანეთი პალესტინის მართვასთან დაკავშირებით). დიდ შეშფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ რუსეთის ხელისუფლებაში ბოლშევიკები მოვიდნენ. იგი ყოველმხრივ მხარს უჭერდა თავისუფლებამოპოვებული ირლანდიის ხელისუფლებას. ჩერჩილს შეურიგებელი დამოკიდებულება ჰქონდა თურქეთთან დარდანელის სრუტის საკითხებთან დაკავშირებით და ამან ხელი შეუწყო განხეთქილებას ისედაც მერყევ და სუსტად შეკავშირებულ კოალიციურ მთავრობაში. მინისტრთა ახალ კაბინეტში ჩერჩილს ველარ ვხედავთ.

ჩერჩილი პოლიტიკის მიღმა დარჩა, მაგრამ 1939 წლის სექტემბერში, მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, საზოგადოებრივი აზრის ზეწოლის შედეგად, კვლავ სამხედრო-საზღვაო სამინისტროს პირველ ლორდად დანიშნა. 1940 წლის მაისში თანამდებობიდან ჩემბერლენის გადადგომის შემდეგ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი გახდა. ფაშისტური გერმანიის წინაშე საფრანგეთის კაპიტულაციისთანავე თემთა პალატაში თავის პირველ გამოსვლაში პრემიერმა არაორაზროვნად განაცხადა,

რომ დიდი ბრიტანეთი არ აპირებდა კომპრომისზე წასვლას: „თქვენ იკითხავთ, რა გვაქვს მიზნად დასახული. ჩემი პასუხი მარტივია: გამარჯვება, გამარჯვება, რადაც უნდა დაგვიჯდეს; გამარჯვება ტერორზე, რაც უნდა ხანგრძლივი ბრძოლის გადატანა და გაჭირვების გადალახვა მოგვიხდეს!“ ჩერჩილს ფიქრადაც არ გაუვლია ჰიტლერთან მოლაპარაკება.

იმ წუთამდე, სანამ ამერიკის შეერთებული შტატები ომში ჩაებმებოდა, იგი მარტო აპირებდა ბრძოლას. სტრატეგიას საფუძვლად ედო გერმანიის დაბომბვა და ძალების კონცენტრაცია ხმელთაშუაზღვისპირეთსა და ახლო აღმოსავლეთში. ამ ორივე პოზიციას მხარი დაუჭირა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა პერლ-ჰარბორში იაპონიის მიერ მათი სამხედრო ბაზის დაბომბვის შემდეგ.

ჩერჩილს უცილობლად სჭირდებოდა როგორც ეკონომიკური, ისე სამხედრო დახმარება შეერთებული შტატების მხრიდან. ლენდ-ლიზის პროგრამამ მნიშვნელოვანწილად შეეწია ბრიტანეთს, თუმცა ბრიტანულ ეკონომიკაზე ტოტალურმა ამერიკულმა კონტროლმა ომიანობის დროს ინგლისს ეკონომიკური დამოუკიდებლობა მთლიანად დააკარგვინა. და მაინც, ჩერჩილი ელტვოდა „მთელი ისტორიის მანძილზე ყველაზე მჭიდრო კავშირს“, თანამშრომლობასა და ალიანსს შეერთებულ შტატებთან. ეს თანამშრომლობა განმტკიცდა ატლანტიკური ქარტიით 1941 წლის აგვისტოში. მოგვიანებით ამ ალიანსს შეუერთდა საბჭოთა კავშირი, რითაც დასრულდა „დიდი სამეულის“ ჩამოყალიბება. ჩერჩილი მონაწილეობდა სამი სახელმწიფოს (სსრკ, დიდი ბრიტანეთი, აშშ) მეთაურთა თეირანის (1943), ყირიმის (1945) და პოსტდამის (1945) კონფერენციებში.

საინტერესოა ჩერჩილის შეფასება არაერთი ისტორიული პიროვნებისა და, მათ შორის, სტალინისა. აი, რას ამბობს იგი სტალინზე:

„რუსეთისათვის დიდი ბედნიერება გასლდათ ის, რომ მძიმე განსაცდელის წლებში მას სათავეში ედგა ისეთი გენიოსი და უდრეკი მხედართმთავარი, როგორიც იყო იოსებ სტალინი. იგი გასლდათ გამორჩეული პიროვნება, საკუთარ რომ შეესატყვისებოდა ისტორიის ულმობელ პერიოდს, რომელშიაც მიედინებოდა მისი ცხოვრება.

სტალინი გასლდათ არაჩვეულებრივი ენერგიის, ერუდიციისა და უდრეკი ნებისყოფის ადამიანი, უკმეხი, ხისტი, სასტიკი სიტყვითა თუ საქმით; მასთან მეც კი — ინგლისის პარლამენტში აღზრდილი — ვერაფერს ვხდებოდი.

მას მოსდგამდა გვარიანი იუმორი და სარკაზმი, უნარი აზრის ზუსტად გადმოცემისა. სტატიებსა და მოხსენებებს მუდამ თვითონ წერდა და მის თხზულებებში გოლიათური ძალა იგრძნობოდა. სტალინში იმოდენა ძალა იყო თავმოყრილი, რომ ის განუმეორებელი ელფერით წარმოჩინდებოდა ყველა დროისა და ხალხის სახელმწიფოთა ლიდერებს შორის.

სტალინმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე. მისი გავლენა ადამიანებზე განუზომელი იყო. როდესაც ის იალტის კონფერენციის დარბაზში შემოდიოდა, ჩვენ, ყველანი, თითქოს ბრძანებას დამორჩილებულნი, ფეხზე ვდგებოდით და, რა უცნაურია, არ ვიცოდით, ხელები სად წაგველო!

მას მოსდგამდა დიდი სიბრძნე და ლოგიკა, რომლისთვისაც უცხო იყო ყოველგვარი პანიკა. სტალინი მძიმე წუთებში ყველაზე გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსავლის მოძებნის უბადლო ოსტატი გახლდათ.

ყველაზე უფრო ტრაგიკულ წუთებში, ისევე, როგორც სადღესასწაულო დღეებში, იგი ერთნაირად თავშეკავებული იყო, ილუზიებს არასოდეს აჰყვებოდა. ის უჩვეულოდ რთული პიროვნება გახლდათ.

სტალინმა შექმნა და თავის ნებას დაუმორჩილა უზარმაზარი იმპერია. ის იყო ადამიანი, რომელმაც მტერი თავისივე მტრის ხელით გაანადგურა და ჩვენც კი, ვისაც დაუფარავად იმპერიალისტებს გვეძახდა, გვაიძულა, იმპერიალისტებს შევბრძოლებოდით...

სტალინი გახლდათ უდიდესი დიქტატორი, რომლის ბადალი მსოფლიოს არა ჰყოლია. მან ჩაიბარა ღატაკი რუსეთი, რომელიც ატომური იარაღით აღჭურვა და ისე დატოვა. არა, რაც უნდა თქვან სტალინზე, მისნაირებს ისტორია და ხალხები არ ივიწყებენ...“

თუმც აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩერჩილის თვალსაზრისი სტალინზე ხშირად ძალზე წინააღმდეგობრივი და აქ მოყვანილისგან სრულიად განსხვავებულია.

ომის დამთავრებისთანავე ანტიჰიტლერული კოალიციის მოკავშირე ქვეყნების ახლო ურთიერთობა განელდა. უფრო მეტიც, — ერთხელაც გავიხსენოთ, რომ სწორედ ჩერჩილს ეკუთვნის ფრთიანი გამოთქმა „რკინის ფარდა“.

გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ ინგლისმა დაიწყო მზადება არჩევნებისათვის, რომელიც 1945 წლის ივლისში ჩატარდა. გაიმარჯვეს ლეიბორისტებმა, ჩერჩილი გადადგა. ექვსი წლის განმავლობაში ის ლიდერ-

ობდა ოპოზიციას და ევროპელ ლიდერებს მოუწოდებდა, თავიდან აეცილებინათ საბჭოეთის გავლენა...

1951 წელს უინსტონ ჩერჩილი დაბრუნდა დაუნინგ სთრითის 10-ში, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ოფიციალურ რეზიდენციაში, ატარებდა ნატოს სამხედრო ორგანიზაციის განმტკიცებისა და ევროპული კავშირის მხარდამჭერ პოლიტიკას, თუმცა არც სოციალურ სფეროს ივიწყებდა და პარლამენტში ისეთი კანონები გაჰქონდა, როგორიცაა რკინიგზისა თუ ინგლისის ბანკის ნაციონალიზაცია.

ცალკე შევეხოთ ჩერჩილის ლიტერატურულ მოღვაწეობას. როგორც სპეციალისტები წერენ, ჩერჩილს ჰქონდა უფრო მეტი პუბლიკაცია, ვიდრე დიკენსსა და უოლტერ სკოტს ერთად. მისი, როგორც მწერლის, პოპულარობა კი აჭარბებდა ჰემინგუეისა და ფოლკნერის პოპულარობას. სამხედრო კორესპოდენტად მუშაობის პერიოდში უინსტონ ჩერჩილი თავის მთავრობას აწვდიდა ინფორმაციას. ამ ცნობებისა და შეტყობინებების საფუძველზე 1898 წელს შეიქმნა წიგნი „მალაკანდის ლაშქრობის ისტორია". სუდანის ექსპედიციაში აღწერილი გამოცდილება აღწერილია წიგნში „ომი მდინარეზე". ახალგაზრდა ჩერჩილი ინდოეთში წერს თავის პირველსა და ერთადერთ მხატვრულ ნაწარმოებს „სავროლა, ლაურანიის რევოლუციის ისტორია". ნობელიანტის კალამს ეკუთვნის წიგნები პირველი მსოფლიო ომის შესახებ: „მსოფლიო კრიზისი", „აღმოსავლეთის ფრონტი", „შედეგები".

1933-1938 წელს ჩერჩილმა შექმნა ვრცელი გამოკვლევა თავის ცნობილ წინაპრებზე „მარლბორო: მისი ცხოვრება და დროება".

1948-1954 წლებში ჩერჩილი მუშაობდა ექვსტომიან ისტორიაზე „მეორე მსოფლიო ომი". ეს გახლავთ ისტორიულ-მემუარული ჟანრის მასშტაბური ნაწარმოები („მოახლოებული ქარიშხალი" ამ ეპოპეის ნაწილია).

1956-1958 წლებში გამოიცა ნობელიანტის ოთხტომიანი გამოკვლევა „ინგლისურენოვან ხალხთა ისტორია".

მეორე მსოფლიო ომზე ათასობით წიგნი დაწერილა — მეცნიერული, მხატვრული, პუბლიცისტური თუ მემუარული. მათში თავისი ფუნდამენტურობით გამოირჩევა უინსტონ ჩერჩილის მოგონებანი. ამ წიგნის გამოსვლიდან ათეულობით წლები გავიდა, მაგრამ „მეორე მსოფლიო ომმა"

უფუოდ გაუძლო დროის გამოცდას. ამ ომის საკითხებზე მომუშავე ვერც ერთი სერიოზული მკვლევარი ვერ აუვლის გვერდს იმ შორეული წლების მოვლენათა თვითმხილველისა და მონაწილის ფუნდამენტურ ნაშრომს. თავად ავტორი თავის თხზულებას განიხილავდა გაგრძელებად პირველი მსოფლიო ომის ისტორიისა, რომელიც მან წინა სამ წიგნში აგვიწერა. შეუძლებელია იმის არდანახვა, რომ ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწის მოგონებანი გამოირჩევა მასშტაბურობით, შორსმჭვრეტელური ანალიზითა და ისტორიულ შეფასებათა სითამამით. უდავოა, რომ ეს უზარმაზარი ტილო, აწ უკვე დროით ჩვენგან გვარიანად დაცილებული, ნიჭიერი კაცის გონებასა და მარჯვენას შეუქმნია.

1953 წელს უინსტონ ჩერჩილს მიენიჭა ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში. ეს პრემია მას მიანიჭეს „ისტორიულ-მემუარული ხასიათის ნაწარმოებების მაღალი ოსტატობით შესრულებისათვის, აგრეთვე ბრწყინვალე ორატორული ხელოვნებისათვის, რომელთა შემწეობითაც შესაძლებელი გახდა მაღალ ადამიანურ ფასეულობათა დაცვა-შენარჩუნება". სტოკპოლმში ითქვა: „ჩერჩილის პოლიტიკური და ლიტერატურული მიღწევები იმდენად დიდია, რომ იგი თავისუფლად შეიძლება შევადაროთ როგორც კეისარს, ისე ციცერონს". ჩერჩილის შესანიშნავი სიტყვები მნიშვნელოვნად აჭარბებენ მის წიგნებს.

ოცდაათი წლის შემდეგ ნობელიანტის თანამემამულე იტყვის: „ჩერჩილმა ნობელის პრემია მიიღო თავისი ვნებიანი ფილიპიკებისათვის — რაც თავდადებისა და ქედუდრეკილობის ნიმუშებია... ნობელიანტის ფაქტების პოეზიამ ისტორია შეცვალა". ნობელის პრემიის მინიჭებისას ჩერჩილი ბერმუდის კუნძულებზე გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე იმყოფებოდა. ბრიტანეთის პრემიერის სახელით ჯილდო მისმა მეუღლემ მიიღო.

ვფიქრობთ, მკითხველი ცნობისწადილით ჩაიკითხავს რამდენიმე ამა თუ იმ ნიშნით გამორჩეულ, თავს მისი მემუარების წიგნიდან „მოახლოებული ქარიშხალი" (თავები I და II ნაწილებიდან იბეჭდება მცირე შემოკლებით).

1955 წელს უინსტონ ჩერჩილი გაეცალა დიდ პოლიტიკას და მშვიდად გაატარა ათი წელიწადი. 90 წლის ლეგენდარული პიროვნება გარდაიცვალა 1965 წლის 24 იანვარს, ლონდონში. დაკრძალულია სოფლის პატარა სასაფლაოზე ბლეიდონში, ოქსფორდშირის მშობლიურ საგრაფოში.

ჩერჩილის გარდაცვალება გახლდათ ბრიტანეთის ისტორიის მთელი ეპოქის დასასრულის ნიშანსვეტი.

ავტორის წინასიტყვაობა

„მეორე მსოფლიო ომის“ ეს ტომები უნდა განვიხილო გაგრძელებად პირველი მსოფლიო ომის ამბისა, რომელიც გადმოვეცი წიგნებში „მსოფლიო კრიზისი“, „აღმოსავლეთის ფრონტი“ და „შედეგები“. წინამდებარე ნაშრომი თუ დავასრულე, მაშინ ერთობლივად ისინი მოიცავენ კიდევ ერთ ოცდაათწლიან ომს.

ამჯერადაც ისევე, ვით ადრინდელ ტომებში, შეძლებისდაგვარად ვიყენებდი დეფოსეულ მეთოდს, რომელიც მოუშველიებია ავტორს „კავალერის ჩანაწერებში“, სადაც პიროვნების პირად გამოცდილებათა ძაფზე აუსხამს ეამთააღწერილობა და განსჯანი ღირსშესანიშნავი სამხედრო და პოლიტიკური მოვლენებისა. მე, ალბათ, უკვდავყოფილი ისტორიის ორი უდიდესი ქარტეხილის მომსწრე ერთადერთი ადამიანი ვარ, რომელსაც ორჯერვე თვალსაჩინო თანამდებობა ეკავა მინისტრთა კაბინეტში. ამასთანავე, თუ პირველი მსოფლიო ომის დროს, მართალია, საპასუხისმგებლო, მაგრამ მაინც დაქვემდებარებულ თანამდებობებზე ვიყავი, გერმანიასთან ამ მეორე შერკინებისას ხუთ წელიწადზე მეტ ხანს მისი უდიდებულესობის მთავრობის მეთაური გახლდით. აქედან გამომდინარე, ახლანდელ ნაწერს ჩემს ადრინდელ წიგნებს თუ შევადარებთ, თვალთახედვაც განსხვავებული მაქვს და მეტი დამაჯერებლობითაც შემიძლია ვწერო.

თითქმის მთელი ჩემი ოფიციალური სამუშაოს წარმართვისას ყველა წვრილმანს მდივნებს ვკარნახობდი. პრემიერ-მინისტრობის დროს ჩემი ხელიდან გამოსული მემორანდუმები, დირექტივები, პირადი დეპეშები, ჩანახატ-ოქმები საერთო ჯამში მილიონამდე სიტყვას მოიცავს. ეს დოკუმენტები, გარემოებათა გამძაფრებისდა კვალად, ყოველდღიურად რომ იქმნებოდა მხოლოდ იმ წუთში ხელმისაწვდომ ცნობათა საფუძველზე, უეჭველია, მრავალმხრივ ნაკლულოვანნი აღმოჩნდებიან. და მაინც, ერთად აღებული, წარმოდგენას გვიქმნიან მაშინდელ ავბედით ამბებზე, რამდენადაც მათში მეღავნდება იმჟამინდელი თვალსაზრისი კაცისა, ვისაც ეკისრებოდა უმთავრესი პასუხისმგებლობა ომის წარმართვასა თუ ბრიტანული თანამეგობრობისა

და იმპერიის პოლიტიკაზე. ვეჭვობ, რომ ან ახლა სადმე მოიძებნებოდეს ან ოდესმე შექმნილიყო სხვა მსგავსი ნუსხა საომარი ამბებისა და სახელმწიფო საქმეთა მესვეურობის ყოველი დღისა. მე მას ვერ ვუწოდებ ისტორიას, რადგან ეს სხვა თაობის საქმე გახლავთ. მაგრამ დაბეჯითებით ვირწმუნები, რომ ესაა ისტორიაში შეტანილი წვლილი, რომელიც სამსახურს გაუწევს მომავალ თაობებს.

პრაქტიკული მოღვაწეობისა და საკუთარ შეხედულებათა ქადაგების ეს ოცდაათი წელი ჩემი ცხოვრების ქვაკუთხედია, მის გამოვლენას ემსახურება და მზადა ვარ, განმსაჯონ მათი გათვალისწინებით. მუდამ წესად მქონდა, არ განმესაჯა რაიმე სამხედრო თუ პოლიტიკური ღონისძიება, თუკი იმთავითვე საჯაროდ ანდა ოფიციალურად არ გამოვთქვამდი აზრს მის შესახებ ან არ მივუთითებდი საშიშროებაზე. მართლაც, მოსახდენი რომ მოხდებოდა, ბევრჯერ შემირბილებია კიდეც სიმწვავე გაჩაღებული დავაკამათისა. ჩემთვის მტკივნეული იყო ამ ადამიანთა შორის თაყრენილ განხეთქილებათა აქ მოხსენიება, რადგან ბევრი მათგანის მიმართ გულთბილი დამოკიდებულება მქონია და პატივისცემით ვყოფილვარ განმსჭვალული. მაგრამ მართებულად ვერ მივიჩნევდი, რომ მომავლისათვის არ შეომენახა წარსულის გაკვეთილები. არავისა აქვს უფლება, ქედმაღლურად გადმოხედოს ღირსეულ, კეთილი ზრახვებით საკმე ადამიანებს, რომელთა ქმედებანი ამ ფურცელზეა აღბეჭდილი, — ვიდრე საკუთარ გულში არ ჩაიხედავს, საზოგადო ვალის მოხდის მისეულ ანგარიშს არ წარუდგენს საკუთარ თავს და სამომავლოდ თავის ქცევა-ყოფას წარსულის გაკვეთილებს არ მოუსადაგებს.

ნურავინ იფიქრებს, თითქოს ველოდე, რომ ყველა კვერს დამიკრავს ან, მით უმეტეს, იმას, რომ მხოლოდ ისეთ რამესა ვწერდე, რაც სახელის მოსახვეჭადა მაქვს გათვლილი. ამ ჩვენებებს ვიძლევი ჩემი შესაძლებლობების კვალობაზე. ყოველი ღონე ვიხმარე ამ ფაქტების შესაჯერებლად; ოღონდაც, მოძიებულ-მოჩხრეკილი დოკუმენტებისა თუ სხვა მასალების გამომზეურებისას გამუდმებით თავს იჩენს ბევრი რამ ისეთი, რამაც, შესაძლოა, ახლებური ელფერით წარმოგვიჩინოს ჩემ მიერ გამოტანილი დასკვნები. აი, რაოდენ მნიშვნელოვანია შესაბამისი ხანის უტყუარი ჩანაწერებისა და ჯერ კიდევ იმ დროს გამხელილი თვალსაზრისის საფუძვლიანად გაცნობიერება, როდესაც მართლაც ყველაფერი ბურუსით იყო მოცული.

ერთხელ პრეზიდენტმა რუზველტმა მითხრა, რომ იგი საკვაროდ ითხოვდა, შემოეტანათ წინადადებანი იმის თაობაზე, თუ როგორ მოხსენიებულიყო ეს ომი. უმაჭნისი ომი-მეთქი, — მივუგე მყისვე. სხვა არც ერთი ომის თავიდან აცილება არ ყოფილა ისე იოლი, როგორც იმ ომისა, რომელმაც სულ ახლახან გააცამტვერა ის, რაც ჯერ კიდევ გადარჩენილიყო წინანდელი შერკინების შემდეგ. კაცობრიობის ბედუკეთმართობის მწვერვალი ისაა, რომ, მიუხედავად ამოდენა ძალისხმევისა და ასეულ მილიონობით შეწირული ადამიანისა, მიუხედავად მართალი საქმის გამარჯვებისა, ჩვენ ჯერაც ვერ მოგვიპოვებია მშვიდობა თუ უსაფრთხოება და დღემდე გადატანილზე უარესი განსაცდელის ტყვეობაში ვიმყოფებით. მთელი გულით ვამყარებ იმედს იმაზე, რომ გარდასულზე ფიქრი და განსჯა სახვალიოდ მაინც სახელმძღვანელოდ გამოგვადგება, ახალ თაობას შეაძლებინებს, აიცდინოს წარსული წლების ზოგიერთი შეცდომა და, ამის წყალობით, გაუძღვეს მერმისში გამართულ შემზარავ სანახაობას კაცთა მოდგმის ღირსება-საჭიროებათა შესაბამისად.

უინსტონ სპენსერ ჩერჩილი
ჩართუელი, უესთერჰემი, კენტი
1948 წ. მარტი

წიგნი I

ოქიდან ოქამდე

თავი I

გამარჯვებულთა უგუნურება

1914 წლის მსოფლიო ომი რომ დასრულდა, ფესვი გაიდგა ღრმა რწმენამ და ლამის საყოველთაო იმედმა, რომ ქვეყნად მშვიდობა დამყარდებოდა. ყველა ხალხის ამ გულისთქმას იოლად შეიძლებოდა ხორცი შესხმოდა, თუკი მავანნი და მავანნი მედგრად დაიცავდნენ პირუთვნელ მრწამსს, საჭირო საღ აზრს გამოავლენდნენ და გონიერებას გამოიჩენდნენ. ფრაზა „ომი ომებისათვის ბოლოს მოსაღებად“ ყველას პირზე ეკერა და ტარდებოდა ღონისძიებანი ამის ხორცშესასხმელად. პრეზიდენტმა უილსონმა, რომელიც ყველას შეერთებული შტატების ავტორიტეტად ესახებოდა, იმდენი ქნა, რომ ერთა ლიგის შექმნის ჩანაფიქრმა დაიპყრო ყოველი კაცის ჭკუა-გონება. ინგლისელთა დელეგაციამ ვერსალში ყალიბში მოაქცია და ხორცი შეასხა მის ზრახვებს იმ დოკუმენტის შექმნით, კაცთა მოდგმის ძნელად სავალ გზაზე საუკუნოვან დედაბოძად რომ დარჩება. გამარჯვებული მოკავშირენი ყოვლისშემძლენი იყვნენ იმხანად, თუკი საქმე გარეშე მტრებზე მიდგებოდა. ისინი თუმც იძულებულნი შეიქნენ შეეხლოდნენ მნიშვნელოვან შინაგან შეჭირვებებსა და არაერთგზის წამოჭრილ კითხვა-ამოცანებს, რომელზეც პასუხი ვერა და ვერ გაეცათ, მაგრამ ცენტრალურ ევროპაში გადაჭიმულ უზარმაზარ სივრცეში მათ ფეხქვეშ გართხმულიყვნენ ტევტონთა ზესახელმწიფოები, ოდესღაც თავდაყირა რომ აყენებდნენ ყველასა და ყველაფერს; რუსეთს კი, უკვე დაცეხვილს გერმანელთა საცეხველით, სამოქალაქო ომი აზანზარებდა და სულ უფრო და უფრო ექცეოდა ბოლშევიკური თუ კომუნისტური პარტიის მარწუხებში.

* * *

1919 წლის ზაფხულში მოკავშირე ჯარები რაინის გაყოლებაზე იდგნენ და მათი ხიდისწინა პოზიციები კარგა ღრმად შეჭრილიყო ძლეული, განიარაღებული და დამშეული გერმანიის მიწა-წყალზე. გამარჯვებულ ზესახელმწიფოთა მეთაურები პარიზში ბჭობდნენ და მომავლის განსჯით იყვნენ გართული; ევროპის რუკა გაეშალათ და ლამის საკუთარი ნება-სურვილისამებრ უპირებდნენ გადაკეთება-გადასხვაფერებას. განსაცდელით სავსე ორმოცდათორმეტთვიანი ხელჩართული ბრძოლის შემდეგ ტევტონთა კოალიციის ბედი მათ მწყალობლობაზეღა ეკიდა და მის ოთხ მონაწილეთაგან ვერც ერთი ოდნავაც ვერ შეეწინააღმდეგებოდა მათ ნებას. გერმანია, მარბიელ ძალთა მოთავე და მესვეური, რომელიც საყოველთაოდ შეერაცხათ მთელს მსოფლიოზე თავსდატეხილი უბედურების პირველმიზეზად, ახლა იმ გამარჯვებულ სახელმწიფოთა ნება-სურვილსღა ჰმორჩილებდა მოწყალების მომლოდინე, თავადაც რომ ძლივს იბრუნებდნენ სულს ამდენ ჭირვარამგადანახადნი. უფრო მეტიც, გარდასული ომი ხელისუფალთა კი არა, ხალხთა ნების გამოვლინება იყო. უდიდეს ერთა ცხოველმყოფლობამ რისხვად ამოხეთქა და სისხლიან სასაკლაოდ გარდაისახა. პარიზში შეკრებილი მხედართმთავრები იქით გადაისროლა კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არნახულმა უმძლავრესმა და უმძვინვარესმა ღვარცოფმა. წავიდა დრო უტრეჰტისა და ვენის შეთანხმებებისა, როცა არისტოკრატი სახელმწიფო მოღვაწეები და დიპლომატები — მძლეველნიცა და ძლეულნიც — თავაზიანი და მოკრძალებული განსჯა-კამათისათვის იკრიბებოდნენ და, დემოკრატიისათვის ნიშნეული ყაყანისა თუ ენის ტარტარისაგან შორს მდგომნი, უფლებამოსილი იყვნენ, სახე ეცვალათ პოლიტიკური სისტემისათვის იმ საფუძველთა საფუძვლების გათვალისწინებით, რომელთაც ყველა მათგანი იზიარებდა. ახლა მათ გარშემო ტრიალებდა გახელებული და ლიანგის სულის შთამბერავი მოძღვრებებით აღტყინებული ათეულ მილ-

ონობით ადამიანი და სისხლის წილ სისხლს მოითხოვდა. და ვაი წინამძღოლთ, ამჟამად ზარ-ზეიმით ატყორცნილთ თავბრუდამხვევ სიმაღლეებზე, თუ კონფერენციის მაგიდასთან მსხდომნი ხაზს გადაუსვამდნენ იმ მონაგარს, რომლისთვისაც ჯარისკაცებს სისხლი დაეღვარათ ასობით ბრძოლის ველზე! წინამძღოლობა საფრანგეთს ეკისრა, რისი ღირსიც გამხდარიყო როგორც თავისი ძალისხმევის, ისე გაღებული მსხვერპლის წყალობით. დამპყრობლის წინააღმდეგ მორკინალი მილიონ-ნახევრამდე ფრანგი გაწყდა საფრანგეთის მიწა-წყლის დაცვისას. ასი წლის მანძილზე პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის სამრეკლო ხუთჯერ — 1814, 1815, 1870, 1914, 1918 წლებში — გაეხვია პრუსიელთა ზარბაზნებიდან ავარდნილ ალში და შეიძრა მათი ქვემეხების გრიალით. ოთხი შემზარავი წლის განმავლობაში პრუსიელთა სამხედრო მმართველობის ულმობელ მარწუხებში იყო მოქცეული საფრანგეთის ცამეტი პროვინცია. ვეებერთელა რეგიონებს გეგმაზომიერად აცამტვერებდა მტერი, ხოლო ჯარების შეტაკებისას მათგან ქვა ქვაზე აღარ რჩებოდა. ვერდენიდან ტულონამდე არათუ სახლი, ერთი ოჯახიც არ მოიძებნებოდა ისეთი, თავისი დაღუპული არა ჰყოლოდა დასატირებელი ანდა ხეიბართა სადგომად არ ქცეულიყო. 1870 წლის ომგადახდილ და ჭირგამოვლილ ფრანგებს — ასეთნი კი მრავლად იყვნენ ზედა ფენებში — ლამის სასწაულად ესახებოდათ ის, რომ გამარჯვება საფრანგეთს დარჩა გაცილებით უფრო საზარელ ბრძოლაში, რომელიც ეს-ესაა დასრულებულიყო. მთელი თავიანთი სიცოცხლე ისინი გერმანული იმპერიის შიშით იყვნენ დაზაფრული. მათი მეხსიერებიდან არ წაშლილიყო პრევენტიული ომი, რომლის გაჩაღებასაც ლამობდა ბისმარკი 1875 წელს. ახსოვდათ მრავალგზისი ტლანქი მუქარა, რის გამოც 1905 წელს დელკასე იძულებული გახდა თანამდებობიდან გადამდგარიყო. 1906-ში მაროკოულმა საფრთხემ შეაზანზარა ისინი, 1908 წელს — ბოსნიის უთანხმოებამ, 1911-ში კი — აგადირის კრიზისმა. ინგლისსა და ამერიკაში სწორედაც რომ შეეძლოთ სიცილი აეტეხათ კაიზერის გამონათქვამებზე „ჯავშნიანი მუშტისა“ და „ლაპლა-

პა საჭურვლის" შესახებ. ფრანგთა გულში კი ავად ხმიანობდნენ ისინი და საზარელ სინამდვილეს მოასწავებდნენ. გერმანელთა იარაღით დაზაფრულებმა ლამის ორმოცდაათი წელიწადი შიშში გაატარეს. და აი, დანთხეული სისხლის ფასად მოიშორეს უღელი, რომლის ქვეშ ამდენ ხანს დრტვინავდნენ. აი, ისიც, წლობით ნანატრი მშვიდობა და უშფოთველობა. „მეტად აღარასოდესო"! — შესძახა ერთიანი გზნებით ანთებულმა ფრანგმა ხალხმა.

ეგაა, რომ ავი წინათგრძნობა ამძიმებდა მერმისს. საფრანგეთის მოსახლეობა გერმანიის მოსახლეობის ორ მესამედსაც ვერ აღწევდა; თანაც, იგი რიცხობრივად მდგრადი იყო, გერმანიისა კი მატულობდა. ათი წლის შემდეგ ან, იქნებ, უფრო ადრეც, გერმანელ ახალწვეულთა ყოველწლიური ნაკადი ფრანგებისას ორჯერ გადაამეტებდა. გერმანია თითქმის მხოლოდ საკუთარი ძალების ამარა დარჩენილი ეომებოდა ლამის მთელ მსოფლიოს და, ცოტა დააკლდა, არ გაიმარჯვა. სხვებზე უკეთ გათვითცნობიერებულთ მშვენივრად იცოდნენ, — რამდენჯერმე საქმე ისე წავიდა, ვერვინ იტყოდა, რით დამთავრდებოდა ეს დიდი ომი, რომ არა უიღბლო თუ იღბლიანი შემთხვევითობანი, რომელთაც გადასწონეს ბედისწერის სასწორი. სად იყო სამერმისოდ საწინდარი იმისა, რომ დიდ მოკავშირეთა მილიონიანი ლაშქარი კვლავ გამოჩნდებოდა ფრანგთა ბრძოლის ველებსა თუ აღმოსავლეთში?! რუსეთი ისე დაიქცა და დაიზაფრა, რომ ნაშთიც აღარსად იყო მისი ძველი დიდებისა. იტალია, შესაძლოა, მოწინააღმდეგე მხარესაც შეჰკვროდა. დიდ ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებს ზღვები და ოკეანეები ჰყოფდა ევროპისაგან. თავად ბრიტანეთის იმპერია იმნაირი ხლართებით ჩანდა შეკოწიწებული, თავისივე მოქალაქეების მეტი ვერავინ რომ ვერაფერს გაუგებდა. მოვლენები ისე როგორ უნდა გადახლართვოდა ერთმანეთს, რომ საფრანგეთისა თუ ფლანდრიისაკენ მოებრუნებინა ვიმი რიჯის მრისხანე კანადელები, სახელოვანი ავსტრალიელები; მედგარი ინდიელი მებრძოლნი, არმანტიერის სასაზღვრო ზოლი რომ დაიკავეს 1914

წლის მკაცრ ზამთარში; და კიდევ, ხტუნია სამხრეთ-ამერიკელები?! აწ როდის დალაშქრავდა მშვიდობის მოყვარული, არხეინი, ომის მოძულე ბრიტანეთი არტუასა და პიკარდიის ველებს ორსამმილიონნიანი ლაშქრით?! კიდევ როდის გადმოისვრიდა ოკეანე ორ მილიონ სანაქებო ამერიკელ ვაჟკაცს შამპანისა და არგონისაკენ?! გათანგული, ნახევრად ამოწყვეტილი, თუმც იმ წუთების უდავო საჭეთმპყრობელი, ფრანგი ხალხი ნიადაგშიშნარევი მადლიერი გაოცების გრძნობით გამსჭვალული უმზერდა მერმისს. აბა, სად იყო საწინდარი უსაფრთხოებისა, ურომლისოდაც ყველანაირი მონაპოვარი უფასურდებოდა და თავად ცხოვრება გამარჯვების ზარ-ზეიმის წუთებშიაც კი გაუსაძლისი ხდებოდა?! მშვიდობა უცილობლად და უსიკვდილოდ — აი, რა იყო მოსახვეჭელი! ყოველი ღონის ხმარება და ყველა გზის მოსინჯვა, რაგინდ მკაცრი და ულმობელზე ულმობელიც არ უნდა გამომდგარიყო ეს გზა!

* * *

საომარ მოქმედებთა შეწყვეტისთანავე გერმანელთა ლაშქარმა წესისა და რიგისამებრ სამშობლოსაკენ გასწია. „ისინი კარგად იბრძოდნენ, — მხედრული შემართებით განაცხადა მოკავშირეთა ჯარების დაფნის გვირგვინით შემკულმა გენერალისიმუსმა, მარშალმა ფოშმა, — მოდით, დავუთმოთ თავიანთი იარაღი"! ოღონდ ის კი მოითხოვა, რომ საფრანგეთის საზღვარი ამას იქით რაინზე გასულიყო. გერმანია კიდეც რომ განეიარაღებინათ — მის მორღვეულ სამხედრო სისტემას ნიადაგი შერყეოდა და მისი ციხესიმაგრეები ნანგრევებად ქცეულიყო — იგი კვლავ მოიკრებდა ძალას... რაგინდ მძიმე ხარკიც უნდა შეეწერათ მისთვის, რაგინდ ძმათაშორისი შუღლის მსხვერპლი გამხდარიყო, — ეს ყველაფერი ჩაივლიდა და ათიოდე თუ ოციოდე წელიწადში კვლავ აღდგებოდა შეურყეველი ძლიერება „ყოველთა გერმანელთა ტომთა", კვლავ აელვარდებოდა და

აგიზგიზდებოდა მარად უქრობი ცეცხლი მხედრული სულისკვეთებით გამსჭვალული პრუსიისა. ოლონდ რაინი — ვრცელი, ღრმა და სწრაფად მდინარე რაინი — მყის დაბრკოლებად და ფარად აღიმართებოდა, რის იმედითაც შვებით ამოისუნთქავდა და უშფოთველად განვლიდა წუთისოფელს ფრანგთა მრავალი თაობა. სულ სხვაგვარი გახლდათ განწყობილება და შეხედულებანი ინგლისურენოვან სამყაროში, რომლის დაუხმარებლად საფრანგეთი ვერარას გახდებოდა. ვერსალის ხელშეკრულების მუხლები ტერიტორიების შესახებ გერმანიას პრაქტიკულად ხელუხლებლად ტოვებდა. იგი უწინდებურად რჩებოდა უდიდეს ერთგვაროვან ეროვნულ მასივად ევროპაში. მარშალმა ფოშმა ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერის ამბავი რომ შეიტყო, საოცარი სიზუსტით შენიშნა: „ეს არ არის მშვიდობა. ესაა ოცწლიანი ზავი“.

ხელშეკრულების ეკონომიკური მუხლები იმოდენა ღვარძლითა და იმდენი სისულელით იყო გაჟღენთილი, რომ აშკარა სიტუტუცის ელფერი დაჰკრავდა. გერმანიას შეაწერეს საარაკო რეპარაციები. ამ დიქტატში გამჟღავნდა გამარჯვებულ სახელმწიფოთა მძვინვარება და მათი ხალხების უუნარობა გაეაზრებინათ ის, რომ ვერც ერთი დამარცხებული ერი თუ ადამიანთა ერთობლიობა ვერა და ვერ გაიღებდა ხარკს, ტოლფასს მისგან თავდატეხილი ომის მსხვერპლისა თუ დანაკლისისა.

ბრბო სრულ უმეცრებას ავლენდა უმარტივეს ეკონომიკურ საკითხებში, ხმების მაძიებელ ლიდერებს კი ვაუკაცობა არ ჰყოფნიდათ, სიმართლე გაემხილათ ხალხისათვის. გაზეთები, როგორც ყოველთვის, გაბატონებულ თვალსაზრისს აჰყოლოდნენ და მასზე ამახვილებდნენ ყურადღებას. აქა-იქ თუ აიმაღლეს ხმა ვიღაც-ვიღაცებმა იმის განსამარტებლად, რომ რეპარაციის გადახდა მოსალოდნელი იყო მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოსაგან აღებული ვალების პროცენტული გადასახადის გამოყენების ან საქონელ-ტვირთის გადაზიდვის გზით — სახმელეთო საზღვრებთან მდგომი ვაგონებითა თუ საზღვაო საზღვრებთან ღუზაჩაშვებული გემებით. ცოტაოდენმა თუ ამ-

ოიღო ხმა იმის ასახსნელად, რომ, როგორც კი ეს საქონელი იმ ქვეყნებში შევიდოდა, რომელნიც მის დანაკლისს განიცდიდნენ, მყის მოიშლებოდა ხოლმე ადგილობრივი მრეწველობა, თუ არ ჩავთვლით განვითარების ძალზე დაბალ საფეხურზე მდგომ ან მეტისმეტად მკაცრ წესრიგს დაქვემდებარებულ საზოგადოებრივ გაერთიანებებს. საქმე ისაა, რომ, როგორც თვით რუსებმაც კი სულ ახლახან შეიგნეს, ძლეული ერის ძარცვა-გლეჯის ერთადერთი საშუალებაა ნებისმიერი გამოსადეგი მოძრავი საქონლის გაზიდვა და მამაკაცთა ნაწილის გარეკვა დროებით თუ სამუდამო მონებად. ეგაა, რომ ამგვარ ქმედებათაგან მოტანილი ხეირი ვერასგზით ვერ ამოავსებს ომით გამონვეულ დანაკლისს. დიდად სახელმოხვეჭილ კაცთაგან არავის აღმოაჩნდა იმოდენა გავლენა, საზრიანობა თუ გონიერებას მოკლებული საზოგადოებისაგან განკერძოების უნარი, რომ ამომრჩეველთათვის ემცნო ეს არსებითი, ულმობელი ფაქტები. კიდეც რომ გამოჩენილიყო ვინმე ამგვარი, მაინც არავინ დაუჯერებდა. მოზარზეიმე მოკავშირენი კვლავინდებურად ირწმუნებოდნენ, ისე წავუჭერთ ყელში ხელს გერმანიას, მისგან სველი წერტილიღა დარჩებაო. ეს ყველაფერი წარუშლელ კვალს ტოვებდა მსოფლიოს ხალხთა კეთილდღეობასა და გერმანული რასის გუნება-განწყობილებაზე.

თუმცა ამ დებულებებს ფაქტობრივად ხორცი არ შესხმია; პირიქით, მაშინ, როდესაც გამარჯვებულ ზესახელმწიფოებს მითვისებული ჰქონდათ ათას მილიონამდე ფუნტი სტერლინგის ღირებულების გერმანული აქტივები, სულ რამდენიმე წელიწადში უმთავრესად შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა გერმანიისათვის სესხად გაიღეს ათას ხუთას მილიონ ფუნტზე მეტი თანხა და ამით საშუალება მისცეს მას, მალევე წაეშალა კვალი დამანგრეველი ომისა. მაგრამ ვინაიდან ამ, თითქოსდა დიდსულოვან, ქმედებებს ჯერაც თან სდევდა გამარჯვებული ქვეყნების გაუბედურებული და გაბოროტებული მოსახლეობის გოდება — მექანიკურად ისევ და ისევ რომ მეორდებოდა — და მათი სახელმწიფო მოღვაწეების მტკიცებანი,

რომ გერმანიას „უკანასკნელ გროშსაც კი გადაახდევინებდნენ“, გერმანელთაგან არანაირი მადლიერებისა თუ კეთილგანწყობის იმედიც კი არავის უნდა ჰქონოდა.

კონტრიბუცია, რომელიც შემდგომში გამოსძალეს, გერმანიამ გადაიხადა ან მისი გადახდისუნარიანი მაინც აღმოჩნდა მხოლოდ და მხოლოდ იმის წყალობით, რომ შეერთებული შტატები გულუხვად აძლევდა სესხს მთელ ევროპას, მეტადრე კი — მას. სამი წლის მანძილზე — 1926-დან 1929 წლამდე — შეერთებულ შტატებს ვალების დასაფარავ შესატანთა სახით ყველასაგან ერთად შემოსდიოდა სულ რაღაც ერთი მეხუთედი იმ თანხისა, რასაც სესხად აძლევდა გერმანიას და რისი უკან დაბრუნება არც კი ეოცნებებოდა. და თითქოს მაინც ყველა კმაყოფილი ჩანდა, იმ ფიქრით გამსჭვალული, რომ სულ მუდამ ასე იქნებოდა.

მალე დავინახავთ, ისტორია ყველა ამ გარიგებას უგუნურებად შერაცხავს. მათი გამოისობით ატყდება ხოლმე ომის დავიდარაბაცა და „ეკონომიკური ქარტეხილებიც“, მაგრამ ამაზე ქვემოთ. გერმანია ახლა ყველასაგან სესხს იღებდა და ხარბად ნთქავდა გაშლილი ხელით შემოთავაზებულ ყველანაირ კრედიტს. ძლეული ქვეყნის შემწეობაზე დამკვიდრებულმა მცდარმა თვალსაზრისმა, რასაც თან სდევდა სესხზე მომგებიანი პროცენტული წილით დაინტერესება, ინგლისელი მეანაბრეებიც ჩართო საქმეში, თუმცა ამერიკელებს გვარიანად ჩამორჩებოდნენ ამ ამბავში. ასე რომ, გერმანიამ სესხის სახით მიიღო ორი ათასი მილიონი ფუნტი სტერლინგი ათასი მილიონი სტერლინგის კონტრიბუციის წილ, რაც ამა თუ იმ სახით გადაიხადა კიდეც უმნიშვნელოვანესი აქტივებისა თუ ვალუტის უცხო სახელმწიფოთათვის გადაცემის, ან კიდევ, ამერიკისაგან ნასესხები ვეებერთელა თანხის თავგზიანი მოხმარების წყალობით.

ასეთია სევდიანი ამბავი ამ ჩახლართული აბდაუბდისა, ამოდენა ძალისხმევითა და გარჯა-წვალებით რომ შეითითხნა.

* * *

მეორე ყოვლისმომცველი ტრაგედია გახლდათ ავსტრია-უნგრეთის იმპერიის სრული დაშლა სენ-ჟერმენისა და ტრიანონის ხელშეკრულებათა დადების შედეგად. მრავალი საუკუნის მანძილზე წმინდა რომის იმპერიის განსახიერების ეს ნაშთი თანაზიარი ცხოვრებისა და, ამასთანავე, ვაჭრობისა თუ უსაფრთხოების სიკეთით უზრუნველყოფდა მილეთის ხალხებს, რომელთაგან ჩვენს დროში არც ერთს არ გააჩნდა საიმისო ღონე თუ სიცოცხლისუნარიანობა, რომ საკუთარი ძალებით გამკლავებოდა კვლავ აღმდგარი გერმანიისა თუ რუსეთის ზეწოლას. ყველა ერსა თუ რასას სწადდა გაერღვია ფედერაციისა თუ იმპერიის ზღუდეები და მათი ამ სწრაფვის წახალისებას ლიბერალურ პოლიტიკურ კურსად მიიჩნევდნენ. მიმდინარეობდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სწრაფი ბალკანიზაცია და ამის კვალობაზე მომძლავრება პრუსიისა და გერმანული რაიხისა, ქანცგაწყვეტილსა და ომის იარებმოუშუშებელს მაინც რომ შეენარჩუნებინა მთლიანობა და ძალთა სიჭარბე იმ მხარეში. ჰაბსბურგთა იმპერიაში შემავალმა ყველა ამ ხალხმა, ყველა პროვინციამ ისეთი ტანჯვა-წვალების ფასად მოიპოვა დამოუკიდებლობა, როგორსაც ძველი პოეტნი და ღვთისმეტყველნი სამარადისოდ კრულთა წილხვედრად მიიჩნევდნენ. მადლით ცხებული დედაქალაქი ვენა — კერა ძველთაძველი კულტურისა და ამდენი ხნის ტრადიციებისა, საგზატკეცილო, სამდინარო და სარკინიგზო მიმოსვლათა შუაგული — სიცივისაგან გასათოშავად და საშიმშილოდ გაინირა. კაცი იფიქრებდა, ერთი დიდი რამ საწყობიაო მცხოვრებთაგან თითქმის მიტოვებულ გატიალებულ უბანში.

გამარჯვებულთ გერმანელებს თავს მოახვიეს დასავლეთის ლიბერალურ სახელმწიფოთაგან ოდითგანვე ნალოლიავები იდეები. გერმანიას ჩამოხსნეს სავალდებულო სამხედრო სამსახურის ტვირთი და თავიდან ააცილეს მძიმე შეიარაღების

საჭიროება. სესხად თავს მოახვიეს ვეებერთელა ამერიკული თანხები, თუმც მათ არ გააჩნდათ არანაირი კრედიტი. ვაიმარში გამოცხადდა დემოკრატიული კონსტიტუცია, რაც სავსებით შეესატყვისებოდა ყველა ბოლოდროინდელ ნაღვაწევს. იმპერატორები გააძევეს და არარაობანი აირჩიეს. ამ სიფრიფანა საფარველს მიღმა ბობოქრობდა ვნებანი ღონიერი, ძლეული, მაგრამ ბალავარშეურყეველი გერმანელი ერისა. მონარქიის ათვალწუნებამ ამერიკელთაგან, რის წინააღმდეგ გალაშქრება მისტერ ლოიდ ჯორჯს არც უფიქრია, აშკარად დაანახა ძლეულ იმპერიას, რომ მას — არა მონარქიად დარჩენილს, არამედ რესპუბლიკად სახეცვლილს — მოკავშირეთაგან უკეთესი დამოკიდებულების იმედი უნდა ჰქონოდა. ბრძნული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში ვაიმარის რესპუბლიკის განსამტკიცებლად კაიზერის მცირეწლოვანი შვილიშვილი კონსტიტუციურ მონარქად უნდა ეკურთხებინათ და სარეგენტო საბჭო მიეჩინათ მისთვის. ამის სანაცვლოდ გერმანელი ხალხის ევროპულ ყოფაში პირდაფჩენილი სიცარიელე ამოიზარდა. მხედრობისა და ფეოდალთა მთელი ეს მძლავრი ამალა — რომელსაც შეეძლო კონსტიტუციური მონარქიის განსამტკიცებლად დარაზმულიყო და მისი გულისთვის პატივით მოჰკიდებოდა ახლებურ დემოკრატიულ და საპარლამენტო პროცესებს და მხარი დაეჭირა მათთვის — იმხანად გარიყული აღმოჩნდა. ვაიმარის რესპუბლიკა, მთელი მისი ლიბერალური ცდუნებებითა და სიამე-სიკეთეებით, მტრისაგან ხელდასხმულად ირაცხებოდა. მან ვერც გერმანელი ხალხის თანაგრძნობა მოიპოვა და ვერც მის აზრს დაეპატრონა. წყალწაღებულისა არ იყოს, ერთხანს იმას ცდილობდა, მხცოვან მარშალ ჰინდენბურგს ჩასჭიდებოდა. მერე და მერე ეს მძლავრი ამალაც დინებას დაჰყვა; სიცარიელე გაირღვა და, ხანი რომ გამოხდა, შიგ შეიჭრა ხალასი ნიჭით ცხებული მძვინვარე მანიაკი — მატარებელი და გამომეტყველი ჯერ არნახული ღვარძლით გაჟღენთილი, კაცის გულის დამღრღნელი, მძულვარებისა; ეს იყო კაპრალი ჰიტლერი.

* * *

საფრანგეთი ომს სისხლისაგან დაეწრიტა. იმ თაობამ, 1870 წლიდან მხედრულ შურისგებაზე რომ ოცნებობდა, გამარჯვება იზეიმა, მაგრამ სანაცვლოდ ერისათვის სასიცოცხლო ქმედითუნარიანობის მომაკვდინებელი ხარკი გაიღო. გამარჯვების ალიონს საფრანგეთი ქანცგაწყვეტილი შეეგება. ამ თვალისმომჭრელი წარმატების მეორე დღესვე ფრანგ ხალხს გერმანიის წინაშე დამთრგუნველმა შიშმა დარია ხელი. სწორედ ამ შიშმა უკარნახა მარშალ ფოშს, რაინზე საზღვრის გავლების საკითხი წამოეჭრა, რათა საფრანგეთს თავი დაეზღვია გაცილებით მრავალრიცხოვანი მეზობლის თავდასხმისაგან; თუმცა ინგლისელ და ამერიკელ სახელმწიფო მოღვაწეებს მიაჩნდათ, რომ გერმანელებით დასახლებული რაიონების შთანთქმა საფრანგეთის ტერიტორიისათვის მიერთების გზით ეწინააღმდეგებოდა თოთხმეტ პუნქტსა და აგრეთვე ნაციონალიზმისა და თვითგამორკვევის პრინციპებს, რომელთაც უნდა დაჰფუძნებოდა სამშვიდობო ხელშეკრულება. გამომდინარე აქედან, ისინი წინ აღუდგნენ ფოშსა და საფრანგეთს. კლემანსოს თავი მოუქონეს დაპირებებით: შეჰპირდნენ, ჯერ ერთი, საფრანგეთის დაცვის ანგლო-ამერიკულ გარანტიას; მეორე, დემილიტარიზებულ ზონას; და, მესამე, გერმანიის სრულ და ხანგრძლივ განიარაღებას. ფოშის პროტესტისა და იმის მიუხედავად, რომ საკუთარი ალღოც სულ სხვა რასმე ჰკარნახობდა, კლემანსო მაინც დაჰყაბულდა. ასე რომ, უილსონმა, ლოიდ ჯორჯმა და კლემანსომ ხელი მოაწერეს საგარანტიო ხელშეკრულებას. შეერთებული შტატების სენატმა უარი განაცხადა ხელშეკრულების რატიფიცირებაზე. მან უგულებელყო უილსონის ხელმოწერა. ჩვენ კი — ვინც ესოდენ დიდ ანგარიშს ვუწევდით მის თვალსაზრისსა და მოწადინებას, მიმართულს ქვეყნად მშვიდობის დასამყარებლად — ყოვლად უბოდიშოდ გამოგვიცხადეს, რომ გვმართებდა ამერიკის კონსტიტუციის უკეთ ათვისება-გააზრება.

შიშნაჭამმა, გამწყრალმა და თავგზააბნეულმა ფრანგმა ხალხმა მყის მოიკვეთა პირქუში, გავლენიანი, მსოფლიოში სახელმოხვეჭილი და ბრიტანეთისა თუ ამერიკის წრეებში საგანგებო ურთიერთობებით გამოჩინებული კლემანსოს პიროვნება. „უმადურობა თავისივე სასიქადულო შვილებისადმი ძლიერ ხალხთა ნიშან-თვისებაა“, — ამბობს პლუტარქე. საფრანგეთმა არაკეთილგონივრულობა გამოიჩინა, ამ თვისების გამოვლენის ნება რომ დართო საკუთარ თავს ასე სავალალოდ დაძაბუნებულმა. მის მომძლავრებას მნიშვნელოვანწილად აფერხებდა ინტრიგების ხელახალი გაჩაღება სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის — რაგინდ სახეირო თუ სასეირო უნდა ყოფილიყო ეს მათ გამჩაღებელთათვის — და მესამე რესპუბლიკისათვის ეგზომ ნიშანდობლივი გაუთავებელი მონაცვლეობა მთავრობებისა თუ მინისტრებისა.

პუანკარე, კლემანსოს შემცვლელი ეს უძლიერესი ფიგურა, შეეცადა შეექმნა საფრანგეთის მფარველობისა და მეთვალყურეობის არეალში მოქცეული დამოუკიდებელი რაინლენდი (რაინის დამოუკიდებელი სახელმწიფო), რაც იმთავითვე განწირული იყო წარუმატებლობისათვის. მან არც აცია, არც აცხელა და რურის ოლქში შეჭრით გერმანიისათვის რეპარაციების გამოძალვა სცადა. რასაკვირველია, ეს ღონისძიება გერმანიას ხელშეკრულების ვალდებულებათა შესრულებას აკისრებდა, მაგრამ ბრიტანეთისა და ამერიკის საზოგადოებრივმა აზრმა მკაცრად განსაჯა იგი. გერმანიის საერთო ფინანსური და პოლიტიკური არეულობის შედეგად, რასაც თან სდევდა რეპარაციების გადახდა 1919-დან 1923 წლამდე, მარკის კურსი სწრაფად და მკვეთრად დაეცა. საფრანგეთის მიერ რურის დაპყრობის გამო გერმანიაში აგორებულმა რისხვამ გამოიწვია უთავბოლო ბეჭდვა აუარება რაოდენობის ქაღალდის ფულის ნიშნისა, რაც გამიზნული იყო ფულის მიმოქცევის მთლიანი საფუძვლის მოსაშლელად. ინფლაციის ბოლო სტადიებში მარკის კურსი ფუნტ სტერლინგთან მიმართებით იყო ორმოცდასამი ათასი მილიარდი. ეს ინფლაცია მომაკვდინებელ და შორს მიმავალ სოციალ-

ურ და ეკონომიკურ შედეგებს მოასწავებდა. სადღაც გაქრა საშუალო ფენების დანაზოგი; ასე რომ, ამ ყველაფრის ბუნებრივი გაგრძელება ნაციონალ-სოციალიზმის მებაირახტრეთა წისქვილზე ასხამდა წყალს. გერმანიის მრეწველობის ერთიანი სტრუქტურა მოიშალა სოკოებივით მომრავლებული კრედიტების გამოისობით. მთლიანად აორთქლდა ქვეყნის საბრუნავი კაპიტალი. აღმოიფხვრა შიდა ეროვნული ვალი, რასაც თან სდევდა მყარი კაპიტალური დანახარჯებისა თუ გირაოთა სახით წარმოების დავალიანების პროცესის შეჩერება, ან კიდევ, დავალიანებაზე უარის თქმა. მაგრამ ეს ვერ ინაზღაურებდა საბრუნავი კაპიტალის დანაკარგს. გაჩანაგებულ ქვეყანას ეს ყველაფერი უცილობლად მიაქანებდა დიდძალი სესხების აღებისაკენ საზღვარგარეთიდან, რაც შემდგომი წლებისთვის ეგზომ ნიშნეული მოვლენა გახლდათ. გერმანელები სულ უფრო და უფრო ებმებოდნენ სიმწარე-შეჭირვებათა ფერხულში, რისგანაც დღემდე ვერ დაუღწევიათ თავი. ინგლისელთა გაავება გერმანელთადმი, ესოდენ მძაფრი თავდაპირველად, ერთბაშად ასევე განუსჯელად სულ სხვა, საპირისპირო სადინარით წარიმართა. ლიოდ ჯორჯსა და პუანკარეს შორის — რომლის უკმეხობაც ზღუდედ აღმართულიყო მისი მტკიცე და აწონილ-დაწონილი პოლიტიკის გზაზე — ბზარი რამ გაჩნდა. ეს ორი ერი როგორც აზრით, ისე საქმით დასცილდა ერთმანეთს და ბრიტანელებმა არათუ ძალუმი სიმპათიით, არამედ აღტაცებითაც კი იბრუნეს პირი გერმანიისაკენ.

* * *

ერთა ლიგა შეიქმნა თუ არა, ლამის მომაკვდინებელი დარტყმა მიაყენეს. შეერთებულმა შტატებმა ხაზი გადაუსვა პრეზიდენტ უილსონის მონაგარს. თავად პრეზიდენტს კი, საკუთარ იდეალთათვის ხორცშესასხმელად ბრძოლად შემართულს, საარჩევნო კამპანიაში ჩართვისთანავე დამბლა დაეცა და ფუჭ

უსასოობაში გაათრია ლამის ორი განელილი და წყეული წელი-წადი, რომელთა მინურულსაც როგორც მის პარტიას, ისე მის პოლიტიკურ კურსს ნიადაგი გამოაცალა რესპუბლიკელთა გამარჯვებამ 1920 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე. რესპუბლიკელთა წარმატების მეორე დღესვე ატლანტიკის გაღმით იზოლაციონისტურმა აზრებმა იმძლავრა, — უნდა ვაცალოთ ევროპას საკუთარ წვენში იხარშოს და, როგორც წესი და კანონია, ისე იხადოს ვალებიო. იმავდროულად გაიზარდა ტარიფები იმ საქონლის შემოდინების შესაფერხებლად, ამ ვალების გადახდის ერთადერთ საშუალებას რომ წარმოადგენდა. 1921 წლის ვაშინგტონის კონფერენციაზე შეერთებულმა შტატებმა საზღვაო განიარაღების თაობაზე შორსგამიზნული წინადადებანი წამოაყენა და ბრიტანეთისა და ამერიკის მთავრობები დიდის ამბით შეუდგნენ თავიანთი სახაზო გემების ჩაძირვასა და სამხედრო ბაზების მოშლას. უცნაურ ლოგიკაზე იყო დამყარებული მტკიცება იმისა, რომ უზნეობა იქნებოდა დამარცხებულთა განიარაღება, თუ გამარჯვებულნიც არ შეელეოდნენ იარაღს. ცოტაც და, ინგლის-ამერიკის მაყვედრებელი აზრი თავს მოეხვეოდა საფრანგეთს, რომელიც შელეოდა როგორც საზღვარს რაინზე, ასევე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გარანტიას, რათა ერთობ შეზღუდული სახით მაინც შეენარჩუნებინა საყოველთაო სამხედრო სამსახურზე დაფუძნებული საკუთარი არმია.

შეერთებულმა შტატებმა აგრძნობინა ბრიტანეთს, რომ იაპონიასთან მისი გაჭიანურებული ალიანსი, რასაც უაღრესი სიფაქიზით ეკიდებოდა და მხარს უბამდა იაპონია, ზღუდედ აღიმართებოდა ანგლო-ამერიკულ ურთიერთობათა გზაზე. ჰოდა, ალიანსიც ამით დასრულდა. ალიანსის გაუქმება, რამაც სულით ხორცამდე შეძრა იაპონელები, დასავლეთის სამყარომ აზიური სახელმწიფოსათვის ნათავაზებ პანღურად აღიქვა. გაწყდა არა ერთი და ორი შემაკავშირებელი რგოლი, რომელთაც შემდგომი მშვიდობიანობისათვის ეგებ გადამწყვეტი, ფასეული მნიშვნელობაც კი ჰქონოდათ. ამავე დროს, იაპონიას შეეძ-

ლო იმით ენუგეშებინა თავი, რომ გერმანიისა და რუსეთის დაქცევამ გარკვეული ხნით წარჩინებულთა შორის მესამე ადგილზე მოაქცია იგი ზღვათა განმგებელ ზესახელმწიფოთა იერარქიაში. თუმც ვაშინგტონის საზღვაო შეთანხმება იაპონიის სახაზო გემების უფრო მცირე თანაფარდობას გულისხმობდა ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების გემებთან მიმართებაში (5:5:3), ამ ქვეყნისათვის განსაზღვრული ხვედრითი წილი კიდევ მრავალ წელს იკმარებდა მის აღმშენებლობით თუ ფინანსურ შესაძლებლობათა კვალობაზე; ჰოდა, ისიც გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს იმას, თუ როგორ ურყევდა ერთურთს საფუძველს ზღვაზე გაბატონებული და სხვებზე აღმატებული ეს ორი სახელმწიფო იმაზე გაცილებით მეტი თავგამოდებით, მათი შესაძლებლობანი და მათზე დაკისრებული პასუხისმგებლობანი რომ ითვალისწინებდა. ასე რომ, როგორც ევროპაში, ისე აზიაში, გამარჯვებული მოკავშირენი გამალებით ქმნიდნენ იმგვარ პირობებს, მშვიდობიანობის სახელით გზას რომ უხსნიდა ომის განახლებას.

ვიდრე ატლანტიკის გაღმა-გამოღმა ამტყდარ ამ გაუთავებელ, კეთილი ზრახვებით გაჯერებულ უხამს ენის ტარტარში ეს ამდენი ვაი-უბედურება ტრიალებდა, ევროპაში გაჩნდა განხეთქილების ახალი წყარო, კიდევ უფრო შემაძრწუნებელი, ვიდრე იმპერიალიზმი ცარებისა და კაიზერებისა. სამოქალაქო ომი რუსეთში დამთავრდა ბოლშევიკური რევოლუციის სრული გამარჯვებით. პოლონეთის დასაპყრობად დაძრული საბჭოთა ჯარები ვარშავის ბრძოლაში კი უკუაგდეს, მაგრამ გერმანია და იტალია ლამის იყო არ მოექცნენ კომუნისტურ ზრახვათა თუ ქადაგებათა ტყვეობაში. უნგრეთი დროებით მართლაც დაჰყვა კომუნისტი დიქტატორის ბელა კუნის ნებას. მარშალმა ფოშმა თუმც კი გონივრულად შენიშნა, „ბოლშევიზმს არასოდეს გადმოულახავს გამარჯვებულთა საზღვრებიო“, ომის შემდგომი წლების დამდეგს მაინც შეირყა ფუძე ევროპული ცივილიზაციისა. ფაშიზმი გახლდათ აჩრდილი თუ მახინჯი პირმშო კომუნიზმისა. ვიდრე კაპრალი ჰიტლერი

იმის მეცადინეობაში იყო, რომ გერმანელი ოფიცრებისათვის საჭირო კაცად ქცეულიყო მიუნჰენში და ამისათვის მუშებსა და ჯარისკაცებში კომუნისტთა და ებრაელთადმი სასტიკ სიძულვილს აღვივებდა — ვინაიდან სწორედ მათ სდებდა ბრალს გერმანიის დამარცხებაში, — კიდევ ერთმა ავანტიურისტმა, ბენიტო მუსოლინიმ, მმართველობის ახალი წესი შესთავაზა იტალიას, რომელმაც, ვითომც იტალიელი ხალხის კომუნიზმისაგან გადასარჩენად, თავად მუსოლინი აღაზევა დიქტატორ-ხელისუფლად. როგორც ფაშიზმი იშვა კომუნიზმისაგან, ისე ნაციზმი აღმოცენდა ფაშიზმისაგან. ასე აიდგა ფეხი ამ ორმა მონათესავე მოძრაობამ, განგების ნებით მალე რომ უნდა ჩაეთრია მსოფლიო კიდევ უფრო საზარელ ბრძოლაში, რომელსაც მათი აღმოფხვრის მერეც კი ვერავინ მიიჩნევდა დასრულებულად.

* * *

და მაინც, ჯერ კიდევ რჩებოდა მყარ საფუძველზე დამყარებული იმედი მშვიდობიანობის შენარჩუნებისა. გერმანია განაიარაღეს. მისი არტილერია და საჭურველი მთლიანად გაანადგურეს. ფლოტი თავადვე დანთქმულიყო სკაპა ფლოუში. მისი უზარმაზარი არმია დაიშალა. ვერსალის ხელშეკრულების თანახმად, გერმანიას ნება დართეს ქვეყნის შიგნით წესრიგის დასაცავად ჰყოლოდა მხოლოდ გრძელვადიანი სამსახურის, არა უმეტეს ასი ათასი კაცის შემადგენლობის, პროფესიული არმია, რის საფუძველზეც იგი მოკლებული იქნებოდა სათადარიგო ჯარის თავმოყრის შესაძლებლობას. ყოველწლიურად გასაწვევ რეკრუტთა ნაწილები ამიერიდან აღარ გაივლიდნენ სამხედრო წვრთნას; საკადრო შემადგენლობა დაიშალა. ყოველი ღონე ხმარდებოდა ოფიცერთა კორპუსის ათჯერ და მეტად შემცირებას. მას ჩამოერთვა უფლება ჰყოლოდა რაიმე სახის სამხედრო ავიაცია: ეკრძალებოდა წყალქვეშა ნავების ყოლა; გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტი კი უნდა შემოფარგლულიყო უბა-

დრუკი რაოდენობით ხომალდებისა, რომელთა ტონაჟს ათი ათასი ტონისათვის არ უნდა გადაეჭარბებინა. საბჭოთა რუსეთს დასავლეთ ევროპისაკენ გზას უღობავდა კორდონი ბოლშევიზმისადმი სასტიკი სიძულვილით გამსჭვალული სახელმწიფოებისა, რომელთაც ყოველგვარი კავშირი გაწყვიტეს ცარების ყოფილ იმპერიასთან, ახლებური, კიდევ უფრო ამაზრზენი იერი რომ მიეღო. დამოუკიდებლობამოპოვებულ პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიას თავი მაღლა აეღერათ და, თითქოს საიმედოდ ზურგგამაგრებულნი, ლაღად გრძნობდნენ თავს ცენტრალურ ევროპაში. განცხრომა-ნებივრობას მიცემული ფრანგთა არმია ყველაზე მძლავრ სამხედრო ძალად ქცეულიყო, რომლის ბადალიც არ მოიძებნებოდა ევროპაში; რამდენიმე წლის მანძილზე პირველხარისხოვნად მიიჩნეოდა საფრანგეთის ავიაციაც.

1934 წლამდე არათუ ევროპაში, მთელ მსოფლიოშიც კი ვერვინ გახდიდა სადავოს გამარჯვებულთა ძლევამოსილებას. ამ თექვსმეტი წლის მანძილზე ერთი წუთი არ ყოფილა ისეთი, ერთა ლიგის სახელითა და მისი ზნეობრივი თუ საერთაშორისო გავლენით ზურგგამაგრებულ ყოფილ სამ მოკავშირეს — ან თუნდაც ბრიტანეთსა და საფრანგეთს თავის ევროპელ თანამეინახეებთან ერთად — ოდნავ მაინც რომ ხელი გამოეღოს და ვერ მოეთოკოს გერმანიის შეიარაღებული ძალები. ამის ნაცვლად 1932 წლამდე გამარჯვებული სახელმწიფოები, მეტადრე კი, შეერთებული შტატები, ძალ-ღონეს არ იშურებდნენ საიმისოდ, რომ უცხოეთისაგან მეთვალყურეობით თავგაბეზრებული გერმანიისათვის ყოველწლიური რეპარაციული გადასახადები გამოეცინცლათ. ვინაიდან ამ თანხის გადახდა ხერხდებოდა მხოლოდ გაცილებით უფრო მოზრდილი ამერიკული სესხის წყალობით, მთელი ეს ქმედება სრულ უაზრობამდე მიდიოდა. მტრულ ვნებათა გაღვივების მეტი ამას არანაირი ნაყოფი არ გამოუღია. არადა, 1934 წლის დადგომამდე — ნებისმიერ დროს, განიარაღების თაობაზე სამშვიდობო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მუხლების ზუსტი მიყოლა კაცობრიობი-

სათვის ყოველგვარი ძალადობისა და სისხლისღვრის გარეშე მოპოვებული მშვიდობისა და უსაფრთხოების საწინდარი შეიძლებოდა გამხდარიყო განუსაზღვრელი ვადით. ეგაა, რომ ვიდრე წვრილმანი დარღვევები ვლინდებოდა, ამ ამბავს სათვალავში არავინ აგდებდა, მერე და მერე კი, ამ ყველაფერმა სერიოზული ხასიათი რომ მიიღო, შეეცადნენ საფრთხისათვის თავის არიდებას. ასე იქნა უგულებელყოფილი ხანგრძლივი მშვიდობიანობის უკანასკნელი საწინდარი. ძლეულთა დანაშაულებრივ ქმედებებს დასაბამი ეძლევა და, რა თქმა უნდა, არა გამართლება, არამედ ახსნა მოიძებნება მძლეველთა უგნურებაში. ეს უგნურება რომ არა, არ იქნებოდა არც ცდუნება და არც შესაძლებლობა დანაშაულის ჩადენისა.

* * *

ვცდილობ ამ ფურცლებზე ავსახო ზოგი რამ იმ მოვლენათა და შთაბეჭდილებათაგან, ჩემს ცნობიერებაში რომ ყალიბდება ამბად კაცობრიობას თავსდატეხილი ყველაზე შემზარავი ტრაგედიისა მისი მშფოთვარე ყოფის დასაბამიდან დღემდე. იგი გამოვლინდა არამარტო ადამიანთა სიცოცხლის ხელყოფითა თუ ავლადიდების განადგურებით, რაც ნიადაგ თანამდევია ომისა. პირველ მსოფლიო ომს თან სდევდა ჯარისკაცთა შემაძრწუნებელი ხოცვა-ულეტა და ქვეყნებსა თუ ხალხებში დაუნჯებულ დიდწილ ფასეულობათა აღგვა პირისაგან მიწისა. და მაინც, რუსეთის რევოლუციის წრეგადასულობას თუ არ ჩავთვლით, ევროპული ცივილიზაციის ძირითადი ჩონჩხი მყარ ნიადაგზე იდგა ბრძოლის დასრულებისას. ქვემეხთა გრიალისაგან ავარდნილმა მტვერმა და გრიგალმა მოულოდნელად რომ გადაიარა, ერთურთისადმი მტრობით ანთებულმა ხალხებმა კვლავაც შეძლეს ერთმანეთის, ვით ისტორიულად ჩამოყალიბებულ რასობრივ ინდივიდუალობათა, აღიარება. საერთო ჯამში, იგრძნობოდა ომის კანონებისადმი მოკრძალებული დამოკ-

იდებულება. ერთმანეთთან ნაომარ სამხედრო მოსამსახურეთათვის საგანგებოდ გამოიყო ერთი საერთო თავყრილობის ადგილი. როგორც ძლეულნი, ისე მძლეველნი კვლავაც ინარჩუნებდნენ ცივილიზებულ სახელმწიფოთა იერსახეს. სასუფეველი პოვა მშვიდობამ, რაც — ფინანსურ საკითხებში იძულებით თავსმოხვეულ შეხედულებებთან შეუგუებლობას თუ არ ჩავთვლით — იმ წეს-კანონებს ეთანადებოდა, მეცხრამეტე საუკუნეში თანამიმდევრულად მწყობრში რომ მოაქცია განათლებას ნაზიარებ ხალხთა ურთიერთობანი. საჯაროდ გამოცხადდა უზენაესობა კანონისა და შეიქმნა ქვეყნიერების ფარი, რათა ჩვენ ყველას — და, მეტადრე, ევროპას — დარაჯად დაგვდგომოდა, კვლავაც რომ არ შეგვრყეოდა ფეხქვეშ ნიადაგი.

მეორე მსოფლიო ომში უნდა გამწყდარიყო ყველა ის ძაფი, ადამიანებს ერთმანეთთან რომ აკავშირებდა. ჰიტლერის უღელქვეშ თავმოდრეკილმა გერმანელებმა იმგვარი დანაშაულებანი ჩაიდინეს, რის მსგავსსაც თავისი ყოვლისმომცველობითა და სიბოროტით არ მოსწრებია კაცობრიობა. ექვსი-შვიდი მილიონი კაცის, ქალისა და ბავშვის ერთდროული და გეგმაზომიერი ხოცვა-ჟლეტა გერმანელთა სასიკვდილო ბანაკებში თავისი შემზარაობით ჩრდილავს ჩინგიზ-ხანის მიერ სახელდახელოდ გამართულ სასაკლაოებს, რომელთა მასშტაბები უბადრუკობად მოჩანს ზემოხსენებულთა ფონზე. აღმოსავლეთის ომში გერმანიაცა და რუსეთიც იმთავითვე იმას ელტვოდნენ, რომ ხორცი შეესხათ მთელი მოსახლეობის ძირფესვიანად ამოძირკვის მათეული ჩანაფიქრისათვის. გერმანელთაგან ატეხილ ამ ამაზრზენ საჰაერო დაბომბვას გაოცკეცებული ძალით მიაგეს სულ უფრო და უფრო ძალამოკრებილმა მოკავშირეებმა, რისი დაგვირგვინებაც გახლდათ ატომური ყუმბარების გამოყენება და შედეგად ხიროსიმისა და ნაგასაკის აღგვა პირისაგან მიწისა.

და აი, გავეცალეთ ნივთიერი განადგურებისა და ზნეწარკვეთილობის იმგვარ სურათს, რის მსგავსსაც გარდასულ საუკუნეებში არასოდეს დაუბნელებია ადამიანთა წარმოსახვა.

ყოველივე განცდილისა და მიღწეულის შემდეგ ჯერ კიდევ ვდგევართ არათუ ნაკლები, არამედ გაცილებით უფრო დიდმნიშვნელოვანი პრობლემებისა და შემაძრწუნებელი საფრთხის წინაშე იმათთან შედარებით, რომელთაც ასეთის ვაივაგლახით დავაღწიეთ თავი.

როგორც ერთ-ერთ იმათგანს, ვინც იმხანად ცხოვრობდა და იღვწოდა, მიზნად დამისახავს იმის წარმოჩინება, თუ რა ადვილად შეიძლებოდა მეორე მსოფლიო ომის ტრაგედიის თავიდან აცილება; თუ უზნეოთა ბოროტგანზრახულობას როგორ ესხმებოდა ფრთები ზნეკეთილთა უსუსურობის შემწეობით; როგორ აკლიათ დემოკრატიული სახელმწიფოების სტრუქტურებსა და წეს-ჩვეულებებს — უფრო მოზრდილ ორგანიზმებად თუ არ შეირწყნენ — სიმტკიცისა და სასოების ის ელემენტები, რომელთაც ერთადერთთ ხელეწიფებათ მშვიდობიანობის უზრუნველყოფა უბრალო მოკვდავთათვის; როგორ ხდება, რომ ათი-თხუთმეტი წლითაც კი არანაირი პოლიტიკური გეზი არ მოინიშნება თუნდაც საკუთარი ტყავის გადარჩენის მიზნით; ვნახავთ, თუ გონიერება-თავშეკავების შესანარჩუნებლად გამიზნული რჩევა-დარიგებანი როგორ იქცევა ხოლმე მომაკვდინებელი საფრთხის უმთავრეს წყაროდ; თუ როგორ შეიძლება პირდაპირ უბედურების სამიზნისაკენ წარიმართოს შუალედური კურსი, უსაფრთხოებისა და მშვიდობიანი ცხოვრებისადმი სწრაფვის სურვილით რომ შეირჩა. დავინახავთ სრულ აუცილებლობას ფართო ასპარეზის მომცველი საერთაშორისო ქმედებებისა, წლების მანძილზე ერთობლივად რომ უნდა ახორციელებდეს მრავალი სახელმწიფო იმის მიუხედავად, დაღმასვლაა თუ აღმავლობა ეროვნულ პოლიტიკაში.

დიდი პოლიტიკოსობა არ სჭირდებოდა იარაღაყრილი გერმანიისა და სათანადოდ შეიარაღებული გამარჯვებული ქვეყნების ამ სახით შენარჩუნებას ოცდაათი წლის განმავლობაში. ხოლო ამასობაში, მაშინაც კი, თუ არ მოხერხდებოდა გერმანიასთან შერიგება, უნდა შექმნილიყო უფრო ძლიერი, ჭეშმარიტი ერთა ლიგა, რომელსაც ექნებოდა უნარი, უზრუნველეყო ხე-

ლშეკრულებათა ურღვევობა ან კიდევ მათი შეცვლა მხოლოდ მსჯელობა-შეთანხმებათა საფუძველზე. როცა სამმა თუ ოთხმა ერთიანი სულისკვეთებით გამსჭვალულმა ძლიერმა ხელისუფლებამ თავისი ხალხისაგან ყველაზე შემზარავი მსხვერპლშეწირვა მოითხოვა და ხალხმაც ეს მსხვერპლი ნებაყოფლობით გაიღო საერთო მიზნისათვის, როცა ამან, ბოლოს და ბოლოს, ნანატრი ნაყოფიც გამოიღო, ალბათ, გონივრული იქნებოდა კვლავაც ერთიანობა-თანადგომა, რათა ყველაზე არსებითი მაინც არ გადაყრილიყო წყალში. მაგრამ მორჭმულობასთან, ცივილიზაციასთან, ცოდნა-განსწავლულობასა თუ მეცნიერებასთან ნაზიარებ მძლეველთ ამ მცირედი მოთხოვნის დაკმაყოფილებაც არ ხელეწიფებოდათ. მათ დღიდან დღემდე, ერთი არჩევნებიდან მეორემდე, როგორღაც გაჰქონდათ თავი, სანამ, სულ რაღაც ოცი წლის შემდეგ, არ გაისმა ავის მომასწავებელი სიგნალი, მეორე მსოფლიო ომის დაწყებას რომ იუწყებოდა. და ჩვენ კალმით სიტყვა უნდა შევაწიოთ ერთგულ მეომრებსა და ბრძოლის ველზე ღირსეულად დაცემულ შვილებს:

„მტკივანი ბეჭებით ერთმანეთის მხარში მდგომნი, ერთმანეთის გვერდიგვერდ, გაჭირვებით მიაბოტებდნენ შარავანდედით მოსილი ფართო სარბიელიდან წუთისოფლისა“.[1]

[1] Siegfried Sassoon.

თავი III

მალული საფრთხე

დაზავებიდან 1922 წლის მიწურულამდე — ანუ ინგლისში ხელისუფლების შეცვლამდე ჩავლილ ოთხ წელიწადში — მიღებული ზოგიერთი შთაბეჭდილება შევაჯამე ჩემს წიგნში „შედეგები“. 1928-ში, ამ წიგნის წერისას, მთელი სიღრმით შევიგრძნობდი მოახლოებულ კატასტროფას.

ქრისტიანული ერის მეოცე საუკუნის გარიჟრაჟამდე არც ერთი ომი არ მოვლინებია თვის საბრძანებელს, როგორც კაცობრიობის პოტენციური გამანადგურებელი. ადამიანთა გაერთიანებამ დიდ სახელმწიფოებად თუ იმპერიებად და ერთობლივი თვითშეგნების გაღვიძებამ შესაძლებელი გახადა იმგვარად ჩაფიქრებული და ისეთი მასშტაბების მქონე ხოცვა-ჟლეტის გაჩაღება, რომლის მსგავსს წინათ ვერავინ წარმოიდგენდა. კერძო კაცთა უმეტესი და უკეთესი ღირსებანი ერთ მთლიანობად შეირწყა, რათა მეტი სიმძლავრით წარმოჩენილიყო ლიანგის ყოვლის მსახვრალი ქმედითუნარიანობა. დიდძალმა ფინანსებმა, მსოფლიო მასშტაბის კრედიტების მიღება-გაცემისა თუ ვაჭრობის შესაძლებლობამ, გვარიანმა კაპიტალდაბანდებებმა ბიძგი მისცა მილეთის ხალხთა ცხოველმყოფლობას, რამაც მაოხრებელი ქმედებებით იჩინა თავი. დემოკრატიულმა ინსტიტუტებმა გზა გაუხსნა მილიონთა ნების გამოვლენას. განათლებამ არა მარტო ყოველი კაცის შემეცნებისათვის მისაწვდომი გახადა არსი კონფლიქტის მსვლელობისა, არამედ ერთობ საჭირბოროტოდ წარმოაჩინა თითოეული პიროვნების საქმიანობა დასახული მიზნის აღსრულებაში. პრესა მოგვევლინა როგორც გაერთიანების, ასევე ურთიერთაფორიაქების, საშუალებად. რელიგია, რომელიც კეთილგონივრულად თავს

არიდებდა განხეთქილების არსში ჩაწვდომა-ჩაღრმავებას, ყველა ღონეს ხმარობდა და სრული მიუკერძოებლობით გულს უკეთებდა და ანუგეშებდა ყველა მებრძოლ მხარეს. დაბოლოს, ადამიანთა უკიდურესად გამძაფრებული მაძიებლობის დასაოკებლად მეცნიერებამ სამზეოზე გამოიტანა თვისი განძეულობა თუ საიდუმლოებანი და მათ ხელთ მოაქცია ლამის სნორუპოვარი ღირსებების მქონე ხელსაწყო-აპარატურა.

აქედან გამომდინარე, თავი იჩინა მრავალრიცხოვანმა სიახლეებმა. გამაგრებული ქალაქების დამშევის სანაცვლოდ, ახლა უკვე მთელი ქვეყნების მეთოდურ დასუსტებას ესწრაფოდნენ შიმშილით დათრგუნვის გზით. მეტ-ნაკლებად მთელი მოსახლეობა მონაწილეობდა ომში; ყველანი თანაბარნილად შეიქნენ თავდასხმის ობიექტები. გაიხსნა საჰაერო გზები, რომელთა მეშვეობითაც სიკვდილი თუ ტერორი ნაღდი ფრონტის ხაზს იქით კარგა მანძილზე შეიძლებოდა თავს დასტყდომოდა ქალებს, ბავშვებს, მოხუცებსა და სნეულებს — მათ, ვისაც უწინდელ ბრძოლებში, უეჭველია, თითსაც არავინ დააკარებდა. შესანიშნავად ორგანიზებული რკინიგზები, საზღვაო თუ საავტომობილო ტრანსპორტი შესაძლებელს ხდიდა ათეულ მილიონობით ადამიანის გამგზავრება-დაბინავებასა და ხანგრძლივ დასაქმებას. თავის საქმეში ბრწყინვალედ დახელოვნებული მკურნალ-დასტაქარნი ისევ და ისევ სასაკლაოზე აბრუნებდნენ განკურნებულთ. ვერვინ ელეოდა იმას, რაც ხელს შეუწყობდა განლევა-გაჩანაგებას. სულთმობრძავის უკანასკნელი გაბრძოლებაც კი სამხედრო საჭიროებებს ხმარდებოდა.

მაგრამ ის, რაც დიდი ომის იმ ოთხ წელიწადში დატრიალდა, მხოლოდ წინათქმა გახლდათ მეხუთე წელს გამართული სამზადისისა. 1919 წელს გაჩაღებული კამპანია შემმუსვრელ ძალთა უზომო აღზევების დასტურად თუ წარმოგვიდგებოდა. გერმანელებს რაინზე მშვიდობიანად უკანდახევისათვის აუცილებელი ზნეობრივი წონასწორობა რომ შეენარჩუნებინათ, 1919 წლის ზაფხულში მათ იმნაირი ძალებითა და ისეთი შემზარავი მეთოდებით შემოუტევდნენ, მანამდე რომ არც მოლანდებია

არავის. ათასობით თვითმფრინავი გააცამტვერებდა მათ ქალაქებს. ათეულობით ქვემეხი ააფეთქებდა მათ მოწინავე პოზიციებს. ათასგვარი გასაჭირით დამძიმებული ასეულ ათასობით კაცი ერთდროულად და განუწყვეტლივ გადაჰყავდათ ქვეყნის ერთი ბოლოდან მეორეში სამანქანო ტრანსპორტით, დღეში ათ-თხუთმეტ მილს რომ გადიოდა. წარმოუდგენლად მავნე მომწამვლელი გზები, რომელთაც მხოლოდ აირწინაღი უვნებელყოფდა (გერმანელებმა დროულად რომ ვერ ჩაიგდეს ხელთ), ყველანაირ შეუპოვრობას მოდრეკდა და სიცოცხლეს მოუსწრაფებდა ყოველ სულიერს იერიშმიტანილ მტრის ფრონტზე. გერმანელებსაც, უცილობლად, თავიანთი გეგმები ექნებოდათ, ოღონდ მრისხანების დრო-ჟამი უკვე გარდასულიყო. გაიხმიანა სიგნალმა ფერისცვალებისა და 1919 წლის ელდა და ზარი დიდ ანტაგონისტთა არქივებში დარჩა დამარხული.

ომის შეწყვეტაც ისევე უცაბედი და ყოვლისმომცველი იყო, როგორც მისი დაწყება. კაცობრიობამ თავი აიღერა, თვალი მოავლო პარტახად ქცეულ არე-მიდამოს და მძლეველმაცა და ძლეულმაც ერთნაირად მოითქვა სული. ასეულობით ლაბორატორიაში, ათასობით არსენალსა, ქარხანასა თუ ბიუროში ადამიანებმა ერთბაშად მიანებეს თავი მუშაობას და პირი იბრუნეს იმ საქმიანობისაგან, რომელშიაც ჩაფლულიყვნენ მთელი არსებით. მათი პროექტები, დაუმთავრებელი და განუხორციელებელი, გვერდზე გადაიდო, თუმც ცოდნა ხომ შერჩათ! მათი მონაცემები, გამოთვლები და აღმოჩენები სამხედრო უწყებებმა ყველა ქვეყანაში სასწრაფოდ შეკრიბეს, დასტებად შეკრეს და ზედ წააწერეს: „შემდგომი განხილვისათვის“. 1919 წლის კამპანია აღარ გაჩაღებულა; მაგრამ აზრები, მის საფუძველთა საფუძველს რომ წარმოადგენს, კვლავაც მწყობრად ენაცვლებიან ერთმანეთს. მათ ყველა ქვეყნის ჯარში მშვიდობის საფარველში ხვევენ, შემდეგ კი შეიმეცნებენ, ხვეწენ, სრულყოფენ; ხოლო ომი თუ კვლავ თავს დაატყდა მსოფლიოს, ბრძოლა გაჩაღდება არა 1919 წლისათვის მოხაზირებული იარაღ-საშუალებების მეშვეობით, არამედ იმ სრულქმნილი და გაუმჯობესებული აზრ-

თანყობის შემნეობით, ბევრად უფრო შემაძრწუნებელიც რომ არის და საბედისწეროც.

აი, ამგვარ ვითარებაში შევდგით ფეხი ჭაპანწყვეტის იმ ხანაში, „მშვიდობიანად“ რომ მოინათლა. იგი ზოგადი ვითარების გაცნობიერების საშუალებას მაინც იძლევა. ჩამოწოლილ ნისლში ამოზრდილ მთათა მოხაზულობის მსგავსად იკვეთება რიგი შავბნელი, შეუვალი, ულმობელი ფაქტებისა. დადგინდა, რომ ამიერიდან ომში მონაწილეობას მიიღებდა მთელი ქვეყნების მოსახლეობა, მთელ თავის ძალისხმევას რომ მოუხმობდა და საკუთარ თავზე გამოცდიდა მტრის მძვინვარებას. დადგენილია, რომ ერები, რომელთაც სჯერათ, რომ მათი ყოფნა-არყოფნა ბეწვზე ჰკიდია, თავის გადასარჩენად არაფერზე უკან არ დაიხევენ. სავსებით შესაძლებელია, უფრო სწორად, უეჭველია, რომ იმ ხერხებში, რომელთა გამოყენება სამერმისოდ მათ ხელთ იქნება, აღმოჩნდება საყოველთაო განადგურების ისეთი შეუზღუდავი მეთოდები და საშუალებანი, რომ, ალბათ, ერთხელ ნაცადი, არანაირ კონტროლს აღარ დაექვემდებარება.

ამგვარ ყოფაში წინათ არასდროს ჩავარდნილა კაცობრიობა. მას, ღირსებათა ვერც თუ დიდად სრულმქმნელსა და ვერც უფრო ბრძნული მმართველობის მომხვეჭელს, პირველად ჩაუვარდა ხელთ იარაღი, რომლის მეშვეობითაც შეძლებს საკუთარი თავის პირწმინდად დასამარებას. ესაა სამანი კაცთა ხვედრისა, რომელსაც მიაახლა მოკვდავნი ჭაპანწყვეტამ თუ განცხრომა-ნეტარებამ. უპრიანი იქნებოდა, სული მოეთქვათ და თავიანთ ახალ ვალდებულებებზე დაფიქრებულიყვნენ. სიკვდილი ფხიზლობს, დამყოლი, მომლოდინე, მზადმყოფი ხელის აღსაპყრობად და კაცობრიობის დედაბუდიანად ამოსაწყვეტად, მზადმყოფი პირველსავე დაძახილზე მიწის პირისაგან აღსაგველად ცივილიზაციის ყოველგვარი გადმონაშთისა. იგი მხოლოდ განკარგულებას ელის; ელის უმწეო, თავგზააბნეული არსებისაგან — ოდითგანვე მის ზვარაკად რომ ქცეულა, — ამ ერთხელ კი, ამ ერთადერთხელ, მბრძანებლად მოვლინებია.

* * *

ყველაფერი ეს გამოქვეყნდა 1929 წლის 1 იანვარს. ახლაც, დღევანდელ ახალ წელს, თვრამეტი წლის შემდეგ, სხვაგვარად ვერ დავწერდი. ყოველი სიტყვა თუ ქმედება, რომლებზედაც პასუხიმსგებლობა მაკისრია ომიდან ომამდე განვლილი დროის მონაკვეთში, გამიზნული გახლდათ მხოლოდ და მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის თავიდან ასაცილებლად და — რა თქმა უნდა, თუ მაინც უბედურება გვეწერა — გამარჯვების უზრუნველსაყოფად ან, უკიდურეს შემთხვევაში, ჭირსა შიგან გასამაგრებლად. არა მგონია, შესაძლებელი ყოფილიყო სხვა რომელიმე ომის თავიდან არიდება ისე იოლად, როგორც ამ მეორე არმაგედონისა. მე მუდამ მომხრე ვარ ძალის გამოყენებისა ტირანიის წინააღმდეგ გასალაშქრებლად, ან კიდევ, ნგრევა-განადგურების თავიდან ასაცილებლად. და მაინც, ამ ჩვენ ბრიტანელთა, ამერიკელთა თუ სხვა მოკავშირეთა ქმედებებს რიგიანი საოჯახო მეურნეობისათვის საჭირო უბრალო თანამიმდევრულობა და საღი აზრი რომ ხლებოდა გზის გამკვალავად, აღარც კანონით ზურგგაუმაგრებელი ძალმომრეობა შეიქნებოდა აუცილებელი. ის კი არადა, სისხლისღვრის უმცირესი ალბათობის შემცველი იძულებაც მართალ საქმეს მოხმარდებოდა. არათუ მიზანსწრაფვადაკარგული, არამედ თვით საკითხთა არსშიაც ვერგარკვეული ბრიტანეთი, საფრანგეთი თუ სხვა ქვეყნების უმეტესობა წრფელი გულით მიენდნენ ვეებერთელა ძალაუფლებითა და მიუკერძოებლობით აღჭურვილ შეერთებულ შტატებს; მოვლენები კი, მათივე მიყურისძირებით, თანდათანობით იმგვარად წარიმართა და განვითარების ისეთ მწვერვალს მიაღწია, იმთავითვე შიშის ზარს რომ სცემდა ყველას. საკმარისია ასეთივე კეთილი ზრახვებით გამსჭვალული, წინდაუხედავი საქციელის გამეორება სადღეისოდ ჩვეწ წინ წამოჭრილ უჩვეულოდ ერთსახოვან, ახალ პრობლემებთან მიმართებით, რომ ახლა უკვე მესამედ შევიგრძნოთ ნიადაგის ისეთი რყევა, რომლის წყალობით ამბის მომყოლიც აღარავინ დარჩება.

* * *

კიდევ უფრო ადრე, 1925 წელს, ჩავიწერე ზოგიერთი ჩემი მოსაზრება და ტექნიკური ხასიათის შენიშვნა, რომელთათვისაც გვერდის ავლას დღესდღეობით მართებულად ვერ მივიჩნევდი:

„ნუთუ არ არსებობს აქამდე შესწავლილზე გაცილებით უფრო ქმედითი საშუალებანი აფეთქების ენერგიის გამოყენებისა? ნუთუ არ მოიძებნება ყუმბარა, სიდიდით არა უმეტეს ფორთოხლისა და მატარებელი მთელი საცხოვრებელი მასივის გამანადგურებელი იდუმალი ძალისა; უფრო მეტიც, ისეთი ათასტონოვანი უკვამლო დენთის ტოლფასი ძალით აღჭურვილი, რომ ერთი დაკვრით აღგავოს პირისაგან მიწისა მთელი დასახლებანი?! ნუთუ შეუძლებელია, რომ თუნდაც უკვე არსებული ასაფეთქებელი საშუალებანი ავტომატურად, უპილოტოდ იმართებოდეს თვითმფრინავებში, რადიო თუ სხვა სხივების მეშვეობით და უწყვეტ ნაკადად იგზავნებოდეს მტრისეული ქალაქის, არსენალის, ბანაკისა თუ გემთსაშენის დასაბომბავად?!

რაც შეეხება მომწამვლელ გაზებსა და ქიმიური ომის წარმართვის ყველანაირ სხვა ხერხს, ამის თაობაზე შემაძრწუნებელი წიგნის მხოლოდ პირველი თავია დაწერილი. დიახაც, როგორც რაინს გაღმა, ისე მის გამოღმა ისეთი მეცნიერული გულმოდგინებითა და მოთმინებით იკვლევენ განადგურების ყოველ ახალ საშუალებას, როგორიც კი ხელეწიფება ადამიანს. და რად უნდა ვივარაუდოთ ამ შესაძლებლობათა შემოფარგვლა არაორგანული ქიმიის დარგით?! ცხადია, არა ერთი და ორი დიდი სახელმწიფოს ლაბორატორიებში იკვლევ-იძიებენ სნეულებებს — მეთოდურად გამოწვეულ და ადამიანებსა თუ მხეცებში შეგნებულად გავრცელებულ სხვადასხვაგვარ მოარულ სენს. ხორბლეულისათვის დამღუპველი ჟანგა, ცხენისა და საქონლისათვის მომაკვდინებელი ციმბირის წყლული, ჭირი, არათუ ჯარს, მთელ უბნებს რომ ედება შხამად, — აი, სარბიელი სამხედრო მეცნიერებისა, სადაც ულმობლად წინ მიიწევს იგი“.

ეს ყველაფერი თითქმის მეოთხედი საუკუნის წინათაა დაწერილი.

* * *

სავსებით ბუნებრივია, რომ ომში ძლეული ამაყი ხალხი მალევე ეშურება კვლავ იარაღით აღჭურვას. მას ვერ მოსთხოვ, მეტისმეტი სისათუთით მოეკიდოს წნეხის ქვეშ ყოფნისას მისგან გამოძალული ხელშეკრულების შესრულებას.

„... თავისუფლება აგვხსნიდა აღთქმას, ნაშობს ტკივილით, ურგებსა და თვითნებობით თავსმოხვეულს".

აქედან გამომდინარე, მძლეველს ეკისრება პასუხისმგებლობა იმაზე, რომ ძლეული მოქიშპე ნიადაგ იარაღაყრილი ეგულებოდეს. ამ მიზნის მისაღწევად მან ორმხრივ პოლიტიკას უნდა მიმართოს. ჯერ ერთი, თავად საკმარისად შეიარაღებულმა დაუღალავად, მთელის გულისყურითა და დიდი ძალისხმევით უნდა იღვაწოს ხელშეკრულების იმ მუხლების ხორცშესასხმელად, მის გუშინდელ მეტოქეს სამხედრო ძალების აღდგენა-განახლებას რომ უკრძალავს. ამას გარდა, ყველა ღონე უნდა იხმაროს დამარცხებული ხალხის ბედთან შესარიგებლად, მადლი ქნას და ხვავი და ბარაქა არ დაიშუროს ძლეული ქვეყნისათვის; ყოველნაირად გაისარჯოს საიმისოდ, რომ საფუძველი ჩაუყაროს ჭეშმარიტ მეგობრობასა თუ ინტერესთა ერთიანობას, რათა სულ უფრო და უფრო ნაკლებად იჩინოს თავი იარაღისაკენ ხელახალმა სწრაფვამ. „მძლეველთაგან იარაღის დაყრაზე უფრო საშური ძლეულთა გულისტკივილის დაამებაა", — ამგვარია იმ წლების ჩემეული ნააზრევი. როგორც ნახავთ, ბრიტანეთმა, შეერთებულმა შტატებმა და საფრანგეთმა მეტწილად დინების საპირისპიროდ აიღეს გეზი. ამის თაობაზე კიდევ ბევრი რამ შეიძლება ითქვას.

* * *

შექმნა ისეთი არმიისა, ძლიერი ქვეყნის მთელ საძეოს რომ მოიცავდეს, ვეებერთელა სირთულის ამოცანაა. გამარჯვებულმა მოკავშირეებმა, ლოიდ ჯორჯის წინადადებით, გერმანული

არმიის შემადგენლობა ასი ათას კაცამდე შეზღუდეს და აკრძალეს სავალდებულო სამხედრო სამსახური. გამომდინარე აქედან, ეს ძალა იქცა ჩანასახად და სასინჯ ქვად, საიდანაც — თუკი საამისოდ ვითარება მომწიფდებოდა — კვლავაც წარმოიქმნებოდა ლაშქარი, მომცველი მილიონობით კაცისა. ასი ათასი კაცი იგივე იყო, რაც ასი ათასი წინამძღოლი. როგორც კი გადაწყდებოდა არმიის შემადგენლობის გაზრდა, რიგითები, შესაძლოა, სერჟანტებად მოგვვლენოდნენ, სერჟანტები კი — ოფიცრებად. და მაინც, გერმანული არმიის აღორძინების ჩასაფუშავად შემუშავებული ლოიდჯორჯისეული გეგმა არცთუ ურიგოდ გახლდათ ჩაფიქრებული. მშვიდობიანობის დროს უცხო თვალი ვერა და ვერ დაადგენდა, რა თვისებებით იყო დაჯილდოებული ჯარისათვის ნაწყალობევი ის ასი ათასი კაცი, მაგრამ, საბოლოო ჯამში, არც ამას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა. სამი-ოთხი მილიონი გაწვრთნილი ჯარისკაცი მარტო გერმანიის საზღვრების დაცვას დასჭირდებოდა. ისეთი ზოგადეროვნული არმიის შექმნა კი, საფრანგეთის არმიას რომ გაუტოლდებოდა, ან, მით უმეტეს, აჯობებდა, — მოითხოვდა არა მარტო მეთაურთა კადრების მომზადებასა და ძველი ბატალიონებისა თუ საბრძოლო წყობის აღდგენას, არამედ ყოველწლიური საყოველთაო სამხედრო სამსახურის დაწესებას წვევამდელთათვის. მოხალისეთა რაზმები, ახალგაზრდული მოძრაობის ორგანიზაციები, საპოლიციო და კონსტებლთა ძალების ნაირგვარი სახეცვლილებანი, ძველ თანამებრძოლთა ასოციაციები — ყველა სახის არაოფიციალური და არსებითად არალეგალური ორგანიზაცია — თავის სიტყვას იტყოდა დროის გარკვეულ, შუალედურ მონაკვეთში. მაგრამ საყოველთაო სამხედრო სამსახურის შემოუღებლად ჩონჩხი ფერ-ხორცს ვერა და ვერ შეისხამდა.

გამომდინარე აქედან, იმ რამდენიმე წლის მანძილზე — ვიდრე სავალდებულო სამხედრო სამსახურის შემოღებამდე — გერმანიას არ გააჩნდა არანაირი შესაძლებლობა ისეთი ჯარის შექმნისა, ფრანგულ არმიას რომ გაუწევდა მეტოქეობას. ეს ის ზღვარი იყო, რომელსაც ვერვინ გადააბიჯებდა ვერსალის ხე-

ლშეკრულების აშკარა, შეუწყნარებელი უგულებელყოფის გარეშე. წინდაწინვე შეიძლებოდა შენიღბული, კარგად გააზრებული, ოსტატური სამზადისის გაჩაღება, მაგრამ რუბიკონის გადალახვისა და გამარჯვებულებთან შებმის დროც უნდა დამდგარიყო. მისტერ ლოიდ ჯორჯის პრინციპი, ამდენად, მყარ საფუძველს როდი იყო მოკლებული; ის, ამასთანავე, სიდარბაისლითა და კეთილგონივრულობითაც რომ ყოფილიყო განმტკიცებული, ვეღარც გერმანიის სამხედრო მანქანა ამოქმედდებოდა ხელახლა. ყოველწლიურად განვეული წვევამდელნი, რაგინდ კარგად ყოფილიყვნენ წინასწარ გაწვრთნილნი, სულ მცირე, ორი წლით მაინც უნდა დარჩენილიყვნენ საპოლკო თუ სხვა შენაერთებში, და მხოლოდ ამ საწვრთნელი ვადის გასვლის შემდეგ ხდებოდა შესაძლებელი თანდათანობითი დარაზმვა და ჩამოყალიბება სათადარიგო ნაწილებისა, რომელთა თვინიერ წარმოუდგენელია თანამედროვე ჯარის არსებობა. საფრანგეთმა, რომლის საძეო სასტიკად გატეხა წელში წინანდელმა ომმა, მაინც შეძლო შეენარჩუნებინა რეგულარული უწყვეტი სამხედრო განაწესი ახალწვეულთა ყოველწლიური წვრთნისა და გაწვრთნილ ჯარისკაცთა გადაყვანისა სათადარიგო შემადგენლობაში, რაც ამხელდა მთელი ქვეყნის მამაკაცთა ბრძოლისუნარიანობას. მსგავსი სათადარიგო ნაწილების ყოლის უფლება ვერ მოიხვეჭა გერმანიამ თხუთმეტი წლის განმავლობაში. ამ წლებში გერმანულ ლაშქარს შეეძლო ეღვივებინა და ესათუთებინა თავისი მებრძოლი სული და ტრადიციები, მაგრამ ოცნებითაც კი ვერ იოცნებებდა იმაზე, რომ მეტოქეობა გაეწია კარგა ხნის წინათ დაღვინებული, უზადო სრულქმნილებისათვის აკაზმული, გამობრძმედილი, ერთ ყალიბში მოქცეული მამაკაცური ძალმოსილებისათვის, ძალდაუტანებლად რომ მოედინებოდა ფრანგული სამხედრო სისტემის წიაღიდან და ღვარად იკვრებოდა.

* * *

მომავალი გერმანული არმიის ბირთვისა და სტრუქტურის შემოქმედი გახლდათ გენერალი ფონ სექტი. ჯერ კიდევ 1921-ში სექტი იმით იყო დაკავებული, რომ — მალულად იქნებოდა ეს თუ საჯარო გამოსვლებში — სრულფასოვანი გერმანული ჯარის შექმნას გეგმავდა და მოკრძალებულად ეკამათებოდა კონტროლის სამოკავშირეთაშორისო სამხედრო კომისიას თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობის თაობაზე. 1840 წლის საზეიმო დღეებში მისი ბიოგრაფი გენერალი ფონ რაბენაუ წერდა: „ძნელი იქნებოდა იმ სამუშაოს ჩატარება, 1935-1939 წლებში რომ განხორციელდა, 1920-დან 1934 წლამდე მართვის ცენტრს კნინი არმიის საჭიროებათა შესაბამისად რომ ემოქმედა“. ასე, მაგალითად, ხელშეკრულება მოითხოვდა ოფიცერთა კორპუსის შემცირებას ოცდათოთხმეტი ათასიდან ოთხი ათას კაცამდე. ყველა გზა მოისინჯა ამ საბედისწერო დაბრკოლების გადასალახავად და, მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის მეცადინეობის მიუხედავად, მაინც გრძელდებოდა გეგმების შემუშავება გერმანული არმიის ასაღორძინებლად.

მტერმა (ამბობს სექტის ბიოგრაფი) ყოველი ღონე იხმარა გენერალური შტაბის გასანადგურებლად, რასაც მხარი აუბეს გერმანიაში არსებულმა პოლიტიკურმა პარტიებმა. სამოკავშირეთაშორისო კონტროლი, მისი თვალსაზრისით, წლების მანძილზე მართებულად ესწრაფოდა მაღალ ეშელონებში ერთობ მდარე საწვრთნელი სამუშაოების ჩატარებას, რათა გენერალურ შტაბს ვეღარ ებოგინა. ისინი გაბედულად შეეცადნენ იმის გამოძიებას, თუ როგორ წვრთნიდნენ გენერალური შტაბის ოფიცრებს, მაგრამ ჩვენც ყოჩაღად დავუხვდით და ვერაფერს გამოგვრჩნენ, — ვერც სისტემისა გაიგეს რამე და ვერც სწავლებისა. სექტი არ გატყდა, რადგან გენერალური შტაბი რომ დაშლილიყო, გაჭირდებოდა მისი აღდგენა... და თუმც იერსახე უთუოდ უნდა შებღალულიყო, არსი გადარჩა. მართლაც, ბერლინში თავი მოეყარა სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმულ ასი

ათას შტაბის ოფიცერს თანაშემწეებითურთ, რეკონსტრუქციის, მეცნიერებისა და კულტურის დარგების წარმომადგენლებად რომ ასაღებდნენ თავს და წარსულსა თუ მომავალზე საგულდაგულო ფიქრსა და განსჯას მისცემოდნენ.

რაბენაუ ამ ამბავს ასეთნაირად განმარტავს:

„სექტი რომ არა, დღესდღეობით (1940 წელს) არც ის გერმანული აზრისმიერი გენერალური შტაბი გვექნებოდა, თაობათა ძალისხმევის ნაყოფი რომაა და ერთ და ორ დღეში რომ ვერა და ვერ შეიქმნება, რაგინდ ნიჭიერებითა და გულმოდგინებით იყოს აღბეჭდილი ოფიცერთა მოღვაწეობა. ცნების განუყოფლობაა წინამძღოლობის უსაშიშრობის უტყუარი საწინდარი სინამდვილის მშფოთვარე გამოცდათა ხანაში. ცალკეულ პიროვნებათა უნარიანობა და განსწავლულობა აღარა კმარა. ომიანობისას აუცილებელია შინაგანი თანაზიარობით აღბეჭდილი უკიდურესი გონებამოქნილობა უმრავლესობისა, ამისათვის კი ათწლეულებია საჭირო... სუსტი, ასიათასიანი არმიის პატრონებს თუ არ გვსურდა, რომ გენერლებიც უუნარონი გამომდგარიყვნენ, უცილობლად ფართო ასპარეზი უნდა დაგვეთმო თეორიული აზრისათვის. ამ მიზნით შემოიღეს ჯარების ფართომასშტაბიანი პრაქტიკული სამწყობრო მზადება და სამხედრო ასპარეზობანი... არა იმდენად გენერალური შტაბის საწრთობად, რამდენადაც მეთაურთა უმაღლესი კატეგორიის ჩამოსაყალიბებლად“.

ეს უკანასკნელნი შეიძლებდნენ ჭეშმარიტი სამხედრო კატეგორიებით აზროვნებას.

სექტი დაჟინებით მოითხოვდა თავის დაღწევას ცრუ დოქტრინებისაგან, მავანთა და მავანთა დიდი ომიდან გამოყოლილი პირადი გამოცდილებიდან რომ მომდინარეობდა. ამ ომის ყოველი გაკვეთილი გულმოდგინედ და სისტემურად შეისწავლებოდა. შემოიღეს წვრთნის ახალი პრინციპები და უაღრესად მრავალფეროვანი სასწავლო კურსები. ყველა არსებული ცნობარი თუ სახელმძღვანელო თავიდან გადაიწერა არა ასიათასიანი არმიის, არამედ გერმანული რაიხის შეიარაღებულ

ძალთათვის. გულის გამაწვრილებელი ცნობისწადილით შეპყრობილ მოკავშირეთათვის თავგზის ასაბნევად ახირებულად ქვეყნდებოდა ნაწყვეტები ამ სახელმძღვანელოებიდან; შინაგანი ჯარებისათვის გამიზნული ცნობარები კი საიდუმლოდ ინახებოდა. ამოსავალ წერტილად იქცა ყველა სახის შეიარაღებულ ძალთა უმჭიდროესი თანასაქმიანობა. ტაქტიკურად უნდა გადახლართვოდა ერთიმეორეს არა მარტო ძირითადი სახეობანი ჯარისა, როგორიცაა ქვეითი თუ მოტორიზებული ცხენოსანი ჯარი და არტილერია, არამედ ასევე უნდა შეთანახმიერებულიყო სატყვიამფრქვევო, ნაღმსატყორცნი, საავტომატო ქვედანაყოფები თუ ტანკსაწინააღმდეგო აღჭურვილობა, სამხედრო-საჰაერო ესკადრონები და კიდევ ბევრი სხვა მისთანა. სწორედ ამას მიანერეს გერმანელმა სამხედრო მესვეურებმა თავიანთი ტაქტიკური წარმატებანი 1939-1940 წლების კამპანიაში. 1924 წლისათვის სექტს უკვე შეეძლო ეგუმანა, რომ გერმანული არმიის ცხოველმყოფლობა ძალას იკრებდა და თანდათანობით გადალახავდა ასიათასიანი არმიისათვის დადებულ მიჯნას. „ამან მხოლოდ ათი წლის შემდეგ გამოიღო ნაყოფიო“, — გვამცნობს მისი ბიოგრაფი. 1925-ში მოხუცმა ფელდმარშალმა ფონ მაკენზენმა სექტს რაიხსვერის აშენება მიულოცა და არც თუ უმართებულოდ შეადარა იგი შარნჰორსთს, რომელმაც მალულად მოამზადა პრუსიელთა საპასუხო იერიში ნაპოლეონის წინააღმდეგ იენის დაპყრობის შემდეგ საფრანგეთის გერმანიაზე გაბატონების წლებში. „უწინდებური ცეცხლი კვლავაც გიზგიზებდა და მოკავშირეთა სიფხიზლეს ვერ წაეშალა უცვეთი ნიშანკვალი გერმანიის ძლევამოსილებისა“.

1926 წლის ზაფხულში სექტმა ჩაატარა თავისი ყველაზე დიდი სამხედრო-სამწყობრო მეცადინეობა მეთაურთათვის... ლაშქარი არა ჰხლებია, მაგრამ არსებითად ყველა გენერალი, ხელმძღვანელი ოფიცერი თუ გენერალური შტაბის ოფიცრობა აზიარა სამხედრო ხელოვნებასა და მის ურიცხვ ტექნიკურ პრობლემას, გამომდინარე მასშტაბებიდან გერმანული არმიისა,

რომელსაც, თავის დროზე, გერმანელი ერი უწინდებურ სიმაღლეებზე უნდა აეტყორცნა.

რამდენიმე წლის განმავლობაში მცირე მასშტაბებით ხორციელდებოდა ჯარისკაცთა მოკლევადიანი წვრთნა ოფიციალურად დაწესებული ჩარჩოების დარღვევით. ეს ჯარისკაცები „შავებად", ანუ არალეგალებად, მონათლეს. 1925 წლიდან მოყოლებული, „შავების" სფერო მთლიანად რაიხსვერის სამინისტროს ხელში მოექცა და მას ეროვნული ფონდებიდან უმართავდნენ ხელს. გენერალური შტაბის მიერ 1925 წელს შემუშავებული გეგმა, რომელიც არმიის სრულყოფასა და რიცხობრიობის ზრდას გულისხმობდა იმ ზღუდეების მოშლის საფუძველზე, სამშვიდობო ხელშეკრულება რომ ითვალისწინებდა, მიზნად ისახავდა იმხანად არსებული შვიდი ლეგალური ქვეითი დივიზიის ჯერ გაორმაგებას, შემდეგ კი — გასამმაგებას. თუმცა სექტის საბოლოო მიზანი იყო, სულ ცოტა, სამოცდასამი დივიზიის ჩამოყალიბება. 1926 წლიდან ამ გეგმის განხორციელებას უმთავრესად წინ ეღობებოდა პრუსიის სოციალისტური ხელისუფლება. მალე ეს დაბრკოლებაც აღმოიფხვრა. 1933 წლის აპრილამდე ოფიციალურად არ უღიარებიათ ასიათასიანი არმიის ზღვრული რიცხობრიობის გადამეტება, თუმცა იგი უკვე კარგა ხანია ღონეს იკრეფდა და მისთვის დაწესებულ ზღვარს სცილდებოდა.

* * *

სწორედ იმ დროს, ლოკარნოს მოლაპარაკების შემდეგ, კეთილმოსურნეობისა და სასოების განწყობილებამ რომ დაისადგურა, ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებმა მიიღეს საეჭვო, თუმც არა საბედისწერო, გადაწყვეტილება. სამოკავშირეთაშორისო კონტროლის კომისიას უნდა გამოსთხოვებოდნენ და ადგილი დაეთმოთ ერთა ლიგის მიერ შემუშავებული მსგავსი კვლევითი სისტემისათვის, აქეთა თუ იქითა მხა-

რის მოწადინებისთანავე რომ ამოქმედდებოდა. ვარაუდობდნენ, რომ ამგვარი ღონისძიება სრულქმნიდა ლოკარნოს ხელშეკრულებას. იმედი გაცრუვდა. მარშალმა ფოშმა განაცხადა, რომ გერმანია მართლაც სამაგალითოდ განაიარაღეს; ოღონდაც, საჭირო იყო იმის აღიარება, რომ სამოცდახუთმილიონიან ერს სამუდამოდ ვერ აჰყრიდი იარაღს და აუცილებელი იყო გარკვეული ზომების მიღება. დაბოლოს, 1927 წლის იანვარში კონტროლის კომისია გაიწვიეს გერმანიიდან. ამასობაში ცნობილი შეიქნა, რომ გერმანელები ათასნაირი შენიღბული თუ ფარული ხრიკით აუკუღმართებდნენ ხელშეკრულების შინაარსს და უთუოდ შავით თეთრზე იბეჭდავდნენ თავიანთ ჩანაფიქრს კვლავ მეომარ სახელმწიფოდ გარდასახვისა. უკვე ჰყავდათ ბოისკაუტები, კადეტთა კორპუსი და როგორც ახალბედა, ისე ხანდაზმულ მოხალისეთაგან შემდგარი არაერთი ორგანიზაცია სამხედრო აღკაზმულობის გარეშე; და მაინც, აღიარების თვინიერ, ვერც არმია და ვერცა ფლოტი ბევრს ვერაფერს გააწყობდა. სავალდებულო სამსახურის შემოღება, სამხედრო-საჰაერო ძალების ჩამოყალიბება თუ სამხედრო გემთმშენებლობისათვის საფუძვლის ჩაყრა, ხელშეკრულებით დაწესებულ ფარგლებს რომ სცილდებოდა, გერმანელთაგან ვალდებულებათა აშკარა შეუსრულებლობას ნიშნავდა, რის თაობაზეც ნებისმიერ დროს შეიძლებოდა საკითხი წამოეჭრა ერთა ლიგას, რომლის წევრობაც გერმანიას უკვე გაენაღდებინა.

საჰაერო საზღვრების დაწესება გაცილებით უფრო რთული იყო. სამშვიდობო ხელშეკრულება გერმანიას უკრძალავდა სამხედრო ავიაციის ყოლას და 1920 წლის მაისში იგი ოფიციალურად დაიშალა. თავის გამოსათხოვარ განკარგულებაში სექტი იმედს გამოთქვამდა, რომ ის კვლავაც აღორძინდებოდა, მანამდე კი არ განელდებოდა მისი სულისკვეთება. იგი იმთავითვე ყველანაირად ზურგს უმაგრებდა ამ თაოსნობას. მისი პირველი ნაბიჯი იყო რაიხსვერის სამინისტროს ფარგლებში ავიაციაში ნამსახურევ გამოცდილ ოფიცერთა იმ საგანგებო ჯგუფის შექმნა, რომლის არსებობასაც უმალავდნენ მოკავშირეთა საკონ-

ტროლო კომისიას და რომელსაც იფარავდნენ თავისივე საკუთარი მთავრობისაგან. ეს ჯგუფი ნელ-ნელა იზრდებოდა, ვიდრე სამინისტროში შემავალ ნაირგვარ სამმართველოებსა თუ საინსპექციო ორგანოებში არ შეიქმნა „საავიაციო უჯრედები“, სამხედრო-საჰაერო პერსონალი კი თანდათანობით არ შეიჭრა არმიის კადრებში. სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტის სათავეში იდგა სექტისაგან ხელდასხმული, ომგამოვლილი და ნაცადი ოფიცერი, რომლის მოღვაწეობაც იქითკენ იყო მიმართული, რომ სამოქალაქო ავიაციის განვითარება და მასზე მეთვალყურეობა სამხედრო საჭიროებათათვის შეეხამებინა. ეს დეპარტამენტი, ისევე, როგორც გერმანიის სამოქალაქო ავიატრანსპორტის სამმართველო და ბევრი სხვა შენიღბული სამხედრო თუ საზღვაო-საჰაერო დაწესებულება, უმეტესწილად დაკომპლექტებული იყო ყოფილ ოფიცერ-მფრინავთაგან, რომელთაც ბევრი არაფერი გაეგებოდათ კომერციული ავიაციისა.

გერმანიაში ჯერ კიდევ 1924 წლამდე ჩაისახა აეროდრომებისა თუ სამოქალაქო თვითმფრინავთმშენებლობის ქარხნების ქსელი და ხელი მიჰყვეს პილოტების წვრთნასა და პასიური საჰაერო თავდაცვის კურსის სწავლებას. უკვე გონივრული თანამიმდევრულობით იკვეთებოდა კომერციული ავიაციის განვითარების უტყუარი ნიშნები, ხოლო საპლანერო კლუბების ქსელის წარმოქმნამ ფრენოსნობის საღერღელი აუშალა არა ერთსა და ორ გერმანელს — კაცსა თუ ქალს. ფრენოსნობის უფლებამინიჭებულ მოსამსახურეთა რაოდენობა ქაღალდზე მკაცრად იყო ჩარჩოებში მოქცეული. თუმცა ამ წეს-კანონებს, ისევე, როგორც ბევრ სხვას, გვერდი აუარა სექტმა, რომელმაც გერმანიის სატრანსპორტო სამინისტროს ფარული შეგულიანებით წარმატებით გაართვა თავი მყარი საფუძვლის ჩაყრას რიგიანად გამართული საავიაციო მრეწველობისა და მომავალი სამხედრო-საჰაერო შეიარაღებისათვის. ამ წრეგადასულობის გამო გერმანელთათვის მთლად ყელში ხელის წაჭერა მათი ეროვნული ღირსების შელახვა იქნებაო, — ასე განსაჯეს 1926 წლის სულისკვეთებით გამსჭვალულმა მოკავშირეებმა;

ჰოდა, გამარჯვებულებმა ის სამართალი იკმარეს, გერმანელებს სამხედრო-საჰაერო ძალების ყოლას რომ უკრძალავდა. ამას ცხადყოფდა ძალზე მკრთალი და ბუნდოვანი საზღვარი.

საზღვაო ფლოტთან მიმართებითაც მსგავს ხრიკებს იშველიებდნენ გერმანელები. ვერსალის ხელშეკრულების მიხედვით, გერმანიას უფლება ჰქონდა შეენარჩუნებინა მხოლოდ მცირე ოდენობის სამხედრო-საზღვაო ძალები, დიდი-დიდი, თხუთმეტი ათასი კაცის შემადგენლობით. ამ შემადგენლობის გასაზრდელად რა ხიმანკლობას აღარ მიმართავდნენ ისინი! სამოქალაქო სამინისტროთა შემადგენლობაში მალულად ჩართეს სამხედრო-საზღვაო ორგანიზაციები. არც კუნძულ ჰელიგოლანდზე და არც სხვაგან არ მოუშლიათ არმიის სანაპირო სიმაგრეები, როგორც ამას სამშვიდობო ხელშეკრულება აწესებდა და სულ მალე მათ დაეუფლა გერმანული საზღვაო არტილერია. გერმანელები ნების დაურთველად აგებდნენ წყალქვეშა ნავებს, მათი ოფიცრები და მეზღვაურები კი სხვა ქვეყნებში ეწაფებოდნენ სამხედრო ხელოვნებას. რაც კი შეიძლებოდა, ყველაფერი კეთდებოდა კაიზერის ფლოტის გადასარჩენად და იმ დღისათვის თადარიგის დასაჭერად, როდესაც იგი კვლავ დაუფარავად შეიძლებდა თავისი ადგილის მოპოვებას ზღვათა ზედა.

ერთობ საგულისხმო სხვა მიმართულებითაც სერიოზულ პროგრესს მიაღწიეს. ჰერ რატენაუმ რეკონსტრუქციის სამინისტროში თანამდებობაზე ყოფნისას 1919 წელს ერთობ ფართო გასაქანი მისცა გერმანიის სამხედრო ინდუსტრიის აღორძინებას. „თქვენს იარაღს მუსრი გაავლეს, მაგრამ მას მაინც უცილობლად ყავლი გაუვიდოდა შემდეგი ომის დაწყებამდე. იმ ომში უახლესი იარაღით იომებთ და ჯარსაც რაც ნაკლებად ექნება შებორკილი ხელ-ფეხი დრომოჭმული აღჭურვილობით, მით მეტ უპირატესობას მოიხვეჭსო“, — არსებითად ამგვარი რამ უთქვამს მას გენერლებისათვის.

და მაინც, მთელი იმ წლების მანძილზე, გერმანელებზე მეთვალყურეობა რომ იყო დაწესებული, მათი სამხედრო პირები მედგრად იბრძოდნენ იარაღის დასანარჩუნებლად. ყოველი

ხრიკი, გზების დახლართვის ყოველგვარი მცდელობა თავგზას უბნევდა მოკავშირეთა კომისიას. ზედმინევნით მწყობრი ხასიათი მიიღო ათასნაირი ფანდისა თუ ილეთის გამოყენებამ. გერმანული პოლიცია, თავდაპირველად ყველაფერში ცხვირს რომ ყოფდა, თანდათანობით რაიხსვერის თანამონაწილე შეიქნა იარაღის შეგროვებაში. შეიქმნა ორგანიზაცია, სამოქალაქო ფორმით შენიღბული იარაღ-აღჭურვილობის მარაგს რომ იცავდა. 1926 წლიდან ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები სრულიად გერმანიას მოედვნენ და მალე მთელი ქსელი ჩამოყალიბდა ყველანაირი საწყობებისა. კიდევ მეტი ქმედითუნარიანობა გამოავლინეს სამერმისოდ მასალათა წარმოებისათვის საჭირო მანქანა-დანადგარების გამართვისას. სამხედრო მიზნებისათვის ვარგისი სახარატო ჩარხები, რომელთა გამოყენება, იქნებ, კვლავაც დასჭირებოდათ ამავე მოსაზრებებით, იმაზე გაცილებით მეტი რაოდენობით შეინარჩუნეს სამოქალაქო საწარმოებში, ვიდრე ამას ჩვეულებრივი კომერციული საჭიროებანი მოითხოვდა. ომის დროს გამართული სახელმწიფო არსენალები არ დახურულა, თუმცა ამას გულისხმობდა სამშვიდობო ხელშეკრულება.

ასე რომ, ამოქმედდა ერთიანი პროგრამა, რომლის თანახმადაც, ყველა ახალი, ისევე, როგორც სარეკონსტრუქციო საქმიანობისათვის შემოთავაზებული ამერიკული და ბრიტანული სესხების მეშვეობით აგებული ბევრი ძველი ქარხანა, იმთავითვე განსაზღვრული იყო სამხედრო წარმოებაზე ერთბაშად გადასასვლელად; და ტომეულები შეიძლება მიუძღვნა იმას, თუ რა ზედმინევნითი საფუძვლიანობითა და გამოწვლილვითი ჩაკირკიტებით იგეგმებოდა ეს ყველაფერი. ჰერ რატენაუ იმ ანტისემიტური და ახლად გამოჩეკილი ნაცისტური საიდუმლო ორგანიზაციების მიერ ჩაფიქრებული მხეცური მკვლელობის მსხვერპლი შეიქნა, რომელთაც თავიანთი კაცთმოძულეობა გერმანიისათვის ერთგულად დამაშვრალ ამ ებრაელზე გადმოანთხიეს. 1929 წელს ხელისუფლებაში მოქცეული ჰერ ბრაუნინგის ყოველი ქმედება დიდი გულმოდგინებითა და წინდახედ-

ულებით გახლდათ აღბეჭდილი. ასე რომ, იმ დროს, როცა გამარჯვებული სახელმწიფოები მათ ხელთ დახვავებული დრომოჭმული იარაღის იმედად დარჩენილიყვნენ, გერმანიაში წლიდან წლამდე იქმნებოდა უზარმაზარი პოტენციალი ახალი სახეობის საბრძოლო აღჭურვილობის საწარმოებლად.

* * *

1919-ში, სამხედრო კაბინეტის გადაწყვეტილებით, დამხმარე დაპარტამენტებს თავიანთი ხარჯთაღრიცხვა, როგორც შემადგენელი ნაწილი ეკონომიკური კამპანიისა, უნდა გაეთვალათ იმ ანგარიშით, რომ „ბრიტანეთის იმპერია არ ჩაებმებოდა არც ერთ დიდმასშტაბიან ომში შემდგომი ათი წლის განმავლობაში და არანაირი საექსპედიციო ჯარების საჭიროება არ შეიქნებოდა“... 1924-ში, დიდი ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრი რომ გავხდი, საიმპერატორო დაცვის კომიტეტს ვთხოვე, გადაესინჯა ეს დადგენილება, მაგრამ მისი გადახალისების მიზანშეწონილობის დამადასტურებელი არანაირი გამოხმაურება ამას არ მოჰყოლია. 1927-ში სამხედრო სამინისტრომ წამოჭრა საკითხი 1919-ში მიღებული გადაწყვეტილების „დღეის იქით“ მხოლოდ ათწლიანი უფლებამოსილების შესახებ არმიასთან მიმართებით. ეს წინადადება მიზანშეწონილად მიიჩნია როგორც სამხედრო კაბინეტმა, ისე საიმპერატორო დაცვის კომიტეტმა. ამ საკითხზე შემდგომი მსჯელობა გაიმართა 1928 წლის 5 ივლისს, როდესაც გამოვთქვი ჩემი კეთილგანწყობის დამადასტურებელი ვარაუდი იმის თაობაზე, რომ „დამხმარე დეპარტამენტთა ხარჯთაღრიცხვის ქვაკუთხედი უნდა დაჰფუძნებოდა მტკიცებას, რომელიც გამორიცხავდა დიდ ომში ჩაბმას მომდევნო ათწლეულში და რომ ეს ქვაკუთხედი დღითიდღე უნდა გამყარებულიყო, გარნა იგივე მოსაზრება ყოველწლიურად უნდა გადაესინჯა საიმპერატორო დაცვის კომიტეტს“. ეს საკითხი ღიად დატოვეს და მისი გადაწყვეტა მიანდეს ნებისმიერ დამხ-

მარე დეპარტამენტსა თუ დომინიონ მთავრობას, რომელიც კვლავ წამოჭრიდა მას, თუკი საჭიროდ მიიჩნევდა.

ცხადი შეიქნა, რომ ამ პრინციპის აყოლამ სამხედრო უწყებებს უსაფრთხოების ცრურწმენა ჩაუნერგა; ის, რომ მაძიებელი გონება დაიბინდა; და რომ ისეთმა აზრებმა იბარტყა, რომელთაც დიდი დღე არ ეწერათ, მით უფრო, თუ საქმე ხარჯებზე მიდგებოდა. 1929 წლამდე, ვიდრე სამინისტროდან წავიდოდი, იმდენად სარწმუნოდ მესახებოდა მსოფლიოში მშვიდობიანობის შენარჩუნება, რომ ვერ ვხედავდი რაიმე ახალი გადაწყვეტილების მიღების მიზეზს; არცა გარემოებათ დაუდასტურებიათ ჩემი თვალსაზრისის უმართებულობა. 1939 წლის შემოდგომამდე არანაირ ომს არ უფეთქია. ათი წელი მართლაც რომ ბევრია ამ წუთისოფლისთვის. ათწლიანმა დადგენილებამ, დღითიდღე რომ მყარდებოდა, 1932 წლამდე გაძლო, ვიდრე 23 მარტს მისტერ მაკდონალდის მთავრობამ მართებულად არ აღიარა, რომ მისი წაბრძანება, ალბათ, შესაწყნარისად ჩაითვლებოდა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში მოკავშირეებს ჰქონდათ იმდენი ძალა და უფლება, ნებისმიერ დროს წინ აღსდგომოდნენ გერმანიის ხელახალ შეიარაღებას, საგრძნობიც რომ იყო და თვალშისაცემიც; ხოლო გერმანია უნდა დამორჩილებოდა ბრიტანეთის, საფრანგეთისა და იტალიის მტკიცე და ერთსულოვან მოთხოვნას და თავისი ქმედებანი დაექვემდებარებინა სამშვიდობო ხელშეკრულებათა გადაწყვეტილებებისათვის. ამ რვაწლიან ისტორიულ მონაკვეთს — 1930-დან 1938-მდე — კიდევ ერთხელ რომ გადავავლებთ ხოლმე თვალს, მაშინღა ვხვდებით, თუ რამდენი დრო ყოფილა ჩვენს განკარგულებაში. თუ უფრო მოგვიანებით არა, 1934 წლამდე ხომ მაინც შესაძლებელი იყო გერმანიის ხელახალი შეიარაღების თავიდან არიდება ისე, რომ ამას ერთი ადამიანის სიცოცხლეც კი არ შესწირვოდა მსხვერპლად! დროის უქონლობა არაფერ შუაშია.

თავი IV

ადოლფ ჰიტლერი

1918 წლის ოქტომბერში კომინოსთან ბრიტანელთა შემოტევისას ერთი გერმანელი კაპრალი ქლორგაზით მოიწამლა და დროებით მხედველობა დაკარგა. სანამ იგი პომერანიის ჰოსპიტალში იწვა, გერმანიამ მარცხიც იწვნია და რევოლუციაც. ერთი უსახელო ავსტრიელი საბაჟო მოხელის ვაჟს ყმაწვილურ ოცნებებში თავი დიდ მხატვრად ესახებოდა. ვენის სამხატვრო აკადემიაში რომ ვერ მოხვდა, გაჭირვებაში ჩავარდნილი ერთხანს დედაქალაქში დარჩა საცხოვრებლად, მოგვიანებით კი მიუნხენში გადასახლდა. დროდადრო სახლების მღებავად მუშაობდა, უმეტესად კი ნებისმიერ შემთხვევით სამუშაოს გამოჰკრავდა ხოლმე ხელს. სულს იქით არაფერი ებადა და სასტიკი, თუმც ფარული ბოღმით გულგასიებული მტრული თვალით უცქერდა მის წარმატებათა გზაზე დაბრკოლებად აღმართულ კაცობრიობას. ბედუკულმართობას კომუნისტთა რიგებში არ მიუყვანია. მის გულში სულ უფრო და უფრო ღვივდებოდა მისთვის არაბუნებრივად კეთილშობილური და ყოველგვარ ზღვარს გადასული გრძნობა თავისი რასის ერთგულებისა, გერმანიისა და გერმანელი ხალხის მხურვალე და მისტიური თაყვანისცემისა. ომი რომ გაჩაღდა, მგზნებარე მზადყოფნით ეცა იარაღს და ოთხი წელი იმსახურა ბავარიის პოლკში, დასავლეთის ფრონტზე. ასეთი იყო ადოლფ ჰიტლერის ხვედრი თავდაპირველად.

1918 წლის ზამთარში ჰოსპიტალში მწოლიარეს — უმწეოსა და თვალისჩინდაკარგულს — თვისი პიროვნული მარცხი მთელ გერმანელ ხალხს თავსდამტყდარი ბედუკულმართობის წილხვდომილად ესახებოდა. სამხედრო მარცხით გამოწვეული ელდა,

წესრიგისა და კანონიერების მოშლა, ფრანგთა ზარ-ზეიმი — ეს ყველაფერი პოლკის გამომჯობინებულ შიკრიკს განაცდევინებდა მძაფრ ტკივილს, მთელ მის არსებას რომ მსჭვალავდა და იმ გასაოცარი და მძლეთამძლე სულისკვეთებით აღავსებდა, რომელიც კაცთა მოდგმის ხსნას ან კიდევ დაღუპვას მოასნავებს. გერმანიის მარცხი მის წარმოსახვაში მოვლენათა ბუნებრივი განვითარებით ვერა და ვერ აიხსნებოდა. უთუოდ სადღაც ჩასაფრებულიყო ვაიუშველებელი და საზარელი მუხანათობა. მარტოხელა, გულჩათხრობილი, ჩია ჯარისკაცი კატასტროფის შესაძლო მიზეზებზე განსჯა-ფიქრს მისცემოდა, თუმც კი ზომავდა და წონიდა მხოლოდ საკუთარი გონებაშეზღუდულობის კვალობაზე. ვენაში გერმანელთა უკიდურესად ნაციონალისტურ დაჯგუფებებს ეტმასნებოდა და სწორედ მათგან ირწმუნა სხვა მეორე რასის, ნორდიული სამყაროს მჩაგვრელთა და არაკეთილმოსურნეთა — ებრაელთა — ავისმქმნელობა და ძირგამომთხრელი ქმედებანი. მისი პატრიოტული რისხვა და მდიდართა და წარმატებულთადმი შური ერთ მთლიანობად შეიკრა და ყოვლისწამლეკავ სიძულვილში გადაიზარდა.

რა სანახაობა გადაეშალა თვალწინ მხედველობადაბრუნებულ ამ უსაჩინო პაციენტს, რომელიც, როგორც იქნა, საავადმყოფოდან გაწერას ელირსა და, კვლავაც სამხედრო ფორმაში შემოსილი, ლამის ბავშვური მედიდურებით შეჰყურებდა ქვეყნიერებას?! შემზარავია მარცხით მოგვრილი ელდა. სასოწარკვეთილებისა და შეურაცხადობის ატმოსფეროში, მის ირგვლივ რომ სუფევდა, წითელი რევოლუციის ბდღვრიალა მონახაზები იკვეთებოდა. მიუნხენის ქუჩებში დაქროდნენ ჯავშანავტომობილები, მოხეტიალე მგზავრებს პროკლამაციებს ან კიდევ ტყვიებს რომ აყრიდნენ. მისივე ამხანაგები, გამომწვევად წითელი სამკლაურები რომ დაეკოსებინათ სამხედრო ტანსაცმლის სახელოებზე, მრისხანე ლოზუნგებს გაიძახოდნენ და უმხედრდებოდნენ ყველაფერს, რაც ესოდენ ძვირფასი იყო მისთვის ამქვეყნად. ერთბაშად ყველაფერი ცხადი შეიქნა, როგორც სიზმარში ხდება ხოლმე. გერმანიას ლახვარი ჩასცეს ზურგში, ახლა

კი ჯიჯგნიდნენ ებრაელები, ზურგს უკან ჩასაფრებული გამომრჩენები და ინტრიგანები, წყეული ბოლშევიკები, ებრაელ ინტელიგენტთა საერთაშორისო შეთქმულების თანამზრახველნი. მის თვალწინ განსხივდა განგებისაგან დანაკისრი — ეხსნა გერმანია ამ ჭირ-ვარამისაგან, შური ეძია მისთვის მიყენებულ ტკივილთათვის და იმ გზით წარძღომოდა სხვებზე აღმატებულ რასას, ბედისწერას კარგა ხანია მისთვის რომ განემზადებინა.

მისი პოლკის ოფიცრები, სულით ხორცამდე შეძრულნი თავიანთ ჯარისკაცთა მეამბოხური და რევოლუციური განწყობით, ძალზე მოხარულნი იყვნენ, რომ ერთი კაცი მაინც აღმოჩნდა, რომელსაც, როგორც ეტყობოდა, შერჩენოდა ბალავარშეურყეველი სული. კაპრალმა ჰიტლერმა სამხედრო სამსახურში დარჩენა მოისურვა და პოლიტიკური განათლების სფეროში ინსტრუქტორად, ანუ აგენტად, დაიწყო მუშაობა. ამნაირად შენიღბულმა ხელი მიჰყო მეამბოხურ და მავნებლურ ზრახვათა შესახებ ინფორმაციის მოპოვებას. სულ მალე უშიშროების ორგანოთა ოფიცერმა, რომლის სამსახურშიც ის იდგა, ათასგვარი ჯურის ადგილობრივი პოლიტიკური პარტიის კრებაზე დასწრება დაავალა. ერთ საღამოსაც, 1919 წლის სექტემბერში, კაპრალი გაემართა გერმანიის მუშათა პარტიის კრებაზე, რომელიც მიუნხენის ერთ-ერთ ლუდხანაში ტარდებოდა. აქ მან პირველად მოისმინა საუბრები, მისსავე იდუმალ მრწამსს რომ ეხმიანებოდა გერმანიის უფსკრულის პირას მიმყვან ებრაელთა, სპეკულიანტთა და „ნოემბრის დამნაშავეთა" საქმიანობასთან დაკავშირებით. 16 სექტემბერს იგი ამ პარტიაში შევიდა, სულ მალე კი თავისი სამხედრო მოღვაწეობისდა კვალად, პარტიული პროპაგანდა გააჩაღა. 1920 წლის თებერვალში მიუნხენში გაიმართა გერმანიის მუშათა პარტიის პირველი მასობრივი მიტინგები, სადაც სადავეები ხელთ ეპყრა თავად ადოლფ ჰიტლერს, რომელმაც 25 პუნქტად ჩამოაყალიბა პარტიის პროგრამა. ახლა იგი უკვე პოლიტიკური მოღვაწე გახლდათ და ერის სახსნელად კამპანია გააჩაღა. აპრილში იგი დემობილიზებულ იქნა და ამიერიდან მთელ ძალ-ღონეს პარტიის რიგე-

ბის გაფართოებას ახმარდა. სულ რაღაც ნახევარი წლის შემდეგ პირვანდელი ლიდერები გააძევა და ნიჭიერებისა და მგზნებარე სულისკვეთების წყალობით თავის პიროვნულ ნებას დაუმორჩილა ჰიპნოზით მონუსხული ამალა. ის უკვე „ფიურერი" გახლდათ. პარტიამ შეისყიდა მეორეხარისხოვანი გაზეთი „ფიოლკიშერ ბეობახტერ" და თავის ორგანოდ აქცია.

კომუნისტებმა უმალ შეიცნეს თავიანთი მოსისხლე და სულ ერთთავად იმის ცდაში იყვნენ, რამენაირად ჩაეშალათ ჰიტლერის მიერ მოწყობილი მიტინგები; 1921 წლის მიწურულს მან თავისი პირველი მოიერიშე რაზმები ჩამოაყალიბა. მანამდე მთელი ეს წრებრუნვა მხოლოდ ბავარიით შემოიფარგლებოდა. ახლა კი იმ ბედკრულ ვითარებაში, გერმანია რომ იმყოფებოდა ამ პირველი ომის შემდგომ წლებში, რაიხის ამა თუ იმ უბანზე უკვე არაერთი გერმანელი იღებდა ყურად ახალი მახარებლის სიტყვებს. უნაპირო რისხვამ, 1923 წელს ფრანგთა მიერ რურის ოკუპაციამ რომ გამოიწვია მთელს გერმანიაში, უამრავი მომხრე შესძინა ახლა უკვე ნაციონალ-სოციალისტურად სახელდებულ პარტიას. მარკის გაუფასურებამ ფუძე მოუშალა გერმანიის საშუალო ფენას, რომლის არა ერთი და ორი წარმომადგენელი, უიმედო და სასომიხდილი, ახალ პარტიას მიჰკედლებოდა და მძულვარებაში, შურისმგებლობასა და პატრიოტულ თავგამეტებაში პოულობდა შვებას.

ჰიტლერმა იმთავითვე ცხადყო, რომ ძალაუფლების მოპოვების ერთადერთი გზაა აგრესია და ძალადობა ვაიმარის რესპუბლიკის წინააღმდეგ — რესპუბლიკისა, მარცხით გამოწვეულმა გაწბილებამ რომ შვა. 1923 წლის ნოემბერში „ფიურერის" ირგვლივ შემოიკრიბა შეუპოვარ მხარდამჭერთა ჯგუფი, რომელთა შორისაც ღირსსაცნობნი იყვნენ გერინგი, ჰესი, როზენბერგი და რემი. ამ საქმის კაცებმა გადაწყვიტეს, რომ დაჰკრა ჟამმა, ეცადათ ბავარიაში ძალაუფლების ხელში ჩაგდება. გენერალმა ფონ ლუდენდორფმა თავისი სამხედრო სახელი სარისკო საქმეს შეაწია და თავგამეტებით ჩაება პუტჩში. ომამდე ხშირად გაიგონებდით ამგვარ გამონათქვამს, — „გერმანია-

ში რევოლუცია არ მოხდება, რადგან ამ ქვეყანაში ყველა რევოლუცია მკაცრად აკრძალულიაო". ამ შემთხვევაში ხსენებულ განაწესს ხორცი შეასხეს მიუნხენის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა. პოლიციამ ტყვია დაუშინა დემონსტრანტებს, ოღონდ ყველა ღონეს ხმარობდა, აეცილებინა გენერლისათვის, რომელიც სულ წინ-წინ მიიწევდა და ბოლოს იმავ პოლიციელთა რიგებში ამოყო თავი, სადაც მას დიდი მოწიწებით შეხვდნენ. ოცამდე დემონსტრანტი მოკლეს. ჰიტლერი მიწას განერთხა და მყის მიეფარა თვალს სხვა პარტიულ ლიდერებთან ერთად. 1924 წლის აპრილში მას ოთხი წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

გერმანელმა ხელისუფლებმა თუმცა კი წესრიგი დაამყარეს და სასამართლომაც განიკითხა დამნაშავენი, ამ ქვეყნის შვილთ უმეტესწილად იმგვარი გრძნობა დაუფლებოდათ, რომ სასჯელისათვის იმეტებდნენ მათ სისხლს სისხლთაგანს და ხორცს ხორცთაგანს, რომ ხელისუფალნი უცხოთა წისქვილზე ასხამდნენ წყალს და წირავდნენ გერმანიის ყველაზე ერთგულ შვილებს. ჰიტლერს პატიმრობის ვადა ოთხი წლიდან ცამეტ თვემდე შეუმცირეს; თუმცა ლანდსბერგის ციხეში გატარებული თვეები საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ მოესწრო შეესრულებინა ძირითადი მონახაზი ტრაქტატისა „მაინ კამპფი", რომელშიაც გადმოცემული იყო მისი პოლიტიკური ფილოსოფია და რომელიც მიუძღვნა იმხანად პუტჩის დროს დაღუპულთა ხსოვნას. იმ დროს, როდესაც იგი საბოლოოდ მოექცა ხელისუფლების სათავეში, არც ერთი წიგნი არ იმსახურებდა უფრო გულმოდგინე შესწავლას მოკავშირე სახელმწიფოთა პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელთა მხრიდან. მასში ჩადებული იყო ყველაფერი: გერმანიის აღორძინების პროგრამაც, პარტიული პროპაგანდის ტექნიკაც, მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გეგმაც, ნაციონალ-სოციალისტური სახელმწიფოს კონცეფციაც და მტკიცებაც გერმანიის მთელ მსოფლიოზე ბატონობის კანონიერებისა. ეს იყო ახალი ყურანი ბრძოლისა და ღვთისმო-

საობისა — მაღალფარდოვანი, სიტყვაჭარბი, უფორმო, მაგრამ ახალი აღმოჩენებით მდიდარი.

ძირეული თეზისი „მაინ კამპფისა“ მარტივია: ადამიანი არის მებრძოლი ცხოველი; აქედან გამომდინარე, ვინაიდან ერი მებრძოლთა ერთიანობაა, ყოველი ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც შეწყვეტს ბრძოლას არსებობისათვის, სასიკვდილოდაა განწირული. ქვეყანა ან რასა, რომელიც ხელს იღებს ბრძოლაზე, ასევე განწირულია დასაღუპავად. რასის ბრძოლისუნარიანობა მის სიწმინდეზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მისი განწმენდა წამბილწავი უცხო თესლისაგან. ებრაული რასა, რაკი ყველგან აქვს ფეხი მოკიდებული, უცილობლად პაციფისტად და ინტერნაციონალისტად წარმოგვიდგება; პაციფიზმი კი მომაკვდინებელი ცოდვაა, რაკი არსებობისათვის ბრძოლაზე ხელის აღებას გულისხმობს. ამიტომ ყოველი სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობაა, მასებში გააღვივოს ნაციონალისტური გრძნობები. პიროვნებაში ინტელექტის განვითარება როდია არსებითი. ნებისყოფა და შეუპოვრობა — აი, რა არის უმთავრესი. პიროვნება, მბრძანებლობისათვის დაბადებული, ბევრად უფრო დასაფასებელია, ვიდრე სხვათა ნების მორჩილი ასიათასობით ადამიანი. მხოლოდ უხეში ძალა უზრუნველყოფს რასის გადარჩენას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია გასამხედროება. რასამ უნდა იბრძოლოს; უმოქმედო რასა იჟანგება და იღუპება. გერმანული რასა თავის დროზე რომ გაერთიანებულიყო, ახლა უკვე მთელი დედამიწის ბატონ-პატრონი იქნებოდა. ახალმა რაიხმა თავის სამწყსოში უნდა შეკრიბოს მთელს ევროპაში გაბნეული ყველა გერმანული ელემენტი. რასა, რომელმაც მარცხი იწვნია, გადარჩება, თუკი კვლავ იწამებს თავის ძალას. უწინარეს ყოვლისა, არმიას უნდა ჩაუნერგო რწმენა თავისი ძლევამოსილებისა. გერმანელი ერის კვლავ აღდგინებისათვის აუცილებელია, ხალხმა ირწმუნოს, რომ იარაღის ძალით სავსებით შესაძლებელია თავისუფლების მოპოვება. პრინციპი არისტოკრატულობისა გონივრულია თავისი არ-

სით. არასასურველია ინტელექტუალიზმი. განათლების საბოლოო მიზანია აღზრდა გერმანელისა, რომელიც, მცირეოდენწრთვნაგამოვლილი, უმალ ჯარისკაცად გარდაიქმნება. უდიდესი ისტორიული ქარტეხილები წარმოუდგენელი იქნებოდა, ფანატიკური და ისტერიული ვნებათაღელვით ნასაზრდოები მამოძრავებელი ძალა რომ არ ჰყოლოდა. ბურჟუაზიული კეთილშენაძენის — მშვიდობიანობა-წესრიგიანობის — ამარა ვერავინ ვერაფერს გახდებოდა. ქვეყნიერება დღესდღეობით ამგვარი ქარტეხილის გზას დასდგომია და ახალმა გერმანულმა სახელმწიფომ იმისთვის უნდა იზრუნოს, რომ რასა მომზადებული შეხვდეს საბოლოო და უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათ ამქვეყნად.

კეთილსინდისიერება საგარეო პოლიტიკაში სულაც არ არის აუცილებელი. დიპლომატიის დანიშნულება ის კი არაა, ქვეყანა გმირულად დასაღუპავად გაიმეტოს, არამედ იღვაწოს მისი ხსნისა და აღორძინებისათვის. ინგლისი და იტალია — აი, ორად ორი ქვეყანა, რომელთა მოკავშირეობაც მისაღები იქნებოდა გერმანიისათვის. არც ერთი ქვეყანა არ დაიჭერდა კავშირს ჯაბან პაციფისტურ სახელმწიფოსთან, დემოკრატები და მარქსისტები რომ განაგებენ. ვიდრე გერმანია თვითონვე არ მიხედავდა თავის თავს, არც სხვა ვინმე გაუმართავდა ხელს. ვერც ზეცისადმი აღვლენილი ზეშთაგონებული ღაღადისი და ვერც ერთა ლიგაზე დამყარებული ღვთისმოსაური იმედები ვერ დაუბრუნებენ მას დაკარგულ პროვინციებს; მათი დაბრუნება მხოლოდ იარაღის ძალითაა შესაძლებელი. გერმანიამ ძველი შეცდომა არ უნდა გაიმეოროს, — თავის ყველა მტერს ერთბაშად არ უნდა შეერკინოს; მან უნდა აირჩიოს მათგან ყველაზე საშიში და მთელი ძალ-ღონით შეუტიოს. და მხოლოდ მაშინ, როდესაც გერმანია კვლავ მოიპოვებს თანასწორობას და თავის ადგილს დაიმკვიდრებს ამ მზისქვეშეთში, მსოფლიოც აღარ იქნება ანტიგერმანული. საგარეო პოლიტიკაში გერმანიამ არანაირი სენტიმენტალიზმი არ უნდა გამოიჩინოს. სა-

ფრანგეთზე იერიში, მხოლოდ და მხოლოდ სენტიმენტალურ მიზეზთაგან გამომდინარე, სიბრიყვე იქნებოდა. გერმანიას სჭირდება ევროპაში თავისი ტერიტორიის გაფართოება. გერმანიის ომამდელი კოლონიური პოლიტიკა მცდარი იყო; ამდენად, ის უნდა უკუაგდონ. გაფართოების მიზნით, გერმანიამ მზერა უნდა მიაპყროს რუსეთსა და, მეტადრე, ბალტიისპირეთის სახელმწიფოებს. რუსეთთან ყოველგვარი ალიანსი დაუშვებელია. დასავლეთის წინააღმდეგ რუსეთთან ერთად ომის გაჩაღება დანაშაული იქნებოდა, რადგან საბჭოეთს მიზნად დაუსახავს საერთაშორისო იუდაიზმის აღზევება.

ასეთი გახლდათ მისი პოლიტიკის ქვაკუთხედი.

* * *

შიდაპარტიული შუღლით დათრგუნულ და გადაქანცულ გამარჯვებულებს, რომელთაც საკუთარი გასაჭირიც თავზესაყრელად ჰქონდათ, არცთუ მაინცდამაინც გაუმახვილებიათ ყურადღება ადოლფ ჰიტლერის დაუდგრომელ ბრძოლაზე ან კიდევ იმაზე, რომ მისგან თანდათანობით ეროვნული მასშტაბის ფიგურა იკვეთებოდა. კარგა ხანი გავიდა, სანამ ნაციონალ-სოციალიზმი, ანუ „ნაცისტური პარტია", როგორც მას უკვე უწოდებდნენ, დიდ სახელს მოიხვეჭდა გერმანელი ხალხის მასებში, შეიარაღებულ ძალებში, სახელმწიფო აპარატსა თუ მრეწველთა დასში — რომელსაც არცთუ უსაფუძვლოდ ზარავდა კომუნიზმის აჩრდილი — და ამდენად, გერმანულ ყოფაში მძლავრად ფესვგადგმული, მთელი მსოფლიოს ანგარიშგასაწევ ძალად იქცეოდა. როდესაც 1924 წლის მიწურულს ჰიტლერი ციხიდან გამოუშვეს, მან განაცხადა, ხუთი წელი დამჭირდება ჩემი მოძრაობის რეორგანიზებისთვისო.

* * *

ვაიმარის კონსტიტუციის დემოკრატიულ მუხლთაგან ერთ-ერთი რაიხსტაგში არჩევნების ჩატარებას ორ წელიწადში ერთხელ ითვალისწინებდა. იმედოვნებდნენ, რომ ეს მუხლი გერმანელი ხალხის მასებისათვის უზრუნველყოფდა პარლამენტზე სრული და გამუდმებული კონტროლის შესაძლებლობას. პრაქტიკულად ეს მხოლოდ იმას ნიშნავდა, რომ ისინი გამუდმებით ცხოვრობდნენ მშფოთვარე პოლიტიკური ციებ-ცხელებისა და განუწყვეტელი საარჩევნო კამპანიების ატმოსფეროში. ასე ამგვარად, ჰიტლერის წინსვლასა და მისი დოქტრინის სრულყოფას ზუსტად შეგვიძლია თვალი გავადევნოთ. 1928 წელს მას რაიხსტაგში 12 ადგილზე მეტი არა ჰქონია. 1930 წლისათვის ეს რიცხვი 107-მდე გაიზარდა, 1932 წლისათვის კი — 230-მდე. იმ დროისათვის ნაციონალ-სოციალისტური პარტიისათვის ჩვეული დისციპლინა უკვე გერმანიის მთელ სხეულში შეჭრილიყო და მის წარმომადგენლებსაც ყველგან მოეკიდებინათ ფეხი. დიდი გასაქანი პოვა ებრაელთა ყველანაირად დაშინებამ თუ დამცირება-შეურაცხყოფამ...

ნამდვილ პოლიტიკურ ძალას გერმანიაში და ქვეყნის მდგრად სტრუქტურას ომის შემდგომ წლებში წარმოადგენდა რაიხსვერის გენერალური შტაბი და არა თვალის ასახვევად შეთითხნილი რესპუბლიკური მთავრობანი და დემოკრატიული ინსტიტუტები, გამარჯვებულთა მიერ რომ იყო თავსმოხვეული და მარცხის სუნი დაჰკრავდა. გენერალური შტაბი ნიშნავდა და ცვლიდა პრეზიდენტებსა და კაბინეტებს. მარშალ ჰინდენბურგის სახით მან პოვა სიმბოლო თვისი ძალაუფლებისა და თვისი ნების აღმსრულებლისა, მაგრამ 1930 წელს ჰინდენბურგი უკვე 83 წლისა იყო. ამ დროისათვის ხასიათშიც ჭირვეულობა შეჰპარვოდა და გონებრივი შესაძლებლობანიც გვარიანად დაქვეითებოდა. სულ უფრო და უფრო ეპარებოდა სიძაბუნე, დესპოტიზმი და მიკერძოებულობა... გერმანელებისათვის კარგა ხანია ცხადი შეიქნა, რომ მოუწევდათ უხუცესი მარშლისათვის შესაფ-

ერისი შემცველელის გამოძებნა. სწორედ ამ ახალი კაცის ძიებას დაემთხვა ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის მძაფრი აღმავლობა-განვითარება. 1923 წლის მიუნხენის პუტჩის დამარცხების შემდეგ ჰიტლერმა წამოაყენა ვაიმარის რესპუბლიკის ფარგლებში კანონიერების უმკაცრესი დაცვის პროგრამა; თუმც იმავდროულად ნაცისტური პარტიის გასამხედროებულ და ნახევრადგასამხედროებულ ფორმირებათა გაზრდა-გაფართოებას გეგმავდა და აგულიანებდა. მოიერიშეთა თავდაპირველად ძალზე მცირერიცხოვანი რაზმები, ანუ „ყავისფერპერანგიანები", თავიანთი მცირე, მკაცრი დისციპლინის მქონე ბირთვით (ესესი) ისე გამრავლდნენ და გაძლიერდნენ, რომ მათმა საქმიანობამ და პოტენციურმა ძალამ სერიოზული საფიქრალ-საზრუნავი გაუჩინა რაიხსვერს...

რაიხსვერმა გულდასმით გაიზიარა ქვეყანაში დატრიალებული ამბები და თავი აიძულა ეღიარებინა, რომ იგი, როგორც ნაცისტური მოძრაობის ოპოზიციაში მყოფი სამხედრო კასტა და ორგანიზაცია, ვეღარ შეინარჩუნებდა გავლენას გერმანიაზე. ორთავ ჯგუფს აერთიანებდა საერთო ამოცანა — გერმანიის უფსკრულიდან ამოყვანა და მარცხისათვის შურისძიება; ოღონდ რაიხსვერი განასახიერებდა კაიზერული იმპერიის მოწესრიგებულ სტრუქტურას და ზურგს უმაგრებდა ფეოდალთა, არისტოკრატთა, მიწათმფლობელთა და სხვა შეძლებულ ფენებს გერმანული საზოგადოებისა, მოიერიშეთა რაზმების საქმიანობა კი მნიშვნელოვანწილად იქცა მეამბოხეთა მოძრაობად, რასაც კიდევ უფრო აღვივებდა გაღიზიანებულ და აღგზნებულ ავისმქნელთა უკმაყოფილება და გაკოტრებულთა სასოწარკვეთილება. ისინი იმაზე მეტად როდი განსხვავდებოდნენ მათ მიერვე განქიქებულ ბოლშევიკთაგან, ჩრდილო-პოლონელი რომ განირჩევა სამხრეთელისაგან.

ნაცისტურ პარტიასთან დავა რაიხსვერისათვის დამარცხებული ქვეყნის ნაკუწ-ნაკუწ დაგლეჯის ტოლფასი იქნებოდა. 1931-32 წლებში არმიის მეთაურებმა გააცნობიერეს, რომ, როგორც საკუთარი თავის, ისე ქვეყნის სასარგებლოდ, თავი-

ანთი ძალებით უნდა შეკავშირებოდნენ სწორედ იმათ, ვისაც აქამდე უპირისპირდებოდნენ საშინაო პოლიტიკის საკითხებში გერმანული გონისათვის ჩვეული სიმტკიცითა და სიმკაცრით. თავის მხრივ, ჰიტლერსაც, თუმც კი კლდეს გაანგრევდა ძალაუფლების ციტადელში შესაღწევად, სულ თვალწინ ედგა დიდი და ბრწყინვალე გერმანიის ხელისუფალნი, სიჭაბუკის წლებიდანვე აღფრთოვანებისა და ერთგულების გრძნობას რომ აღუძრავდნენ. ასე რომ, თანხმობის ბუნებრივი წინამძღვრები ორთავ მხარეს მოეპოვებოდა. არმიის მესვეურებმა თანდათანობით გაიცნობიერეს, რომ ქვეყანაში ნაცისტური პარტიის უდიდესი ზეგავლენის გამო გერმანული სახელმწიფოს თავკაცად ჰინდენბურგის ერთადერთი მემკვიდრე ჰიტლერი უნდა ყოფილიყო. ჰიტლერს, თავის მხრივ, შეგნებული ჰქონდა, რომ გერმანიის აღორძინების მისეული პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი იყო კავშირის დამყარება რაიხსვერის მმართველ ელიტასთან. გარიგება მოხდა და გერმანიის არმიის თავკაცები შეუდგნენ ჰინდენბურგის დარწმუნებას, რომ რაიხის სავარაუდო კანცლერად ჰიტლერი ეღიარებინა. ასე რომ, ჰიტლერმა — რომელიც დასთანხმდა „ყავისფერპერანგიანთა“ საქმიანობის შეზღუდვას, მათი გენერალური შტაბისათვის დაქვემდებარებას და დროთა განმავლობაში, თუ საჭირო შეიქნებოდა, მათ აღკვეთასაც — მოიპოვა გერმანიის ყველაზე გავლენიანი ძალების მხარდაჭერა, მიაღწია ადმინისტრაციული იერარქიის მწვერვალსა და აშკარა ცვლილებებს გერმანული სახელმწიფოს უმაღლეს ხელისუფლებაში. შორს გაიჭრა კაპრალი!..

თავი V

კალიების შემოსევის წლები

(1931-1935 წწ.)[1]

1931 წელს ჩატარებული საყოველთაო არჩევნების შედეგად ჩამოყალიბებული ინგლისის მთავრობა ერთი შეხედვით თითქოს ერთ-ერთი უძლიერესთაგანი იყო, არადა, ბრიტანულ წერილობით წყაროებს თუ ვენდობით და სიმართლეს ვაღიარებთ, ყველაზე უსუსური გახლდათ. პრემიერ-მინისტრი მისტერ რამსეი მაკდონალდი, აქედანაც და იქიდანაც სიმწარენაწვნევი, გამიჯვნოდა სოციალისტურ პარტიას, რომლის შექმნასაც მთელი სიცოცხლე შეალია. იმ დროიდან მოყოლებული, ხელისულების სათავეში მოქცეული — ხელისუფლებისა, ეროვნულად რომ ნათლავდნენ, არადა, ბევრწილად კონსერვატული რომ გახლდათ — ჯავრიან განსჯა-ფიქრსა და უმოქმედობას მისცემოდა. მისტერ ბოლდუინს ნაღდი ძალაუფლება ერჩია მოჩვენებითს და ჩრდილში მდგომი, ერთობ მშვიდად მართავდა ქვეყანას. საგარეო საქმეთა სამინისტროს სათავეში ედგა სერ ჯონ საიმონი, ლიბერალთა ერთ-ერთი ლიდერი. ქვეყნის შიგნით ხელისუფლების ძირითად საქმიანობას ეწეოდა ნევილ ჩემბერლენი, რომელმაც სულ მალე შეცვალა სნოუდენი ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე. არჩევნებზე გაშავებულ ლეიბორისტულ პარტიას, რომელსაც ბრალდებოდა ფინანსური კრიზისი, სათავეში ედგა პაციფისტი მისტერ ჯორჯ ლონსბერი. ამ ხელისუფლების თითქმის ხუთწლიანი მმართველობის ხანაში — 1931 წლის იანვრიდან 1935 წლის ნოემბრის ჩათვლით — ევროპის კონტინენტზე საერთო ვითარება ძირფესვიანად შეიცვალა...

---

[1] ოთხი წლის შემდეგ ბიბლიის კარგად მცოდნე სერ თომას ინსკიფმა, თავდაცვის კოორდინაციის მინისტრმა, ამ შავბნელ ხანას, რომლის მემკვიდრეობაც მას ერგო, ხატოვანი ბიბლიური გამოთქმა მიუსადაგა: „წლები, კალიებმა რომ შთანთქეს“.

* * *

ამ დროს კი სრულიად გერმანია არა ცხრებოდა, ქვეყანაში დიდმნიშვნელოვანი ამბები ხდებოდა.

1932 წლის მაისში, ბრიუნინგის კაბინეტის დაცემის მომდევნო წელს, ბევრი რამ მოხდა. პაპენი და პოლიტიკური მხედართმთავარი შლაიხერი აქამდე იმასა ცდილობდნენ, ჭკუა და ხერხი ეხმარათ და ასე ემართათ გერმანია. ახლა ის დრო წარსულს ჩაბარდა. პაპენი, რომელმაც ბრიუნინგი შეცვალა კანცლერის პოსტზე, იმედოვნებდა, რომ შეძლებდა ქვეყნის მართვას პრეზიდენტ ჰინდენბურგის ამალისა და რაიხსტაგის უკიდურესად ნაციონალისტური ჯგუფის მხარდაჭერით. 20 ივლისს გადაიდგა გადამწყვეტი ნაბიჯი, — ძალა იხმარეს და განდევნეს პრუსიის სოციალისტური მთავრობა. როდესაც პრუსიის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, მხოლოდ ფიზიკური ძალის მოშველიებით თუ დამაყრევინებთ ფარ-ხმალსო, ჰკითხეს, მაინც რა ოდენობის ძალა გჭირდებათო და შემდეგ თავისი საწერი მაგიდიდან გამოათრიეს. მაგრამ პაპენის მეტოქეს ძალაუფლება სწყუროდა. შლაიხერის ვარაუდით, ძაღლის თავი დამარხული იყო იმ ძალების წიაღში, ქარიშხალივით რომ შემოჭრილიყო გერმანიის პოლიტიკაში და ადოლფ ჰიტლერის სულ უფრო მზარდ ძალაუფლებასა და სახელმოხვეჭილობას ამოჰფარებოდა. იგი იმედოვნებდა, რომ ჰიტლერულ მოძრაობას რაიხსვერის მორჩილ თანამდგომად გაიხდიდა და ამ გზით ორთავ მხარეს თავად გაუწევდა მეთვალყურეობას. 1931 წელს დამყარებული ურთიერთობა შლაიხერსა და რემს — ნაცისტების მოიერიშეთა რაზმების ლიდერს — შორის მომდევნო წელს კიდევ უფრო გაღრმავდა და შლაიხერსა და თავად ჰიტლერს შორის ურთიერთკავშირად გამოიკვეთა. ძალაუფლებისაკენ მიმავალ გზაზე ორთავ მათგანს თითქოს მხოლოდ პაპენი ეღობებოდა და, კიდევ, ჰინდენბურგისაგან მისდამი გამხელილი ნდობა.

1932 წლის აგვისტოში პრეზიდენტის პირადი გამოძახების საფუძველზე ჰიტლერი ბერლინში ჩამოვიდა. ჩანს, დაჰკრა ჟამმა გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმისა. ფიურერის ზურგს უკან იდგა 13 მილიონი გერმანელი ამომრჩეველი. მას შეეძლო მნიშვნელოვან თანამდებობას წაჰპოტინებოდა მთავრობაში. გარკვეული თვალსაზრისით, ახლა იგი იმ დღეში იყო, მუსოლინი რომ იმყოფებოდა რომზე ლაშქრობის წინადღით. მაგრამ პაპენი არად დაგიდევდათ იტალიის უახლეს ისტორიას. მას ჰინდენბურგი უმაგრებდა ზურგს და სულაც არ ფიქრობდა თანამდებობაზე ხელის აღებას. მხცოვანმა მარშალმა თვალი ჰკიდა ჰიტლერს; ეგაა, რომ დიდად არ მოხიბლულა. „ის კაცი კანცლერად?! მაგას პოსტმეისტერად გავიხდი; ჰოდა, დადგეს და ლოკოს მარკები, რომლებზეც ჩემი თავია გამოსახული". სასახლის წრეებში ჰიტლერი ისეთი წონიანი როდი გახლდათ, მისი მეტოქეები რომ იყვნენ.

ქვეყანაში შფოთსა და მღელვარებას მოეცვა ამომრჩეველთა ჯარი. 1932 წლის ნოემბერში იმ წელს მეხუთედ ჩატარდა არჩევნები სრულიად გერმანიაში. ნაცისტებს ფეხქვეშ ნიადაგი გამოეცალათ და მათი 230 მანდატი 196-მდე შეიკვეცა; ისე რომ, სასწორი კომუნისტებისაკენ გადაიხარა. ჰოდა, მოგვარებულ-გარიგებული ძალაუფლება ფიურერისა შეირყა. იქნებ, გენერალი შლაიხერი ბოლოს და ბოლოს უმისოდაც იოლად გასულიყო ფონს. გენერალმა ჰინდენბურგის მრჩეველთა წრეში კეთილგანწყობა მოიპოვა. 17 ნოემბერს პაპენი გადადგა და მის ნაცვლად კანცლერი გახდა შლაიხერი. მაგრამ, თურმე ნუ იტყვით, ახალ კანცლერს ის უფრო ეხერხებოდა, ფარულად ემოქმედა, ვიდრე ხელისუფლების სათავეში ეღვაწა დაუფარავად. მას უთანხმოება მოსდიოდა უამრავ ხალხთან. მის წინააღმდეგ ჰიტლერი შეეკრა პაპენსა და ნაციონალისტებს, კომუნისტები კი ნაცისტებთან ქუჩური ბრძოლითა და მთავრობის წინააღმდეგ მიმართული გაფიცვებით შეუძლებელს ხდიდნენ მის ყოფნას ხელისუფლების სათავეში. პაპენი შეეცადა პიროვნული ზემოქმედება მოეხდინა პრეზიდენტ ჰინდენბურგზე. განა, ბოლოს და ბოლოს,

საუკეთესო გამოსავალი არ იქნებოდა ჰიტლერის დაშოშმინება და მთელი პასუხისმგებლობისა და ტვირთის მისთვის აკიდება?! ჰინდენბურგი, როგორც იქნა, უხალისოდ დასთანხმდა. 1933 წლის 30 იანვარს ადოლფ ჰიტლერმა გერმანიის კანცლერის თანამდებობა დაიკავა.

ყველამ, ვინც აპირებდა და შეეძლო წინ აღსდგომოდა ახლებურ წესებს, მალე საკუთარ თავზე იწვნია პატრონის ხელი. 2 თებერვალს აიკრძალა გერმანიის კომუნისტური პარტიის ყველა მიტინგი თუ დემონსტრაცია და მთელს გერმანიაში გაჩაღდა კომუნისტების კუთვნილი საიდუმლო იარაღის ამოღება. დაგვირვინება იყო 1933 წლის 27 თებერვლის საღამო. რაიხსტაგის შენობა ცეცხლის ალში გაეხვია. გამოიძახეს „ყავისფერპერანგიანთა“ და „შავპერანგიანთა“ რაზმები და მათი დამხმარე ნაწილები. ერთ ღამეში დააპატიმრეს ოთხი ათასი კაცი, მათ შორის, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა. ამ ღონისძიებათა გატარება დაევალა გერინგს, იმხანად პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრს. ეს ღონისძიებანი იყო წინამძღვარი მომავალი არჩევნებისა და ახალი რეჟიმის ყველაზე მრისხანე მოწინააღმდეგეების — კომუნისტების დამარცხებისა. საარჩევნო კამპანიის ორგანიზებას ხელი მოჰკიდა გებელსმა, რომელსაც არც ხერხიანობა აკლდა და არც თავგამოდება.

მაგრამ გერმანიაში ჯერ კიდევ მრავლად იყო ძალები, რომელნიც ვერ შეჰგუებოდნენ ჰიტლერიზმს და მტკიცედ, შეუპოვრად წინ აღსდგომოდნენ მას. კომუნისტებმა და იმ მრავალრიცხოვანმა გერმანელებმა, თავგზააბნეულნი და სასოწარკვეთილნი მათთან ერთად რომ იყრიდნენ კენჭს, 81 მანდატი მიიღეს, სოციალისტებმა კი — 118 და პაპენისა და ჰინდენბურგის ნაციონალისტებმა — 52. ჰიტლერმა კი — მათმა მოცილემ — მიიღო ნაცისტებისათვის მიცემული 17 მილიონ 300 ათასი ხმა და 288 მანდატი. ასე და მხოლოდ ასე — ათასნაირი ხრიკებითა და ოინებით — შეძლო ჰიტლერმა მოეპოვებინა არჩევნებში გერმანელი ხალხის ხმათა უმეტესობა. რაიხ-

სტაგში მას ჰქონდა 288 მანდატი დანარჩენ პარტიათა 251 მანდატის წინააღმდეგ, სულ მხოლოდ 37 მანდატით მეტი. ცივილიზებულ პარლამენტურ მთავრობაში თავჩენილი რიგითი პროცესების მიმდინარეობისას ასეთ საგულისხმო რაოდენობის უმცირესობას დიდი წონა და გავლენა ექნებოდა ქვეყანაში, მაგრამ ახალ ნაცისტურ გერმანიაში უმცირესობას უნდა გაეცნობიერებინა, რომ მას ყოველგვარი უფლებები აყრილი ჰქონდა.

1933 წლის 21 მარტს პოტსდამის საგარნიზონო ეკლესიაში ფრიდრიჰ დიდის აკლდამის სიახლოვეს ჰიტლერმა გახსნა მესამე რაიხის პირველი რაიხსტაგი. ეკლესიის შენობაში ისხდნენ რაიხსვერის წარმომადგენლები — სიმბოლო გერმანელთა დაუსაბამო ძლიერებისა — მოიერიშეთა რაზმებისა და ესესის უფროსი ოფიცრები, აღორძინების გზაზე მდგარი გერმანიის ახალი წარმომადგენლები. 24 მარტს რაიხსტაგის უმეტესმა ნაწილმა, ყველა მოწინააღმდეგე რომ დათრგუნა და დაზაფრა, 441 ხმით 94-ის წინააღმდეგ მიიღო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ კანცლერი ჰიტლერი აღეჭურვათ საგანგებო უფლებამოსილებებით ოთხი წლის ვადით. კენჭისყრის შედეგების გამოცხადებისთანავე ჰიტლერმა გახედა იქ მსხდომ სოციალისტებს და მიაძახა, ანი თქვენ აღარაფერში მჭირდებითო.

არჩევნებით გამოწვეული საყოველთაო აღტყინების ვითარებაში ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მოზეიმე კოლონების წარმართული თაყვანისცემით გამსჭვალულმა გაჩირაღდნებულმა პროცესიამ თვისი წინამძღოლის თვალწინ დაწალიკებით ჩაუქროლა ბერლინის ქუჩებს. ხანგრძლივი იყო მათი ბრძოლა და ძნელად გასაცნობიერებელი — უცხოელისათვის, მით უფრო, თუ მას მარცხის სიმწარე არ უწვნევია. და აი, როგორც იქნა, გამოჩნდა ადოლფ ჰიტლერი, მაგრამ მარტო როდი იყო იგი... მან განცდილი მარცხის სიღრმისეული შრეებიდან ამოამზეურა ბნელი პირველყოფილი ვნებანი, რომლებიც ჩაბუდებულიყო ყველაზე რიცხვმრავალ, ყველაზე ქმედით, ულმობელ, წინააღმდეგობრივსა და ბედუკუღმართ რასაში ევროპისა. ვით

გრძნეულმა, გამოიხმო შიშის ზარდამცემი სახება ყოვლის შთანმთქმელი მოლოხისა, რომლის ქურუმიც თავად იყო და განსხეულებაც. ჩემი მიზანი არ გახლავთ აღწერა წარმოუდგენელი სისასტიკისა და სიმდაბლისა, რომლის გამოისობითაც იქმნებოდა მძულვარებისა და ტირანიის ეს აპარატი, ან დახვეწას რომ საჭიროებდა. ამ ამბების გადმოცემისას ჩემი ერთადერთი მიზანია უცილობლად წარვუდგინო მკითხველს ის ახალი და შემზარავი ფაქტი, რის წინაშეც აღმოჩნდა ჯერაც გონდაბინდული მსოფლიო: გერმანიას მართავდა ჰიტლერი და გერმანია იარაღდებოდა.

* * *

ვიდრე გერმანიაში ეს მომაკვდინებელი ცვლილებები ხდებოდა, მაკდონალდ-ბოლდუინის მთავრობამ თავის მოვალეობად მიიჩნია განსაზღვრული ვადით მკვეთრად შეემცირებინა და შეეზღუდა ფინანსური კრიზისით გამოწვეული ჩვენი ისედაც მოკრძალებული შეიარაღება და ჯიუტად თვალს ხუჭავდა შემაშფოთებელ სიმპტომებზე ევროპაში. მისტერ მაკდონალდმა და მისმა კონსერვატორმა და ლიბერალმა კოლეგებმა — გაშმაგებულნი სულ იმას რომ ცდილობდნენ, გამარჯვებულთა განიარაღებაც იმ ჩარჩოებში მოექციათ, დამარცხებულთათვის რომ იყო განსაზღვრული ვერსალის ხელშეკრულების მიხედვით — მთელი რიგი წინადადებანი წამოაყენეს ერთა ლიგის წინაშე და მოსინჯეს ყველა სხვა არხი, რომელიც კი ხელმისაწვდომი იყო მათთვის. ფრანგები, თუმცა მათი პოლიტიკური ცხოვრება კვლავ არცთუ დიდად მნიშვნელოვანი ძვრებითა და უწყვეტი ცვალებადობით ხასიათდებოდა, დაჟინებით ებღაუჭებოდნენ თავიანთ არმიას, რადგან მასში ხედავდნენ საფრანგეთის არსებობისა და მისი ყველანაირი ალიანსის ბურჯსა და საყრდენს. ამგვარი განწყობის გამო მათი მისამართით გაისმოდა საყვედურები როგორც ინგლისის, ისე შეერთებული შტატების მხრი-

დან. პრესისა და საზოგადოებრიობის თვალსაზრისი საქმის ჭეშმარიტ არსს როდი ეფუძნებოდა, მაგრამ მტრული დამოკიდებულება აშკარად მომძლავრებულიყო.

როდესაც 1932 წლის მაისში თემთა პალატაში ყველა პარტია ხოტბას ასხამდა განიარაღების დიდმნიშვნელოვანებას, საგარეო საქმეთა მინისტრმა დასახა ახალი გეზი იარაღის იმ სახეობათა კლასიფიკაციისა, რომელთა გამოყენება ნებადართული ან შეზღუდული იქნებოდა. მან ამას ხარისხობრივი განიარაღება უწოდა. შეცდომის მხილება უფრო იოლი იყო, ვიდრე პალატის წევრთა დარწმუნება. მე, აი, რა განვაცხადე:

„საგარეო საქმეთა მინისტრმა მოგვახსენა, რომ ძნელია იარაღის დაყოფა შემტევითი და თავდაცვითი იარაღის კატეგორიებად. ეს მართლაც ასეა, ვინაიდან თითქმის ყველანაირი იარაღის გამოყენება შეიძლება როგორც თავდასაცავად, ისე საიერიშოდ როგორც აგრესორის, ისე მისი ძალმომრეობის უდანაშაულო მსხვერპლის მიერ. დამპყრობლისათვის საქმის გასაძნელებლად მძიმე იარაღი, ტანკები და მომწამვლელი გაზები უნდა მიეკუთვნოს შემტევითი იარაღის მავნე კატეგორიას. მაგრამ საფრანგეთში გერმანიის შეჭრა 1914 წელს იარაღის აღნიშნულ სახეობათა გამოუყენებლად დაგვირგვინდა. მძიმე იარაღი უნდა განვიხილოთ, როგორც შემტევითი იარაღი. იგი უპრიანია ციხესიმაგრეში; იქ ის უცოდველია და უწყინარი თავისი არსით. მაგრამ, აბა, ველზე სცადეთ — რაც, თუ ამის საჭიროება შეიქნა, მოხდება კიდეც, — მყის გადაგვარდება, გაბოროტდება და შესარკინებლად აღიმართება, რის გამოც უნდა აიკრძალოს ცივილიზებულ სამყაროში. ახლა ტანკი ვთქვათ. გერმანელები, საფრანგეთში რომ შეიჭრნენ, გამაგრდნენ იქ და სულ რაღაც რამდენიმე წელიწადში გაანადგურეს 1500000 ფრანგი და ინგლისელი ჯარისკაცი, რომლებიც ლამობდნენ საფრანგეთის მიწა-წყლის გათავისუფლებას. ტანკი იმისთვის გამოიგონეს, რომ მას დაეჯაბნა ცეცხლი ტყვიამფრქვევებისა, რომელთა წყალობითაც გერმანელები საფრანგეთში გამაგრებულიყვნენ და მან აურაცხელი ადამიანის სიცოცხლე იხსნა მო-

მხდურთაგან მშობლიური მიწა-წყლის გათავისუფლებისას. ახლა კი, როგორც ჩანს, ტყვიამფრქვევი, ანუ იარაღი, რომლის წყალობითაც გერმანელები ინარჩუნებდნენ 13 ფრანგულ პროვინციას, ჩაითვლება უცოდველ და თავდაცვით იარაღად, ტანკი კი, მოკავშირეთა სიცოცხლეს ბურჯად რომ ედგა, ყველა მართალმა თუ ღირსეულმა კაცმა უნდა დაგმოს და აირიდოს...

უფრო მართებული კლასიფიკაციისას უნდა აიკრძალოს მასობრივი განადგურების იარაღი, განურჩევლად ყველგან სიკვდილს რომ თესავს და ჭრილობებით სერავს არა მარტო ბრძოლის ველზე მეომართ, არამედ სამოქალაქო პირებსაც — მამაკაცებს, ქალებსა და ბავშვებს, რომელნიც კარგა მანძილით არიან დაშორებული იმ არე-მიდამოს. აი, რა მიმართულებით შეუძლიათ, ჩემი აზრით, იმედიანად წინსვლა ჟენევაში შეკრებილ გაერთიანებულ ერებს...“

ბოლოს მე მივეცი ჩემი პირველი ოფიციალური გაფრთხილება მოახლოებული ომის თაობაზე:

„ჩემთვის ერთობ დასანანი იქნება თვალის გასწორება იმისათვის, რომ გერმანიის სამხედრო ძლიერება გარკვეულწილად გაუთანაბრდეს საფრანგეთისას. მას, ვინც ამას მართებულად ან თუნდაც კეთილსინდისიერ ქმედებად მიიჩნევს, სრულებით ვერ გაუცნობიერებია, თუ რაოდენ სერიოზული საფრთხის წინაშეა ევროპა...“

* * *

ხელისუფლების სათავეში ეგრეთ წოდებული ეროვნული მთავრობის ყოფნისას საზოგადოებრივი აზრი სულ უფრო მეტად იხრებოდა იქითკენ, რომ თავიდან მოეშორებინა გერმანიაზე ყველანაირი ფიქრი... და მაინც, როცა 1932 წელს გერმანიის დელეგაციამ განიარაღების თაობაზე მოწვეულ კონფერენციაზე კატეგორიულად მოითხოვა მისი ხელახლა შეიარაღების უფლებაზე ყოველგვარ შეზღუდვათა მოხსნა, ამან სერიო-

ზული მხარდაჭერა პოვა ინგლისის პრესაში. „თაიმსი“ წერდა „უთანასწორობის დროულ აღკვეთაზე“, „ნიუ სთეითსმენი“ კი — „სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის უპირობო აღიარებაზე“. ეს იმას ნიშნავდა, რომ 70 მილიონ გერმანელს ნება ეძლეოდა ხელახალი შეიარაღებისა და ომისათვის მზადებისა მაშინ, როდესაც ამასწინანდელ შემზარავ ბრძოლაში გამარჯვებულ ქვეყნებს იმის უფლებაც კი არა ჰქონდათ, რომ რაიმე საწინააღმდეგო აზრი გამოეთქვათ. მძლეველთა და ძლეულთა სტატუსის თანასწორუფლებიანობა, თანასწორუფლებიანობა ოცდაცხრამეტმილიონიან საფრანგეთსა და გერმანიას შორის, — გერმანიისა, რომლის მოსახლეობა თითქმის ორ იმდენს მიითვლიდა!..

პოპულარობით ატაცებულმა მისი უდიდებულესობის მთავრობამ 1933 წლის 16 მარტს გამოაქვეყნა მისი ავტორისა და სულისჩამდგმელის პატივსაცემად ე. წ. „მაკდონალდის გეგმად“ სახელდებული დოკუმენტი. გეგმის ამოსავალი პუნქტი გახლდათ მიღება არმიის ფრანგული კონცეფციისა მოკლევადიანი სამსახურით, — ამ შემთხვევაში იგი განისაზღვრებოდა რვა თვით, რის შემდეგაც გვთავაზობდა თითოეული ქვეყნისათვის მეომართა ზუსტი რაოდენობის დადგენას. საფრანგეთის არმია, მშვიდობიანობის დროს 500 ათას კაცს რომ მიითვლიდა, 200 ათასამდე მცირდებოდა, გერმანიისა კი, შესაბამისად, იზრდებოდა და იმავ რიცხვს უტოლდებოდა. იმ დროისათვის გერმანელთა შეიარაღებული ძალები, რომელთაც თუმც ჯერ კიდევ არა ჰყავდათ მრავალრიცხოვანი გაწვრთნილი თადარიგოსნები — რადგან ამისათვის საჭირო იყო ყოველწლიურად სამხედრო სამსახურში სისტემური გაწვევა — ეჭვს გარეშეა, უკვე მიითვლიდნენ მილიონზე მეტ ნაწილობრივ შეიარაღებულ მგზნებარე მოხალისეს, აღჭურვილთ ნაირგვარი უახლესი იარაღით, რომელსაც მათთვის ამზადებდნენ ცვალებადი პროფილისა და ნახევრად პროფილშეცვლილი ქარხნები.

პირველი მსოფლიო ომის დასასრულისათვის საფრანგეთს, ისევე, როგორც დიდ ბრიტანეთს, ჰქონდა მძიმე საარტილერიო

იარაღის უდიდესი მარაგი მაშინ, როდესაც გერმანელთა არმიის იარაღი განადგურდა, როგორც ამას ხელშეკრულება ითვალისწინებდა. მაკდონალდი იღვწოდა ამ აშკარა უთანასწორობის აღსაკვეთად და ამ მიზნით მოუწოდებდა მოძრავი საარტილერიო იარაღისათვის 105-მილიმეტრიანი ან 4,2-დიუმიანი ზღვრული კალიბრის დაწესებას. 6-დიუმამდე-კალიბრიანი არსებული იარაღის შენარჩუნება დასაშვები იქნებოდა, მაგრამ ძველის ახლით შეცვლისას 4,2 დიუმამდე უნდა შეზღუდულიყო. ბრიტანეთის ინტერესები, ესოდენ განსხვავებული საფრანგეთის ინტერესებისაგან, 1935 წლამდე დაცულ უნდა ყოფილიყო გერმანიის სამხედრო-საზღვაო შეიარაღების სამშვიდობო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეზღუდვის ხარჯზე; ამ ვადის გასვლისთანავე კი უნდა მოეწვიათ ახალი საზღვაო კონფერენცია. გერმანიას ეკრძალებოდა სამხედრო ავიაციის ყოლა შეთანხმების მოქმედების პერიოდში, მაგრამ სამ მოკავშირე სახელმწიფოს უნდა შეემცირებინა საკუთარი სამხედრო-საჰაერო ძალები, თითოეულს — 500 თვითმფრინავამდე.

მე დიდი გულისწყრომით ვადევნებდი თვალს ამ შეტევას საფრანგეთის შეიარაღებულ ძალებზე და მეცადინეობას გერმანიისა და საფრანგეთის ძალთა გათანაბრებისა...

მაგრამ ფრანგებს ეყოთ გამბედაობა დაბეჯითებით მოეთხოვათ, რომ მათი მძიმე სამხედრო აღჭურვილობის განადგურება ოთხი წლით გადაევადებინათ. ინგლისის მთავრობამ მიიღო ეს შესწორება იმ პირობით, რომ საფრანგეთის თანხმობა მისი არტილერიის განადგურების თაობაზე დაფიქსირდებოდა საგანგებო დოკუმენტში, რომელსაც დაუყოვნებლივ მოაწერდნენ ხელს. საფრანგეთი დასთანხმდა ამ მოთხოვნას და 1933 წლის 12 ოქტომბერს სერ ჯონ საიმონმა, რომელმაც გამოთქვა შეშფოთება იმის თაობაზე, რომ გერმანიამ ბოლო კვირეებში შეიცვალა თავისი პოზიცია, ამ წინადადებათა პროექტი განსახილველად წარუდგინა განიარაღების საკითხებზე მოწვეულ კონფერენციას.

შედეგი სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა. ჰიტლერმა, ამჟამად კანცლერმა და თავკაცმა სრულიად გერმანიისა, ხელისუფლების სათავეში მოქცევისთანავე გასცა ბრძანება საყოველთაო-სახალხო ომისათვის გადამწყვეტი სამზადისის გაჩაღებისა როგორც საწვრთნელ ბანაკებში, ისე საწარმოებში; იგი უკვე გრძნობდა ძლიერ ზურგს. მას იმისთვისაც კი არ შეუწუხებია თავი, რომ მიეღო ის დონკიხოტური წინადადებანი, რომელთა თავზე მოხვევაც უნდოდათ მისთვის; აგდებული ჟესტით უბრძანა გერმანიის მთავრობის წარმომადგენლებს, დაეტოვებინათ როგორც კონფერენცია, ისე ერთა ლიგა. ასეთი ბედი ეწია „მაკდონალდის გეგმას“...

* * *

მკითხველი უთუოდ შემინდობს პირადული ხასიათის ამ მცირე გადახვევას.

1932 წლის ზაფხულში ჩემს წიგნზე — „მარლბოროს ცხოვრება“ — მუშაობასთან დაკავშირებით მოვინახულე ის ადგილები ნიდერლანდებსა და გერმანიაში, სადაც მას არაერთი ბრძოლა გადაეხადა. ჩვენმა ოჯახურმა ექსპედიციამ სასიამოვნო მოგზაურობა განახორციელა მარლბოროს მიერ 1705 წელს განვლილი მარშრუტით — ჰოლანდია-დუნაი; ამასთან, გადავლახეთ რაინი კობლენცთან. ვიდრე ამ მშვენიერ ადგილებში ერთი ღირსშესანიშნავი უძველესი ქალაქიდან მეორეში გადავდიოდით, მე, ბუნებრივია, ცნობებს ვაგროვებდი ჰიტლერულ მოძრაობაზე და დავრწმუნდი, რომ ეს იყო ყოველი გერმანელის განსჯაფიქრის უმთავრესი საგანი. შევიგრძენი ჰიტლერიზმის ატმოსფერო. ბლენჰაიმში ბრძოლის ველზე გატარებული დღის შემდეგ მიუნხენს გავემგზავრე და მშვენივრად გავატარე რამდენიმე დღე.

ოტელ „რეგინაში“ ჩემს ერთ-ერთ თანამგზავრს ერთი ჯენტლმენი გაეცნო. ჰერ ჰანფშტენგლი — ეს გახლდათ მისი

გვარი — სულ „ფიურერზე“ ლაპარაკობდა, რომელთანაც, როგორც ჩანს, ერთობ ახლო ურთიერთობა ჰქონდა. რაკი ხალისიანი და კარგი მოსაუბრე ჩანდა და ინგლისურადაც მშვენივრად მეტყველებდა, სადილად დავპატიჟე. იგი ზედმიწევნით საინტერესოდ მსჯელობდა ჰიტლერის მოღვაწეობასა და შეხედულებებზე. ისე ლაპარაკობდა, იფიქრებდით, მოჯადოებულიაო. შესაძლოა, დავალებულიც კი ჰქონდა ჩემთან ურთიერთობის დამყარება და აშკარად მონადინებული იყო რამენაირად ესიამოვნებინა ჩემთვის. სადილის შემდეგ ფორტეპიანოს მიუჯდა და ისე მშვენივრად დაამღერა ათასგვარი სიმღერა თუ მელოდია, რომ უდიდესი სიამოვნება მოგვანიჭა. აღმოჩნდა, რომ ყველა ჩემი საყვარელი ინგლისური მელოდია იცოდა. ბრწყინვალედ შეეძლო საზოგადოების შექცევა და ცნობილია, რომ იმხანად ფიურერისათვის გამორჩეულად საყვარელი კაცი გახლდათ. განმიცხადა, რომ უთუოდ უნდა შევხვედროდი ჰიტლერს და რომ ამის მოხერხება სულ ადვილად შეიძლებოდა; რომ ჰიტლერი ყოველდღე მოდიოდა ამ ოტელში დღის 5 საათისათვის და მართლაც ძალზე მოხარული იქნებოდა, თუ შევხვდებოდი.

იმხანად ჰიტლერის მიმართ არანაირი ნაციონალური ცრურწმენით არა ვყოფილვარ განმსჭვალული. არცთუ ბევრი რამ ვიცოდი მისი დოქტრინისა თუ ნაწერების შესახებ და წარმოდგენაც არ მქონდა მის პიროვნულ თვისებებზე. მე აღტაცებაში მოვყავარ ადამიანებს, თავიანთ დამარცხებულ სამშობლოს ქომაგად რომ უდგებიან, თუნდაც თავად მოპირისპირე მხარეს ვიდგე. მას სრული უფლება ჰქონდა, გერმანელი პატრიოტი ყოფილიყო, თუკი ამას მოისურვებდა. სულ ის მინდოდა, რომ ინგლისი, გერმანია და საფრანგეთი მეგობრები ყოფილიყვნენ. და მაინც, ჰანფშტენგლთან საუბრისას სხვათა შორის ვიკითხე: „რატომაა, რომ თქვენს ბელადს ასე საშინლად სძულს ებრაელები? მე მშვენივრად შემიძლია გავიგო გააფთრება იმ ებრაელთადმი, რომელთაც რაღაც დანაშაული ჩაუდენიათ ან ბრალი მიუძღვით ქვეყნის წინაშე; მე ისიც კარგად მესმის, რომ

წინ უნდა აღუდგე მათ, როდესაც ცდილობენ გაბატონებული ადგილი მოიპოვონ ცხოვრების ნებისმიერ სფეროში. მაგრამ განა გონივრულია მტრულად განეწყო ადამიანისადმი მხოლოდ მისი წარმოშობის გამო? ვითომ კაცია გამგებელი თვისი წარმომავლობისა?!" როგორც ჩანს, მან ეს ჰიტლერს მოახსენა, რადგან მეორე დღესვე, შუადღისათვის, ძალზე სერიოზული იერით გამოგვეცხადა და გვითხრა, რომ ჩემი შეხვედრა ჰიტლერთან, რომელზეც შემითანხმდა, ველარ მოხერხდებოდა, რადგან იმ დღეს ფიურერი ოტელში არ მობრძანდებოდა. მეტად აღარ შევხვედრივარ ამ კაცს — მეტსახელად „პუტცი" რომ შეერქმიათ — მიუხედავად იმისა, რომ ამ ოტელში კიდევ რამდენიმე დღეს დავყავით. ასე გაუშვა ხელიდან ჰიტლერმა ერთადერთი შესაძლებლობა ჩემთან შეხვედრისა. მოგვიანებით, როცა ის უკვე ძალაუფლების მწვერვალზე იმყოფებოდა, რამდენჯერმე მიმიწვია თავისთან; მაგრამ იმ დროისათვის უკვე ბევრ წყალს ჩაევლო და მეც თავი ავარიდე...

* * *

ვიდრე ევროპაში მძლეველთა და ძლეულთა სამხედრო ძალთა უთიერთმიმართებაში ასეთი საშიში ცვლილებები ხდებოდა, შორეულ აღმოსავლეთში არააგრესიულ და მშვიდობისმოყვარე ქვეყნებს შორისაც სრულმა უთანხმოებამ იჩინა თავი. აქაც, სწორედ ისე, ვით ევროპაში, მოვლენათა განვითარებამ ავბედითი ხასიათი მიიღო და ამის მიზეზი შეიქნა ისეთივე დადამბლავება აზრისა და ქმედითუნარიანობისა, როგორმაც მოიცვა ყოფილ და მომავალ მოკავშირეთა ლიდერები.

1929-1931 წლების ეკონომიკურმა ქარტეხილებმა იაპონიაც ისევე მოიცვა, როგორც მთელი დანარჩენი მსოფლიო. 1914 წლის შემდგომ ხანებში მისი მოსახლეობა 50 მილიონიდან 70 მილიონ კაცამდე გაიზარდა, მეტალურგიული ქარხნების რიცხვი კი — 50-დან 148-მდე. ცხოვრება საგრძნობლად გაძვირდა. ბრინჯის

წარმოება ერთ დონეზე გაიყინა, მისი იმპორტი კი ძვირი ჯდებოდა. მწვავედ იდგა ნედლეულისა და საგარეო ბაზრების საჭიროების საკითხი. მძაფრი დეპრესიის პირობებში ინგლისისა და სხვა ორმოცი ქვეყნისათვის, რაც წლები გადიოდა, სულ უფრო და უფრო აუცილებელი ხდებოდა ტარიფების შეზღუდვა იმ იაპონურ საქონელზე, რომელსაც აწარმოებდნენ ევროპული თუ ამერიკული სტანდარტებისათვის მიუღებელ სამუშაო პირობებში. ჩინეთი ახლა მეტად, ვიდრე ოდესმე, წარმოადგენდა იაპონიისათვის მთავარ ბაზარს ბამბეულისა და სხვა ნაწარმის გასასაღებლად და მის თითქმის ერთადერთ წყაროს ქვანახშირისა და რკინის მადნის მოსაპოვებლად. აქედან გამომდინარე, ჩინეთზე ხელახლა კონტროლის დაწესება შეიქნა იაპონიის პოლიტიკის უმთავრესი ამოცანა.

1931 წლის სექტემბერში იაპონელებმა იმ საბაბით, რომ ქვეყნის შიგნით არეულობამ იჩინა თავი, დაიპყრეს მუკდენი და მანჯურიის რკინიგზის ზონა. 1932 წლის იანვარში მათ მოითხოვეს ანტიიაპონური სულისკვეთების ყველა ჩინური ორგანიზაციის დაშლა, რაზედაც ჩინეთის მთავრობამ უარი განაცხადა. მაშინ იაპონელები 28 იანვარს გადმოსხდნენ საერთაშორისო კონცესიის ჩრდილოეთით, შანხაიში. ჩინელებმა ვაჟკაცური წინააღმდეგობა გაუწიეს მათ და, მიუხედავად იმისა, რომ არ გააჩნდათ არც თვითმფრინავები, არც ტანკსაწინააღმდეგო იარაღი თუ სხვა თანამედროვე აღჭურვილობა, თვეზე მეტ ხანს უწევდნენ წინააღმდეგობას. თებერვლის მიწურულს — მას შემდეგ, რაც ძალზე მძიმე დანაკარგი განიცადეს — იძულებული შეიქნენ უსუნის სრუტეში განლაგებული თავიანთი ციხესიმაგრეებიდან უკან დაეხიათ და დაეკავებინათ პოზიციები სანაპიროდან დაახლოებით 12 მილის დაშორებით. 1932 წლის დამდეგს იაპონელებმა შექმნეს მარიონეტული სახელმწიფო მანჯუკუო. ერთი წლის შემდეგ მას შეუერთდა ჩინური პროვინცია ჟეხე, ხოლო 1933 წლის მარტში იაპონელთა ჯარი, რომელიც ღრმად შეიჭრა დაუცველი რაიონების ტერიტორიაზე, მიადგა ჩინეთის დიდ კედელს. ამ აგრესიულ აქციაში აისახა იაპონიის

მზარდი ძალა შორეულ აღმოსავლეთში და მისი გამყარებული სამხედრო-საზღვაო პოზიცია ოკეანეებზე...

1933 წლის თებერვალში ერთა ლიგამ განაცხადა, რომ იგი ვერ სცნობდა მანჯუკუოს სახელმწიფოებრიობას. თუმცა იაპონიისათვის არანაირი სანქციები არ დაუწესებიათ და მის მიმართ არც არანაირი სხვა ზომები არ გაუტარებიათ, 1933 წლის 27 მარტს იაპონია გამოვიდა ერთა ლიგიდან. ომის დროს გერმანია და იაპონია საპირისპირო ბანაკებში აღმოჩნდნენ, ახლა კი ერთმანეთს სულ სხვა თვალით უყურებდნენ. სწორედ იმ დროს, როდესაც ერთა ლიგას განსაკუთრებით მოეთხოვებოდა აქტიურობისა და ძლიერი ნების გამოჩენა, აღმოჩნდა, რომ მის ზნეობრივ ავტორიტეტს არანაირი ფიზიკური საყრდენი არა ჰქონია.

თავი VI

ხედი მუქდება

(1934 წ.)

რომში დიდი აღმაფრენით არ შეხვედრიან ჰიტლერის გაკანცლერებას 1933 წელს. ნაციზმს იქ მიიჩნევდნენ ფაშიზმის ტლანქ და მხეცურ სახეცვლილებად. კარგად იყო ცნობილი დიდი გერმანიის პატივმოყვრული სწრაფვანი ავსტრიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისაკენ. მუსოლინიმ განჭვრიტა, რომ იტალიისა და ახალი გერმანიის ინტერესები ერთურთს ვერც ერთ ამ რეგიონში ვერ დაემთხვეოდა. ამის დასტურიც მალე მიიღო.

* * *

გერმანიის მიერ ავსტრიის ხელში მოგდება ჰიტლერის ერთ-ერთი ყველაზე სანუკვარი ზრახვათაგანი გახლდათ. „მაინ კამპფის“ პირველსავე გვერდზე წააწყდებით ასეთ წინადადებას: „გერმანიის ავსტრია უნდა დაუბრუნდეს თავის დიდ დედა-სამშობლოს — გერმანიას“. ამიტომაც იყო, რომ 1933 წლის იანვარში ხელისუფლების ხელში ჩაგდებისთანავე გერმანიის ნაციისტურ მთავრობას ვენისაკენ გაურბოდა თვალი. ჰიტლერი ჯერჯერობით ვერ შეებმებოდა მუსოლინის, რომელმაც ხმამაღლა განაცხადა ავსტრიით თავისი დაინტერესება. იატაკქვეშა მოღვაწეობა იქნებოდა თუ მტრის ზურგში გაძრომა, — სამხედრო თვალსაზრისით ჯერ კიდევ არც მთლად მომძლავრებულ გერმანიას სიფრთხილე უნდა გამოეჩინა. და მაინც, ავსტრიაზე ზეწოლა პირველსავე თვეებში დაიწყო. ავსტრიის

მთავრობისაგან განუწყვეტლივ მოითხოვდნენ გერმანიის სატელიტის — ავსტრიის ნაცისტური პარტიის — წევრების კაბინეტის შემადგენლობაში ჩართვასა და მნიშვნელოვან თანამდებობებზე დანიშვნას. ავსტრიელი ნაცისტები იწვრთნებოდნენ ბავარიაში ორგანიზებულ სპეციალურ ავსტრიულ ლეგიონში. ყუმბარების აფეთქებანი რკინიგზებსა და ტურისტულ ცენტრებში, გერმანული თვითმფრინავები, ფურცლებს ნაკადად რომ აყრიდნენ თავს ზალცბურგსა და ინსბრუკს, — ეს ყველაფერი ამღვრევდა რესპუბლიკის მოსახლეობის ჩვეულ სიმყუდროვეს. ავსტრიის კანცლერის დოლფუსის პოზიციებს ერთნაირად არყევდა როგორც ქვეყნის შიგნით სოციალისტთა მომძლავრება, ისე გერმანელთა სწრაფვა ავსტრიის დამოუკიდებლობის ხელყოფისაკენ. მაგრამ ავსტრიის სახელმწიფოს განა მარტო ეს განსაცდელი არგუნა განგებამ?! ავსტრიელმა სოციალისტებმა მიბაძეს გერმანელი მეზობლების უმსგავსო მაგალითს და შექმნეს თავიანთი არმია, რომლის შემწეობითაც ფეხქვეშ გათელავდნენ ამომრჩეველთა ნებას. ეს საშიშროებანი დოლფუსისათვის საცნაური შეიქნა 1933 წელს. ერთადერთი ქვეყანა, რომლისთვისაც შეეძლო შემწეობა ეთხოვა და რომელსაც უკვე აღეთქვა მხარდაჭერა, ფაშისტური იტალია გახლდათ. 1933 წლის აგვისტოში დოლფუსი მუსოლინის შეხვდა რიჩიონეში. მათ შორის დიდ პიროვნულ და პოლიტიკურ ურთიერთგაგებას ჩაეყარა საფუძველი. დოლფუსი, რომელსაც სწამდა, რომ იტალია ნეიტრალიტეტს დაიცავდა, გრძნობდა, რომ საკმაოდ მოღონიერებულიყო თავისი ოპონენტების ერთ ფრთაზე — ავსტრიელ სოციალისტებზე — იერიშის მისატანად...

* * *

1934 წლის შუახანებამდე მისი უდიდებულესობის მთავრობა ჯერ კიდევ ვაუკაცურად წარმართავდა მოვლენათა მსვლელობას ომის რისკის გაუწევლად. საფრანგეთთან შეთანხმებული

მოქმედებითა და ერთა ლიგის შემწეობით მას ნებისმიერ დროს შეეძლო უძლიერესი ზეწოლა მოეხდინა ჰიტლერულ მოძრაობაზე, გულის გულამდე რომ ხლეჩდა გერმანიას. მაშინ სისხლისღვრამდე აღარ მივიდოდა საქმე, მაგრამ საამისო დრო იწურებოდა. ნაცისტურ მარწუხებში მოქცეული შეიარაღებული გერმანია ზღვარს მისდგომოდა. და თუმც დაუჯერებელი ჩანს, ამ გადამწყვეტ წელსაც კი მისტერ ბოლდუინის პოლიტიკური ავტორიტეტით ზურგგამაგრებული მისტერ მაკდონალდი კარგა ხანს იღვწოდა საფრანგეთის განიარაღებისათვის. მე ისღა დამრჩენია, პარლამენტში 7 თებერვალს გამოთქმული ჩემი ფუჭი პროტესტი დავიმონმო:

„აბა, მაშინ რაღას ვიზამთ — თუკი მას შემდეგ, რაც საფრანგეთის არმიას შევამცირებთ და გერმანიისას გავუთანაბრებთ, რითაც გერმანიას თანასწორუფლებიანობას მივანიჭებთ, ამ ცვლილებას კი, ვინ იცის, რა რეაქცია მოჰყვება ევროპის ქვეყნების აზროვნებაში, — გერმანიამ რომ გამოგვიცხადოს: „რა უფლება გაქვთ, 70-მილიონიან დიდ ერს მოუსპოთ შესაძლებლობა იყოლიოს ზღვებზე გაბატონებული უდიდესი ფლოტების ფარდი სამხედრო-საზღვაო ფლოტი?!" თქვენ ამაზე მიუგებთ: „არა, ვერ დაგეთანხმებით. ჯარები სხვა ხალხების საქმეა. ფლოტების საკითხი კი ბრიტანეთის ინტერესებთანაა გადაჯაჭვული. და ჩვენ „არას" მეტს ვერაფერს გეტყვით. მაგრამ ამ „არას" თქმის მერე რა დღეში აღმოვჩნდებით?!..." არასოდეს ასე იოლად ჩასაწიხლავი არა ვყოფილვართ. ომამდე ხშირად მსმენია კრიტიკული შენიშვნები ლიბერალური მთავრობის მისამართით... გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა დაეკისრება მათ, ვინც ახლა დგას ხელისუფლების სათავეში, თუკი, ჩვენი იმედებისა და სურვილების მიუხედავად, უბედურება მაინც მოხდება.

წარსულის ვერც ერთი გაკვეთილი ვერ შეგვითვისებია, ვერც ერთი ვერ გაგვისაქმისებია; ჰოდა, ვითარებაც ახლა გაცილებით უფრო სახიფათოა. მაშინ სამხედრო-საზღვაო ფლოტი გვყავდა

და ჰაერიდანაც არაფერი გვემუქრებოდა. ფლოტი საიმედო ფარად ედგა ბრიტანეთს... ახლა ამას ვერ ვიტყვით. ამ წყეულმა, ეშმაკისეულმა გამოგონებამ და საჰაერო ომის მეთოდების სრულყოფამ ძირფესვიანად შეცვალა ჩვენი მდგომარეობა. ჩვენ აღარა ვართ ის კუნძული-ქვეყანა, სულ რაღაც ოციოდე წლის წინათ რომ ვიყავით.

შემდეგ მოვითხოვე, გარკვევით და დაუყოვნებლივ გადაგვეჭრა სამი საკითხი: არმიას თუ ვიტყვით, — ბრიტანეთში, ისევე, როგორც მთელს ევროპაში, უნდა დაწყებულიყო ჩვენი სამოქალაქო საწარმოების რეორგანიზაცია, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მათი გადახალისება და სამხედრო მიზნებისათვის გამოყენება. ფლოტს რაც შეეხება, — კვლავ უნდა მოგვეპოვებინა თავისუფლება პროექტირების სფეროში. რამენაირად თავიდან უნდა მოგვეშორებინა ლონდონის ხელშეკრულება, ჩვენთვის უპრიანი ხომალდების მშენებლობას რომ გვიშლიდა და შეერთებული შტატებიც რომ აიძულა შეეჩერებინა მისთვის, ალბათ, სასურველი ვეებერთელა გემის შენება, რომლის საწინააღმდეგოც სრულებით არაფერი გვქონდა. ამაში ის შეგვეშველებოდა, რომ გადაწყდა ხელშეკრულების წევრი კიდევ ერთი ქვეყნისათვის თავისუფლების მინიჭება. დაბოლოს, ავიაცია. ჩვენ უნდა გვყოლოდა საფრანგეთისა და გერმანიის საჰაერო ძალების ტოლფარდი ავიაცია იმის გათვალისწინებით, თუ რომელი რომელს აჯობებდა.

მთავრობა თავის ჭკუაზე ატრიალებდა დიდ უმრავლესობას საკანონმდებლო ხელისუფლების ორთავ უბანზე და ამას წინ ველარაფერი დაუდგებოდა. მას ისღა ევალებოდა, ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გეგმები დაესახა სასოებითა და გულდაჯერებით და თანამემამულენიც მხარს აუბამდნენ.

* * *

სწორედ იმ ხანებში გაკრთა მცირე ნათელი ევროპული ერთიანობისა, გერმანიიდან დამუქრებულ საფრთხეს რომ ანელებდა. 1934 წლის 17 თებერვალს ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის მთავრობებმა გამოაქვეყნეს ავსტრიის დამოუკიდებლობის მხარდამჭერი ერთობლივი დეკლარაცია... 17 მარტს იტალიამ, უნგრეთმა და ავსტრიამ ხელი მოანერეს ე. წ. რომის ხელშეკრულებებს, რომლებიც ითვალისწინებდნენ ურთიერთკონსულტაციებს იმ შემთხვევაში, თუ სამი წევრიდან რომელიმეს საფრთხე დაემუქრებოდა. მაგრამ ჰიტლერი თანდათანობით ძალ-ღონეს იკრებდა და მაის-ივნისში მთელს ავსტრიაში გაიშალა ძირგამომთხრელი საქმიანობა. დოლფუსმა დაუყოვნებლივ ამცნო სუვიჩს[1] ამ ტერორისტული აქტების შესახებ და თან გაუგზავნა ავსტრიის ვაჭრობასა და ტურიზმზე მათი დამთრგუნველი ზემოქმედების გამო შეშფოთების გამომხატველი ნოტა.

ამ მასალებით ხელში, 14 ივნისს მუსოლინი ვენეციაში გაემგზავრა, რათა პირველად შეხვედროდა ჰიტლერს. ყავისფერ მაკინტოშში გამოხვეულმა და ფეტრის ქუდით თავდამშვენებულმა გერმანიის კანცლერმა თვითმფრინავიდან ფეხი გადმოდგა თუ არა, თავი ამოყო ფაშისტთა თვალისმომჭრელ მუნდირებს შორის, — ფაშისტებისა, რომელთაც წინამძღოლობდა ბრწყინვალე და წარმოსადეგი დუჩე. სტუმარს რომ ახედ-დახედა, მუსოლინიმ თავის ადიუტანტს გადაუჩურჩულა: „რაღაც თვალში არ მომდისო". ამ უცნაურ შეხვედრას თან სდევდა მხოლოდ აზრთა ზოგადი გაცვლა-გამოცვლა და მსჯელობანი გერმანულ-იტალიური მოდელების დიქტატურის ღირსებებზე. მუსოლინი აშკარად შეეცბუნებინა როგორც სტუმრის პიროვნულ იერსახეს, ისე მის სიტყვა-პასუხს. თავისი საბოლოო შთაბეჭდილება მან ორი სიტყვით შეაჯერა, — „ლაყბია ბერი", თუმცა თითქოს მაინც შეიპირა ჰიტლერი იმაზე, რომ გერმანიის ზეწო-

[1] მუსოლონის საგარეო საქმეთა მთავარი მრჩეველი.

ლა დოლფუსზე შესუსტდებოდა. ამ შეხვედრის შემდეგ ჩიანომ ჟურნალისტებს განუცხადა: — „აი, ნახავთ, მეტი აღარაფერი მოხდებაო“.

თუმცა ამ ამბების შემდეგ გერმანელთა აქტივობის შენელება მუსოლინის მოწოდებამ როდი განაპირობა; ეს იმით აიხსნება, რომ ჰიტლერი თავისი შინაური საქმეებით გახლდათ დაკავებული.

* * *

ჰიტლერის ხელისუფლების სათავეში მოქცევისთანავე თავი იჩინა საფუძვლიანმა განხეთქილებამ ფიურერსა და იმ პირებს შორის, რომელთაგან ბევრმა ხელი შეუწყო წინსვლაში. საიერიშო რაზმები, რომელთაც ლიდერობდა რემი, პარტიის სულ უფრო და უფრო მკვეთრად გამოხატულ რევოლუციურ ელემენტებად იკვეთებოდნენ. მათ შორის იყვნენ გრეგორ შტრასერის მსგავსი ძველი წევრები პარტიისა — მგზნებარე მხარდამჭერნი სოციალური რევოლუციისა, სულ იმის შიშში რომ იყვნენ, ჰიტლერს, პირველსავე საფეხურს მიაღწევს თუ არა, ხელად გადაიბირებს თავისკენ არსებული იერარქია — რაიხსვერი, ბანკირები და მრეწველებიო. ვითომ ის იქნებოდა პირველი ბელადი რევოლუციისა, ფეხს რომ ჰკრავს სწორედ იმ კიბეს, რომლის წყალობითაც თავბრუდამხვევ სიმაღლეებს ეზიარა?! საიერიშო რაზმების („ყავისფერპერანგიანების“) რიგითი წევრების წარმოსახვაში 1933 წლის იანვრის ტრიუმფს მათთვის ხელ-ფეხი უნდა გაეხსნა არა მარტო ებრაელთა და სპეკულიანტთა, არამედ აგრეთვე საზოგადოების საპატიო და შეძლებული ფენების საძარცვავად. პარტიის გარკვეულ წრეებში სულ მალე დაირხა ხმა ბელადის დიდ სიმუხთლეზე. გულისთქმას აყოლილმა შტაბის უფროსმა — რემმა — ენერგიული ღონისძიებები გაატარა. 1933 წლის იანვარში საიერიშო რაზმები ითვლიდა 400 ათას კაცს. 1934 წლის გაზაფხულისათვის რემმა სამ მილიონ-

ამდე კაცი მოაგროვა და მწყობრში ჩააყენა. უჩვეულო ვითარებაში მოხვედრილი ჰიტლერი, ცოტა არ იყოს, შეეშფოთებინა ამ გიგანტური მანქანის ზრდას, რომელიც თუმც კი მგზნებარე ერთგულებას ეფიცებოდა და, უმეტესად, მართლაც თავს ანაცვალებდა ხოლმე, მაინც იმასა ცდილობდა, ნელ-ნელა თავი დაეღწია მისი პიროვნული კონტროლისათვის. აქამდე მის განკარგულებაში იყო პირადი არმია, ახლა კი სახელმწიფო არმიის ამარა დარჩა. მას კი არ სურდა ერთის მეორით შეცვლა. უნდოდა, ორთავე შეენარჩუნებინა, რათა, თუ საჭირო შეიქნებოდა, ერთის შემწეობით მეორე დაეთრგუნა. ამიტომ ამიერიდან რემთან ბრძოლა უნდა გაეჩაღებინა. „მტკიცედა მაქვს გადაწყვეტილი, — განუცხადა მან მაშინდელი საიერიშო რაზმების თავკაცებს, — სასტიკად გავუსწორდე ყველანაირ მცდელობას არსებული წყობილების დამხობისა. მედგრად აღვუდგები წინ კიდევ ერთ რევოლუციურ აზვირთებას, რადგან ეს გარდაუვალ ქაოსს მოასწავებს. ყველა, ვინც გაბედავს არსებული სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლას, სასტიკად დაისჯება, რაგინდ დიდი თანამდებობის პირი ბრძანდებოდეს!“

და თუმცა გული ავს უთქვამდა, ადვილი როდი იყო ჰიტლერის დარწმუნება მიუნხენის პუტჩის თანამონაწილე მისი მეგობრის მუხანათობაში, მის „ყავისფერპერანგიანთა“ არმიის შტაბს რომ თავკაცობდა ბოლო შვიდი წლის განმავლობაში. 1933 წლის დეკემბერში პარტიისა და სახელმწიფოს ერთიანობა რომ გამოცხადდა, რემი გერმანიის კაბინეტში განევრიანდა. პარტიისა და სახელმწიფოს გაერთიანების ერთ-ერთი შედეგი უნდა ყოფილიყო „ყავისფერპერანგიანთა“ რაზმების შერწყმა რაიხსვერთან. ქვეყნის ახლებური შეიარაღების სწრაფი ტემპით განვითარებამ გერმანიის მთელი შეიარაღებული ძალების სტატუსისა და მათი მეთვალყურეობის საკითხი პოლიტიკის ქვაკუთხედად აქცია. 1934 წლის თებერვალში ბერლინში მისტერ იდენი ჩამოვიდა და მოლაპარაკებისას ჰიტლერი დროებით დასთანხმდა, გარკვეული პირობა დაედო იმის თაობაზე, რომ საიერიშო რაზმები სრულიად მოკლებული იქნებოდნენ მილი-

ტარისტულ ელფერს. იმ დროისათვის უკვე გამუდმებული შეხ-ლა-შემოხლა იყო რემსა და გენერალური შტაბის უფროსს — გენერალ ფონ ბლომბერგს შორის...

მთელი აპრილ-მაისი ბლომბერგი გაუთავებლად შესჩიოდა ჰიტლერს საიერიშო რაზმების უსაქციელობასა და თავგასულობაზე. ფიურერს უნდა აერჩია ან გენერლები, რომელთაც სძულდათ იგი, ან თავზეხელაღებული „ყავისფერპერანგიანები", რომელთაგანაც ესოდენ დავალებული გახლდათ. მან გენერლები არჩია. ივნისის დამდეგს ჰიტლერს რემთან ხუთსაათიანი საუბარი ჰქონდა, რომლის დროსაც უკანასკნელად სცადა მასთან შერიგება და შეთანხმება; მაგრამ პატივმოყვარეობით შეპყრობილ ამ არანორმალურ ფანატიკოსთან ყოველგვარი კომპრომისი გამორიცხული იყო. ჰიტლერის ოცნებებში ნალოლიავებ მისტიურ იერარქიულ დიდ გერმანიასა და რემის სანუკვარ სახალხო არმიის პროლეტარულ რესპუბლიკას გადაულახავი უფსკრული ყოფდა.

საიერიშო რაზმების ფარგლებში წარმოიქმნა მცირერიცხოვანი, შესანიშნავად გაწვრთნილი რჩეული ნაწილები, რომელთა მებრძოლები შავ მუნდირებს იხდენდნენ და რომელთაც ესესელებს, მოგვიანებით კი „შავპერანგიანებს" უწოდებდნენ. ეს ნაწილები ფიურერის პირადი დაცვისათვის და სპეციალური თუ კონფიდენციალური დავალებების შესასრულებლად იყო განსაზღვრული. მათ ხელმძღვანელობდა ფრინველების ფერმის ყოფილი პატრონი — უიღბლო ჰენრიხ ჰიმლერი. ჰიმლერმა განჭვრიტა ცალკერძ ჰიტლერსა და არმიას, ცალკერძ კი — რემსა და „ყავისფერპერანგიანებს" შორის მოსალოდნელი შეხ-ლა-შემოხლა და იმაზე იზრუნა, რომ ესესელები ჰიტლერის ბანაკში აღმოჩენილიყვნენ. მეორეს მხრივ, რემს პარტიაში ჰყავდა ერთობ გავლენიანი მომხრეები, რომლებიც, გრეგორ შტრასერისა არ იყოს, ხედავდნენ, რომ მათეული ულმობელი გეგმები სოციალური რევოლუციისა გვერდზე რჩებოდა. რაიხსვერსაც ჰყავდა თავისი მეამბოხენი. ყოფილმა კანცლერმა ფონ შლაიხერმა ვერც ის საძრახისი მარცხი მოინელა, 1933 წლის იანვარში

რომ იგემა და ვერც ის, არმიის თავკაცებმა ჰინდენბურგის შემცვლელად რომ არ ინდომეს. ჰიტლერსა და რემს შორის თავჩენილ განხეთქილებაში შლაიხერი თავისთვის სახეიროს რასმე მოელოდა.

ამჯერად მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდებოდა. 25 ივნისს რაიხსვერი ყაზარმებში გამოკეტეს, „შავპერანგიანებს" კი ვაზნები დაურიგეს. იქით კიდევ „ყავისფერპერანგიანებმაც" მიიღეს მზადყოფნის ბრძანება და რემმა, ჰიტლერის თანხმობით, 30 ივნისისათვის ვისზეეში, ბავარიის ტბებზე, დანიშნა ამ რაზმების ყველა უხუცესი თავკაცის შეკრება. ჰიტლერი გააფრთხილეს 29 ივნისს მოსალოდნელი სერიოზული საფრთხის შესახებ. იგი გადაფრინდა გოდესბერგში, სადაც მას შეუერთდა გებელსი, რომელმაც ჩამოიტანა შემაშფოთებელი ამბები მოსალოდნელ ამბოხებაზე ბერლინში. გებელსის სიტყვებით, რემის ადიუტანტმა კარლ ერნსტმა მიიღო ბრძანება აჯანყების ორგანიზებისა. ეს ნაკლებდამაჯერებელი ჩანს. ერნსტი იმხანად ბრემენში იმყოფებოდა და თაფლობის თვის გასატარებლად ამ საპორტო ქალაქიდან გამგზავრებას ეპირებოდა. შეიტყო თუ არა ეს ინფორმაცია — უტყუარი თუ შეთითხნილი, — ჰიტლერმა დაუყოვნებლივ მიიღო გადაწყვეტილება. გერინგს უბრძანა, თვალი სჭეროდა ბერლინზე. თვითონ კი მიუნხენში გადაფრინდა იმ განზრახვით, რომ თავად დაეპატიმრებინა თავისი მთავარი მოწინააღმდეგენი. სიკვდილ-სიცოცხლის გადამწყვეტ ამ საბედისწერო წუთში გამჟღავნდა მისი სისასტიკე. მთელი გზა პილოტის გვერდით მჯდომი შავბნელ ფიქრებს მისცემოდა. 30 ივნისს დილის ოთხ საათზე თვითმფრინავი მიუნხენის ახლოს აეროდრომზე დაეშვა. გებელსის გარდა, ჰიტლერს თან ახლდა პირადი დაცვა ათი-თორმეტი კაცის შემადგენლობით. იგი მიუნხენის „ყავისფერი სახლისაკენ" გაეშურა, საიერიშოების ადგილობრივ რაზმთა ხელმძღვანელები გამოიხმო და დააპატიმრა. ექვს საათზე კი მხოლოდ გებელსისა და თავისი მცირერიცხოვანი ამალის თანხლებით ავტომობილით ვისზეესაკენ გაემართა.

1934 წლის ზაფხულში რემმა იავადმყოფა და ვისზეეში გაემგზავრა სამკურნალოდ. იგი მოეწყო პაწია აგარაკზე, რომელიც მის მკურნალ ექიმს ეკუთვნოდა. ამაზე უარეს შტაბ-ბინას ვერავინ გამონახავდა სასწრაფო აჯანყების მოსაწყობად. აგარაკი ვიწრო ჩიხის ბოლოს მოჩანდა. ადვილი იყო თვალის მიდევნება ყველა მომსვლელ-წამსვლელისათვის. „ყავისფერპერ-ანგიანთა" თავკაცების ვითომდა მოსალოდნელი კრების მონაწ-ილეებს იმ სახლში ვერც ერთი ოთახი ვერ დაიტევდა. ბინაში ერთადერთი ტელეფონი იდგა. ეს ყველაფერი ვერა და ვერ ერგებოდა თვალსაზრისს აჯანყების უშუალო საფრთხის არსე-ბობის შესახებ. თუკი რემი და მისი მომხრენი მართლაც ემზა-დებოდნენ ამბოხებისათვის, მაშინ უთუოდ იაღლიში მოსვლი-ათ.

დილის შვიდ საათზე ფიურერის თანმხლები ავტომობილებ-ის პროცესია რემის პაწია აგარაკთან შეჩერდა. უიარაღო ჰიტ-ლერი მარტო აუყვა კიბეებს და რემის საძინებელ ოთახში შევ-იდა. ვერასოდეს ვერავინ გაიგებს, თუ რა მოხდა ამ ორ კაცს შორის. რემისთვის ეს სრულიად მოულოდნელი იყო და ისიცა და მისი ამალაც ყოველგვარი აყალმაყალის გარეშე დააპა-ტიმრეს. ამის შემდეგ ეს მცირერიცხოვანი ურდო თავისი ტყვეე-ბითურთ მიუნხენის გზას დაადგა. სულ მალე გზაზე შემოხვ-დათ შეიარაღებულ „ყავისფერპერანგიანთა" საბარგო მანქანებ-ის კოლონა; ისინი რემის მისასალმებლად მიეშურებოდნენ ვისზეეში შუადღისათვის დანიშნულ კონფერენციაზე. ჰიტლერი მანქანიდან გადმოვიდა, უფროსი ოფიცერი გამოიხმო და ბა-ტონკაცურად უბრძანა შინ დაებრუნებინა თავისი ჯარისკაცე-ბი. ფიურერს მყის დაემორჩილნენ. მას რომ ერთი საათით დაე-გვიანა ან იმათ რომ ერთი საათით ადრე ჩამოევლოთ, ღირსშ-ესანიშნავი მოვლენები სულ სხვარიგად დატრიალდებოდა.

მიუნხენში ჩამოსვლისთანავე რემი თავისი ამალით სწორედ იმ ციხეში ჩააყუდეს, ათი წლის წინ ჰიტლერთან ერთად რომ გამოამწყვდიეს. დღისით დაიწყეს სიკვდილით დასჯა. რემს საკანში რევოლვერი შეუგდეს, მაგრამ, ვინაიდან მას აინუნშიაც

არ ჩაუგდია შემოთავაზებული თვითმკვლელობა, რამდენიმე წუთში საკნის კარი გაიღო და იგი ტყვიებით დაცხრილეს. მიუნხენის სისხლიანმა სამსჯავრომ მთელ დღეს გასტანა ხანმოკლე შუალედებით. ტყვიის მსროლელთა რვაკაციან რაზმებს დროდადრო ცვლიდნენ, რადგან ჯარისკაცთა ფსიქიკა ვერ უძლებდა ამგვარ დაძაბულობას. მაგრამ რამდენიმე საათის განმავლობაში განუწყვეტლივ გაისმოდა ბათქაბუთქი თითქმის ყოველ ათ წუთში ერთხელ.

იმავდროულად გერინგმა, სიგნალი რომ მიიღო ჰიტლერისაგან, იგივე პროცედურა გაიმეორა ბერლინში. თუმცა აქ, დედაქალაქში, მკვლელები საიერიშო რაზმების იერარქიით არ იზღუდებოდნენ მსხვერპლის შერჩევისას. ასე, მაგალითად, თავიანთ სახლში დახვრიტეს შლაიხერი და მისი მეუღლე, რომელიც ქმარს აეფარა. გრეგორ შტრასერი დააპატიმრეს და მოკლეს. დახვრიტეს პაპენის პირადი მდივანი და უახლოესი მოყვარე-ნათესავებიც ზედ მიაყოლეს, თავად იგი კი რატომღაც დაინდეს. კარლ ერნსტი, რომელიც ბრემენში დაიჭირეს, ბერლინში, ლიხტეფელდეს ყაზარმებში გამოესალმა სიცოცხლეს. აქაც, ისევე როგორც მიუნხენში, მთელ დღეს ისმოდა დამსჯელი რაზმების მიერ ატეხილი ბათქაბუთქი. ამ ერთ დღეღამეში მთელი გერმანიის ტერიტორიაზე გაქრა აუარება ხალხი, არანაირი კავშირი რომ არა ჰქონია რემის შეთქმულებასთან; ისინი მსხვერპლად შეეწირნენ პირად შურისგებას ან კიდევ ოდესღაც ვიღაცისთვის მიყენებულ წყენას. ასე მაგალითად, ოტო ფონ კარი, რომელმაც ბავარიის მთავრობის სათავეში ყოფნისას აღკვეთა 1923 წლის პუტჩი, მკვდარი იპოვეს ტყეში მიუნხენის მახლობლად. „ლიკვიდირებულ“ პირთა საერთო რიცხვი სხვადასხვაგვარადაა განსაზღვრული — ხუთიდან შვიდ ათასამდე.

ამ სისხლიანი დღის ბოლოს ჰიტლერი ბერლინში გადმოფრინდა. დადგა დრო ბოლო მოეღოთ ამ სასაკლაოსათვის, ყოველ წუთს სულ უფრო ფართო მასშტაბებს რომ იღებდა. იმავე საღამოს სიკვდილით დასაჯეს რამდენიმე ესესელი, რომლებმაც

მეტისმეტად გამოიდეს თავი და ძალზე შორს გაუტიეს პატიმრებთან ანგარიშსწორებისას. პირველი ივლისის ღამის პირველი საათისათვის შეწყდა სროლა და ბათქაბუთქი. დღისით ფიურერი საიმპერიო კანცელარიის აივანზე გამობრძანდა, რათა მიეღო სალამი იქ შექუჩებულ ბერლინელთაგან; ბევრ მათგანს თავად იგი მიეჩნია ამ ამბების მსხვერპლად. ერთნი ამბობდნენ, ტანჯული იერი აქვსო, სხვანი კი მოზეიმე კაცის გამომეტყველებას მიაწერდნენ. სავსებით შესაძლებელია, რომ იგი ერთდროულად ნატანჯიც ყოფილიყო და ნაზეიმარიც. მისმა სწრაფმა და ულმობელმა ქმედებამ იხსნა მისი გეგმები და, უთუოდ, სიცოცხლეც. „გრძელი დანების ღამემ“, როგორც ის მონათლეს, უზრუნველყო ერთიანობა ნაციონალ-სოციალისტური გერმანიისა, მთელს მსოფლიოს უბედურებად რომ დაატყდა თავს...

ამ სასაკლაომ — რაგინდ შემზარავი ძალების ამოქმედებითაც უნდა აიხსნას იგი — გამოავლინა, რომ გერმანიის ახალი ბატონ-პატრონი არაფერზე უკან არ დაიხევდა და რომ ის, რაც გერმანიაში ხდებოდა, არანაირად არ ერგებოდა ცივილიზებული სახელმწიფოს იერსახეს. მსოფლიოს ემუქრებოდა ტერორზე დაფუძნებული დიქტატურა, სისხლის სუნით რომ ყარდა. ქვეყანაში ბობოქრობდა ულმობელი, აღვირახსნილი ანტისემიტიზმი და უკვე მთელი ძალით ამოქმედებულიყო საკონცენტრაციო ბანაკების სისტემა ყველა არასასურველი და პოლიტიკურად განსხვავებულად მოაზროვნე ფენისათვის...

* * *

1934 წლის ივლისის პირველ ნახევარში ბავარიიდან ავსტრიის ტერიტორიისაკენ მიმავალ მთის ბილიკებზე გაძლიერებული მოძრაობა შეინიშნებოდა. ივლისის ბოლოს ავსტრიის სასაზღვრო პოლიციას ხელში ჩაუვარდა გერმანელი შიკრიკი. მას თან ჰქონდა დოკუმენტები და, მათ შორის, დაშიფრული კოდები, რომლებიც მეტყველებდნენ, რომ აჯანყების

გეგმას სადაცაა ფრთები უნდა შესხმოდა. სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორად დაეგულებინათ ანტონ ფონ რინტელენი, რომელიც იმხანად იტალიაში იმყოფებოდა ავსტრიის დესპანად. დოლფუსი და მისი მინისტრები გულარხეინად შეხვდნენ გაფრთხილებას მოახლოებული კრიზისისა და მოსალოდნელი ამბოხების ნიშნების შესახებ, რაც სრულიად აშკარა შეიქნა ოცდახუთი ივლისის ადრიანი დილით. ნაცისტთა მხარდამჭერნი ვენაში დილიდანვე საბრძოლველად შეიმართნენ. დღის პირველი საათიც არ იქნებოდა, რომ კანცელარიაში შეიარაღებულ მეამბოხეთა ჯგუფი შემოიჭრა. რევოლვერის ორი ტყვიით განგმირული დოლფუსი ძირს დააგდეს, ნელ-ნელა სისხლისაგან რომ დაცლილიყო სასიკვდილოდ განწირული. ნაცისტთა მეორე რაზმმა რადიოსადგური აიღო, დოლფუსის მთავრობის გადადგომა ამცნო ქვეყანას და სახელმწიფოს მეთაურად რინტელენი გამოაცხადა.

მაგრამ დოლფუსის კაბინეტის სხვა წევრებმა სიმტკიცე და ქმედითუნარიანობა გამოიჩინეს. პრეზიდენტმა — დოქტორმა მიკლასმა ოფიციალური ბრძანება გასცა, რადაც უნდა დასჯდომოდათ, კვლავ წესრიგი დაემყარებინათ. მთავრობას სათავეში ჩაუდგა იუსტიციის მინისტრი შუშნიგი. ავსტრიის არმიისა და პოლიციის უდიდესი ნაწილი მის მთავრობას ამოუდგა მხარში. მათ ალყა შემოარტყეს კანცელარიის შენობას, სადაც სულს ღაფავდა მეამბოხეთა მცირე ჯგუფით გარშემორტყმული დოლფუსი. ამბოხებებმა იფეთქა პროვინციებშიც და ავსტრიული ლეგიონის ცალკეულმა ქვედანაყოფებმა ბავარიიდან გადალახეს ავსტრიის საზღვარი. ამ ამბავმა მუსოლინის ყურამდეც მიაღწია. მან დაუყოვნებლივ გაუგზავნა დეპეშა ავსტრიის ჰაიმვერის თავკაცს, პრინც შტარემბერგს, რომელშიაც პირობას იძლეოდა, რომ იტალია მხარს დაუჭერდა ავსტრიის დამოუკიდებლობას. დუჩე საგანგებოდ გადაფრინდა ვენეციაში და მიიღო დოქტორ დოლფუსის ქვრივი, რომელსაც უდიდესი თანაგრძნობით შეხვდა. იმავდროულად სამი იტალიური დივიზია გაიგზავნა ბრენერის უღელტეხილისაკენ. ჰიტ-

ლერი, რომელმაც იცოდა ზღვარი თავისი ძალმოსილებისა, იძულებული იყო, უკან დაეხია. ვენაში გერმანიის დესპანი — რიტი და ამბოხების მონაწილე სხვა გერმანელი მოხელეები უკანვე გაიწვიეს ან შეცვალეს. მცდელობა წარმატებით ვერ დაგვირგვინდებოდა. საჭირო იყო უფრო ხანგრძლივი პროცესი. პაპენი, ახლახან რომ გადაურჩა სისხლიან სასაკლაოს, ვენაში გერმანიის დესპანად დაინიშნა: მას უფრო დახვეწილი მეთოდებით მოქმედება დაევალა.

ვენაში პაპენის გერმანიის დესპანად დანიშვნა აშკარად გამიზნული იყო ავსტრიის რესპუბლიკის დამხობის მოსამზადებლად. მას ორმაგი ამოცანა დაეკისრა: მხარი დაეჭირა ავსტრიის იატაკქვეშა ნაცისტური პარტიისათვის, რომელსაც ამიერიდან ყოველთვიურად უხდიდნენ სუბსიდიას — 200 ათას მარკას; ამას გარდა, ძირი უნდა გამოეთხარა ავსტრიის წამყვანი პოლიტიკური მოღვაწეებისათვის ან თავისკენ გადაებირებინა ისინი...

ამ შფოთიანობისა და ტრაგედიების ხანაში გარდაიცვალა უხუცესი ფელდმარშალი ჰინდენბურგი, რომელიც ბოლო თვეებში სულ დაჩაჩანაკებულიყო და მთლად რაიხსვერის იარაღად ქცეულიყო. ჰიტლერი გერმანიის სახელმწიფოს თავკაციც გახდა და კანცლერის პოსტიც შეინარჩუნა. იგი აწ უკვე გერმანიის ბატონ-პატრონად იქცა. სისხლიანმა წმენდამ გაამყარა და განამტკიცა რაიხსვერთან მისი გარიგება. „ყავისფერპერანგიანები“ მოთოკეს და მათ კვლავ ერთგულება დაუდასტურეს ფიურერს. ყველა მტერი და პოტენციური მეტოქე ჩამოაშორეს მათ რიგებს. ის იყო და ის, — ნებადაკარგულნი საგანგებო პოლიციის სახესხვაობად წარმოჩინდნენ და აწ უკვე ცერემონიების გამართვისას თუღა გაახსენდებოდათ. მეორეს მხრივ, „შავპერანგიანთა“ რაზმები, რიცხობრივად გაზრდილნი და განმტკიცებულნი დისციპლინისა და ბოძებული პრივილეგიების წყალობით, ჰიმლერის ხელდასხმით არმიის ლიდერებსა და სამხედრო კასტასთან დაპირისპირებულ, ფიურერის პირად პრეტორიანულ გვარდიად გარდაისახნენ და იმავდროულად იმ პოლიტიკურ

მებრძოლებად იქცნენ, საგულისხმო სამხედრო ძალმოსილებას რომ ანიჭებდნენ მზარდი საიდუმლო პოლიციის, ანუ გესტაპოს, საქმიანობას. ერთადერთი რამ, რაც ჰიტლერის სრული და უპირობო აღიარებისა და მისი ოფიციალური, სანქცირებული უფლებამოსილებით აღჭურვისათვის იყო აუცილებელი, პლებისციტის ჩატარება გახლდათ...

* * *

ავსტრიაში დატრიალებულმა ამბებმა იტალია საფრანგეთთან დააახლოვა, ხოლო დოლფუსის მუხანათური მკვლელობით გამოწვეული შეშფოთების შედეგად კონტაქტი დამყარდა ორთავ ქვეყნის გენერალურ შტაბებს შორის. საფრთხემ, ავსტრიის დამოუკიდებლობას რომ დაემუქრა, განაპირობა საფრანგეთ-იტალიის ურთიერთობების გადასინჯვა, რაც დაკავშირებული იყო არა მარტო ხმელთაშუაზღვის აუზსა და ჩრდილოეთ აფრიკაში ძალთა თანაფარდობის საკითხთან, არამედ საფრანგეთისა და იტალიის პოზიციების შეჯერებასთანაც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. მაგრამ მუსოლინი ლამობდა არა მარტო ევროპაში იტალიის პოზიციების გამყარებას გერმანიიდან მომავალი პოტენციური საფრთხის წინააღმდეგ, არამედ აფრიკაში თავისი იმპერიის მომავლის უზრუნველყოფასაც... გერმანიიდან დამუქრებული საფრთხით შეძრწუნებული საფრანგეთის მთავრობა მზად იყო სერიოზულ დათმობებზე წასულიყო იმისათვის, რომ იტალია გადმოებირებინა. 1935 წლის იანვარში ლავალი[1] რომს გაემგზავრა, სადაც ხელი მოაწერა მთელ რიგ შეთანხმებებს, რომელთა მიზანიც იყო ორი ქვეყნის ურთიერთობებში უმთავრესი დაბრკოლებების აღმოფხვრა. გერმანიის ხელახლა შეიარაღებას ორთავ მთავრობა ერთსულოვნად მიიჩნევდა კანონსაწინააღმდეგო ქმედებად. ისინი შეთანხმდნენ კონსულტაციების ჩატარებაზე, თუ ვინიცობაა მომავალში ავსტრი-

[1] იმხანად საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი.

ის დამოუკიდებელობას კელავ დაემუქრებოდა საფრთხე. კოლონიურ სფეროში საფრანგეთი დათმობაზე წავიდა ტუნისში მცხოვრებ იტალიელთა სტატუსის თაობაზე; ამას გარდა, მან იტალიას გადასცა ტერიტორიის გარკვეული ნაწილი, ზოლად რომ გასდევდა ლიბიისა და სომალის საზღვრებს, და კიდევ, ჯიბუტი-ადის-აბებას რკინგზის აქციების ოცი პროცენტი. ამ მოლაპარაკებებს ნიადაგი უნდა შეემზადებინა საფრანგეთს, იტალიასა და დიდ ბრიტანეთს შორის უფრო ოფიციალური მოლაპარაკებისათვის გერმანიიდან მომავალი სულ უფრო მზარდი საფრთხის წინააღმდეგ საერთო ფრონტის შექმნის თაობაზე. თუმცა მომდევნო თვეებში ყველაფერ ამას ხაზი გადაუსვა აბისინიაში იტალიის აგრესიამ.

* * *

1934 წლის დეკემბერში იტალიელი და აბისინიელი ჯარისკაცები ერთმანეთს შეეტაკნენ უალ-უალის ჭებთან, აბისინიისა და იტალიის სომალის საზღვარზე. იტალიამ ეს საბაბად გამოიყენა, რათა მთელი მსოფლიოს წინაშე განეცხადებინა თავისი უფლებები ეთიოპიის იმპერიაზე. ასე რომ, აბისინიაში დატრიალებული საბედისწერო ამბების გამო ევროპას თავგზა აებნა და გაუჭირდა გერმანიისათვის ლაგმის ამოდება.

* * *

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთ გარემოებაზე უნდა შევჩერდეთ. ვერსალის ხელშეკრულების პირობების თანახმად, მოსახლეობას საარის მხარისა — გერმანიის ტერიტორიის ამ მცირე მონაკვეთისა, რომელზედაც იყო ნახშირის მდიდარი საბადოები და მნიშვნელოვანი მეტალურგიული ქარხნები — 15-წლიანი ვადის ამოწურვისთანავე პლებისციტის გზით უნდა

გადაეწყვიტა, სურდა თუ არა დაბრუნებოდა გერმანიას. პლებისციტი დანიშნული იყო 1935 წლის იანვარში. მის საბოლოო შედეგში ეჭვი არავის ეპარებოდა. უმრავლესობა, რასაკვირველია, ხმას მისცემდა საარის დაბრუნებას მამაპაპეულ გერმანიაში. ამგვარი შედეგის უეჭველობას კიდევ ის ფაქტი ადასტურებდა, რომ საარის ოლქი, რომელსაც ნომინალურად ერთა ლიგის კომისია მართავდა, ფაქტობრივად, ნაცისტური პარტიის ადგილობრივი ცენტრის კონტროლს ექვემდებარებოდა... პლებისციტი ჩატარდა 1935 წლის 13 იანვარს საერთაშორისო კომისიის მეთვალყურეობით, რომელშიაც ბრიტანეთის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. 90,3 პროცენტმა იმ მცირე ანკლავის მოსახლეობისა, ერთა ლიგის ერთადერთ სუვერენულ ტერიტორიას რომ წარმოადგენდა — თუ არ ჩავთვლით დანციჰს — ხმა მისცა გერმანიაში დაბრუნებას. ნაციონალ-სოციალიზმის ამ ზნეობრივმა ტრიუმფმა — თუმც იგი ნორმალური და გარდაუვალი პროცედურის რეზულტატად გვევლინებოდა — კიდევ უფრო განადიდა ჰიტლერის სახელი და თითქოსდა გერმანელი ხალხის ნების გულწრფელი გამჟღავნებით აკურთხა მისი ხელისუფლება. ეგაა, რომ ერთა ლიგის მხრიდან მიუდგომლობა-კეთილსინდისიერების ამ გამოხატულებამ ვერც გული დაუცხრო ჰიტლერს და ვერც ვერაფერი შთააგონა. უეჭველია, ამან მხოლოდ განამტკიცა მისი თვალსაზრისი, მოკავშირეებს გამოთაყვანებულ ბედოვლათებად რომ რაცხავდა. თავის მხრივ, იგი კვლავ ყურადღებას ამახვილებდა მთავარ მიზანზე — გაეძლიერებინა გერმანიის შეიარაღებული ძალები.

თავი XX

საბჭოეთის გამოცანა

იმ დროს მოვესწარით, როდესაც ბრიტანეთსა და გერმანიას შორის ყოველგვარ ურთიერთობას ბოლო მოეღო. ახლა, რა თქმა უნდა, ვიცით, რომ ჰიტლერის ხელისუფლების სათავეში მოქცევის დღიდან ამ ჩვენს ორ ქვეყანას შორის არანაირი გულწრფელი ურთიერთობანი აღარ ყოფილა. ის იმაზეღა ამყარებდა იმედს, რომ დარწმუნებითა თუ დაშინებით დაეყოლიებინა ბრიტანეთი და ხელ-ფეხი გაეხსნა მისთვის აღმოსავლეთ ევროპისაკენ, ჩემბერლენს კი ჰიტლერის დაოკება, გარდაქმნა და ჭეშმარიტების გზაზე დაყენება ეოცნებებოდა. მაგრამ დადგა დრო, როცა საბოლოოდ უნდა გაფანტულიყო ბრიტანეთის მთავრობის ილუზიები. კაბინეტი ბოლოს და ბოლოს დარწმუნდა იმაში, რომ ნაცისტური გერმანია ომიანობას მოასწავებდა; პრემიერ-მინისტრი არაერთ ქვეყანას სთავაზობდა გარანტიებს და კავშირებს ამყარებდა ყველგან, სადაც ჯერ კიდევ გზა ხსნილი იყო, — სულაც არ დაგიდევდათ, შეეძლო თუ არა ქმედითი დახმარების გაწევა ამ ქვეყნებისათვის. პოლონეთის გარანტიას დაემატა საბერძნეთისა და რუმინეთისათვის მიცემული გარანტიები, ამათ კი — თურქეთთან ალიანსი.

ახლა უნდა გავიხსენოთ უბადრუკი ქაღალდის ნაგლეჯი, რომელზედაც ჩემბერლენმა ჰიტლერს რის ვაი-ვაგლახით მოაწერინა ხელი მიუნხენში და რომელსაც დიდი ზარ-ზეიმით აფრიალებდა თავშეყრილი ხალხის წინ, თვითმფრინავიდან რომ გადმოდიოდა ჰესტონში. მასში იგი იხსენიებდა იმ კავშირურთიერთობებს, რაც, მისი ვარაუდით, არსებობდა მასა და ჰიტლერს და ბრიტანეთ-გერმანიას შორის, კერძოდ კი, მიუნხენის ხელშეკრულებასა და ინგლის-გერმანიის საზღვაო შეთანხმებას. მათ-

გან პირველი ჩეხოსლოვაკიის დაპყრობისთანავე გაუქმდა, ახლა კი ჰიტლერმა მეორეც თავიდან მოიშორა.

28 აპრილს რაიხსტაგში გამოსვლისას მან განაცხადა:

„ვინაიდან ინგლისი დღეს პრესაშიაც და ოფიციალურადაც მხარს უჭერს გერმანიისათვის ყოველგვარ ვითარებაში წინააღმდეგობის გაწევის თვალსაზრისს, რასაც ადასტურებს კიდეც ჩვენთვის ცნობილი საალყო პოლიტიკის წარმოებით, ყველანაირი საფუძველი ეცლება საზღვაო შეთანხმებას. ამიტომ გადავწყვიტე ბრიტანეთის მთავრობას დღესვე გავუგზავნო სათანადო უწყება. პრაქტიკულ-მატერიალური თვალსაზრისით, ჩვენთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან მე ჯერ კიდევ ვიმედოვნებ, რომ თავიდან ავიცილებთ გამალებულ შეიარაღებას ინგლისის წინააღმდეგ, — ეს საჭიროა საკუთარი ღირსების დასაცავად. თუმცა ბრიტანეთის მთავრობა კიდევ ერთხელ რომ მოისურვებდეს ამ პრობლემასთან დაკავშირებით გერმანიასთან მოლაპარაკების დაწყებას, ჩემსავით არავის გაახარებდა ის, რომ ჯერ კიდევ შესაძლებელი ყოფილა აზრთა წრფელი და გულითადი ურთიერთგაზიარება“[1].

ინგლის-გერმანიის საზღვაო შეთანხმებას, მართლაც ასე ხელსაყრელი რომ იყო ჰიტლერისათვის მნიშვნელოვან და კრიტიკულ მომენტში მისი პოლიტიკისა, ახლა ისე სახავდა იგი, როგორც ინგლისისათვის გაწეულ სამსახურსა და სიკეთეს, რომელსაც უკანვე წაიღებდნენ ნიშნად გერმანიის გულისწყრომისა. ფიურერი იმედს უტოვებდა ბრიტანეთის მთავრობას, რომ იგი, შესაძლოა, მომავალში ინებებდა სამხედრო-საზღვაო პრობლემების განხილვას მისი უდიდებულესობის მთავრობასთან ერთად. ეგებ, იმასაც კი მოელოდა, რომ წინათ მისგან გაბრიყვებული ხალხი არ შეეპუებოდა დაშოშმინების პოლიტიკას. ახლა ეს სრულებით არ აღელვებდა. მისი იყო იტალია, ჰქონდა უპირატესობა ჰაერში; მისი იყო ავსტრია და ჩეხოსლოვაკია ყოველი შენაჯერით; მისი იყო დასავლეთი სიმაგრე. პირწმინდად საზღვაო სფეროს რაც შეეხება, არანაირ გარიგებას

[1] Hitler`s Speeches. vol-2. p. 1626.

არ დაგიდევდათ და მუდამ მაქსიმალური სისწრაფით აგებდა წყალქვეშა ნავებს. ფორმალობის თვალსაზრისით, სულ ერთ-თავად ხაზს უსვამდა თავის უფლებას, აეგო იმდენი, რამდენსაც აგებდნენ ბრიტანელები, მაგრამ ეს სულაც არ ზღუდავდა წყალქვეშა ნავების მშენებლობის გერმანულ პროგრამას. უფრო დიდ გემებს რაც შეეხება, მას არ ძალუძდა სრულად გამოეყენებინა უხვი შესაძლებლობანი, საზღვაო ხელშეკრულებით რომ ჰქონდა მინიჭებული. ამიტომ ეს შეთანხმება შესაშური ურცხვობით ცხვირ-პირში მიახალა მის შემთითხვნელ დოყლაპიებს.

იმავე მოხსენებაში ჰიტლერმა გაუქმებულად გამოაცხადა გერმანია-პოლონეთის პაქტი თავდაუსხმელობის შესახებ, რისთვისაც მოიმიზეზა ინგლის-პოლონეთის გარანტია, რომელსაც, გარკვეულ ვითარებაში, შეეძლო იძულებულეყო პოლონეთი, სამხედრო მოქმედებანი წამოეწყო გერმანიის წინააღმდეგ, თუკი გერმანიასა და სხვა რომელიმე სახელმწიფოს შორის კონფლიქტი წამოიჭრებოდა; ეს კი, თავის მხრივ, ინგლისსაც ჩაითრევდა. „ეს ვალდებულება ეწინააღმდეგებოდა შეთანხმებას, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ დავდე მარშალ პილსუდსკისთან... ამიტომ მიმაჩნია, რომ შეთანხმება ცალმხრივად დაარღვია პოლონეთმა და, ამდენად, გაუქმებულია. მე სათანადო უწყება გავუგზავნე პოლონეთის მთავრობას...“

თავის დროზე ეს სიტყვა შევისწავლე და ჩემს ერთ-ერთ სტატიაში დავწერე: „... თავდაუსხმელობის შესახებ 1934 წლის გერმანია-პოლონეთის პაქტის დენონსირება ერთობ სერიოზული და სახიფათო ნაბიჯია. ეს პაქტი სულ ახლახან — იანვარში — დამტკიცდა, როცა რიბენტროპი ვარშავას ეწვია. ინგლის-გერმანიის საზღვაო შეთანხმების მსგავსად, პაქტი დაიდო ჰერ ჰიტლერის სურვილით. ისევე, როგორც საზღვაო შეთანხმება, იგი აშკარად მომგებიანი იყო გერმანიისათვის, ორთავ გარიგება ამსუბუქებდა დასუსტებული გერმანიის მდგომარეობას. საზღვაო შეთანხმება ფაქტობრივად იმას მოწმობდა, რომ დიდმა ბრიტანეთმა თვალი დახუჭა ვერსალის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამხედრო მუხლების დარღვევაზე... გერ-

მანია-პოლონეთის შეთანხმებამ საშუალება მისცა ნაცისტებს, ყურადღება მიეპყროთ ჯერ ავსტრიის, შემდეგ კი ჩეხოსლოვაკიისათვის, რასაც ამ ბედკრული ქვეყნებისათვის დამღუპველი შედეგები მოჰყვა. ამან დროებით შეასუსტა საფრანგეთ-პოლონეთის ურთიერთობანი და შეაფერხა სოლიდარობის გაღვივება აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა შორის. ახლა კი, ამ პაქტმა გერმანიას სამსახური რომ გაუწია, ცალმხრივი აქტით თავიდან მოიშორეს. ამითვე მიანიშნეს პოლონეთს, რომ ამჯერად იგი პოტენციური აგრესიის ზონაში იყო ჩართული".

* * *

ბრიტანეთის მთავრობა უცილობლად უნდა დაფიქრებულიყო პოლონეთისა და რუმინეთისათვის მიცემული გარანტიების პრაქტიკულ მნიშვნელობაზე. ამ გარანტიათაგან არც ერთს არ გააჩნდა სამხედრო ღირებულება, თუ რუსეთთან საერთო გარიგების ფარგლებში არ მოექცეოდა. ამდენად, სწორედ ამ მიზნით, 15 აპრილს მოსკოვში ბოლოს და ბოლოს დაიწყო მოლაპარაკებები ბრიტანეთის ელჩსა და ლიტვინოვს შორის. მხედველობაში თუ მივიღებთ, რაგვარი განწყობილება სუფევდა აქამდე საბჭოთა მთავრობის მიმართ, დიდი იმედი არავის უნდა ჰქონოდა. თუმცა 16 აპრილს მან წამოაყენა ოფიციალური წინადადება დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და სსრკ-ს შორის ურთიერთდახმარების ერთიანი ფრონტის შექმნის თაობაზე, რისი ტექსტიც არ გამოქვეყნებულა. ამ სამ სახელმწიფოს — თუ შესაძლებელი იქნებოდა, პოლონეთის მონაწილეობით — აგრეთვე უნდა უზრუნველეყო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის იმ სახელმწიფოების ხელშეუხებლობა, რომელთაც გერმანიის აგრესია ემუქრებოდა. ამგვარ გარიგებას დაბრკოლებად ელობებოდა ამ საზღვრისპირა სახელმწიფოების შიში საბჭოეთიდან ჯარებით დახმარებისა, — ამ ჯარებს მათი ტერიტორია უნდა გაევლო გერმანელთაგან მათ დასაცავად და,

ზედაც, იმ საბჭოურ-კომუნისტურ სისტემაში მოექცია ეს ქვეყნები, რომელსაც მათებრ მოსისხლე მტერი არა ჰყოლია. პოლონეთმა, რუმინეთმა, ფინეთმა და სამმა ბალტიისპირა სახელმწიფომ თავადაც არ იცოდნენ, რა უფრო აშინებდათ — გერმანიის აგრესია თუ რუსეთის მხსნელად მოვლინება. სწორედ ამ შემზარავი არჩევანის აუცილებლობამ დაადამბლავა ბრიტანეთისა და საფრანგეთის პოლიტიკა.

მაგრამ ახლაც კი არ ეგების ეჭვის შეტანა იმაში, რომ ბრიტანეთსა და საფრანგეთს უნდა მიეღოთ რუსეთის წინადადება, გამოეცხადებინათ სამმაგი ალიანსი და, თუ ომი ატყდებოდა, მისი წარმართვის ეფექტიანი მეთოდი მიენდოთ მოკავშირეთათვის, რომლებიც საერთო მტრის წინააღმდეგ შეიკვრებოდნენ. ამგვარ ვითარებაში სხვა სულისკვეთება იმარჯვებს. ომის დროს მოკავშირეები საიმისოდ არიან განწყობილნი, რომ ბევრ რამეში ანგარიში გაუწიონ ერთმანეთის ნება-სურვილს. ფრონტზე ბრძოლის ცეცხლი გიზგიზებს და მიზნის მისაღწევად მისაღები ხდება მშვიდობიანობის დროს მიუღებელი ნებისმიერი საშუალება. დიდი ალიანსი რომ შექმნილიყო, ერთი მოკავშირე დაუპატიჟებლად ვერცთუ იოლად შედგამდა ფეხს მეორის ტერიტორიაზე.

საქმე ისაა, რომ ჩემბერლენი და საგარეო საქმეთა სამინისტრო ჩიხში მოექცნენ სფინქსის ამ გამოცანის წინაშე. როცა მოვლენები ასეთი სიმძლავრითა და სისწრაფით ვითარდება, გონივრულია ნაბიჯ-ნაბიჯ მოქმედება. კავშირი ბრიტანეთს, საფრანგეთსა და რუსეთს შორის გერმანიის გვარიან შეშფოთებას გამოიწვევდა 1939 წელს და ვერავინ დაიჟინებს, რომ ომს ვერც მაშინ აიცილებდნენ თავიდან. შემდგომი ნაბიჯის გადადგმაც იმ შემთხვევაში იქნებოდა უპრიანი, უპირატესი ძალები მოკავშირეთა მხარეზე თუ აღმოჩნდებოდა. დიპლომატობით ინიციატივასაც კვლავ ხელში ჩაიგდებდნენ. ჰიტლერი ვერც ორ ფრონტზე გააჩაღებდა ბრძოლას — ამას თავადვე კიცხავდა — და ვერც მარცხს აიტანდა. ძალზე დასანანია, ისეთ საჩოთირო მდგომარეობაში რომ არ ჩააყენეს, რაც სიცოცხლის ფასად

დაუჯდებოდა. სახელმწიფო მოღვაწეთა დანიშნულება მხოლოდ იოლი საკითხების გადაჭრა როდია. ეს საკითხები ხშირად თავისთავად წყდება. როცა სასწორი მერყეობს და გამოსახულებაც ბუნდოვანია, სწორედ მაშინ გამოჩნდება ხოლმე იმ გადაწყვეტილებათა მიღების შესაძლებლობა, რომელთაც უნდა იხსნან მსოფლიო. რაკი თვითონვე ჩავიგდეთ თავი ასეთ შავ დღეში 1939 წელს, ჰაერივით გვჭირდებოდა უფრო საიმედო საყრდენის გამოძებნა. ახლაც კი შეუძლებელია იმ წამის მოხელთება, თუ საბოლოოდ როდის აიღო ხელი სტალინმა დასავლეთის დემოკრატიებთან თანამშრომლობის განზრახვაზე და გადაწყვიტა ჰიტლერთან მორიგება. თითქოს მართლაც არ არსებულა ასეთი წამი. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივებში მოჩხრეკილი უამრავი დოკუმენტის გამოქვეყნებამ 1939-41 წლების „ნაცისტურ-საბჭოურ ურთიერთობებში“ აქამდე უცნობი ბევრი რამ გაგვიმხილა. როგორც ჩანს, რაღაც მოხდა ჯერ კიდევ 1939 წლის თებერვალში. კაცმა რომ თქვას, ეს თითქმის უეჭველად დაკავშირებული იყო ვაჭრობის პრობლემებსა და კომერციულ საკითხებთან, რაზედაც არასახარბიელოდ აისახა ჩეხოსლოვაკიის სტატუსი და რის თაობაზეც აუცილებელი იყო ორ ქვეყანას შორის მოლაპარაკება. მარტის შუა რიცხვებში რაიხში ჩეხოსლოვაკიის ჩართვამ გაართულა ამ სადავო საკითხების გადაჭრა. რუსეთს კონტრაქტები ჰქონდა დადებული ჩეხოსლოვაკიის მთავრობასთან „შკოდის“ ქარხნებიდან იარაღის მონოდებაზე. რა ბედი ეწეოდა ამ კონტრაქტებს ახლა, როცა „შკოდის“ ქარხნები გერმანიის არსენალად იქცნენ?!

17 აპრილს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანმა ვაიცზეკერმა ჩაიწერა, რომ იმ დღეს პირველად ეწვია რუსი ელჩი მას შემდეგ, რაც თითქმის ერთი წლის წინათ რწმუნების სიგელი წარუდგინა. მან „შკოდის“ ქარხნების კონტრაქტები მოიკითხა. ვაიცზეკერმა უპასუხა, — ვერ ვიტყვით, რომ ახლა სასურველი ვითარება იყოს საბჭოთა რუსეთის სამხედრო მასალით მოსამარაგებლად, ვინაიდან გვაქვს

ცნობები რუსეთ-ბრიტანეთ-საფრანგეთს შორის საჰაერო პაქტის დადების თაობაზეო და მისთ. ამის პასუხად რუსი ელჩი ვაჭრობიდან მყის პოლიტიკაზე გადაერთო და სახელმწიფო მდივანს ჰკითხა, რას ფიქრობდა გერმანია-რუსეთის ურთიერთობებზე. ვაიცზეკერმა მიუგო, რომ, მისი თვალთახედვით, „რუსეთის პრესა ამ ბოლო დროს არცთუ სავსებით იზიარებდა ამერიკული გაზეთებისა და ზოგიერთი ინგლისური გაზეთის ანტიგერმანულ ტონს". ამაზე საბჭოთა ელჩმა განაცხადა: „იდეოლოგიური უთანხმოებანი თითქმის არ ასახულა რუსეთ-იტალიის ურთიერთობებზე და არც გერმანიას უნდა ანვეს ლოდად შებრკოლებისა. საბჭოთა რუსეთს არ უსარგებლია დასავლეთის დემოკრატიებსა და გერმანიას შორის უთანხმოებით ამ უკანასკნელის საზიანოდ და არც ახლა აქვს ამის სურვილი. რუსეთს არავითარი მიზეზი არა აქვს საიმისოდ, რომ გერმანიასთან საერთო ენა ვერ გამონახოს; ხოლო მერე და მერე ეს ურთიერთობები შესაძლებელია კიდევ უფრო გაუმჯობესდესო".

ეს საუბარი მრავლისმეტყველად უნდა მივიჩნიოთ; მით უმეტეს, რომ იმავდროულად მოსკოვში მიმდინარეობდა მოლაპარაკება ბრიტანეთის ელჩსა და ლიტვინოვს შორის 16 აპრილს საბჭოეთის მიერ ოფიციალურად წამოყენებული წინადადების — დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთთან სამმაგი კავშირის შეკვრის — შესახებ. ეს იყო რუსეთის ფერისცვალების მომასწავებელი პირველი აშკარა ნიშანი. აქედან დაიწყო გერმანიასთან ურთიერთობის თანდათანობითი „ნორმალიზაცია", რაც ემთხვეოდა გერმანიის აგრესიის წინააღმდეგ სამმაგი ალიანსის თაობაზე მოლაპარაკებას.

ვთქვათ, რუსეთის წინადადებაზე ჩემბერლენს ეპასუხა: „კეთილი, მოდით, სამივე გავერთიანდეთ და კისერი მოვუგრიხოთ ჰიტლერს" ან რამე ამის მსგავსი დასცდენოდა, — პარლამენტი მოინონებდა, სტალინი გაიაზრებდა და ისტორიის ჩარხი, ალბათ, სხვაგვარად დატრიალდებოდა. ყოველ შემთხვევაში, უარესს რაღას განგვიმზადებდა?!

4 მაისს მდგომარეობა ასე შევაფასე:

„მთავარია, დრო არ დავკარგოთ. რუსეთის მიერ ნინადადების შემოთავაზების შემდეგ უკვე ათი-თორმეტი დღეა გასული. ბრიტანელმა ხალხმა, რომელმაც საამაყო, რჯულზე უმტკიცესი ჩვეულება გაიღო მსხვერპლად, ახლა სამხედრო ბეგარის პრინციპი გაიზიარა და უფლება აქვს საფრანგეთის რესპუბლიკასთან ერთად მოუწოდოს პოლონეთს, დაბრკოლებად ნუ აღიმართება საერთო მიზნის მიღწევის გზაზე. საჭიროა არა მარტო თანხმობა რუსეთთან სრულ თანამშრომლობაზე, არამედ ამ კავშირში ბალტიისპირეთის სამი სახელმწიფოს — ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის — ჩართვაც. ამ სამი სახელმწიფოსათვის — რომელსაც ჰყავს მებრძოლი სულისკვეთების ხალხი, ჰყავს ერთობლივი ჯარები, გულად ჯარისკაცთა ალბათ ოც დივიზიას რომ მიითვლის — სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მეგობრობას რუსეთთან, რომელიც იარაღს მიანვდის და სხვაგვარ თანადგომასაც გაუწევს.

ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ აღმოსავლეთის ფრონტის შენარჩუნების არანაირი შესაძლებლობა არ არსებობს რუსეთის ქმედითი თანადგომის თვინიერ. რუსეთი უაღრესად დაინტერესებულია იმით, რომ ხელი შეუშალოს ჰერ ჰიტლერის ზრახვათა ხორცშესხმას აღმოსავლეთ ევროპაში. ეგებ ჯერ კიდევ არის შესაძლებლობა ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე ყველა ხალხთა და სახელმწიფოთა ერთიან მტკიცე ფრონტად გაერთიანებისა ხელახალი ძალადობისა თუ შემოსევის წინააღმდეგ. თუკი ამგვარი ფრონტი შეიქმნებოდა ნრფელი გულითა და გადამჭრელ, ქმედით სამხედრო შეთანხმებათა შემწეობით, დასავლეთ სახელმწიფოების ძალებთან გაერთიანების წყალობით, შესაძლებელი შეიქნებოდა ჰიტლერის, გერინგის, ჰიმლერის, რიბენტროპის, გებელსისა და კომპანიისათვის ისეთი ძალების დაპირისპირება, რომელთაც წინ ვერ აღუდგებოდა გერმანელი ხალხი.

* * *

ნაცვლად ამისა, კარგა ხანს გაგრძელდა დუმილი და, მასთან ერთად, სანახევრო ღონისძიებებისა და კეთილგონივრულ-კომპრომისული გადაწყვეტილებების მიღება. ეს მერყეობა საბედისწერო აღმოჩნდა ლიტვინოვისათვის. მისი უკანასკნელი მცდელობა — დასავლეთის სახელმწიფოთაგან გადამჭრელი პასუხი მიეღო და ამით საქმისათვის ნათელი მოეფინა — განწირული აღმოჩნდა. ჩვენდამი ნდობა ერთობ შეირყა. რუსეთის უსაფრთხოებისათვის საჭირო იყო სრულიად ახლებური საგარეო პოლიტიკა და მისი ახალი გამტარებლის მოძებნა. 3 მაისს ოფიციალურ კომუნიკეში მოსკოვიდან გამოცხადდა, რომ „მ. ლიტვინოვი გათავისუფლებულია საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის თანამდებობიდან მისივე თხოვნით და რომ მის მოვალეობას შეასრულებს პრემიერი ვ. მოლოტოვი". გერმანიის რწმუნებულმა მოსკოვის საქმეებში 4 მაისს განაცხადა:

„ვინაიდან ლიტვინოვმა ჯერ კიდევ 2 მაისს მიიღო ინგლისის ელჩი და მისი გვარი გუშინდელ პრესაში მოიხსენიეს პარადზე საპატიო სტუმრებს შორის, მისი შეცვლა, როგორც ჩანს, სტალინის სპონტანური გადაწყვეტილების შედეგია... პარტიის ბოლო ყრილობაზე სტალინმა მოუწოდა სიფრთხილისაკენ, რათა არ დაეშვა საბჭოთა კავშირის კონფლიქტში ჩართვა. მოლოტოვი (არა ებრაელი) სტალინის ყველაზე გულითად მეგობრად და უახლოეს თანამებრძოლადაა შერაცხული. მისი დანიშვნა, როგორც ჩანს, საწინდარია იმისა, რომ ამას იქით საგარეო პოლიტიკა პირწმინდად სტალინის იდეებს მოერგება".

საბჭოთა დიპლომატიის წარმომადგენლებმა საზღვარგარეთ მიიღეს მითითებანი, ეუწყებინათ მთავრობებისათვის, რომელთაგანაც რწმუნების სიგელი ჰქონდათ მინიჭებული, რომ ეს ცვლილება 'არ მოასწავებდა რუსეთის საგარეო პოლიტიკის შეცვლას. 4 მაისს მოსკოვის რადიომ გამოაცხადა, რომ მოლოტოვი წარმართავდა უსაფრთხოების პოლიტიკას დასავლეთში, რაც ლიტვინოვს მიზნად ჰქონდა დასახული წლების განმავლობაში.

სახელგანთქმული ებრაელი, სამიზნე გერმანული ანტაგონიზმისა, ერთხანობას დამსხვრეული იარაღივით მოისროლეს და ისე, რომ თავის სამართლებლად სიტყვის თქმაც არ დაანებეს, მსოფლიო არენიდან ფეხი მოუკვეთეს, უსაჩინობისა და მათხოვრული შესაწევრისათვის გაწირეს და მეთვალყურედ პოლიცია მიუჩინეს. საგარეო საქმეთა კომისარი გახდა რუსეთის ფარგლებს გარეთ ნაკლებად ცნობილი, სტალინის უახლოესი თანამებრძოლი — მოლოტოვი. იგი თავისუფალი იყო წინანდელი განცხადებების სახით აღმართული დაბრკოლებებისა და ერთა ლიგის გარემოცვისაგან; მას გზა ხსნილი ჰქონდა ყველგან, საითაც კი რუსეთის უსაფრთხოებისათვის საჭირო შეიქნებოდა. კაცმა რომ თქვას, არსებობდა ერთადერთი გზა, რომელსაც, ალბათ, უნდა დასდგომოდა. იგი მუდამ კეთილგანწყობით ეკიდებოდა ჰიტლერთან მოლაპარაკება-გარიგებას. მიუნხენის ამბებმა და სხვა ბევრმა რამემაც დაარწმუნა საბჭოთა მთავრობა იმაში, რომ ბრიტანეთი და საფრანგეთი არ იყვნენ ომის წამომწყებნი, თუ აქეთ არავინ შემოუტევდა და, რომც შემოეტიათ, არც მაშინ იქნებოდნენ რაიმეს მაქნისნი. მოახლოებული ქარიშხალი, სადაცაა, უნდა ამოვარდნილიყო. რუსეთს თავის ტყავზე უნდა ეზრუნა.

ლიტვინოვის დათხოვნა მთელი ეპოქის დასრულებას ნიშნავდა და იმას მეტყველებდა, რომ კრემლი სრულებით აღარ ენდობოდა დასავლეთის სახელმწიფოებთან დადებულ უსაფრთხოების პაქტს და აღარ სწამდა გერმანიის წინააღმდეგ აღმოსავლეთის ფრონტის შექმნის შესაძლებლობა...

* * *

ებრაელი ლიტვინოვი წავიდა და აკვიატებული აზრით შეპყრობილ ჰიტლერს თავი მოუქონეს. ამ წუთიდან გერმანიის მთავრობა თავის პოლიტიკას ანტიბოლშევიზმად აღარ ნათლავდა და სალანძღავადაც პლუტოდემოკრატია ამოელო მიზანში.

საგაზეთო სტატიები არწმუნებდნენ საბჭოეთს, რომ გერმანიის Lebensraum[1] რუსეთის ტერიტორიაზე არ ვრცელდებოდა და წყალი არ გაუვიდოდა იმას, რომ რუსეთის საზღვართან მიახლებისთანავე ნასახიც აღარ რჩებოდა მისი. აქედან გამომდინარე, რუსეთსა და გერმანიას შორის კონფლიქტის არანაირი მიზეზი აღარ უნდა ყოფილიყო, თუ საბჭოეთი ინგლისსა და საფრანგეთს არ შეეკვრებოდა „გარემოცვის" საკითხებთან დაკავშირებით. გერმანიის ელჩი გრაფი შულენბურგი, რომელიც ბერლინში გამოიძახეს ხანგრძლივი კონსულტაციებისათვის, მოსკოვს დაბრუნდა გრძელვადიანი სარფიანი სასაქონლო კრედიტების შეთავაზებით. ისეთი პირი უჩანდა, რომ ორივე მხარე შეთანხმებას ესწრაფოდა.

რუსეთის პოლიტიკის ასეთი მკვეთრი და არაბუნებრივი შემობრუნება ის უცნაური ფერიცვალება იყო, მხოლოდ ტოტალიტარულ სახელმწიფოებს რომ ხელეწიფებათ. სულ რაღაც ორიოდე წლის წინათ რუსული არმიის თავკაცები — ტუხაჩევსკი რამდენიმე ათას გამობრძმედილ ოფიცერთან ერთად — მხეცურად ამოჟლიტეს სწორედ იმ განწყობილებისათვის, ახლა მისაღები რომ გამხდარიყო კრემლის ერთ მუჭა თავგზააბნეულ მოხელეთათვის. იმხანად პროგერმანიზმი ერეტიკოსობად და ღალატად ირაცხებოდა, დღეს კი მყის სახელმწიფო პოლიტიკად იქცა და ის, ვინც განსჯას გაბედავდა ანდა ჟამთაცვლას ვერ მისდევდა, თავისთავად იყო განწირული.

ამ საქმისათვის საგარეო საქმეთა ახალ კომისარზე უკეთ ვერავინ აღიჭურვებოდა და მასავით ვერც ვერავინ ივარგებდა.

* * *

პიროვნება, რომელიც სტალინმა საბჭოთა საგარეო პოლიტიკის სათავეში მოაქცია, ღირსია მივაგოთ ორიოდ სიტყვა, რაც იმხანად არ ხელეწიფებოდათ ბრიტანეთისა თუ საფრანგეთის

[1] სასიცოცხლო სივრცე (გერმ.)

მთავრობებს. ვიაჩესლავ მოლოტოვი ხალასი ნიჭით ცხებული კაცი გახლდათ, გულცივობითა და სისასტიკით გამორჩეული. იგი დაუსხლტა ათასნაირ ხიფათსა თუ განსაცდელს, რომელიც თავს დაატყდა ბოლშევიკთა უკლებლივ ყველა ლიდერს რევოლუციის აღზევების წლებში. თავისი დღე და მოსწრება იმ საზოგადოებაში გაეტარებინა და იქ გაჰქონდა ლელო, სადაც სულ ერთთავად ინტრიგების ხლართვას მუდამ თან სდევდა საფრთხე პიროვნების განადგურებისა. ზარბაზნის ყუმბარისებრი თავი, შავი ულვაშები და გამჭოლი მზერა, გაფიუვინებული პირისახე, ენამჭევრობა და სიდინჯე-სიდარბაისლე მშვენივრად მეტყველებდა მის ღირსებებსა თუ უნარიანობაზე. ის ყველაზე აღმატებული გახლდათ იმ კაცთაგან, აგენტად ან იარაღად რომ ერგებიან ამოუცნობი მანქანის მიერ წარმართულ პოლიტიკას. მე მხოლოდ როგორც ტოლი ტოლს, ისე შევხვედრივარ მას მოლაპარაკებებისას, სადაც ზოგჯერ მოსწრებულად ნათქვამი რამ სიტყვა გაკვესდებოდა, ან კიდევ ბანკეტებზე, სადაც დარდიმანდულად გააბამდა ხოლმე გაცვეთილ და უშინაარსო სადღეგრძელოებს. რობოტის ცნების ასე სრულქმნილად გამომეტყველი მოკვდავთა შორის არავინ შემხვედრია. და მაინც, იმავდროულად, უთუოდ მახვილგონიერი და დახვეწილი დიპლომატი გახლდათ. ვერ გეტყვით, როგორ ეპყრობოდა ხელქვეითებს. ის, თუ როგორ ეჭირა თავი იაპონელ ელჩთან იმ წლებში, როდესაც თეირანის კონფერენციის შემდეგ სტალინმა პირობა დადო, გერმანიის არმიას დავამარცხებ თუ არა, იაპონიას შევუტევო, შეიძლება წარმოვიდგონოთ მათი საუბრების მისეული ჩანაწერებიდან. საჩოთირო, ნიადაგის მომსინჯავ და უხერხულ საუბრებს სულ მუდამ მისთვის ჩვეული უზადო სიდარბაისლით, ჩანაფიქრის შენიღბვის ნიჭითა და ოფიციალური მოკრძალება-თავაზიანობით წარმართავდა ხოლმე. ნაბზარს ერთხელაც არ დაუღია პირი, მკვახე კილოთი წამოსროლილი ერთი ფუჭი შეძახილიც არ გაჭაჭანებულა. ციმბირული სუსხით აღბეჭდილ ღიმილთან, საგულდაგულოდ აწონილ-და-

წონილ და ხშირად ბრძნულ სიტყვა-პასუხთან, შეჯერებული კრძალულობა საბჭოეთის სრულქმნილ პოლიტიკურ მოღვაწედ წარმოაჩენდა მას მომაკვდინებელი საფრთხის მომასწავებელ მსოფლიოში.

წყლის ნაყვა იყო სადავო საკითხებზე მასთან მიწერ-მოწერა და, თუ მეტისმეტად გამოიდებდი თავს, მხოლოდ სიცრუესა და შეურაცხყოფას გამორჩებოდი, რის მაგალითებიც, ვგონებ, ამ წიგნში მოიძებნება. ერთადერთხელ ვეღირსე მისგან ბუნებრივ, ადამიანურ რეაქციას. ეს მოხდა 1942 წლის გაზაფხულზე, როდესაც შეერთებული შტატებიდან ბრუნდებოდა და გზად ინგლისში ჩამოხდა. ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას ხელი რომ მოვაწერეთ, სამშობლოსაკენ მიმავალი, სახიფათო გზას უნდა დასდგომოდა. რაკი საიდუმლოს გამჟღავნებას ვერიდებოდით, ბაღის ჭიშკართან შევყოვნდით, დაუნინგსტრიტზე; მკვლავში ხელი ჩავავლე და თვალი გავუსწორეთ ერთმანეთს. ანაზდად, ღრმა განცდა დავატყვე. გარესაფარველს მიღმა კაცი გამოჩნდა. მანაც ჩემებრ ღონივრად ჩამჭიდა ხელი. უხმოდ ვუჭერდით ხელს ერთმანეთს. მაშინ ხომ ყველანი ერთ მუშტად ვიყავით შეკრული და ან გადარჩენა გვეწერა, ან სიკვდილი. რამდენ გავერანება-გაპარტახებას მოსწრებია, მის თავს დამტყდარს თუ მისგანვე სხვის თავზე დატეხილს! ეჭვს გარეშეა, რომ მოლოტოვის სახით საბჭოთა მანქანამ გამოჩხრიკა უნარიანი და მრავალი თვალსაზრისით სწორედ მისთვის ზედგამოჭრილი კაცი — მუდამ ერთგული პარტიისა და მიმდევარი კომუნიზმისა. სიბერეს მიტანებულს რარიგ მიხარია, მისებრ ჭაპანწყვეტა რომ არ მხვდომია წილად; მაშინ მიჯობდა, სულ არ გავჩენილიყავ. საგარეო პოლიტიკაში მის ღვაწლს თუ ვიტყვით, მაზარინი, ტალეირანი და მეტერნიხი სიამოვნებით შეიამხანაგებდნენ მას, თუკი არის სადმე სხვა საუფლო, რომელშიაც ბოლშევიკები თავისი ნებით შებრძანდებიან.

* * *

გახდა თუ არა მოლოტოვი საგარეო საქმეთა კომისარი, იმ წუთიდან გერმანიასთან მორიგების პოლიტიკური კურსი აირჩია, რაც პოლონეთის ხარჯზე უნდა განხორციელებულიყო. ამ ამბავმა არცთუ დიდი დაგვიანებით, საფრანგეთშიაც ჩააღწია. არსებობს ბერლინში საფრანგეთის ელჩის 7 მაისით დათარიღებული საგულისხმო ოფიციალური უწყება, რომელიც ფრანგულ ყვითელ წიგნშია შეტანილი და რომელიც გვამცნობს, რომ, საიდუმლო ინფორმაციით, მისთვის სარწმუნო შეიქნა განზრახვა პოლონეთის მეოთხედ დანაწილებისა, რასაც საფუძველი უნდა ჩაეყარა გერმანია-რუსეთის დაახლოებისათვის. „მაისის თვიდან მოყოლებული, — წერს მ. დალადიე 1946 წლის აპრილში, — სსრკ მოლაპარაკებას აწარმოებდა ერთდროულად ორ ქვეყანასთან — ცალკერძ საფრანგეთთან და ცალკერძ გერმანიასთან. მან, როგორც ჩანს, პოლონეთის დაცვას ისევ მისი დანაწილება არჩია. ეს იყო მეორე მსოფლიო ომის გაჩაღების უპირველესი მიზეზი; თუმცა იყო სხვა მიზეზებიც“.

* * *

8 მაისს ბრიტანეთის მთავრობა ბოლოს და ბოლოს გამოეხმაურა 16 აპრილის საბჭოთა ნოტას. რაკი ინგლისური დოკუმენტის ტექსტი არ გამოქვეყნებულა, 9 მაისს საბჭოთა კავშირის სატელეგრაფო სააგენტომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც გადმოცემული იყო ბრიტანელთა წინადადებების ძირითადი პუნქტები. 10 მაისს ოფიციალურმა ორგანომ, გაზეთმა „იზვესტიამ“, დაბეჭდა კომუნიკე, რომლითაც ამცნობდა მსოფლიოს, რომ ბრიტანეთის საპასუხო წინადადებების თაობაზე რეიტერის სააგენტოს მიერ გადმოცემული განცხადება — თითქოს „საბჭოთა კავშირმა გარანტია უნდა მისცეს ცალცალკე ყველა მეზობელ სახელმწიფოს და დიდი ბრიტანეთი

ვალდებულებას იღებს დახმარების ხელი გაუწოდოს სსრ კავშირს, თუ ამ გარანტიების შედეგად ეს უკანასკნელი ომში ჩათრეული აღმოჩნდება“ — არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. კომუნიკეში ნათქვამი იყო, რომ 8 მაისს საბჭოთა მთავრობამ მიიღო ბრიტანეთის კონტრწინადადებები, მაგრამ მათში არაფერი იყო ნათქვამი საბჭოთა კავშირის ვალდებულებაზე ყოველი მეზობელი სახელმწიფოსათვის ცალკეული გარანტიების მიღების შესახებ. არადა, მართლაც იყო ლაპარაკი იმაზე, რომ სსრ კავშირი ვალდებული გახლდათ სასწრაფოდ გაეწია დახმარება დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთისათვის იმ შემთხვევაში, თუ ისინი ჩათრეული აღმოჩნდებოდნენ ომში პოლონეთისა და რუმინეთისათვის მიცემული გარანტიების წყალობით. თუმცა გაკვრითაც არ ყოფილა რაიმე მინიშნება მათგან საბჭოთა კავშირისათვის რაიმე შემწეობის აღმოჩენაზე, თუკი იგი აღმოსავლეთ ევროპის რომელიმე ქვეყნის წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა გამო იძულებული შეიქნებოდა ომში ჩაბმულიყო.

იმავე დღეს, მოგვიანებით, ჩემბერლენმა განაცხადა, რომ მთავრობამ ახალი ვალდებულებანი იკისრა აღმოსავლეთ ევროპაში, ოღონდ ისე, რომ საბჭოთა ხელისუფლება არ მოუწვევია უშუალო თანამონაწილედ, — მიზეზად კი ათასი რამ მოიმიზეზა. მისი უდიდებულესობის მთავრობამ შესთავაზა საბჭოთა ხელისუფლებას, იგივე განეცხადებინა და გამოეხატა მზადყოფნა — თუკი საჭირო შეიქნებოდა, დახმარება გაეწია იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც შესაძლოა აგრესიის მსხვერპლნი გამხდარიყვნენ და მზად იქნებოდნენ თავიანთი დამოუკიდებლობის დასაცავად.

ლამის იმავდროულად საბჭოთა მთავრობამ წარმოადგინა უფრო მრავალმხრივი და მყარი გეგმა, რომელიც რა ღირსებებითაც არ უნდა ყოფილიყო შემკული, მისი უდიდებულესობის მთავრობის თვალსაზრისით, უცილობლად წარმოშობდა სწორედ იმ სიძნელეებს, რომელთა თავიდან აცილებასაც ფიქრობდა იმ წინადადებების იმედით, თავად რომ წამოეყენებინა. ჰოდა,

მიუთითა კიდეც საბჭოთა მთავრობას, რომ თავი იჩინა ამგვარმა სიძნელეებმა. ამავე დროს, მან რამდენადმე სახე უცვალა თავის პირვანდელ წინადადებებს. კერძოდ, მან (მისი უდიდებულესობის მთავრობამ) დააზუსტა, რომ, **„თუ საბჭოთა მთავრობას სურს, სხვა ქვეყნების საქმეებში თვისი ჩარევა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ასეთსავე ქმედებებს შეუპირობოს, მისი უდიდებულესობის მთავრობას, თავის მხრივ, საწინააღმდეგო არაფერი ექნება“.**

დასანანი ისაა, რომ ორი კვირის წინათ მას მსგავსი არაფერი განუცხადებია არაორაზროვნად.

უნდა აღინიშნოს, რომ 12 მაისს თურქეთის პარლამენტმა ინგლის-თურქეთის შეთანხმების ოფიციალური რატიფიცირება მოახდინა. ამ დამატებით ვალდებულებებს რომ ვკისრულობდით, იმედი გვქონდა კრიზისის შემთხვევაში ხმელთაშუა ზღვაზე პოზიციების გამყარებისა. ეს იყო ჩვენი საპასუხო ნაბიჯი იტალიის მიერ ალბანეთის ოკუპაციისა. როგორც გერმანიასთან მოლაპარაკებამ მოჭამა თავისი დრო, ასევე ჩიხში მოექცა იტალიასთან ჩვენი ურთიერთობა.

მდორედ მიმდინარეობდა რუსეთთან მოლაპარაკება და 19 მაისს ეს საკითხი მთელი სირთულით წამოიჭრა თემთა პალატაში. ხანმოკლე დავა-კამათი, სერიოზულ ხასიათს რომ ატარებდა, ფაქტობრივად პარტიების ლიდერთა და სახელმოხვეჭილ ნამინისტრალთა გამოსვლებით შემოიფარგლა. მისტერ ლოიდ ჯორჯი, მისტერ იდენი და მე დაბეჯითებით მივუთითებდით მთავრობას რუსეთთან სასწრაფო და მიზანმიმართული გარიგების აუცილებლობას თანასწორუფლებიანობის პირობით. პირველი ნაბიჯი გადადგა ლოიდ ჯორჯმა, რომელმაც მუქზე მუქი ფერებით დახატა ბნელი სურათი სასიკვდილო საფრთხისა:

„... მთელს მსოფლიოში შექმნილია შთაბეჭდილება, რომ აგრესორები ამზადებენ რაღაც ახლებურ თავდასხმას. დაბეჯითებით არავინ უწყის, ეს სად მოხდება. როგორც ვხედავთ, ისინი ჯერ არნახული სისწრაფით იარაღდებიან და პირველ რიგში ამზადებენ სწორედ თავდასასხმელ იარაღს — ტანკებს,

ყუმბართმტყორცნებს, წყალქვეშა ნავებს. ვიცით, რომ იკავებენ და იმტკიცებენ კიდეც ახალ-ახალ პოზიციებს, რაც მათ სტრატეგიულ უპირატესობას შეუქმნის საფრანგეთისა და ჩვენ წინააღმდეგ ომში..."

შემდეგ ლიოდ ჯორჯმა ბრძნულად დასძინა:

„დიქტატორთა უმთავრესი სამხედრო ზრახვა და მიზანია სწრაფი შედეგების მოპოვება და ხანგრძლივი ომის თავიდან აცილება. გაჭიანურებული ომი არც არასდროს ყოფილა ხელსაყრელი დიქტატორთათვის! გაჭიანურებული ომი, პირენეის ნახევარკუნძულზე ომისა არ იყოს, ფიტავს დიქტატორთა ძალებს; რუსთაგან მტრის დიდებულმა მოგერიებამ, მათთვის ერთი დიდი გამარჯვებაც რომ არ მოუტანია, ნაპოლეონი წელში გატეხა. გერმანიის იდეალი უწინაც და ახლაც ისეთი ომია, ერთბაშად რომ მოთავდება ხოლმე. 1866 წლის ომმა ავსტრიასთან სულ რამდენიმე კვირას გასტანა, 1870 წლის ომი კი ისე წარიმართა, რომ ფაქტობრივად ერთ-ორ თვეში დასრულდა. 1914 წელსაც იგივე დაისახეს მიზნად, რაც, ლამის არის, აისრულეს კიდეც. და, რუსეთი რომ არა, უთუოდ აისრულებდნენ, მაგრამ, რაკიღა სწრაფი გამარჯვება ხელიდან გაუშვეს, თამაშიც წააგეს. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ გერმანიის დიდი სამხედრო მოაზროვნენი კარგა ხანია ბჭობენ იმ საკითხზე, თუ რაში შეცდნენ 1914 წელს, რა გამოეპარათ, რით შეიძლებოდა ხარვეზის შევსება და იაღლიშის გამოსწორება, ანუ მათი თავიდან აცილება მომავალ ომში..."

მის საპასუხოდ გამობრძანდა პრემიერ-მინისტრი, რომელმაც პირველად მაშინ გაგვიზიარა საბჭოეთის წინადადებისადმი თავისი დამოკიდებულება. მან ის, უდავოდ, გულგრილად და სწორედ რომ უპატიოდ მიიღო:

„თუ მოვახერხეთ ისეთი მეთოდის შემუშავება, რომლის მეშვეობითაც გავინაღდებთ საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობასა და მისგან მხარში ამოდგომას მშვიდობის ფრონტის შექმნის საქმეში, ამას მხოლოდ მივესალმებით — ჩვენც ესა გვსურს

და ჯეროვნადაც ვაფასებთ. თვალსაზრისი, თითქოს ვუკადრისობდეთ საბჭოთა კავშირისაგან ხელის გამართვას, ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული. იმისგან დამოუკიდებლად, ვირწმუნებთ თუ არა რუსეთის შეიარაღებულ ძალთა ზუსტად განსაზღვრის ან მათი უკეთ გამოყენების შესაძლებლობის ნებისმიერ, ყოვლად დაუსაბუთებელ მტკიცებას, ვერსად ნახავთ იმნაირ უგნურს, რომელსაც მიაჩნდეს, რომ ეს ვეებერთელა ქვეყანა მილეთის ხალხითა და დიდძალი რესურსებით უმნიშვნელო ფაქტორია ისეთ სიტუაციაში, რომელშიაც ახლა ვიმყოფებით".

ეს განცხადება იმას მეტყველებდა, რომ არა და არ იქნა საქმის არსის სრულად გასიგრძეგანება — სწორედ ისე, როგორც ამ ერთი წლის წინათ, როდესაც რუზველტის მიერ შემოთავაზებულ წინადადებებს ცივი უარი შეაგებეს.

შემდეგ მე გამოვედი სიტყვით:

„ვერაფრით ვერ მივმხვდარვარ, რა უნდა გვქონდეს საწინააღმდეგო რუსეთთან წრფელი და უშურველი გარიგებისა, რაც, როგორც თავად აღიარებს, პრემიერ-მინისტრსაც ნებავს, და რასაც გვთავაზობს რუსული საბჭოთა მთავრობა.

რუსული მთავრობის მიერ წამოყენებული წინადადებები უთუოდ გულისხმობს აგრესიის წინააღმდეგ სამთა კავშირს — კავშირს ინგლისს, საფრანგეთსა და რუსეთს შორის. ამნაირ ალიანსს შეუძლია თავისი განსაკუთრებული უფლებანი გაავრცელოს სხვა ქვეყნებზედაც, თუკი, ან როდესაც, ამის საჭიროება შეიქნება. ალიანსის ერთადერთი მიზანია აგრესიის შემდგომი გამოვლინებებისათვის წინააღმდეგობის გაწევა და აგრესიის მსხვერპლთა დაცვა. ამაში საძრახისს ვერაფერს ვხედავ. რა არის ცუდი ამ უბრალო წინადადებაში?! ხშირად გაისმის: „შეიძლება ვენდოთ რუსულ საბჭოთა მთავრობას?!" მე კი მგონია, მოსკოვში კითხულობენ: „შეიძლება ვენდოთ ჩემბერლენს?!" იმედი მაქვს, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ორივე ამ კითხვას დადებითად უნდა ეუპასუხოთ. გულწრფელად მაქვს ამის იმედი...

* * *

თუ თქვენ მზადა ხართ, რუსეთის მოკავშირენი გახდეთ ომის — ამ უდიდესი გამოცდის, ამ ყველასათვის ღირსშესანიშნავი მოვლენის — დროს, თუ მზადა ხართ ხელი გაუწოდოთ რუსეთს პოლონეთის, ისევე, როგორც რუმინეთის, დაცვისას, რის გარანტიასაც თავადვე იძლეოდით, რაღა ახლა გაურბიხართ რუსეთის მოკავშირეობას, როდესაც, შესაძლოა, სწორედ ამის წყალობით ძალგიძთ შეაჩეროთ ომი?! ჩემთვის სრულიად გაუგებარია ეს დიპლომატიური მოქნილობა და გაჯანჯლება-გაჭიანურება. და, თუ ყველაზე უარესი მაინც მოსახდენია, სულ ერთია, მათთან ერთად აღმოჩნდებით მოვლენების შუაგულში და უკეთესი გამოსავლის ძიებაც მათთან ერთად მოგიწევთ; ხოლო, თუ საქმე არ გაჭირდება, უსაფრთხოება წინდაწინვე განაღდებული გექნებათ...

* * *

ცხადია, რუსეთი არ დასთანხმდება გარიგებას, თუ მას ტოლად და სწორად არ შერაცხავენ და, ამას გარდა, დარწმუნებული თუ არ იქნება, რომ მოკავშირეთა, ანუ მშვიდობის ფრონტის, მიერ მოშველიებული მეთოდებით შესაძლებელი გახდება წარმატების მოპოვება. არავისა სურს მერყევ ხელმძღვანელობასთან საქმის დაჭერა და ორჭოფული პოლიტიკის აყოლა. ჩვენმა მთავრობამ უნდა შეიგნოს, რომ აღმოსავლეთ ევროპის ამ სახელმწიფოთაგან ვერც ერთი ვერ გაუძლებს ომის თუნდაც ერთ წელიწადს, თუ მას ზურგს არ გაუმაგრებს მეგობრულად განწყობილი და დასავლეთის ზესახელმწიფოებთან შეკავშირებული რუსეთის სოლიდური და მძლავრი მხარდაჭერა. მისტერ ლოიდ ჯორჯს ვეთანხმები მთავარში: საჭიროა საიმედო აღმოსავლეთის ფრონტი — მშვიდობის ფრონტი იქნება ეს თუ ომისა; მისი შექმნა კი შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ყველა ამ

ქვეყნის უკან მდგარი მეგობრულად განწყობილი საბჭოთა რუსეთის ქმედითი მხარდაჭერის წყალობით.

თუ არ შეიქმნა აღმოსავლეთის ფრონტი, რა ელის დასავლეთს? რა ელის იმ ქვეყნებს დასავლეთის ფრონტზე, რომლებთანაც, საყოველთაო აღიარებით, დაკავშირებული ვართ, თუნდაც რომ გარანტიები არ გვქონდეს მათთვის მიცემული, — ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ბელგია, ჰოლანდია, დანია და შვეიცარია? დავუბრუნდეთ 1917 წლის გამოცდილებას. 1917 წელს რუსეთის ფრონტი დამარცხდა და დემორალიზაცია განიცადა. რევოლუციამ და ამბოხმა დათრგუნა ამ დიდებული და მოწესრიგებული არმიის შემართება და ფრონტზე ენით აუწერელი მდგომარეობა შეიქმნა. და მაინც, სანამ ამ ფრონტის გაუქმების ხელშეკრულება დაიდებოდა, მილიონ ნახევარზე მეტი გერმანელი დაატყვევეს; ეს მაშინ, როდესაც ფრონტზე უაღრესად დამთრგუნველი და სავალალო მდგომარეობა გახლდათ. მოისპო თუ არა ეს ფრონტი, მილიონი გერმანელი და ხუთი ათასი ქვემეხი დასავლეთისაკენ გადაისროლეს; ბოლო წუთში საომარი ქმედებები ლამის იყო სხვა გეზით არ წარიმართა და, ცოტა დააკლდა, თავს არ მოგვახვიეს დამღუპველი ზავი.

აღმოსავლეთის ფრონტის საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. გაოცებული ვარ, რომ იგი მეტად არ გაშფოთებთ. მე, რა თქმა უნდა, მოწყალებას არა ვთხოვ საბჭოთა რუსეთს. ახლა იმის დრო არ არის, სხვა ქვეყნებთან იმათხოვრო, მაგრამ ჩვენ ისეთ რამეს გვთავაზობენ, რაც, ჩემი აზრით, მართებულიცაა და იმ პირობებზე ხელსაყრელიც, რასაც ჩვენი მთავრობა ესწრაფვის — უფრო ნაღდი, მიუკიბ-მოუკიბავი და ქმედითი. ისე ნუ ვიქმთ, რომ ვუგანოთ და ვერც ვერაფერს გამოვრჩეთ. მე ვთხოვ მისი უდიდებულესობის მთავრობას, გაათვითცნობიეროს ზოგი რამ, გამომეტყველი ამ უსიამოვნო ჭეშმარიტებისა. ქმედითი აღმოსავლეთის ფრონტის თვინიერ შეუძლებელია დასავლეთში ჩვენი ინტერესების ჯეროვნად დაცვა, ურუსეთოდ კი ქმედითი აღმოსავლეთის ფრონტი არ შეიქმნება. თუ მისი

უდიდებულესობის ხელისუფლება — რომელსაც სრულებით არ ანაღვლებს ჩვენი თავდაცვა, რომელიც განუდგა ჩეხოსლოვაკიას, მისი სამხედრო ძალმოსილების მიუხედავად, და რომელმაც საკითხის ტექნიკური მხარის შეუსწავლელად გვაიძულა ფარად დავსდგომოდით პოლონეთსა და რუმინეთს — შორს დაიჭერს და იუკადრისებს რუსეთის მიერ შემოთავაზებულ აუცილებელ დახმარებას და, გამომდინარე აქედან, უარესთაგან უარესი გზით ჩაგვითრევს უარესთაგან უარეს ომში, იგი ველარ ეღირსება ნდობასა და, დავსძენდი, იმ სულგრძელ დამოკიდებულებას, რომელსაც, რა ხანია, მის მიმართ იჩენენ თანამემამულენი"...

* * *

დასავლეთის ზესახელმწიფოთა მცდელობას, შეექმნათ თავდაცვითი კავშირი გერმანიის წინააღმდეგ, მხარს უბამდა მეორე მხარე. მაისის დამდეგს კომოში გამართული მოლაპარაკებანი რიბენტროპსა და ჩიანოს შორის ოფიციალურად და საჯაროდ დაგვირგვინდა ე. წ. „ფოლადის პაქტით", რომელსაც 22 მაისს ბერლინში ხელი მოაწერა ორმა საგარეო საქმეთა მინისტრმა. ეს საპასუხო ნაბიჯი აღმოსავლეთ ევროპაში ბრიტანული გარანტიების უსუსური ქსელის განსაქიქებლად იყო გამიზნული... ჰიტლერის კმაყოფილება უკეთ გამჟღავნდა, როდესაც 23 მაისს, ფოლადის პაქტზე ხელმოწერის მეორე დღეს, ჰიტლერმა თათბირი ჩაატარა შეიარაღებულ ძალთა შემადგენლობის უმაღლეს ხელმძღვანელობასთან. ამ თათბირის საიდუმლო ჩანაწერებში ნათქვამია:

„დღეს ჩვენ პატრიოტული გზნებითა ვართ განმსჭვალულნი, რასაც იზიარებს ორი სხვა ქვეყანა — იტალია და იაპონია. განვლილმა პერიოდმა დიდი სარგებლობა მოგვიტანა. ჩვენ მიერ გატარებული ზედმიწევნით თანამიმდევრული ღონისძიებანი სრულად ეხამება ჩვენს მიზნებს. პოლონელი „სასხვათაშორისო"

მტერი როდია. პოლონეთი მუდამ ჩვენი მტრების მხარეზე იქნება. მეგობრობის ხელშეკრულებების მიუხედავად, პოლონეთი მალულად მუდამ იმას ელტვოდა, ჩვენდა საზიანოდ გამოეყენებინა ნებისმიერი ხელსაყრელი შემთხვევა. დავის მიზეზი სულაც არ გახლავთ დანციჰი. საუბარია ჩვენი სასიცოცხლო სივრცის გაფართოებაზე აღმოსავლეთით და სურსათით ჩვენ უზრუნველყოფაზე. ამიტომ ლაპარაკიც არ ეგების პოლონეთის დაზოგვაზე; ერთი რამ დაგვრჩენია გადასაწყვეტი — პირველივე ხელსაყრელი შემთხვევის გამოყენება და პოლონეთზე თავდასხმა. ჩვენ ვერ დაველოდებით ჩეხეთის ამბის გამეორებას. ომი გარდაუვალია. ჩვენი ამოცანაა პოლონეთის იზოლირება. საქმის წარმატებით დაგვირგვინება ყველაფერს წერტილს დაუსვამს.

გამორიცხული არ არის, რომ გერმანია-პოლონეთის კონფლიქტმა დასავლეთში ომი ააგოროს, შემდეგ კი, პირველ ყოვლისა, ინგლისსა და საფრანგეთს უნდა შ̣ევებრძოლოთ. ინგლისსაფრანგეთ-რუსეთს გერმანია-იტალია-იაპონიის წინააღმდეგ კავშირი რომ შეეკრა, იძულებული ვიქნებოდი ინგლისისა და საფრანგეთისათვის რამდენიმე გამანადგურებელი დარტყმა მიმეყენებინა. მაეჭვებს ინგლისთან მშვიდობიანი გარიგების შესაძლებლობა. ჩვენ კონფლიქტისათვის უნდა მოვემზადოთ. ჩვენს ზრდა-გაძლიერებაში ინგლისი ხედავს საფუძველს ჰეგემონიისა, რომელიც შეარყევს მის ძლიერებას. გამომდინარე აქედან, ინგლისი ჩვენი მტერია და მასთან შებმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას მოასწავებს...

ინგლისმა იცის, რომ ომი თუ წააგო, მსოფლიო გამგებლობას გამოეთხოვება. ინგლისია მთავარი მამოძრავებელი ძალა გერმანიის წინააღმდეგ... თუ ვივარგებთ და ბელგია-ჰოლანდიას ხელში ჩავიგდებთ და დავეპატრონებით, და, თუ საფრანგეთსაც დავამარცხებთ, ინგლისთან ომში გამარჯვების მტკიცე წინაპირობა განაღდებული გვექნება“.

30 მაისს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავის ელჩს მოსკოვში შემდეგი ინსტრუქცია გაუგზავნა: „უწინდელი

პოლიტიკის საპირისპიროდ, ამჯერად განზრახული გვაქვს გარკვეული მოლაპარაკებანი ვაწარმოოთ საბჭოთა კავშირთან".

სანამ ღერძის ქვეყნები საომარი მზადყოფნისათვის დაირაზმებოდნენ, მოისპო სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე მაკავშირებელი რგოლი დასავლეთის ზესახელმწიფოთა და რუსეთს შორის. არსებითად განსხვავებული თვალსაზრისი გამოსჭვივის საგარეო საქმეთა კომისრის — მოლოტოვის 31 მაისის სიტყვაში, ჩემბერლენის მიერ 19 მაისს თემთა პალატაში წარმოთქმული სიტყვის საპასუხოდ რომ გაისმა.

ჯერ კიდევ აპრილის შუა რიცხვებში (თქვა მან) საბჭოთა მთავრობა შეუდგა მოლაპარაკებას ბრიტანეთ-საფრანგეთის მთავრობებთან აუცილებელ ღონისძიებათა გატარების თაობაზე. ეს მოლაპარაკებანი ჯერაც არ დასრულებულა. არცთუ დიდი ხნის წინათ ცხადი შეიქნა, რომ, თუკი აგრესიის მოსაგერიებლად მართლაც მოწადინებული იყვნენ შეექმნათ მშვიდობისმოყვარე ქვეყნების ქმედითუნარიანი ფრონტი, ამისათვის აუცილებელი იყო თუნდაც შემდეგი პირობების დაცვა:

— დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და სსრ კავშირს შორის აგრესიის წინააღმდეგ მიმართული ურთიერთდახმარების ეფექტიანი პაქტის შექმნა, რომელსაც ექნება მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვითი ხასიათი;

— დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და სსრ კავშირის წილ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების — მათ შორის, სსრ კავშირის მოსაზღვრე უკლებლივ ყველა ევროპული ქვეყნის — აგრესორთა თავდასხმისაგან უზრუნველყოფა;

— დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და სსრ კავშირს შორის გარკვეული გარიგება სასწრაფო და ეფექტიანი ურთიერთდახმარების ფორმებისა და მასშტაბების თაობაზე — დახმარებისა, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნებიან სახელმწიფოები აგრესორთა თავდასხმის შემთხვევაში.

მოლაპარაკებანი თითქოს ჩიხში მოექცა და გამოსავალი არა ჩანდა. პოლონეთისა და რუმინეთის მთავრობებმა, რომელთაც შეიშვნეს ბრიტანული გარანტია, ვერ შეიფერეს რუსეთის

მთავრობის მიერ იმავე ფორმით ნაკისრი მსგავსი ვალდებულებანი. ასეთივე განწყობილება ბატონობდა კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ რაიონში — ბალტიისპირეთის სახელმწფოებში. საბჭოთა მთავრობამ განმარტა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუერთდებოდა ურთიერთდახმარების პაქტს, თუ საერთო გარანტიაში ჩართავდნენ ფინეთისა და ბალტიისპირეთის სახელმწიფოებს. ეს პირობა ოთხივე სახელმწიფომ შორს დაიჭირა. თავზარდაცემულნი, ალბათ, კიდევ კარგა ხანს არ შეიცვლიდნენ აზრს. ფინეთმა და ესტონეთმა ისიც კი განაცხადეს, რომ მათი თანხმობის გარეშე მათთვის მიცემულ გარანტიასაც აგრესიის აქტად მიიჩნევდნენ. იმავე დღეს, 31 მაისს, ესტონეთმა და ლატვიამ გერმანიასთან ხელი მოაწერეს ურთიერთთავდაუსხმელობის პაქტებს. ასე რომ, ჰიტლერი დაუბრკოლებლად შეიჭრა მის წინააღმდეგ მიმართული ნაგვიანევი და მერყეევი, სუსტად დაცული კოალიციის სიღრმეში.

წიგნი II

ომის ბინდ-ბუნდში

თავი I

ომი

პირველ სექტემბერს, გამთენიისას, პოლონეთს თავს დაესხა გერმანია. დილით გამოცხადდა მთელი ჩვენი შეიარაღებული ძალების მობილიზაცია. პრემიერ-მინისტრმა მთხოვა, ნაშუადღევს დაუნინგ-სტრიტზე ვწვეოდი. გამომიტყდა, რომ იმედის ნატამალიც აღარ დარჩენოდა გერმანიასთან ომის თავიდან აცილებისა და უკვე იმაზე ფიქრობდა, ჩამოეყალიბებინა რიცხობრივად არცთუ დიდი სამხედრო კაბინეტი, რომელსაც უსამინისტროებოდ დარჩენილი მინისტრები გაუძღვებოდნენ. როგორც თავად ბრძანა, მას შეგნებული ჰქონდა, რომ ლეიბორისტულ პარტიას არ სურდა ნაციონალურ კოალიციაში თანამონაწილეობა და მაინც იმედოვნებდა, რომ ლიბერალები შემოუერთდებოდნენ. მან სამხედრო კაბინეტის წევრობა შემომთავაზა. ულაპარაკოდ დავთანხმდი მის წინადადებას და ამის თაობაზე გამართული ხანგრძლივი საუბრისას არაერთ პიროვნებასა თუ ჩაფიქრებულ ღონისძიებაზე ჩამოვაგდეთ სიტყვა.

როდესაც ბევრი რამ ავწონ-დავწონე, გავაცნობიერე, რომ იმ მინისტრთა საშუალო ასაკი, ვინც საომარ მოქმედებათა გასაძღოლად უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოში უნდა გაწევრიანებულიყო, მეტისმეტად უახლოვდებოდა სიჭარმაგის ზღვარს; ამიტომ ნაშუაღამევს ასეთი რამ მივწერე ჩემბერლენს:

„2.9.39.

„ერთობ ბებრული ნაკრები ხომ არ გამოგვივიდა?! მე გამოვთვალე, რომ იმ ექვსეულის ასაკი, თქვენ რომ გუშინ დამისახელეთ, ჯამში 386 წელს უკაკუნებს, ანუ საშუალოდ 64 წელს აღემატება! სულ რაღაც ერთი წელი უკლია ხანდაზმულობის საპენსიო ასაკს! თუმცა თუ ამ შემადგენლობას სინკლერი (49)

და იდენი (42) შეემატება, საშუალო ასაკი ორმოცდაჩვიდმეტ-ნახევარ წლამდე შემცირდება.

თუკი „დეილი ჰერალდი" მართებულად ამტკიცებს, რომ ლეიბორისტები არ შემოგვიერთდებიან, მაშინ უეჭველად თავს დაგვატყდება გამუდმებული კრიტიკის ნიაღვარი, ისევე, როგორც არ აგვცდება ათასნაირი იმედგაცრუება და მოულოდ-ნელობა, რაც ესოდენ ნიშანდობლივია ომის დროს. ამიტომაც მით უფრო მნიშვნელოვნად მესახება ლიბერალური ოპოზიციის შემომტკიცება ჩვენს რიგებში. იდენის ზეგავლენა კონსერვა-ტორთა დაჯგუფებებზე, რომლებიც დაკავშირებული არიან მასთან და, იმავდროულად, ზომიერ ლიბერალურ ელემენტებთ-ან, ჩემის თვალსაზრისით, უთუოდ გაამყარებდა ჩვენს პოზი-ციებს.

აი, უკვე ოცდაათი საათია პოლონელებზე სასტიკი იერიში მიაქვთ და მე ძალზე მაშფოთებს ხმები იმის თაობაზე, რომ პარიზში ლაპარაკია ახალ ნოტაზე. მწამს, რომ თქვენ შეძლებთ გამოაქვეყნოთ ჩვენი ერთობლივი დეკლარაცია ომის გამოცხა-დების შესახებ არა უგვიანეს ნაშუადღევისა; ამ დროსაა დანიშ-ნული პარლამენტის სხდომა.

საზღვაო სამინისტრო საგანგებო ღონისძიებებს თუ არ მი-იღებს და დღესვე თუ არ მივცემთ სიგნალს, „ბრემენს" სულ მალე ველარსად მოვიხელთებთ. ეს თუმცა ნაკლებად მნიშ-ვნელოვანი საკითხია, მაინც შეიძლება ძალზე უსიამოვნოდ შე-მოგვიბრუნდეს.

მიგულეთ თქვენს განკარგულებაში"[1].

მე იმან გამაოცა, რომ ორ სექტემბერს — იმ დროს, როცა იგრძნობოდა კრიზისის უკიდურესი გამძაფრება, მისტერ ჩემ-ბერლენი მთელი დღის განმავლობაში ერთხელაც არ შემხმი-ანებია. უკვე იმას ვფიქრობდი, ამ ბოლო წუთში მშვიდობის შენარჩუნების მცდელობას ხომ არ ნიშნავს-მეთქი ეს ამბავი; და

[1] Feiing, op. cit, page 420.

არც მოვტყუებულვარ. მაგრამ ნაშუადღევს, პარლამენტი რომ შეიკრიბა, გაიმართა ხანმოკლე, თუმც საკმაოდ ცხარე კამათი, რომლის დროსაც პრემიერ-მინისტრის ორჭოფულ განცხადებას უთავაზოდ შეხვდნენ პალატის წევრები. მისტერ გრინვუდი რომ წამოდგა, რათა ლეიბორისტული ოპოზიციის სახელით ელაპარაკა, მისტერ ემერიმ — კონსერვატორთა ბანაკის წარმომადგენელმა — მიაძახა, „ინგლისის სახელით ილაპარაკეთო", რასაც ტაშის გრიალით შეხვდნენ. სათუო აღარაფერი იყო, — პალატა მხარს უჭერდა ომის დაწყებას. მე ისიც კი მომეჩვენა, რომ იგი ახლა უფრო შემართული და ერთსულოვანი იყო, ვიდრე 1914 წლის 3 აგვისტოს მსგავს ვითარებაში, — მე ხომ მაშინდელ ამბებშიაც ვმონაწილეობდი! საღამოთი ყველა პარტიის ცნობილ ჯენტლმენთა კარგა დიდი ჯგუფი მეწვია შინ, ბინაზე, უესტმინსტერის ტაძარს რომ გასცქეროდა; ისინი ერთობ დიდ შეშფოთებას გამოხატავდნენ იმასთან დაკავშირებით, შეეძლებდით თუ არა ჩვენი მოვალეობის პირნათლად შესრულებას პოლონეთის წინაშე. მეორე დღეს, შუადღისას, პალატა კვლავ უნდა შეკრებილიყო. ღამით პრემიერ-მინისტრს მივწერე შემდეგი:

„2.9.39.

პარასკევს აქეთ, ჩვენი საუბრის შემდეგ, ერთხელაც აღარ შემხმიანებიხართ. მე მაშინ მივხვდი, რომ მოვალე ვიყავ, თქვენი კოლეგა გავმხდარიყავი, თქვენ კი ბრძანეთ, რომ ამას სულ მალე საჯაროდ განაცხადებდით. ვერ გამიგია, რა მოხდა ამ შფოთიანი დღის მანძილზე; თუმც ასე მგონია, იმძლავრა ახალმა აზრებმა, ერთობ განსხვავებულმა იმათგან, ჩემთან საუბრისას ამგვარად რომ გამოხატეთ — „წილი ნაყარიაო". ჩემთვის სრულიად ნათელია, რომ ევროპაში შექმნილ შემაძრწუნებელ ვითარებასთან დაკავშირებით შესაძლოა აუცილებელიც შეიქნას სხვა მეთოდის გამოყენება, მაგრამ ვფიქრობ, უფლება მაქვს გთხოვოთ, შუადღისათვის დანიშნული დებატების დაწყებამდე მაცნობოთ, რას ვაპირებთ როგორც საზოგადოებრივი, ისე პირადული თვალსაზრისიდან გამომდინარე.

ასე მგონია, თუ ლეიბორისტულსა და, როგორც მე ვასკვნი, ლიბერალურ პარტიებს ჩამოვიცილებთ, გაგვიჭირდება ქმედითი სამხედრო მმართველობის შექმნა იმ ზღუდემორყეულ საძირკველზე, თქვენ რომ ახსენეთ. საჭიროდ მიმაჩნია, ერთხელ კიდევ ვცადოთ ლიბერალების მოზიდვა და, ამას გარდა, გადავხედოთ შემადგენლობასა და რიცხობრიობას სამხედრო კაბინეტისა, რომლის შესახებაც მე და თქვენ ვიმსჯელეთ. დღეს ღამით პალატაში იგრძნობოდა, რომ ჩვენი შემართების აშკარა მოდუნებით ლახვარი ჩავეცით ეროვნული მთლიანობის სულისკვეთებას. მე არ ვაკნინებ იმ სიძნელეებს, თქვენ რომ გზად გეღობებათ ფრანგებთან ურთიერთობისას; მაგრამ მწამს, რომ ახლა ჩვენ თავად გადავჭრით საკითხს და ამით ფრანგ მეგობრებს ვუჩვენებთ მაგალითს, რაც მათ, იქნება, კიდეც სჭირდებათ. ამისათვის დაგვჭირდება რაც შეიძლება მძლავრი და შეკრული კომბინაცია. ამიტომ გთხოვთ, ნუ გაახმაურებთ სამხედრო კაბინეტის შემადგენლობას, ვიდრე კიდევ ერთხელ არ ვისაუბრებთ.

როგორც გუშინ დილას გწერდით, მთლიანად თქვენს განკარგულებაში მიგულეთ მუდამ მზად მყოფი შემწეობის გასაწევად თქვენი ამოცანის განხორციელებაში".

მოგვიანებით შევიტყვე, რომ პირველ სექტემბერს, საღამოს ცხრა საათსა და ოცდაათ წუთზე, ინგლისმა ულტიმატუმი წაუყენა გერმანიას და რომ სამ სექტემბერს დილის ცხრა საათზე ამას მოჰყვა კიდევ ერთი და ამჯერად უკვე საბოლოო ულტიმატუმი. სამი სექტემბრის დილის რადიოგადაცემა იტყობინებოდა, რომ პრემიერ-მინისტრი გამოვიდოდა რადიოთი 11 საათსა და 15 წუთზე. რაკი სარწმუნო ჩანდა, რომ დიდი ბრიტანეთიცა და საფრანგეთიც დაუყოვნებლივ გამოაცხადებდნენ ომს, მოვამზადე მოკლე სიტყვა, რომელიც, ჩემი აზრით, ეხმიანებოდა ჩვენი ცხოვრებისა და ისტორიის ამ დიდებულ, ღირსშესანიშნავ წუთებს.

პრემიერ-მინისტრმა რადიოთი გამოაცხადა, რომ ჩვენ უკვე საომარ ვითარებაში ვიმყოფებოდით და, ის-ის იყო, დაასრულა

თავისი სიტყვა, რომ გაისმა უცნაური, გაბმული, ყმუილისებრი ხმა, რასაც მერე და მერე ყური შევაჩვიეთ. კაბინეტში შემოვიდა შემაშფოთებელი ამბებით აღელვებული ჩემი მეუღლე და წესრიგიანობა-სიყოჩაღე შეუქო გერმანელებს; სახლის სახურავზე ავედით, რათა იქაურობისათვის თვალი შეგვევლო და გვენახა, რა ხდებოდა. სექტემბრის ნათელი, გრილი დღე იდგა და გარშემო ყოველი მხრიდან ლონდონის შენობათა წანვეტებული სახურავები ამოზიდულიყო. მათ თავზე ნელ-ნელა იკვეთებოდა ოცდაათი თუ ორმოცი ცილინდრული აეროსტატის მოხაზულობა. მთავრობას დავუმადლეთ მზადყოფნის ეს უტყუარი ნიშანი და, რაკი შეპირებული თხუთმეტი წუთი, რის იმედითაც ვიყავით, უკვე იწურებოდა, ჩვენს კუთვნილ თავშესაფარს მივაშურეთ და თან წავიძღვანიეთ ერთი ბოთლი ბრენდი და რაღაცრაღაც სამკურნალო საშუალებები.

ჩვენი თავშესაფარი, რომლისკენაც გზა თავქვე მიუყვებოდა, ასიოდე იარდში იყო და წარმოადგენდა ერთ მოღიავებულ სარდაფს, რომელიც სილით სავსე ტომრებითაც კი არ იყო ჩახერგილი; იქ უკვე შეგროვილიყვნენ ახლომახლო სახლების მობინადრენი. ყველას ლაღი და ხალისიანი განწყობილება ჰქონდა, როგორც ეს შეუცნობლის პირისპირ მდგომ ინგლისელებს სჩვევიათ. ზღურბლთან მდგარმა, ჯერ დაცარიელებულ ქუჩას და შემდეგ გადავსებულ სარდაფს შევავლე მზერა. უმალ თვალწინ წარმომიდგა სურათები ნგრევისა და სისხლიანი სასაკლაოსი; საშინელი სიმძლავრის აფეთქებებისა, მიწას რომ აზანზარებენ; ჩამომსხვრეული და მტვერში აზელილი შენობებისა; სახანძრო რაზმებისა და სანიტარული მანქანებისა, კვამლს რომ აპობენ მტრის თვითმფრინავთა გუგუნში. განა იმთავითვე არ გვმოძღვრავდნენ, თუ რა შემაძრწუნებელი იქნებოდა საჰაერო იერიშები?! საკუთარი ღირსების შეგნებით გამსჭვალულ ავიაციის სამინისტროს მეტისმეტად გაეზვიადებინა მათი შესაძლებლობები. პაციფისტები ხალხში შიშის დათესვას ესწრაფოდნენ; ისინი კი, ვისაც ჩვენი რიგებიდან ჯერ კიდევ კარგა ხნის წინ დაეჟინებინა სათანადო მომზადებისა და უპირატესი

სამხედრო-საჰაერო ძალების შექმნის საჭიროება, თუმც სარწმუნოდ არ მიიჩნევდნენ ავ წინასწარმეტყველებას, მაინც იმედოვნებდნენ, რომ იგი ბიძგის მიმცემი შეიქნებოდა. ვიცოდი, რომ მთავრობა მოემზადა და ომის პირველსავე დღეებში მის განკარგულებაში იყო 250 ათასზე მეტი საწოლი საჰაერო იერიშების მსხვერპლთათვის. ასეა თუ ისე, მოცემულ ვითარებაში არსად იყო ნიშანწყალიც კი საშიშროების შეუფასებლობისა. აწ კი იმასაც ვნახავდით, რაც მოხდებოდა.

ათიოდე წუთის მერე კვლავ იმ ყმუილისებრმა ხმამ გააყრუა არემარე. დავეჭვდი, განგაში ხომ არ მეორდება-მეთქი, მაგრამ ამ დროს ქუჩაში გამოჩნდა კაცი, რომელიც ყვირილით იუწყებოდა — „განგაში შეწყდაო". მყის ჩვენ-ჩვენს ბინებს მივაშურეთ და საქმეს შევუდექით. გავემართე თემთა პალატაში, რომელიც ზუსტად შუადღისას შეიკრიბა; იგი მისთვის ჩვეულ აუჩქარებელ პროცედურას ასრულებდა და მოკლე ლოცვას აღავლენდა დარბაისლურად. ამ დროს მივიღე ბარათი პრემიერ-მინისტრისაგან, რომელშიაც მთხოვდა დებატების დამთავრებისთანავე მასთან შემევლო. იქ რომ ვიჯექი და გამომსვლელებს ვუსმენდი, ჩემს სულში უკიდურესმა სიმშვიდემ დაისადგურა ბოლო რამდენიმე დღის გამუდმებული ვნებათაღელვისა და აღტყინების შემდეგ. უშფოთველობამ მოიცვა ჩემი სული და ადამიანურ თუ პირადულ ამბებზე ამაღლებისა თუ განდგომილობის გრძნობა დამეუფლა. მშვიდობისმოყვარე და თუმც ცუდად მომზადებული, მაგრამ თავისი ღირსების დასაცავად მუდამ შემართული და მამაცი ძველი ინგლისის დიდება ავსებდა მთელს ჩემს არსებას და, როგორც ჩანს, ჩვენს ბედ-იღბალს იმ ზენა სამყაროს აზიარებდა, ძალზე დაშორებული რომ იყო მინიერი სინამდვილისა და სხეულისმიერი შეგრძნებებისაგან. ჩემს გამოსვლაში შევეცადე პალატის წევრთათვის ნაწილობრივ მაინც გამეზიარებინა ის, თუ რას განვიცდიდი და ამას მშვენივრად გავართვი თავი.

ჩემბერლენმა ბრძანა, რომ საგულისხმოდ მიიჩნია ჩემი წერილები; რომ ლიბერალები არ შევიდოდნენ მთავრობის შემად-

გენლობაში; რომ იგი მზად იყო გარკვეულწილად გაეზიარებინა ჩემი თვალსაზრისი საშუალო ასაკის თაობაზე და სამხედრო კაბინეტის შემადგენლობაში შეეყვანა სამი სამხედრო მინისტრი მათი აღმასრულებელი ფუნქციების მიუხედავად, რის წყალობითაც საშუალო ასაკი სამოც წელზე დაბლა დაინევდა. მისი სიტყვით, ამით მას საშუალება მიეცემოდა ჩემთვის შემოეთავაზებინა როგორც საზღვაო სამინისტროს მესვეურობა, ისე ადგილი სამხედრო კაბინეტში. ფრიად ნასიამოვნები დავრჩი და, თუმც ამას არ ვამხელდი, ბუნებრივია, მერჩია, უშუალოდ ჩემი საკეთებელი საქმე მქონოდა, ვიდრე მეფუთფუთა და ტვინი მეჭყლიტა სხვათა მიერ შესრულებულ სამუშაოზე, რაიც შეიძლება წილადა ხვდეს ნებისმიერ მინისტრს — რაგინდ გავლენიანიც უნდა იყოს იგი, თუკი მის განკარგულებაში არ არის სამინისტრო. რჩევის მიცემაზე ადვილი განკარგულებების გაცემაა და უმჯობესია, ყბედობის ნაცვლად თუნდაც შეზღუდული მოქმედების უფლება გენიჭებოდეს. პრემიერ-მინისტრს იმთავითვე რომ შემოეთავაზებინა არჩევანი სამხედრო კაბინეტსა და საზღვაო სამინისტროს შორის, რა თქმა უნდა, უკანასკნელს ვარჩევდი, ახლა კი ორივეგან გზა ხსნილი მქონდა.

არაფერი თქმულა იმის თაობაზე, თუ ოფიციალურად როდის მაკურთხებდა მისი უდიდებულესობის ხელისუფლება, და მართლაც, ხუთ სექტემბრამდე საქმეს თავი არ დასდგმია. მაგრამ საქმე ისაა, რომ ომის პირველივე საათები შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს ზღვაოსანთათვის. ამიტომ საზღვაო სამინისტროს შევუთვალე, რომ დაუყოვნებლივ შევუდგებოდი ჩემი მოვალეობის შესრულებას და გამოვცხადდებოდი ექვს საათზე. სამინისტრომაც კეთილმოსურნეობა გამოიჩინა და ფლოტს აუწყა, უინსტონი დაბრუნდაო. ასე რომ, კვლავ შევდგი ფეხი იმ ოთახში, წუხილითა და გულისტკივილით რომ დავტოვე თითქმის მეოთხედი საუკუნის წინათ, როცა ლორდ ფიშერის გადადგომამ გამოიწვია ჩემი — პირველი ლორდის — პოსტიდან გადაყენება და, როგორც გაირკვა, დარდანელის სრუტ-

ის ფორსირების მნიშვნელოვან კონცეფციაზე საბოლოოდ ხელის აღება. ჩემს ძველ სკამს უკან, სულ რამდენიმე ნაბიჯს იქით, ეკიდა ხის ჩარჩოიანი რუკა, ჯერ კიდევ 1911 წელს რომ მივამაგრე კედელზე, — თურმე დღემდე გაკრული ყოფილა ჩრდილოეთის ზღვის სქემა, რომელზედაც, ჩემი მითითების თანახმად, უმთავრეს ობიექტზე ყურადღების გამახვილების მიზნით, სამხედრო-საზღვაო დაზვერვის განყოფილების მუშაკები ყოველდღე აღნიშნავდნენ გერმანული სამხედრო-საზღვაო ფლოტის გადაადგილებასა და დისპოზიციას. 1911 წლიდან მეოთხედ საუკუნეზე ბევრად მეტი გასულიყო და, აი, კვლავ სასიკვდილო საფრთხე გვემუქრებოდა იმავე ქვეყნის შვილთაგან. ახლაც აშკარა აგრესიით დათრგუნული, ღირსებაშელახული და დასაპყრობად განწირული სუსტი სახელმწიფოს უფლებათა დაცვამ აგვაღებინა ხელში მახვილი. კვლავ სიცოცხლისა და ღირსების გადასარჩენად უნდა შევრკინებოდით მთელ ამ ძლევამოსილებასა და გააფთრებას შეუპოვარი, დიდად ნაწრთობი და დაუნდობელი გერმანული რასისა! კვლავაც! დე, აგრე იყოს!

* * *

მალე საზღვაო შტაბის უფროსი მეწვია სტუმრად. საზღვაო სამინისტროში ჩემი ადრინდელი მოღვაწეობის პერიოდში დადლი პაუნდს ასე თუ ისე ვიცნობდი, როგორც ლორდ ფიშერის ნდობით აღჭურვილ შტაბის ოფიცერს. ალბანეთში იტალიის შეჭრის დროს პარლამენტში გადაჭრით ვგმობდი დისპოზიციას ხმელთაშუა ზღვის ფლოტისა, რომელსაც იმხანად პაუნდი მეთაურობდა. ახლა კი ერთმანეთს შევხვდით, როგორც კოლეგები, რომელთა მჭიდრო ურთიერთობასა და სრულ თანხმობაზეა დამოკიდებული საზღვაო სამინისტროს მთელი ვეებერთელა მანქანის მწყობრი მუშაობა. თუმც ოდნავი უნდობლობით, მაგრამ მაინც კეთილგანწყობით შევხვდით ერთმანეთს, მაგრამ

პირველივე დღეებიდან ჩვენი მეგობრობა და ურთიერთნდობა იზრდებოდა და მტკიცდებოდა. მე ვაფასებდი და პატივს მივაგებდი ადმირალ პაუნდის პროფესიულ და პიროვნულ თვისებებს. როცა ომი მისთვის ჩვეული იღბლიანობა-უიღბლობის მონაცვლეობით მძიმე დარტყმებს გვაყენებდა, ჩვენი ამხანაგობა-მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა; ხოლო ოთხი წლის შემდეგ — სწორედ მაშინ, იტალიაზე რომ გავიმარჯვეთ — მან სამუდამოდ მიიძინა და მე მწარე გულისტკივილით დავიტირე ფლოტისა და ქვეყნის ეს დანაკარგი.

სამი სექტემბრის ღამე მეტწილად დეპარტამენტთა თავკაცებთან საუბარში გავატარე, ხოლო ოთხი სექტემბრის დილით საზღვაო სამინისტროს ხელმძღვანელობას შევუდექი. ისე, ვით 1914 წელს, საყოველთაო მობილიზაციამდე კარგა ხნით ადრე გატარდა უსაფრთხოების ღონისძიებანი ნებისმიერ მოულოდნელობათა თავიდან ასაცილებლად. ჯერ კიდევ 15 ივნისს გაინწვიეს კარგა ბლომად ოფიცრები და თადარიგოსნები. ცხრა აგვისტოს მისმა უდიდებულესობამ შეამონმა სანვრთნელი სნავლებისათვის სრულად დაკომპლექტებული სათადარიგო ფლოტი, 22 აგვისტოს კი დამატებით გაინვიეს თადარიგოსანთა სხვადასხვა რაზმები. 24 აგვისტოს პარლამენტმა მიიღო კანონი საგანგებო უფლებამოსილებათა შესახებ და იმავდროულად ფლოტს უბრძანეს გასულიყო თავის სამხედრო ბაზებზე. არსებითად, ჩვენი მთავარი ძალები ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ განლაგებულიყვნენ სკაპა-ფლოუში. ფლოტის სრული მობილიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საზღვაო სამინისტროს სამობილიზაციო გეგმა დაუბრკოლებლად ხორციელდებოდა და, რამდენიმე სერიოზული ხარვეზის მიუხედავად — კერძოდ, არ იყო საკმარისი რაოდენობის კრეისერები და გემები წყალქვეშა ნავებთან საბრძოლველად, — ომის დაწყებისას, ისე, ვით 1914 წელს, ფლოტი აღმოჩნდა მის წინაშე დასახული დიადი ამოცანების სიმაღლეზე...

* * *

ვითარება ზღვაზე მკვეთრად განსხვავდებოდა იმ სახიფათო ვითარებისაგან, 1914 წელს რომ შეიქმნა. მაშინ ომში ჩავებით ამგვარი შეფარდებით — თექვსმეტი ათზე მსხვილი სამხედრო გემი და ორი ერთზე კრეისერი. იმხანად მობილიზებული გვყავდა ექვსი საბრძოლო ესკადრა, რომელთაგან თითოეული მიითვლიდა რვა სამწკრივო ხომალდს, კრეისერთა ესკადრასა და მომცრო გემების ფლოტილიას; ბლომად გვყავდა აგრეთვე ცალკეული კრეისერები. მაშინ წინ მქონდა გადამწყვეტი ბრძოლა მტრის უფრო სუსტ, მაგრამ მაინც მრისხანე ფლოტთან, ახლა კი გერმანული ფლოტი ჯერ მხოლოდ იწყებდა ძალების მოკრებას და საბრძოლო მწკრივის გამართვასაც ვერ შეძლებდა. მათი ორი დიდი სამწკრივო ხომალდის „ბისმარკისა" და „ტირპიცის" გამართვას — ხომალდებისა, რომელთა ტონაჟი მნიშვნელოვანწილად აღემატებოდა ხელშეკრულებით დაწესებულ შეზღუდვებს — ერთი წელი მაინც დასჭირდებოდა. მშენებლობა მსუბუქი სამწკრივო კრეისერებისა „შარნგორსტისა" და „გნეიზენაუსი", რომელთა ტონაჟი გერმანელებმა მოტყუებით გაზარდეს ათი ათასიდან ოცდაექვს ათას ტონამდე, 1938 წელს დასრულდა. ამას გარდა, გერმანელებს ჰყავდათ სამი „ჯიბის სამწკრივო ხომალდი": „ადმირალი გრაფ შპეე", „ადმირალი შეერი" და „დოიჩლანდი", რომელთაგან თითოეულის წყალწყვა ათი ათას ტონას უტოლდებოდა და, კიდევ, რვადიუმიანი ქვემეხებით აღჭურვილი ორი სწრაფმავალი კრეისერი ათიათასტონიანი წყალწყვით, ექვსი მსუბუქი კრეისერი, სამოცი საესკადრო ნაღმოსანი და სხვა უფრო მომცრო გემები. ასე რომ, გერმანელთა წყალზედა ფლოტი ვერ ხელყოფდა ზღვაზე ჩვენს ბატონობას. თქმა არ უნდა, ბრიტანელთა სამხედრო საზღვაო ფლოტი გაცილებით უფრო ძლიერიც იყო და რიცხობრივადაც ბევრად სჭარბობდა გერმანელებისას; ვერც იმას დასწამებდა ვინმე, რომ ან საქმის ცოდნა აკლდა, ან კიდევ გაწაფულობა. კრეისერებისა და

საესკადრო ნაღმოსანთა ნაკლებობას თუ არ ჩავთვლით, ფლოტი, ჩვეულებისამებრ, მაღალი დონით გამოირჩეოდა. მას უამრავი, ვეებერთელა პასუხისმგებლობა ეკისრებოდა და მისი ტვირთვა ალბათ მტრისთვის თვალის გასნორებაზე ძნელიც კი იყო.

* * *

საზღვაო სამინისტროში რომ მოვედი, უკვე ნათელი წარმოდგენა მქონდა ზღვაზე სტრატეგიული მდგომარეობის შესახებ. მტრისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ბალტიის ზღვაზე ბატონობის შენარჩუნებას. სკანდინავიური მომარაგება, შვედური მადანი და, უპირველეს ყოვლისა, რუსთა სავარაუდო დესანტისაგან თავდაცვის აუცილებლობა კარგა მანძილზე გაშლილ და დაუცველ ჩრდილოეთ სანაპიროზე გერმანიისა, საიდანაც ბერლინი ერთ ადგილას ასიოდე მილით თუა დაშორებული, გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტს ბალტიის ზღვაზე ბატონობის შენარჩუნების საჭიროებას ჰკარნახობდა. ამიტომ დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ საწყის ეტაპზე გერმანია არ დათმობდა თავის ბატონობას ბალტიკაზე. აქედან გამომდინარე, თუმც გერმანელებს შეეძლოთ გამოეგზავნათ წყალქვეშა ნავები, კრეისერები ან იქნებ ერთი „ჯიბის სამწკრივო ხომალდიც“ კი ჩვენი კომუნიკაციების დასაზიანებლად, ისინი არ გაწირავდნენ არც ერთ გემს, თუკი იგი ბალტიის ზღვაზე ბატონობის შესანარჩუნებლად სჭირდებოდათ. გერმანულ ფლოტს, ამ დროისათვის ძალებს რომ იკრებდა, არსებულ ვითარებაში ეს უნდა მიეჩნია თავის პირველხარისხოვან და ლამის ერთადერთ ამოცანად. ჩვენი მთავარი მიზნების — ზღვაზე ძლევამოსილების შენარჩუნებისა და უმთავრესი საიერიშო ღონისძიების, ბლოკადის — განსახორციელებლად, რასაკვირველია, უნდა გვყოლოდა უძლიერესი ფლოტი ჩვენს ჩრდილოეთ წყლებში. თუმცა, როგორც ჩანდა, ბრიტანელებს სულაც არ

გვესაჭიროებოდა მაინცდამაინც დიდი სამხედრო-საზღვაო ძალების ყოლა ბალტიის ზღვიდან თუ ჰელგოლანდის ყურიდან ჯარების გაშლისათვის თვალ-ყურის სადევნებლად.

ბრიტანეთის უსაფრთხოება მნიშვნელოვანწილად გაიზრდებოდა, საჰაერო იერიშების წყალობით დროებით მაინც რომ შეგვძლებოდა მწყობრიდან გამოგვეყვანა კილის არხი — ეს გვერდითი კარი ბალტიის ზღვიდან...

* * *

ბრიტანეთის სავაჭრო ფლოტი ომის დაწყებისას დაახლოებით იმგვარივე იყო, როგორიც 1914 წელს. მისი ტონაჟი 21 მილიონ ტონას აღემატებოდა. გემების საშუალო სიდიდე გაიზარდა, ამიტომ რაოდენობა შემცირდა. თუმცა ეს ტონაჟი მთლიანად ვერ გამოდგებოდა სავაჭროდ. სამხედრო-საზღვაო ფლოტს სჭირდებოდა სრულიად სხვადასხვაგვარი დამხმარე გემები, რომელთა შერჩევა უმთავრესად შესაძლებელი იყო უმაღლესი კლასის ლაინერთა რიგებიდან. გემები ყველა სახეობის შეიარაღებულ ძალებს ესაჭიროებოდა საგანგებო მიზნებისათვის: არმიასა და სამხედრო-საჰაერო ძალებს — ჯარისკაცების გადასაყვანად და ტექნიკის გადასაზიდავად ზღვის გადაღმა, სამხედრო ფლოტს კი — სხვადასხვაგვარი სამუშაოებისათვის საზღვაო ბაზებსა და სხვა ადგილებში, სახელდობრ, საწვავის გადასატანად მთელ მსოფლიოში გაფანტულ სტრატეგიულ პუნქტებში. ამ მიზნებისათვის საჭირო ტონაჟმა დაახლოებით 3 მლნ. ტონა შეადგინა და ამას კიდევ უნდა დაემატოს მთელი იმპერიის ნაოსნობის საჭიროებანი. 1939 წლის ბოლოს შენაძენთა და დანაკარგთა საბოლოო დაანგარიშების შემდეგ აღმოჩნდა, რომ კომერციული მიზნებისათვის დარჩენილი საერთო ტონაჟი დაახლოებით 15,5 მლნ. ტონას გაუტოლდა.

* * *

იტალიას ჯერ კიდევ არ გამოეცხადებინა ომი, მაგრამ ცხადი იყო, რომ მუსოლინი ელოდებოდა მოვლენათა განვითარებას. რაკი ეს გაურკვევლობა გავითვალისწინეთ და სიფრთხილე გამოვიჩინეთ, სანამ ჩვენი სამზადისი მთლიანად არ დასრულდებოდა, აუცილებლად მივიჩნიეთ ჩვენი ფლოტის განთავსება კეთილი იმედის კონცხის მიდამოებში. თუმცა, საკუთარი ფლოტის გარდა, გერმანულ და იტალიურ ფლოტებს რომ სჯობნიდა, ერთად აღებულთ, ჩვენს მხარეზე უკვე გვეგულებოდა საფრანგეთის ძლევამოსილი ფლოტი, რომელსაც დიდხანს მესვეურობდა ადმირალი დარლანი და რომელიც, მისი გასაოცარი ნიჭიერების წყალობით, ისე გაძლიერდა და გაიწაფა, როგორც არასდროს, მონარქიის ხანიდან მოყოლებული. იტალია თუ ომში ჩაებმებოდა, პირველი ბრძოლის ველი ჩვენთვის ხმელთაშუა ზღვა აღმოჩნდებოდა. მე გადაჭრით ვილაშქრებდი ზღვის შუაგულის გაშიშვლებისა და ამ დიდი შიდა ზღვის მისადგომთა ჩახერგვის ყველა გეგმის წინააღმდეგ, თუ ეს დროებითი აუცილებლობით არ იყო ნაკარნახევი. საკუთარი ძალების ამარა, ფრანგული ფლოტისა და მისი გამაგრებული ნავსადგურების გამოუყენებლადაც განვდევნიდით იტალიურ გემებს და ორიოდ თვეში სრულ ბატონობას მოვიპოვებდით ხმელთაშუა ზღვაზე.

ბრიტანელთა ბატონობა ხმელთაშუა ზღვაზე ლახვარს ჩასცემდა მტრულ იტალიას, რასაც, შესაძლოა, საბედისწერო ზეგავლენა მოეხდინა მის ბრძოლისუნარიანობაზე. მთელი მისი ლაშქარი ლიბიასა და აბისინიაში ფრთამოკვეცილი დარჩებოდა. ფრანგებსა და ჩვენს ჯარისკაცებთან ეგვიპტეში შესაძლებელი იქნებოდა საჭირო რაოდენობის მაშველი ჯარების გაგზავნა, მაშინ, როდესაც იტალიელები შიმშილით თუ არ დაიხოცებოდნენ, დაძაბუნდებოდნენ მაინც. ხმელთაშუა ზღვის ცენტრალური ნაწილიდან ძალთა გარიდება იმის მანიშნებელი იქნე-

ბოდა, რომ იტალიის ლაშქარს გერმანელთა თავკაცობით გზა გაეხსნებოდა ეგვიპტესა და არხში ისევე, როგორც ფრანგულ სამფლობელოებში შესაჭრელად. ამის გარდა, რიგი სწრაფი და ღირსშესანიშნავი გამარჯვებებისა ამ სცენაზე, რომელთა მოპოვება ომის პირველსავე კვირებში იყო შესაძლებელი, ერთობ ჯანსაღ და სასარგებლო ზეგავლენას მოახდენდა გერმანიასთან გადამწყვეტ ბრძოლაზე. როგორც სამხედრო-საზღვაო, ისე სახმელეთო თვალსაზრისით, ჩვენ ვერაფერი შეგვიშლიდა ხელს ამ შედეგების მიღწევაში.

* * *

ჯერ არც კი დავბრუნებულიყავი საზღვაო სამინისტროში, რომ უკვე სავსებით ვიზიარებდი თვალსაზრისს იმის თაობაზე, თუ რაოდენ ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა წყალქვეშა ნავები. თუმც „ასდიკის" ტექნიკური ღირსებები არაერთხელ წარმოჩნდა წყალქვეშა ნავებთან შეტაკებებისას ომის დასაწყისში, მათთან ბრძოლის ჩვენეული საშუალებანი სრულიადაც არა კმაროდა საიმისოდ, რომ თავიდან აგვეცილებინა მნიშვნელოვანი და მწარე დანაკარგები. მცდარი როდი გახლდათ ჩემი მაშინდელი თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ „ჩვენ სავსებით შეგვწევდა უნარი გავმკლავებოდით წყალქვეშა ნავებს გარე ზღვებზე და, უთუოდ, ხმელთაშუა ზღვაზედაც; და რომ უცილობლად გვექნებოდა დანაკარგები, მაგრამ ისინი ვერ იქონიებდნენ ზეგავლენას მოვლენათა მსვლელობაზე". წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ ბრძოლის პირველ წელს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ატლანტიკისათვის ბრძოლა 1941-42 წლებისათვის გადაიდო.

საზღვაო სამინისტროში ომამდე გაბატონებული თვალსაზრისის თანახმად, ჯეროვნად ვერ შევაფასე ჰაერიდან ბრიტანულ სამხედრო გემებზე თავდასხმის საფრთხე თუ შედეგები. „ასე მგონია, — ეწერდი ომის დაწყებამდე რამდენიმე თვით

ადრე, — შეიძლება მოკრძალებულად ვივარაუდოთ (ვინაიდან ამის ზუსტად განსაზღვრა ძალზე ძნელია), რომ ავიაციის თავდასხმა ბრიტანულ სამხედრო ხომალდებზე, თუ გავითვალისწინებთ მათ ახლანდელ შეიარაღებასა და თავდაცვისუნარიანობას, ხელს ვერ შეუშლის ზღვაზე მათი სრული ბატონობის დამყარებას", ოღონდ ჩვენი ფლოტის გადაადგილებისას მალე თავი იჩინა თუმც გაზვიადებულმა, მაგრამ მაინც სერიოზულმა დაბრკოლებებმა. ავიაცია ლამის მაშინვე საშინელ საფრთხედ შემოგვიბრუნდა, მეტადრე, ხმელთაშუა ზღვაზე. მალტა, რომელსაც მხოლოდ უმნიშვნელო ჰაერსაწინააღმდეგო დაცვა ჰქონდა, ისეთ პრობლემებს ქმნიდა, ერთი ხელის მოსმით რომ ვერ გადაწყვეტდი. მეორე მხრივ კი, ომის პირველ წელს საჰაერო იერიშის შედეგად არც ერთი დიდი ბრიტანული გემი არ ჩაძირულა.

* * *

იმხანად იაპონიის მხრიდან მტრულ ზრახვათა თუ მოქმედებათა არანაირი ნიშანწყალი არ გამჟღავნებულა. იაპონიის უმთავრესი საფიქრალ-საწუხარი, ბუნებრივია, ამერიკა გახლდათ. შეუძლებლად მესახებოდა, რომ შეერთებულ შტატებს — თუნდაც თავად მას იმ წუთში არაფერი შეხებოდა — გულხელდაკრეფილს უმოქმედოდ ედევნებინა თვალი ერთიანი შემოტევისათვის ყველა ევროპულ უწყებაზე შორეულ აღმოსავლეთში. ამ შემთხვევაში მტრული იაპონია ისეთს რას დაგვაკლებდა — რაგინდ უსიამოვნო უნდა ყოფილიყო ეს მტრობა, — რასაც შეერთებული შტატები გვახეირებდა, თუკი შესაძლებელი შეიქნებოდა მისი იაპონიაზე გალაშქრება! შორეულ აღმოსავლეთში თავჩენილ არანაირ საფრთხეს არ უნდა მოედუნებინა ჩვენი ყურადღება ჩვენს მთავარ ობიექტებზე ევროპაში. იაპონელთა თავდასხმისაგან ვერ ვიხსნიდით ჩვენს სამფლობელოებს ყვითელ ზღვაში და ვერც ჩვენს ინტერესებს დავ-

იცავდით. უშორესი პუნქტი, რომლის დაცვასაც შევძლებდით იაპონიის ომში ჩაბმის შემთხვევაში, ჩვენი ციხესიმაგრე სინგაპური გახლდათ. აუცილებელი იყო სინგაპურის შენარჩუნება, სანამ უზრუნველყოფილი არ იქნებოდა ხმელთაშუა ზღვის უსაფრთხოება და არ განადგურდებოდა იტალიური ფლოტი.

ომის ამ ეტაპზე ამ მქონია იმის შიში, რომ იაპონია გაგზავნიდა ფლოტსა და არმიას სინგაპურის ასაღებად, თუკი ამ ციხესიმაგრის განკარგულებაში იქნებოდა სათანადო გარნიზონი და ნახევარი წლით მაინც მომარაგებული ექნებოდა სურსათი და საბრძოლო მასალა. სინგაპური ისევე შორს იყო იაპონიიდან, როგორც საუთჰემპტონი ნიუ-იორკიდან. იაპონიას 3 ათას მილს იქით უნდა გაეგზავნა მეტი წილი თავისი ფლოტისა, სატრანსპორტო გემებით ბადრაგის თანხლებით გადაეყვანა სულ ცოტა 60 ათასი კაცი, რათა მიეტანა იერიში და შემოერტყა ალყა, რაც მხოლოდ კატასტროფით დასრულდებოდა იმ შემთხვევაში, თუ იაპონიის საზღვაო კომუნიკაციები სადღაც გადაიჭრებოდა. ეს მოსაზრებანი, რა თქმა უნდა, გაქარწყლდა მას შემდეგ, რაც იაპონელებმა დაიპყრეს ინდოჩინეთი და სიამი, შექმნეს მძლავრი არმია და უშველებელი სამხედრო-საჰაერო ძალები სულ მხოლოდ 300 მილის დაშორებით სიამის ყურიდან. თუმცა ეს მოხდა მხოლოდ წლინახევრის შემდეგ.

სანამ ბრიტანული სამხედრო-საზღვაო ფლოტი ქედს არ მოიხრიდა და სინგაპურიც ჩვენს ხელთ იქნებოდა, გამორიცხული გახლდათ იაპონიის შეჭრა ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში. ჩვენ შეგვეძლო ავსტრალია-აზიისათვის უსაფრთხოების სრული გარანტია მიგვეცა, ოღონდ საკუთარი გზით უნდა გვევლო და ოპერაციებიც წესითა და რიგით გვეწარმოებინა. ნაკლებად სარწმუნო ჩანდა, რომ ყვითელ ზღვაზე ბატონობით ფრთაშესხმულ მოქიშპე იაპონიას საექპედიციო ძალები გაეგზავნა ავსტრალიის დაპყრობა-კოლონიზაციისათვის. ერთხანს საჭირო იქნებოდა მრავალრიცხოვანი და კარგად შეიარაღებული არმია ავსტრალიის საძეოზე გარკვეული ზეგავლენის მოსახდენად. ასეთი წამოწყებისათვის აუცილებელი იყო იაპონი-

ის ფლოტის მოულოდნელად გატყუება და მისი ჩაბმა ავსტრალიაში ატეხილ ხანგრძლივსა და არაგეგმაზომიერ ბრძოლებში. ხმელთაშუა ზღვაზე ვითარების გარკვევა კარგა ბლომად სამხედრო-საზღვაო ძალებს გამოათავისუფლებდა და თავდამსხმელებს თავიანთ ფუძე-სამყოფელს მოსწყვეტდა. არც შეერთებულ შტატებს გაუჭირდებოდა იაპონიისათვის განეცხადებინა, რომ იაპონური ფლოტისა და ტრანსპორტის გაგზავნას ეკვატორიდან სამხრეთისაკენ იგი ომის აქტად შერაცხდა. იქნებ, სურდა კიდეც ამგვარი რამის განცხადება და, აბა, რით იქნებოდა ცუდი, მათი აზრი რომ გაგვერკვია ამ ერთობ შორეულ ეგებისობაზე...

... მე სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ მსოფლიო ომის პირველ წელს ავსტრალიასა და ახალ ზელანდიას — რაც უნდა დატრიალებულიყო ამ ქვეყნებში — არავითარი საფრთხე არ დაემუქრებოდა, პირველი წლის მიწურულს კი შეგვეძლო გვევარაუდა ყველა ზღვისა და ოკეანის მტრისაგან გაწმენდა. რაც შეეხება ომის პირველ წელიწადს ზღვაზე, ეს ნინასწარმეტყველება ახდა. თავის დროზე გამცნობთ 1941-42 წლების შორეულ აღმოსავლეთში დატრიალებულ ამბებს.

* * *

პრესა და, უწინარეს ყოვლისა, გაზეთი „თაიმსი“, მხარს უჭერდა პრინციპს სამხედრო კაბინეტის შექმნისა არა უმეტეს ხუთი-ექვსი მინისტრის შემადგენლობით — მინისტრებისა, რომლებიც თავისუფალი იქნებოდნენ სამინისტროში თავიანთი მოვალეობებისაგან. პრესა ირწმუნებოდა, რომ მხოლოდ ამნაირად შეიძლებოდა ღრმად გააზრებული და შეთანხმებული სამხედრო პოლიტიკის გატარება. მოკლედ რომ მოვჭრათ, „ხუთი კაცი, ომს რომ თავკაცობს და სხვით არაფრითაა დაკავებული“ — აი, იდეალი. თუმცა ამ გეგმას ბევრი პრაქტიკული მოსაზრება დაუპირისპირდა. ჯგუფი განკერძოებული სახელმწიფო მოღ-

ვაწეებისა — რაგინდ დიდიც იყოს მათი ნომინალური ავტორიტეტი — მუდამ არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდება, როდესაც საქმეს დაიჭერს მინისტრებთან, მსხვილ და სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სამინისტროებს რომ მესვეურობენ. მით უმეტეს, ეს ასეა, როდესაც საქმე შეეხება სამ სამხედრო სამინისტროს. სამხედრო კაბინეტის წევრები უშუალოდ პასუხს არ აგებენ ყოველდღიურ ამბებზე. მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება, ზოგადი რჩევების მოცემა წინასწარ ან გაკრიტიკება შემდეგ, მაგრამ, აბა, რას შეედრებიან თუნდაც საზღვაო მინისტრს, სამხედრო თუ ავიაციის მინისტრებს, რომლებიც ძირფესვიანად ერკვევიან ყველა საკითხში და, თავიანთი კოლეგა-სპეციალისტების შემწეობით, ამოდენა ტვირთის ზიდვას კისრულობენ. მეგობრული ძალისხმევით მათ შეუძლიათ გადაწყვიტონ ლამის ნებისმიერი საკითხი, მაგრამ, ჩვეულებრივ, განსხვავებული ხედვა აქვთ. სიტყვიერი დავა-პაექრობა არ წყდება, ომის ქარცეცხლი კი ამ დროს სულ უფრო და უფრო მძაფრდება. თავად სამხედრო კაბინეტის წევრები, ბუნებრივია, ვერ გაბედავდნენ, ციფრებითა და ფაქტებით აღჭურვილი პასუხისმგებელი მინისტრის თვალსაზრისს შედავებოდნენ. ისინი წუხან და ეკრძალვიან კიდევ უფრო აფორიაქებას იმ ადამიანებისა, ისედაც სულ ერთთავად ჭაპანწყვეტაში რომ არიან. ამიტომაც შესაძლოა მხოლოდ მეთვალყურეებად ან კომენტატორებად იქცნენ, რომელნიც ყოველდღე აუარება მასალას კითხულობენ, ოღონდ, თავადაც არ იციან, საით მიმართონ თავიანთი ცოდნა და რა ქნან, რა მოიქმედონ, რომ გაკეთებაზე მეტად საქმის გაფუჭება არ გამოუვიდეთ. მათი საქმიანობა ხშირად მართ ოდენ მომრიგებლობითა და უწყებათაშორისი სადავო საკითხების გადასაჭრელად რაიმე კომპრომისის მიგნებით როდი ამოიწურება. ამიტომ მინისტრები, საგარეო და სამხედრო საქმეებს რომ განაგებენ, უთუოდ უნდა გაწევრიანდნენ უმაღლეს ორგანოში. ჩვეულებრივ, ზოგიერთებს „დიდი ხუთეულიდან" მაინც, მართლაც ირჩევენ ამ ორგანოში, თუმცა არა იმდენად განსწავლულობისა და სამხედრო ოპერაციათა

უნარიანი თავკაცობის, რამდენადაც პოლიტიკური გავლენიანობის წყალობით. ამიტომაა, რომ მათი რიცხვი სულ უფრო და უფრო სცილდება თავდაპირველად შემოსაზღვრული ნრის ფარგლებს. რასაკვირველია, იქ, სადაც თავად პრემიერ-მინისტრი ხდება თავდაცვის მინისტრი, ყველა ერთ მუშტადაა შეკრული. პირადად მე თანამდებობაზე ყოფნისას არა ვწყალობდი იმ მინისტრებს, რომლებიც მთელი გულისყურით არ ეკიდებოდნენ საქმეს. მერჩია საქმე მქონოდა არა მრჩევლებთან, არამედ ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან. ყველამ კარგა ძალი შრომა უნდა გასწიოს ყოველდღიურად და თავის წილ საქმეზე პასუხი აგოს; მაშინ არც ტყუილ ალიაქოთს არავინ ატეხდა და არც არავინ გაიბღინძებოდა.

სამხედრო კაბინეტის თავდაპირველი შემადგენლობა, ჩემბერლენმა რომ დაგეგმა, ლამის მაშინვე გაიზარდა მოვლენათა მსვლელობის ზეგავლენით. ახლა უკვე მასში ირიცხებოდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდ ჰალიფაქსი, პრესის ლორდ-მფარველი სერ სემუელ ჰორი, ფინანსთა მინისტრი სერ ჯონ საიმონი, თავდაცვის კოორდინაციის მინისტრი ლორდი ჩეთფილდი, უპორტფელო მინისტრი ლორდ ჰენკი, სამხედრო მინისტრი ჰორ-ბელიში, ავიაციის მინისტრი სერ კინგსლი ვუდი. ამის გარდა, აუცილებელი იყო, რომ დომინიონების საქმეთა მინისტრი მისტერ იდენი და შინაგან საქმეთა და ეროვნული უშიშროების მინისტრი სერ ჯონ ანდერსონი ყოველთვის დასწრებოდნენ სხდომებს, თუმც ისინი ფაქტობრივად არც ყოფილან სამხედრო კაბინეტის წევრები. ასე რომ, სამხედრო კაბინეტის შემადგენლობაში უკვე თერთმეტი კაცი ვირიცხებოდით. სამი სამხედრო მინისტრის გაწევრიანება გვარიანად არყევდა ლორდ ჩეთფილდის, როგორც თავდაცვის კოორდინაციის მინისტრის, მდგომარეობას; თუმცა მან ეს ამბავი, ჩვეულებისამებრ, გულმშვიდად აღიქვა.

ჩემ გარდა, ყველა სხვა მინისტრი ბოლო წლებში კარგა დიდხანს უძღვებოდა ჩვენს საქმეებს ან ჩართული იყო იმ ამბებში, რომელთათვისაც თვალი უნდა გაგვესწორებინა როგორც

დიპლომატიურ, ისე სამხედრო სფეროებში. იდენი გადადგა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან 1938 წლის თებერვალში. სახელმწიფო პოსტზე თერთმეტი წელი აღარ მიმსახურია, ამიტომ სრულებით არ მომეკითხებოდა პასუხი არც უწინდელ ამბებსა და არც იმ ნაკლოვანებებზე, ახლა რომ იჩინა თავი. პირიქით, ბოლო ექვსი-შვიდი წლის განმავლობაში გამუდმებით ვწინასწარმეტყველებდი იმ ათასნაირ უბედურებას, რომელთაც ახლახან პირისპირ შევეჯახეთ. ასე რომ, საზღვაო სამინისტროს მძლავრი მანქანით აღჭურვილი — სამინისტროსი, რომელსაც ახლა აქტიური ბრძოლის მთელი სიმძიმე აწვა ტვირთად, — არანაირ უხერხულობას არა ვგრძნობდი, მაგრამ, კიდეც რომ მეგრძნო, პრემიერ-მინისტრისა და მისი კოლეგების კეთილმოსურნეობა და ლოიალობა გამიქარწყლებდა ამ შეგრძნებას. ამ ხალხს ყველას ძალიან კარგად ვიცნობდი. უმრავლესობა ხუთი წლის განმავლობაში ვთანამშრომლობდით ბოლდუინის კაბინეტში და, რა თქმა უნდა, პარლამენტურ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებების ფონზე გამუდმებული კონტაქტი გვქონდა ერთმანეთთან, იქნებოდა ეს მეგობრული თუ წინააღმდეგობრივი ხასიათისა. უნდა ითქვას, რომ მე და სერ ჯონ საიმონი წარმოვადგენდით უფროს პოლიტიკურ თაობას. მე თუმც ხანგამოშვებით ვმსახურობდი, უკვე თხუთმეტწლიანი სტაჟი მქონდა ბრიტანეთის ხელისუფლებაში; საიმონსაც დაახლოებით ამდენივე ჰქონდა ნამსახურევი, სანამ სხვები არ შეცვლიდნენ სახელმწიფო პოსტზე. მე ვმესვეურობდი საზღვაო და სამხედრო მომარაგების სამინისტროებს პირველი მსოფლიო ომის ავბედით წლებში. თუმც პრემიერ-მინისტრი რამდენიმე წლით ჩემზე უფროსი გახლდათ, მე მაინც ლამის ერთადერთი კაცი ვიყავი ადამისდროინდელი თაობისა. ეს სულ ადვილად შეიძლებოდა გამხდარიყო უკმაყოფილების საბაბი კრიზისის დროს, როდესაც, ბუნებრივია, ყველა აღიარებს ახალგაზრდული ძალებისა და ახლებური აზროვნების საჭიროებას. გამომდინარე აქედან, ყველაფერი უნდა მეღონა, რათა ფეხდაფეხ მივყოლოდი ხელისუფლების სათავეში მყოფ თაობას და მხარი გამესწორებინა

ჭაბუკი დევგმირებისათვის, რომლებიც, ალბათ, წუთი წუთზე გამოვიდოდნენ ასპარეზზე. საამისო რწმენას მინერგავდა როგორც ჩემი განსწავლულობა, ისე საქმისადმი თავდადება და გონებრივი შესაძლებლობანი.

ამ მიზნით დავუბრუნდი იმ ცხოვრების წესს, რომელსაც ძალაუნებურად მივსდევდი 1914-15 წლებში საზღვაო სამინისტროში ყოფნისას და რომელიც, როგორც დავრწმუნდი, გვარიანად ზრდიდა ჩემს შრომისუნარიანობას. ყოველდღე ნაშუადღევს ერთი საათით მაინც ვწვებოდი დასასვენებლად და სრულად ვიყენებდი ღვთით მომადლებულ ნიჭს, მყის ღრმა ძილს მივცემოდი. ასე რომ, დღენახევრის სამუშაოს ერთ დღეში ვტევდი. ბუნებას არ განუზრახავს, შრომის უღელში შეება კაცობრიობა სისხამ დილიდან შუაღამემდე და დავიწყების მაცოცხლებელი უნარი არ მიემადლებინა მისთვის — დავიწყებისა, რომელიც, თუნდაც ოც წუთს გაგრძელდეს, მაინც სრულად აღადგენს სასიცოცხლო ძალებს. ყოველდღე, ნაშუადღევს, ბავშვივით დანანებით ვწვებოდი მოსასვენებლად, მაგრამ ამის სანაცვლოდ შემდეგ შემეძლო მემუშავა ღამის ორ საათამდე და უფრო გვიანობამდეც კი — ზოგჯერ გაცილებით უფრო გვიანამდე — და ახალი სამუშაო დღე დილის რვა-ცხრა საათზე დამეწყო. ამ განაწესის მიზანშეწონილობაში — განაწესისა, რომლისთვისაც დღიდან ომის დაწყებისა ომის დამთავრებამდე არ გადამიხვევია — სხვებსაც ვარწმუნებდი, მით უფრო, თუ ისინი გვერდს ვერ აუქცევდნენ ხანგრძლივსა და ილაჯისგამწყვეტ შრომას. საზღვაო შტაბის უფროსმა ადმირალმა პაუნდმა ჩემი მეთოდი აითვისა ოდნავი სახეცვლილებით, — ლოგინში ჩაწოლის ნაცვლად სავარძელში თვლემდა. უფრო მეტიც, ხშირად კაბინეტის სხდომებზედაც წაუძინებდა ხოლმე. თუმცა საკმარისი იყო სიტყვა დასცდენოდა ვინმეს სამხედრო-საზღვაო ფლოტზე, რომ ხელად გამოფხიზლდებოდა და შეიმართებოდა. მის მახვილ ყურსა და ნათელ გონებას არაფერი გამოეპარებოდა.

თავი III

პოლონეთის დაღუპვა

ამასობაში ჩვენ, მინისტრთა კაბინეტის მაგიდას შემომსხდარნი, თვითმხილველნი შევიქენით უფრო სუსტი სახელმწიფოს სწრაფი და ლამის მექანიკური განადგურებისა, ჰიტლერის მეთოდისა და დიდი ხნის წინანდელი ჩანაფიქრისამებრ რომ ხორციელდებოდა. გერმანიას სამმხრივ ჰქონდა გზა ხსნილი პოლონეთში სათარეშოდ. თავდამსხმელთა ჯარები სულ ორმოცდათექვსმეტი დივიზიისაგან შედგებოდა, მათ შორის, ცხრა ჯავშანსატანკო გახლდათ. აღმოსავლეთ პრუსიიდან მესამე არმია (რვა დივიზია) სამხრეთისაკენ დაიძრა ვარშავასა და ბელოსტოკზე თავდასასხმელად. მეოთხე არმიას (თორმეტი დივიზია), პომერანიიდან რომ უტევდა, ნაბრძანები ჰქონდა პოლონელ მებრძოლთა განადგურება დანციჰის დერეფანში, შემდეგ კი, სამხრეთ-აღმოსავლეთით უნდა დაძრულიყო — ვარშავისაკენ, ვისლის ორთავ ნაპირის გაყოლებით. საზღვარს პოზნანის შვერილთან ფარად ედგნენ გერმანელთა სათადარიგო ჯარები, მაგრამ მათ მარჯვენა ფლანგზე სამხრეთისაკენ ებრუნებინა პირი მერვე არმიას (შვიდი დივიზია), რომლის ამოცანა იყო დაცვა მარცხენა ფლანგის ჯარებისა, მთავარ დარტყმას რომ ახორციელებდნენ. ამ დარტყმის განხორციელება დავალებული ჰქონდა მეათე არმიას (ჩვიდმეტი დივიზია), რომელიც პირდაპირ ვარშავისაკენ მიემართებოდა. უფრო სამხრეთით, მეთოთხმეტე არმიას (თოთხმეტი დივიზია) ორმაგი ამოცანა ჰქონდა შესასრულებელი: ერთი ის, რომ დაეკავებინა მნიშვნელოვანი სამრეწველო რაიონი კრაკოვის დასავლეთით, მეორე კი, მთავარ ფრონტზე წარმატებას თუ მოიპოვებდნენ, გეზი აეღო უშუალოდ ლემბერგისაკენ (ლვოვისაკენ), რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ პოლონეთს ეკუთვნოდა.

მაშასადამე, გერმანელები ჯერ საზღვრებზე განლაგებულ პოლონელთა რიგებში უნდა შეჭრილიყვნენ, შემდეგ კი შეემუსრათ ისინი და ალყაში მოექციათ ორი გარშემოვლითი ოპერაციის მეშვეობით. პირველი იყო ჩრდილოეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან ვარშავისაკენ მსვლელობა, მეორე და უფრო შორს გამიზნული — „გარეგანი მარწუხები" ანუ მესამე არმიის მსვლელობა ბრესტ-ლიტოვსკის გავლით და ლემბერგის დაკავების შემდეგ მეთოთხმეტე არმიასთან შეერთება. ასე რომ, რუმინეთისაკენ უკანდასახევი გზა მოეჭრებოდა იმათ, ვინც შეძლო თავი დაეღწია ვარშავის მარწუხებისათვის. პოლონეთში გადაისროლეს ათას ხუთასზე მეტი ახალი თვითმფრინავი. მათ, პირველ ყოვლისა, უნდა გაეცამტვერებინათ პოლონეთის ავიაცია, შემდეგ ბრძოლის ველზე მიშველებოდნენ არმიას და, ამას გარდა, იერიში მეტანათ სამხედრო ნაგებობებზე, ყველა სარკინიგზო და საგზატკეცილო კომუნიკაციაზე და ყველგან შიშის ზარი დაეცათ.

პოლონური არმია ვერც რიცხობრიობითა და შეიარაღებით გაუტოლდებოდა იერიშზე გადმოსულ მეტოქეს და ვერც მისი დისპოზიცია ჩაითვლებოდა გონივრულად. მთელი შეიარაღებული ძალები მშობლიური მიწა-წყლის საზღვრებთან გადაისროლეს. მათ არ ჰყავდათ ცენტრალური თადარიგოსნები. პოლონელებს სიამაყემ დარია ხელი და გერმანელთა პატივმოყვრულ ზრახვებს ცხვირი აუბზუეს. თუმცაღა კარგა ხანია შიშობდნენ, აქეთ-იქიდან შემოჯარულ ძალებთან გასამკლავებლად დროულად რომ ჩავატაროთ მობილიზაცია, პროვოკაციაში არ დაგვადანაშაულონო. ოცდაათი დივიზია, პოლონეთის მოქმედი არმიის მხოლოდ ორ მესამედს რომ შეადგენდა, მზად ან თითქმის მზად იყო, საკუთარ თავზე ეწვნია პირველი დარტყმა. მოვლენების სწრაფმა განვითარებამ და გერმანული ავიაციის მძვინვარე ჩარევამ ხელი შეუშალა დანარჩენებს, დაეკავებინათ მოწინავე პოზიციები, სანამ ყველაფერი მარცხით არ დასრულდა; ასე რომ, ბრძოლაში ჩაერთვნენ ავბედობის მხოლოდ ბოლო წუთებში. ჰოდა, ოცდაათი პოლონური დივიზია კარგა მანძილზე

პირისპირ აღმოჩნდა თითქმის ორჯერ ჭარბ ძალასთან ისე, რომ ზურგს არაფერი უმაგრებდა. ისინი არა მარტო რაოდენობრივი თვალსაზრისით ჩამორჩებოდნენ გერმანელებს, არამედ ძალზე მოიკოჭლებდნენ არტილერიაშიც, ხოლო ცხრა გერმანულ სატანკო დივიზიას, როგორც უკვე მათ უნოდებდნენ, მხოლოდ ერთ ჯავშანსატანკო ბრიგადას თუ დაუპირისპირებდნენ. ცხენოსანთა კავალერიის თორმეტი ბრიგადა ვაუკაცურად უტევდა მოზღვავებულ ტანკებსა და ჯავშანმანქანებს, მაგრამ ცარიელი ხმლითა და შუბით რას გახდებოდნენ! პირველი ხაზის ცხრაასი თვითმფრინავი, რომელთაგან მხოლოდ ნახევარი თუ იქნებოდა თანამედროვე კონსტრუქციისა, გერმანელებმა ერთი დარტყმით ჩაიგდეს ხელში, ბევრი კი ჯერ კიდევ აფრენამდე გაანადგურეს.

ჰიტლერის გეგმით, გერმანელთა ჯარებს პირველ სექტემბერს უნდა წამოეწყოთ საომარი მოქმედებანი, მანამდე კი გერმანელთა საჰაერო ძალებმა პოლონურ ესკადრილიებს შეუტიეს მათ აეროდრომებზე. პოლონური ავიაცია არსებითად ორ დღეში გაცამტვერდა. ერთ კვირაში გერმანელთა ლაშქარი კარგა ღრმად შეიჭრა პოლონეთის მინა-წყალზე. მტერი ყველგან მედგარ წინააღმდეგობას აწყდებოდა, თუმც სულ ფუჭი იყო პოლონელთა კვეთება. საზღვრებზე განლაგებული მთელი მათი ჯარი, გარდა პოზნანის ჯგუფისა, რომლის ფლანგებისთვისაც საფუძვლიანად შემოევლოთ, უკანვე გადაისროლეს. ლოძის ჯგუფი ორად გახლიჩა გერმანელთა გადამწყვეტმა იერიშმა, მეათე არმიის მთავარმა ძალებმა რომ განახორციელეს. ნახევარმა უკან დაიხია, აღმოსავლეთით, რადომისაკენ, მეორე ნახევარი კი იძულებული შეიქნა ჩრდილო-დასავლეთისაკენ უკუქცეულიყო. ორმა ჯავშანსატანკო დივიზიამ, პირდაპირ ვარშავისაკენ რომ მიიწევდა, ფრონტის ხაზი გაარღვია. უფრო ჩრდილოეთით გერმანულმა მეოთხე არმიამ ვისლას მიაღწია, გადალახა იგი, მდინარეს გაუყვა და ვარშავისაკენ აიღო გეზი. მხოლოდ პოლონელთა ჩრდილოეთის ჯგუფი გაუძალიანდა გერმანელთა მესამე არმიას. მალე მათ ფლანგებიდან შემოუარეს

და მდინარე ნარევისაკენ უკუაქციეს; მხოლოდ აქ მოემზადებინათ წინდაწინვე საკმაოდ ძლიერი თავდაცვითი სისტემა. ამგვარი გახლდათ ბლიცკრიგის პირველი კვირის შედეგები.

მეორე კვირა გამძაფრებული ბრძოლებით აღინიშნა, კვირის ბოლოს კი პოლონურმა არმიამ, ნომინალურად ორ მილიონამდე კაცს რომ ითვლიდა, როგორც ორგანიზებულმა ძალამ, არსებობა შეწყვიტა. სამხრეთით მდინარე სანისაკენ წინ მიიწევდა მეთოთხმეტე არმია. ჩრდილოეთით ალყაში მოექცა და განადგურდა რადომისაკენ უკუქცეული ოთხი პოლონური დივიზია. მეათე არმიის ორი სატანკო დივიზია ვარშავის შემოგარენს მიადგა, მაგრამ ქვეითი ჯარის გამოუყენებლად ვერ გატეხეს ქალაქის მოსახლეობის განწირული სულისკვეთება. ვარშავიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მესამე არმია აღმოსავლეთიდან გარშემოერტყა დედაქალაქს, მისმა მარცხენა კოლონამ კი ბრესტ-ლიტოვსკს მიაღწია ფრონტის ხაზს იქით ასი მილის დაშორებით.

იბრძოდა და იღუპებოდა პოლონური არმია, მოქცეული ვარშავის მარწუხებში. მის პოზნანის ჯგუფს შეუერთდა ტორუნისა და ლოძის დივიზიები, გერმანელთა იერიშით უკუქცეულნი. ახლა პოზნანის ჯგუფი თორმეტ დივიზიას მიითვლიდა და მისი სამხრეთი ფლანგის გავლით მეათე გერმანული არმია გამალებით მიიწევდა ვარშავისაკენ, რომელსაც მხოლოდ შედარებით სუსტი მერვე არმია იცავდა. უკვე ფაქტობრივ ალყაში მოქცეულმა პოზნანის ჯგუფის პოლონელთა სარდალმა გენერალმა კუტშებამ გადაწყვიტა, სამხრეთისაკენ აეღო გეზი და ძირითად გერმანულ ძალთა ფლანგს დასცხრომოდა თავს. ამ გაბედულმა პოლონურმა კონტრშეტევამ, „მდინარე ბზურაზე ბრძოლად“ რომ მოინათლა, გამოიწვია კრიზისი, რომელმაც მოიცვა არა მარტო გერმანელთა მერვე არმია, არამედ ვარშავაზე ლაშქრობისაგან გარიდებული მეათე არმიის ნაწილიცა და თვით მეოთხე არმიის კორპუსიც ჩრდილოეთით. პოზნანის ჯგუფი, რომელიც ამ ვეებერთელა ძალთა იერიშსა და სრულიად შეუფერხებელ გამანადგურებელ საჰაერო დარტყმებს უმ-

აგრდებოდა, ათი დღის განმავლობაში სახელოვნად იბრძოდა. ცხრამეტ სექტემბერს იგი სამუდამოდ აღიგავა პირისაგან მიწისა.

იმავდროულად შეიკრა „გარეგანი" მარწუხები. თორმეტ სექტემბერს მეთოთხმეტე არმიამ ლემბერგის შემოგარენს მიაღწია, ჩრდილოეთისაკენ დაიძრა და ჩვიდმეტ სექტემბერს შეუერთდა მესამე არმიის ნაწილებს, რომელთაც გაიარეს ბრესტ-ლიტოვსკი. გულად და დაქსაქსულ მარტოკაცთათვის გაქცევის ყველა გზა მოჭრილი იყო. ოც სექტემბერს გერმანელებმა ვისლისათვის ბრძოლა „ყველა დროის უდიდეს გამაცამტვერებელ ბრძოლად" მონათლეს.

დადგა საბჭოეთის რიგი. ამოქმედდა ის, რასაც ისინი ახლა „დემოკრატიად" ნათლავენ. ჩვიდმეტ სექტემბერს რუსთა ჯარები პოლონეთის თითქმის დაუცველ აღმოსავლეთ საზღვარს მოაწყდნენ, გადალახეს იგი და ფართო ფრონტით დასავლეთისაკენ გაუტიეს. თვრამეტ სექტემბერს დაიპყრეს ვილნიუსი და ბრესტ-ლიტოვსკში შეეგებნენ თავიანთ გერმანელ პარტნიორებს. წინა ომში ბოლშევიკებმა აქ დაარღვიეს დასავლეთის მოკავშირეებთან დიდის ამბით დადებული შეთანხმებანი, სეპარატიული ზავი დადეს კაიზერულ გერმანიასთან და დასთანხმდნენ მის მკაცრ პირობებს. ახლა კი, ბრესტ-ლიტოვსკში, ჰიტლერულ გერმანიას ეპირფერებოდნენ და ხელს ართმევდნენ რუსი კომუნისტები. პოლონეთის განადგურება და მისი სრული დამორჩილება სწრაფი ტემპით ხორციელდებოდა. დაუპყრობელი რჩებოდა ვარშავა და მოდლინი. დიდებული, თუმც იმთავითვე განწირული გახლდათ მოქალაქეთა აღტყინებით ნასაზრდოები გაუტეხელობა ვარშავისა. არაერთი და ორდღიანი ძლიერი საავიაციო დაბომბვისა და საარტილერიო ცეცხლის შემდეგ, როცა უქმად მყოფი დასავლეთ ფრონტიდან უამრავი ქვემეხი სასწრაფოდ გადაისროლეს ავტოსტრადებზე, ვარშავის რადიომ შეწყვიტა პოლონეთის ეროვნული ჰიმნის შესრულება და ჰიტლერმა გატიალებულ ქალაქში შეაბიჯა. ვისლის დინების ჩაყოლებით ოც მილზე აღმართულმა ციხესიმაგრე მოდლინმა

ტორუნის ჯგუფის ნაშთებიღა მიიღო და ოცდარვა სექტემბრამდე იბრძოლა; აი ასე, ერთ თვეში მორჩა ყველაფერი და ოცდათხმუთმეტმილიონიანი ქვეყანა იმათ უმოწყალო მარწუხებში მოექცა, ვინც არა მარტო მის დაპყრობას ლამობდა, არამედ დამონებასა და, უფრო მეტიც, მიწის პირისაგან აღგვას.

ჩვენ ვიხილეთ თანამედროვე ბლიცკრიგის სრულყოფილი ნიმუში: არმიისა და ავიაციის შეთანხმებული მოქმედება ბრძოლის ველზე; ყველანაირი კომუნიკაციებისა და ნებისმიერი სასურველი ქალაქის მხეცური დაბომბვა; აქტიური „მეხუთე კოლონის“ შეიარაღება; ჯაშუშთა და პარაშუტისტთა ნებისად გამოყენება და, რაც მთავარია, აუარება ტანკის გაუსაძლისი იერიში. პოლონელებს უკანასკნელთ როდი ხვდათ წილად ეს მძიმე განსაცდელი.

საბჭოთა ჯარები განაგრძობდნენ მსვლელობას იქითკენ, საითკენაც და სადამდეც ეს ჰიტლერთან გარიგებით გახლდათ გათვალისწინებული. ოცდაცხრა სექტემბერს ოფიციალურად მოაწერეს ხელი რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებას პოლონეთის გაყოფის თაობაზე. მე უწინდებურად დარწმუნებული ვიყავი ღრმა და, ჩემი აზრით, გადაულახავ, ანტაგონიზმში რუსეთსა და გერმანიას შორის და იმ იმედს ვებღაუჭებოდი, რომ მოვლენათა განვითარების კვალდაკვალ საბჭოეთი ჩვენს მხარეს გადმოიხრებოდა. ამიტომ იყო, რომ გასაქანს არ ვაძლევდი აღშფოთებას, რომელსაც ჩემში და მთავრობაში მყოფ ჩემს კოლეგებში იწვევდა მათი გულგრილი და ულმობელი პოლიტიკა. მე არასოდეს არანაირი ილუზიები არა მქონია მათთან მიმართებით. ვიცოდი, რომ ისინი არ ცნობდნენ არანაირ ზნეობრივ კანონებს და მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე ზრუნავდნენ. თუმცა, ბოლოს და ბოლოს, ჩვენი მათ არაფერი ემართათ. ესეც რომ არ იყოს, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში რისხვა უნდა დაიცხრო და უმთავრესი და უპირველესი მტრის განადგურებაზე იფიქრო. გადავწყვიტე, რაც შეიძლება უკეთ გამომეყენებინა მათი ოდიოზური საქციელი. ამიტომაც სამხედრო

კაბინეტისათვის ოცდახუთ სექტემბერს დაწერილ მემორანდუმში გულგრილად შევნიშნე:

„თუმც რუსებს ბრალი მიუძღვით უტლანქეს მუხანათობაში ცოტა ხნის წინანდელი მოლაპარაკებების დროს, მარშალ ვოროშილოვის მიერ წამოყენებული მათი მოთხოვნები — რომელთა თანახმადაც, რუსთა ჯარებს, თუკი ისინი პოლონეთის მოკავშირენი იქნებოდნენ, უნდა დაეკავებინათ ვილნიუსი და ლემბერგი — სავსებით მიზანშეწონილი გახლდათ სამხედრო საჭიროებათა თვალსაზრისით. ისინი უარყო პოლონეთმა, რომლის მოსაზრებებსაც, თუმც სრულიად ბუნებრივს, დღესდღეობით დამაკმაყოფილებლად ვერ მივიჩნევთ. ამის შედეგია ის, რომ რუსეთმა, როგორც პოლონეთის მოქიშპემ, დაიკავა იგივე პოზიციები, რაიც შეეძლო დაეკავებინა, როგორც ერთობ საეჭვო და არაკეთილსაიმედო მეგობარს. განსხვავება ფაქტობრივად არც ისე დიდია, როგორც შეიძლება მოგვჩვენებოდა. რუსებმა უზარმაზარ ძალთა მობილიზება მოახერხეს და გვიჩვენეს, რომ ხელეწიფებათ სწრაფად იმოქმედონ და შორს გასცდნენ თავიანთ ომამდელ პოზიციებს. ახლა ისინი გერმანიას ესაზღვრებიან, ეს უკანასკნელი კი სრულიად მოკლებულია შესაძლებლობას, გააშიშვლოს აღმოსავლეთი ფრონტი. მის სამეთვალყურეოდ საჭირო შეიქნება გერმანელთა დიდი ლაშქრის იქ ყოფნა. მე ვიცი, რომ გენერალ გამელენის განსაზღვრით, მათი რაოდენობა, სულ ცოტა, ოც დივიზიას მოიცავს, მაგრამ სრულიად შესაძლებელია, ოცდახუთსაც აღემატებოდეს. ამიტომ აღმოსავლეთის ფრონტი პოტენციურად არსებობს“.

პირველ ოქტომბერს რადიოთი შემდეგი განვაცხადე:

„პოლონეთს კვლავ თავს დაესხა ის ორი დიდი თვითმპყრობელური სახელმწიფო, რომელთაც ას ორმოცდაათი წლის მანძილზე ჰყავდათ დამონებული, მაგრამ მათ ვერ გატეხეს პოლონელი ხალხის ნება. ვარშავის გმირული დაცვა იმას მეტყველებს, რომ სული პოლონეთისა უკვდავია და რომ პოლონეთი კვლავ იმ კლდესავით წამოიმართება, დროებით ძლიერი ტალღა რომ შეეხეთქებია, მაგრამ მაინც კლდედ დარჩენილა.

რუსეთი წარმართავს გულგრილ პოლიტიკას, გამომდინარე თავისი ინტერესებიდან. გვერჩია, რუსეთის ჯარები თავიანთ ახლანდელ პოზიციებზე მდგარიყვნენ, როგორც მეგობრები და მოკავშირენი პოლონეთისა, და არა როგორც დამპყრობნი. მაგრამ ნაცისტური საფრთხისაგან რუსეთის თავდაცვისათვის აშკარად აუცილებელი იყო რუსთა ჯარების ამ პოზიციაზე დგომა. ყოველ შემთხვევაში, ეს პოზიცია არსებობს და, აქედან გამომდინარე, შექმნილია აღმოსავლეთის ფრონტი, რომელზეც თავდასხმას ვერ გაბედავს ნაცისტური გერმანია...

ვერ ვიწინასწარმეტყველებ, რას მოიმოქმედებს რუსეთი. ეს იდუმალებით მოცული გამოცანაა, მაგრამ მისი გასაღები, ალბათ, მოიძებნება. ამ გასაღებად მესახება რუსეთის ეროვნული ინტერესები. საკუთარი უსაფრთხოების მოწადინე რუსეთი არ დაუშვებს, რომ გერმანია დაფუძნდეს შავი ზღვის ნაპირებზე ან დაიპყროს ბალკანეთის ქვეყნები და დაიმორჩილოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სლავი ხალხები. ეს დაუპირისპირდებოდა რუსეთის ისტორიულად ჩამოყალიბებულ სასიცოცხლო ინტერესებს".

პრემიერ-მინისტრი სავსებით მეთანხმებოდა. „მე ვიზიარებ უინსტონის თვალსაზრისს, — წერდა იგი წერილში თავის დას. — მისი შესანიშნავი გამოსვლა სულ ახლახან მოვისმინეთ რადიოთი. ვფიქრობ, რუსეთი მუდამ იმოქმედებს საკუთარი ინტერესების შესაბამისად და ვერ დავიჯერებ, მას ხელს აძლევდეს გერმანიის გამარჯვება, რასაც ევროპაში გერმანიის ბატონობის დამყარება მოჰყვება".

თავი V

საფრანგეთის ფრონტი

ომის დაწყებისთანავე ჩვენი საექსპედიციო არმია საფრანგეთისაკენ დაიძრა. თუ წინანდელი ომის გასაჩაღებლად, სულ ცოტა, სამი წელი შეალიეს მომზადებას, ამჯერად სამხედრო სამინისტრომ მხოლოდ 1938 წლის გაზაფხულზე შექმნა სპეციალური განყოფილება. თავი იჩინა ორმა სერიოზულმა ფაქტორმა: პირველი — არმიის ახლებურად შეიარაღება და გამართვა გაცილებით უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე 1914 წელს. ყოველ დივიზიას ჰქონდა მექანიკური ტრანსპორტი, იგი უფრო მრავალრიცხოვანიც იყო და მწყობრგარეშე ელემენტებიც გაცილებით მეტი წილი მოდიოდა მასზე; მეორეც — ჯარების გადამყვან სატრანსპორტო გემებსა და სადესანტო ნავსადგურებზე საჰაერო თავდასხმების შიშით თავგზააბნეული სამხედრო კაბინეტი იძულებული შეიქნა, გამოეყენებინა მხოლოდ საფრანგეთის სამხრეთი ნავსადგომები და სენ-ნაზერი, რომელიც მთავარ ბაზად იქცა. ამან გააფართოვა არმიის კომუნიკაციები, რის შედეგადაც შენელდა ინგლისელთა ჯარების გადმოყვანა და გაშლა, შეფერხდა მათი მომარაგება; და ვინ იცის, გზაში ჯერ კიდევ რამდენი მებრძოლი იყო! (ბრიტანეთის საექსპედიციო ძალების მოწინავე ნაწილების გადმოსხმა საფრანგეთში დაიწყო 4 სექტემბერს. პირველი კორპუსი უკვე 19 სექტემბრისათვის იყო ნაპირზე, მეორე კი — 3 ოქტომბრისათვის. მთავარსარდლის შტაბი 15 სექტემბერს თავდაპირველად ლე-მანში დაფუძნდა. ჯარების გადასხმა, უმთავრესად, შერბურიდან ხდებოდა, მანქანებისა და საჭურვლის გადატანა — ბრესტიდან და ნანტიდან, შეკრების პუნქტები კი იყო ლე-მანი და ლავალი).

საკვირველი ისაა, რომ ომის დაწყებამდე ვერა და ვერ გადაწყდა, ფრონტის რომელ მონაკვეთზე უნდა განლაგებულიყვნენ

ჩვენი მეომრები, და მაინც, გამოითქვა საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ლილიდან სამხრეთით დაბანაკდებოდნენ. ეს დადასტურდა ოცდაორ სექტემბერს. ოქტომბრის შუა რიცხვებისათვის ორ საარმიო კორპუსად შერწყმული ოთხი ბრიტანული დივიზია საფრანგეთ-ბელგიის საზღვართან გამწკრივდა, რისთვისაც შორეული და მიუვალი ნავსადგურებიდან გამოსულს გზატკეცილითა თუ რკინიგზით ორას ორმოცდაათი მილის გადალახვა მოუხდა. სამი ქვეითი ბრიგადისაგან, თითო-თითოდ რომ მოემართებოდნენ ოქტომბერ-ნოემბრის თვეებში, 1939 წლის დეკემბერში მეხუთე დივიზია ჩამოყალიბდა. 1940 წლის იანვარში ჩამოვიდა ორმოცდამერვე დივიზია, თებერვალში მათ მოჰყვა ორმოცდამეათე და ორმოცდამეთერთმეტე, მარტში კი — ორმოცდამეორე და ორმოცდამეოთხე დივიზიები; სულ — ათი დივიზია. მებრძოლთა რიცხვის ზრდის კვალდაკვალ ახალ პოზიციებს ვიკავებდით. რა თქმა უნდა, მტერთან შეხების წერტილი არსად გვქონია.

ბრიტანეთის საექსპედიციო ძალებმა დათქმულ პოზიციებს რომ მიაღწიეს, ფრონტის ხაზის გაყოლებით წააწყდნენ მზა ხელოვნურ ტანკსაწინააღმდეგო თხრილსა და ერთმანეთისაგან ათასი იარდით დაშორიშორებულ დიდ და ცუდად შენიღბულ ხანგრძლივ საცეცხლე წერტებს, საიდანაც ტყვიამფრქვეველებიდან და ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხებიდან თხრილის გაყოლებაზე შეიძლებოდა სიგრძივი ცეცხლის გახსნა. ამის გარდა, ერთიანი მავთულხლართიც გაჭიმეს. ეს უჩვეულო შემოდგომაზამთარი ჩვენმა მოლაშქრეებმა მეტწილად ფრანგების მიერ აღმართული თავდაცვითი ნაგებობების სრულყოფასა და თავისებური „ზიგფრიდის ხაზის" გამართვას მოანდომეს. თუმც ყინავდა, საქმე სწრაფად მიიწევდა წინ. აეროფოტოგადაღება აჩვენებდა, თუ რა სისწრაფით აფართოებდნენ გერმანელები საკუთარ „ზიგფრიდის ხაზს" მოზელიდან ჩრდილოეთით. მათ თუმც მრავალნაირი უპირატესობა ჰქონდათ — რესურსებიც იქვე ეგულებოდათ და იძულებით შრომასაც იყენებდნენ, — ჩვენ მაინც ფეხს ვუწყობდით. 1940 წლის მაისის იერიშის დაწყებისას

ჩვენმა მებრძოლებმა ოთხასი ახალი საცეცხლე წერტის გამართვა დაასრულეს. ორმოცი მილის სიგრძის თხრილი ამოიღეს და უამრავი მავთულხლართი გააბეს. ბევრი რამ იყო საჭირო საკომუნიკაციო ხაზის მომსახურებისათვის, რომ ნანტამდე გაჭიმულიყო. შევქმენით უზარმაზარი ბაზები, შევაკეთეთ გზები, ასი მილის სიგრძეზე გავიყვანეთ განიერი რკინიგზა, გავჭიმეთ მიწისქვეშა კაბელის მსხვილი ქსელი და თითქმის დავასრულეთ რამდენიმე ბანსანგარი, რომელთაც დავატანეთ შესასვლელები კორპუსის შტაბისა და არმიის სარდლობისათვის. ავაგეთ და შევაკეთეთ ორმოცდაათი ახალი აეროდრომი, გავიყვანეთ ასაფრენი ბილიკები, რასაც ორმოცდაათ ათას ტონაზე მეტი ბეტონი დასჭირდა.

ამ ყველაფერს ჩვენმა ლაშქარმა დიდი ჯაფა შეალია. გამოცდილების გასამდიდრებლად სარდლობა მონაცვლეობით აგზავნიდა ბრიგადებს საფრანგეთის ფრონტის მონაკვეთზე მეცის მახლობლად, სადაც იყო მტერთან შეხების წერტილები; ყოველ შემთხვევაში, იქ ზოგჯერ პატრულები მაინც ამოქმედდებოდნენ ხოლმე. მთელ დარჩენილ დროს ჩვენი ჯარისკაცები საბრძოლო მზადებას ანდომებდნენ. რა თქმა უნდა, ეს აუცილებელი იყო. ომის დაწყებისას ჩვენი ჯარები გაცილებით უარესად იყვნენ მომზადებული, ვიდრე სერ ჯონ ფრენჩის არმია — მეოთხედი საუკუნის წინ. რამდენიმე წელმა ისე განვლო, რომ ჯარისკაცებს თავიანთ ქვეყანაში არანაირი ჯეროვანი მომზადება არ ღირსებიათ. რეგულარული ჯარის სრულ დაკომპლექტებას ოცი ათასი კაცი აკლდა, მათ შორის — ხუთი ათასი ოფიცერი... არასაკმარისად აწონილ-დაწონილმა, თუმც კეთილი განზრახვით ჩაფიქრებულმა გაორკეცებამ ტერიტორიული არმიის ძალებისა 1939 წლის მარტში და იმავე წლის მაისში მილიციის შექმნამ რეგულარული ჯარიდან უამრავი ინსტრუქტორის გამოყოფა მოითხოვა. ზამთრის თვეები სასიკეთოდ გამოიყენეს საფრანგეთში, ხოლო ნებისმიერი სახეობის სამხედრო-საწვრთნელი პროგრამა მჭიდროდ იყო გადახლართული უპირველესი მნიშვნელობის მქონე საფორტიფიკაციო სამ-

უშაოებთან. ეჭვგარეშეა, ჩვენთვის ნაწყალობევი შესვენების დროს ჩვენი ლაშქრის ბრძოლისუნარიანობა მნიშვნელოვანნილად გაიზარდა. მას თუმც დიდი ჯაფა ადგა, საომარ მოქმედებათა ნიშანწყალიც არსად იყო; და მაინც, ზნეობრივადაც ამაღლდა და ვაჟკაცურმა სულისკვეთებამაც იმძლავრა.

ფრონტის ზურგში, საკომუნიკაციო ხაზების გაყოლებით გამწკრივებულ საწყობებში აუარება სარჩო და საბრძოლო მასალა დაგროვილიყო. ათდღიანი მარაგი დაგროვდა სენასა და სომას შორის და კიდევ შვიდდღიანი — სომის ჩრდილოეთით. ამ შვიდდღიანმა მარაგმა იხსნა ლაშქარი გერმანელთა შემოსევის შემდეგ. თანდათან სიმშვიდემ რომ დაისადგურა, ხელი მივყავით სხვა ნავსადგურების ათვისებასაც ჰავრიდან ჩრდილოეთით. დიეპი საჰოსპიტალო ბაზად იქცა, ხოლო ფეკანი — საბრძოლო მასალათა ბაზად. საბოლოოდ კი ჩვენ უკვე ცამეტი ფრანგული ნავსადგურით ვსარგებლობდით.

* * *

ძნელია იმ უპირატესობის გაზომვა თუ აწონვა, რომელიც აქვს კანონებითა თუ ხელშეკრულებებით ყოველმხრივ შეუზღუდავ მთავრობას იმ ქვეყნებთან შედარებით, სამხედრო ქმედებებს მხოლოდ მას შემდეგ რომ წამოიწყებენ და, აქედან გამომდინარე, სამოქმედო გეგმასაც მაშინ რომ შეიმუშავებენ ხოლმე, როცა დანაშაული უკვე ჩადენილია. ეს ვეებერთელა უპირატესობაა. მეორე მხრივ, აგრესორთა გამარჯვება სრული და საბოლოო თუ არ არის, ალბათ, დადგება დღე ანგარიშსწორებისა. ჰიტლერს, რომლისთვისაც არ არსებობდა არანაირი შეზღუდვები, გარდა აღმატებულ ძალთაგან თავსმოხვეული შეზღუდვებისა, შეეძლო, იერიში მიეტანა, სადაც მოისურვებდა და როცა მოისურვებდა. მაგრამ დასავლეთის ორ დემოკრატიულ ქვეყანას არ სურდა ბელგიის ნეიტრალიტეტის ხელყოფა. დიდიდიდი, რაც მათ ხელეწიფებოდათ, ეს იყო მზადყოფნა დასახ-

მარებლად, თუ ვინიცობაა, ბელგიელები საშველად მოუხმობდნენ. თუმცა არც ის იყო გამორიცხული, შველაც დაგვიანებით ეთხოვათ. უეჭველია, ომამდელი ხუთი წლის მანძილზე ბრიტანეთსა და საფრანგეთს უფრო ვაჟკაცური და მტკიცე პოლიტიკა რომ ეწარმოებინათ, პირნათლად შეესრულებინათ ხელშეკრულებებით დათქმული პირობები და ერთა ლიგის კეთილგანწყობით ესარგებლათ, ბელგია შეძლებდა პირი შეეკრა თავის ძველ მოკავშირეებთან და ერთიანი ფრონტის შექმნაც დასაშვებად მიეჩნია. ეს განუზომლად განამტკიცებდა უშიშროებას და, ეგებ, აღეკვეთა კიდეც ყველა ის ავბედობა, მოგვიანებით თავს რომ დაგვატყდა.

ამგვარი კავშირი, მართებულად თუკი იქნებოდა ორგანიზებული, ფარად აღიმართებოდა ბელგიის საზღვარზე ზედ ზღვამდე იმ საშინელი გარშემოვლითი მსვლელობის საპირისპიროდ, რომელმაც ლამის განაპირობა ჩვენი 1914 წლის მარცხი და რომელსაც, განგების ნებით, წილი უნდა დაედო საფრანგეთის დაცემაში 1940 წელს. ამის გარდა, ამ კავშირს შეეძლო, გზა გაეხსნა სწრაფი მსვლელობისათვის ბელგიის საზღვრიდან გერმანიის მრეწველობის შუაგულის — რურისაკენ და, ამგვარად, მძლავრ დაბრკოლებად აღმართულიყო გერმანელთა აგრესიის გზაზე. უარეს შემთხვევაში, ბელგიას იმაზე მძიმე ხვედრი მაინც არ ერგებოდა, რაც თავს დაატყდა. როდესაც ვიხსენებთ შეერთებული შტატების განკერძოებას, რამსეი მაკდონალდის კამპანიას საფრანგეთის განიარაღებისათვის, არაერთგზის დამარცხებასა თუ დამცირებას, გერმანიის მიერ განიარაღების თაობაზე დადებული ხელშეკრულების მუხლის მრავალგზისი დარღვევის შედეგად რომ ვიწვნიეთ, ჩვენს უდრტვინველობას გერმანელთა შეჭრისას რაინის მხარეში, ჩვენს ჩუმ დასტურს ავსტრიის ხელთ მოგდებაზე, ჩვენს პაქტს მიუნხენში და გერმანიის მიერ პრაღის ოკუპაციის ჯეროვნად მიჩნევას, — ვფიქრობთ, რომ ვერც ერთი კაცი ბრიტანეთსა თუ საფრანგეთში, ვისაც კი იმ წლებში პასუხისმგებლობა ეკისრებოდა საქვეყნო საქმეზე, ბელგიას ვერ დაძრახავს. ჭოჭმანისა და უშ-

ფოთველობის ხანაში ბელგიელები ნეიტრალიტეტს ებღაუჭებოდნენ და ამაოდ ცდილობდნენ, თავი ენუგეშებინათ იმ იმედით, რომ, სანამ ბრიტანეთისა და საფრანგეთის ჯარები მოეშველებოდნენ, შეძლებდნენ თავიანთ გამაგრებულ საზღვრებზე გერმანელ დამპყრობთა შეკავებას.

* * *

1914 წელს ფრანგთა ლაშქრისა და ფრანგი ხალხის სულისკვეთება, 1870 წლიდან მოყოლებული თაობიდან თაობას რომ გადაეცემოდა, მედგარი იყო და შეუპოვარი. მათი რწმენით, მცირერიცხოვანი არმიის მქონე სახელმწიფო შემოსეულ მტერს მხოლოდ კონტრშეტევით თუ გაუმკლავდებოდა როგორც სტრატეგიული, ისე ტაქტიკური თვალსაზრისიდან გამომდინარე. თავდაპირველად ლურჯი კიტელებითა და წითელი შარვლებით შემოსილი ფრანგები თამამად მიაბიჯებდნენ წინ ორკესტრთა მიერ შესრულებული „მარსელიოზას" თანხლებით. ყველგან, სადაც ეს ხდებოდა, გერმანელები ჩნდებოდნენ და შემმუსვრელ ცეცხლს უხსნიდნენ მათ. პოლკოვნიკი გრანდმეზონი, იერიშის მიტანას რომ ქადაგებდა, ბრძოლის დასაწყისშივე დაიღუპა, — თავის ქვეყანასა და საკუთარ რწმენას შეეწირა. „მსოფლიო კრიზისში" განვმარტავდი, თუ რატომ სჭარბობდა თავდაცვითი ტაქტიკა 1914-დან 1916-17 წლებამდე. კოლოფიან შაშხანებს — რომლებიც, როგორც თავად დავრწმუნდით, დიდი წარმატებით გამოიყენეს ერთმა მუჭა ბურებმა სამხრეთ აფრიკის ომში — შეეძლოთ, გამანადგურებელი თუ არა, გვარიანი ზიანი მიეყენებინათ ჯარებისათვის, გაშლილ ადგილზე წინ რომ მიიწევდნენ. ამის გარდა, განუწყვეტლივ მატულობდა ტყვიამფრქვევთა რიცხვი.

შემდეგ გაჩაღდა დიდი საარტილერიო ბრძოლები. არემარეს ასობით, ათასობით იარაღი აცამტვერებდა. მაგრამ გმირული თავგანწირვის შედეგად წინგაჭრილ ფრანგებსა და ბრიტ-

ანელებს, მტკიცე პოზიციების მქონე გერმანელებს ერთობლივად რომ უტევდნენ, გზაზე ეღობებოდა საფორტიფიკაციო ნაგებობათა მთელი წყება; ხოლო მტრის წინა ხაზების გასანადგურებლად ატეხილი დაბომბვის შემდეგ ბრძოლის ველზე წარმოქმნილი ძაბრისებრი ღრმულები მტკიცე დაბრკოლებად აღმართულიყო და მაშინაც კი აფერხებდა მათ წინსვლას, როდესაც საქმეს სასიკეთო პირი უჩანდა. ერთადერთი დასკვნა, რის გამოტანაც შეიძლება ამ მწარე გაკვეთილიდან, ისაა, რომ მოვლენების წარმართვაში უპირველესი მნიშვნელობა თავდაცვას უნდა მიენიჭოს; უფრო მეტიც, ჩავლილმა მეოთხედმა საუკუნემ ცხადყო, რომ ცეცხლსასროლი იარაღის ძალა განუზომლად გაიზარდა; ოღონდ, როგორც ბოლოს გაირკვა, ის ორთავ მხარეს ერთნაირად აცამტვერებდა.

ახლა ეს იყო საფრანგეთი, სრულიად განსხვავებული იმისგან, თავის ოდინდელ მოსისხლე მტერს რომ დაესხა თავს 1914 წლის აგვისტოში. გამარჯვების შედეგად ჩაცხრა სულისკვეთება შურისგებისა. წინამძღოლები, მას რომ აღვივებდნენ, კარგა ხანია, გამოსალმებოდნენ ნუთისოფელს. ფრანგმა ხალხმა თავის თავზე გამოსცადა შემზარაობა სასაკლაოსი, რომლის დროსაც განადგურდა მილიონ-ნახევარი მისი ძე. საიერიშო ქმედებანი ფრანგთა დიდი უმრავლესობის წარმოსახვაში უკავშირდებოდა ფრანგების 1914 წლის იერიშის თავდაპირველ წარუმატებლობებს, მარცხს გენერალი ნიველისა 1917 წელს, სომისა და პაშენდეილის ხანგრძლივ აგონიას და, უპირველეს ყოვლისა, რწმენას იმისა, რომ თანამედროვე ცეცხლსასროლი იარაღი გამანადგურებელია მოიერიშე მხარისათვის. ვერც საფრანგეთსა და ვერც ბელგიაში სათანადოდ ვერ აცნობიერებდნენ შედეგებს იმ ახალი ვითარებისა, რომ ჯავშანმანქანები გაუძლებდნენ საარტილერიო ცეცხლს და შეძლებდნენ დღეში ასი მილით წინ წაწევას. ჭკუის სასწავლებელ წიგნს ამ თემაზე, რამდენიმე წლის წინათ რომ გამოსცა მეთაურმა დე გოლმა, არანაირი გამოხმაურება არ მოჰყოლია. უხუცესი მარშლის — პეტენის — ავტორიტეტი უმაღლეს სამხედრო საბჭოში ზეგავლენას ახდენდა

ფრანგულ სამხედრო აზრზე, გზას უხშობდა ახალ იდეებს და, განსაკუთრებით, სახელს უტეხდა იარაღს, რომლისათვისაც ახირებით „საიერიშო იარაღი“ შეერქმიათ.

მოგვიანებით ხშირად კიცხავდნენ „მაჟინოს ხაზის“ პოლიტიკას. იგი უთუოდ ქმნიდა თავდაცვით განწყობილებას. და მაინც, სწორედ რომ ბრძნული ღონისძიებაა რაც შეიძლება მეტი ფორტიფიკაციის აგება, რის წყალობითაც შესაძლებელი ხდება საზღვრის დაცვა ასეულობით მილის მანძილზე, მებრძოლთა ერთ ადგილზე დამაგრებით მათი დაზოგვა და პოტენციური თავდასხმის საჭირო მიმართულებით „წარმართვა“. „მაჟინოს ხაზს“ სათანადო ადგილი რომ დაეკავებინა ფრანგთა სამხედრო გეგმებში, იგი ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევდა საფრანგეთს. ის შეიძლებოდა განხილულიყო, როგორც ერთი გრძელი ჯაჭვი უმნიშვნელოვანესი საყრდენი პუნქტებისა და, უწინარეს ყოვლისა, როგორც ფარი ფრონტის ვრცელი მონაკვეთებისა, როგორც შემკრები მთავარი რეზერვებისა ანუ „სამანევრო მუშტისა“. საფრანგეთისა და გერმანიის მოსახლეობის რაოდენობრივ უთანასწორობას თუ გავითვალისწინებთ, „მაჟინოს ხაზი“ უნდა განვიხილოთ, როგორც გონივრული და ბრძნული ღონისძიება. მართლაც, რა უცნაურია, — მდინარე მაასის გაყოლებაზეც კი არ უცდიათ მისი გამოყენება! იქნებ, საიმედო ფარად აღმართულიყო და ფრანგთა მძიმე, ბასრი და შემართული მახვილი გაეშიშვლებინა. მაგრამ მარშალი პეტენი ამგვარი გაფართოების წინააღმდეგ გამოვიდა. იგი დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ, ადგილის თავისებურებებს თუ გაითვალისწინებდნენ, არდენები სულაც არ უნდა დაესახათ სათარეშოდ ხელსაყრელ გზასავალად. „მაჟინოს ხაზის“ საიერიშო კონცეფციები განმარტა გენერალმა ჟირომ, 1937 წელს მეცს რომ ეწვია. თუმცა ამ კონცეფციებს ხორცი არ შესხმია და „მაჟინოს ხაზმა“ არა მარტო შთანთქა კარგად მომზადებულ ჯარისკაცთა და რეგულარული ლაშქრის ტექნიკური პერსონალის უზარმაზარი რაოდენობა, არამედ მავნე ზეგავლენა მოახდინა როგორც სამხედრო სტრატეგიაზე, ისე ეროვნულ სიფხიზლეზე.

ახალი ძალა — ავიაცია — სამართლიანად ფასდებოდა, როგორც რევოლუციური ფაქტორი ყველა ოპერაციაში. ის კი არადა, მაშინ, როცა ორთავ მხრიდან შეიმჩნეოდა თავდაცვითი განწყობილებანი, ავიაცია მიიჩნეოდა საშუალებად, რომელიც აფერხებდა იერიშის წამომწყები დიდძალი ჯარების კონცენტრაციას და შლიდა მათ კომუნიკაციებს. ფრანგთა მობილიზაციის პერიოდიც კი სარკინიგზო კვანძების შესაძლო განადგურებასთან დაკავშირებით უმაღლესი მთავარსარდლობის მიერ შეფასდა, როგორც უკიდურესად კრიტიკული; თუმცა გერმანიის, ისევე როგორც მოკავშირეთა, ავიაცია არ იკმარებდა ამგვარი ამოცანის ხორცშესასხმელად. აზრთა მსვლელობა სამხედრო-საჰაერო ძალთა მეთაურებისა სწორი სადინარით წარიმართებოდა, რაც დადასტურდა შემდგომ წლებში, როდესაც საჰაერო ძალმოსილება ათჯერ თუ ოცჯერ გაიზარდა. ომის დაწყებისას კი მსგავსი აზრების გამოთქმა ნაადრევი იქნებოდა.

* * *

ბრიტანეთში ხუმრობენ, თითქოსდა ჩვენი სამხედრო სამინისტრო მუდამ ჩავლილი ომისათვის ემზადებოდეს, თუმცა ეს სხვა სამინისტროებსა და ქვეყნებსაც ეხება; და ეს უთუოდ მართებულია ფრანგულ არმიასთან მიმართებითაც. მეც დარწმუნებული გახლდით თავდაცვის უპირატესობაში, თუ იგი ქმედითად ტარდებოდა. მე არც პასუხისმგებლობა მეკისრებოდა და არც მუდმივი ინფორმაცია გამაჩნდა. ამიტომ ვერც ამგვარ მოსაზრებას გადავაფასებდი. ვიცოდი, რომ წინა ომის სასაკლაო ღრმად აღიბეჭდა ფრანგი ხალხის სულში. გერმანელებს მისცეს დრო „ზიგფრიდის ხაზის" ასაგებად. რა შემაძრწუნებელია, ცეცხლისა და ბეტონის ამ კედელს მინარცხებული ნახო ნაშიერნი საფრანგეთისა!.. მეორე მსოფლიო ომის პირველ თვეებში ჩემი შეხედულებანი თავდაცვის საკითხებზე დიდად არ განირჩეოდა საყოველთაოდ აღიარებულ შეხედულებათაგან. და მე

მიმაჩნდა, რომ გონივრულად განლაგებულ ტანკსაწინააღმდეგო ღობურებსა და საველე ქვემეხებს — მით უფრო, მებრძოლებს, საბრძოლო მასალაც თუ მომარაგებული ექნებოდათ — შეეძლოთ, ჩაეშალათ და უკუექციათ სატანკო იერიში; ეგაა, რომ სიბნელეს ან ჩამოწოლილ ნისლს, ნამდვილსა თუ ხელოვნურს, ხელი არ უნდა შეეშალა.

საეჭვოა, რომ ისეთ რთულ ვითარებაში, როგორშიაც არსთა გამრიგე აყენებს თავის მორჩილ მსახურთ, მოვლენები ერთგვარად წარიმართოს ორჯერ და მეტად; და მაშინაც კი, როცა მოვლენათა მსვლელობას ამგვარი პირი უჩანს, თავს იჩენს რაღაც, რაც გამორიცხავს უმართებულო განზოგადებას. ადამიანის გონება, თუ მას უბადლო ნიჭი არ წარმართავს, ვერ გადალახავს ზღუდეებს დამკვიდრებული შეხედულებებისა, რომლებმაც იგი ასაზრდოვა. ორთავ მხარის უმოქმედობის რვა თვის შემდეგ დავინახეთ, რომ ჰიტლერმა წამოიწყო მძლავრი იერიში, რომელსაც წარმართავდნენ საქვემეხო-ცეცხლგაუმტარი დაჯავშნული მანქანები; ისინი მტრის ყველანაირ წინააღმდეგობას სძლევდნენ და პირველად მრავალი საუკუნის განმავლობაში — ან, იქნებ, მას შემდეგაც კი, რაც თოფისწამალი გამოიგონეს — დროებით ლამის მწყობრიდან გამოჰყავდათ ბრძოლის ველზე განლაგებული არტილერია. იმაშიაც დავრწმუნდით, რომ საცეცხლე ძალის მოჭარბებამ ბრძოლები ნაკლებ სისხლისმღვრელი გახადა, რადგან საჭირო ტერიტორიის დასანარჩუნებლად უკვე ძალზე ცოტა ხალხი კმაროდა; ამის წყალობით კი ნაკლები ხალხი იმყოფებოდა მტრის ცეცხლის პირისპირ.

მსოფლიოში არ მოიძებნება მეორე ისეთი საზღვარი, სტრატეგიული თვალსაზრისით ისეთ ყურადღებას რომ იპყრობდეს და ისეთი გულმოდგინე კვლევის საგანი იყოს, როგორიც ბელგიასა და ჰოლანდიაზე გამავალი საფრანგეთ-გერმანიის საზღვარია. ყოველი გოჯი ამ მიწისა, თითოეული ბორცვი თუ სანყლო გზა საუკუნეების განმავლობაში ყველა გენერლისა და დასავლეთ ევროპის ყველა სამხედრო სასწავლებლის მოღვაწეთა მიერ მუდამ უკანასკნელ საომარ კამპანიასთან მიმართე-

ბით შეისწავლებოდა. იმხანად არსებობდა ორი ხაზი, რომლებზეც მოკავშირეებს შეეძლოთ, ნინ წაეწიათ, თუ ვინიცობაა, გერმანია ბელგიაში შეიჭრებოდა და ისინი საშველად გაეშურებოდნენ. ან კიდევ, ბელგიელები თუ მოუხმობდნენ, ისინი ამ ხაზებს დაიკავებდნენ გულდაგულ შემუშავებული, საიდუმლო და მოულოდნელობაზე გათვლილი გეგმის საფუძველზე. პირველ ხაზს, შეიძლება, შელდის ხაზი დაერქვას. იგი შედარებით ახლოს იყო საფრანგეთის საზღვართან და ამ ხაზზე გასვლა რაიმე სერიოზულ საფრთხეს არ მოასწავებდა. უარეს შემთხვევაში, არავის ავნებდა ამ ხაზის, როგორც „ცრუ ფრონტის", დაკავება. უკეთეს შემთხვევაში კი ამ ფრონტის გამაგრება მოვლენათა განვითარებასთან იქნებოდა დაკავშირებული. მეორე ხაზი ბევრად უფრო ღირსსაცნობი გახლდათ. იგი მიუყვებოდა მაასს, გადიოდა ჟივეზე, დინანზე, ნამიურსა და ლუვენზე და ანტვერპენში წყდებოდა. მოკავშირეებს ეს სახიფათო ხაზი რომ დაეკავებინათ და შეენარჩუნებინათ დაუნდობელ ბრძოლებში, გერმანელთა იერიში მარჯვნიდან მძლავრ დაბრკოლებას წააწყდებოდა. და, თუ მათი ლაშქარი უფრო სუსტი აღმოჩნდებოდა, ამ ხაზზე გასვლა შეიძლებოდა შესანიშნავ პრელუდიად ქცეულიყო გერმანიის სამხედრო მრეწველობის შუაგულის — რურის ხელში ჩასაგდებად.

მაგრამ ვინაიდან ბელგიელებთან შეუთანხმებლად ბელგიის გავლით ლაშქრობა საერთაშორისო მორალის საფუძველზე გამოირიცხებოდა, რჩებოდა მხოლოდ ერთი გზა — იერიშის მიტანა საფრანგეთ-გერმანიის საზღვრიდან. შეტევა აღმოსავლეთისაკენ რაინის გავლით სტრასბურგის ჩრდილოეთითა და სამხრეთით უმთავრესად შვარცვალდის რაიონში გაგვიყვანდა, რომელიც, არდენების მსგავსად, იმხანად საიერიშო ოპერაციებისათვის მიზანშეუწონლად მიიჩნეოდა. თუმცა წამოიჭრა აგრეთვე სტრასბურგ-მეცის ფრონტიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, პფალცისაკენ წინ წაწევის საკითხი. ამგვარი გადაადგილება, მარჯვენა ფლანგით რაინზე, შესაძლებელს გახდიდა ამ მდინარის გაკონტროლებას ჩრდილოეთით თვით კობლენცისა

და კიოლნის მისადგომებამდე. აქედან კი გზა ხსნილი იყო საბრძოლო ოპერაციებისათვის ხელსაყრელი ტერიტორიისაკენ. ყველა ეს ვარაუდი მრავალრიცხოვანი ვარიანტით მრავალი წლის განმავლობაში წარმოადგენდა დასავლეთ ევროპის გენერალური შტაბების სასწავლებელთა სამხედრო მანევრების ნაწილს. თუმც ამ სექტორში 1939 წლის სექტემბერში უკვე მრისხანე დაბრკოლებად აღმართულიყო „ზიგფრიდის ხაზი" მისი ჩინებული, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ხანგრძლივი საცეცხლე წერტებით, დიდ სიღრმეზე რომ იყო გამართული და მრავალრიცხოვანი მავთულხლართით შემორაგული. ფრანგები დიდი იერიშის წამოწყებას შეძლებდნენ არაუადრეს სექტემბრის მესამე კვირის მიწურულამდე. მაგრამ ამ დროისათვის უკვე დასრულდა პოლონური კამპანია. ოქტომბრის შუა რიცხვებში გერმანელებს დასავლეთის ფრონტზე 70 დივიზია ედგათ. ფრანგთა ხანმოკლე რიცხობრივი უპირატესობა დასავლეთისაკენ სულ უფრო და უფრო მცირდებოდა. თუ ვინიცობაა, ფრანგები აღმოსავლეთ საზღვრიდან მოადგებოდნენ, ისინი მათთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვან ჩრდილოეთის ფრონტს გააშიშვლებდნენ. მაშინაც კი, თუ თავდაპირველად ფრანგთა ჯარები წარმატებას მიაღწევდნენ, სულ რაღაც ერთი თვის თავზე ძალზე გაუჭირდებოდათ თავიანთი მონაპოვრის შენარჩუნება აღმოსავლეთით, რის შემდეგაც დაუცველნი აღმოჩნდებოდნენ ჩრდილოეთით გერმანელთა მძლავრი კონტრშეტევის შემთხვევაში.

ამგვარია პასუხი კითხვაზე: „რატომ პასიურობდით, სანამ პოლონეთი არ გაანადგურეს?!" მაგრამ ეს ბრძოლა იმთავითვე განწირული იყო, რაც ცხადი შეიქნა რამდენიმე წლის წინათ. 1938 წელს გაჩნდა გამარჯვების დიდებული შესაძლებლობა, — ჯერ კიდევ ცოცხლობდა ჩეხეთ-სლოვაკეთი. 1936 წელს არ შეიძლებოდა, თავი ეჩინა რამდენადმე სერიოზულ წინააღმდეგობას. 1933 წელს საკმარისი იყო წყალობის სიგელი ჟენევიდან, რათა უსისხლო მორჩილებისათვის მიეღწიათ. არ ეგების მარტო გენერალ გამელენს ავკიდოთ სიმძიმე იმ დანაშაულისა, რომ 1939

წელს მან ვერ გასწია ის რისკი, უსაშველოდ რომ გაიზარდა ყველა იმ უწინდელი კრიზისის შემდეგ, რომელთა წინაშეც ძრწოლით უკუიქცნენ საფრანგეთისა და ბრიტანეთის მთავრობები.

ბრიტანეთის საშტაბო კომიტეტმა გამოთვალა, რომ 18 სექტემბრისათვის გერმანელებმა სრული მობილიზაცია უყვეს არანაკლებ 116 დივიზიას, რომლებიც შემდეგნაირად გაანაწილეს: 42 დივიზია — დასავლეთის ფრონტზე, 16 დივიზია — ცენტრალურ გერმანიაში და 58 დივიზია — აღმოსავლეთის ფრონტზე. მტრული მხარის ჩანაწერებიდან დღეს ჩვენთვის ცნობილია, რომ ეს აღრიცხვა თითქმის ზუსტი იყო. საერთოდ, გერმანიის განკარგულებაში გახლდათ 109-117 დივიზია. პოლონეთზე თავდასხმაში მონაწილეობდა ორმოცდათვრამეტი ბრძოლისუნარიანობით გამორჩეული გერმანული დივიზია. ამას გარდა, იყო კიდევ განსხვავებული ბრძოლისუნარიანობის მქონე ორმოცდაათი-სამოცი დივიზია. აქედან ორმოცდაორი გერმანული დივიზია (თოთხმეტი დივიზია — პირველი ხაზისა, ოცდახუთი — სათადარიგო და სამიც — მოლაშქრეთაგან) დასავლეთის ფრონტზე იდგა ახენიდან შვეიცარიის საზღვრამდე. გერმანელთა სატანკო ჯარები ან პოლონეთში იდგნენ, ან ჯერ ჭაჭანებაც არსად იყო მათი, ტანკების უზარმაზარი ნაკადი კი ის-ის იყო იწყებდა სამხედრო ქარხნებიდან გამოსვლას. ბრიტანელთა საექსპედიციო ჯარების წვლილი მხოლოდ სიმბოლური ხასიათისა თუ იყო; მათ შეეძლოთ, ბრძოლაში ჩაერთოთ ორი დივიზია ოქტომბრის პირველ კვირაში და კიდევ ორი დივიზია — მეორე კვირაში. სანამ პოლონეთს დაიპყრობდნენ, გერმანიის უმაღლესი სარდლობა, მიუნხენის ამბების შემდეგ გერმანელების შეფარდებით ძალთა უზომოდ გაზრდის მიუხედავად, უღრმესი შეშფოთებით აფასებდა დასავლეთში თავის მდგომარეობას; და მხოლოდ დესპოტურმა ხელისუფლებამ, ნებამ და ხუთგზის ახდენილმა პოლიტიკურმა ნააზრევმა ჰიტლერისა, რომელიც დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს მებრძოლ

სახელმწიფოებად არ მიიჩნევდა, აიძულა იგი, მისეული თვალსაზრისით გაუმართლებელი რისკი გაეწია.

ჰიტლერს სწამდა, რომ ფრანგული პოლიტიკური სისტემა ძირგამომპალი იყო და რომ ეს ფრანგულ არმიასაც დასტყობოდა. მისთვის ცნობილი იყო კომუნისტების ძალა საფრანგეთში და ისიც, რომ შესაძლებელი იქნებოდა მათი გამოყენება ქმედებათა შესუსტებისა და დადამბლავებისათვის, როგორც კი რიბენთროპი და მოლოტოვი მორიგდებოდნენ და მოსკოვი დაგმობდა საფრანგეთისა და ბრიტანეთის მთავრობებს კაპიტალისტური და იმპერიალისტური ომის გაჩაღების გამო. იგი დარწმუნებული გახლდათ იმაში, რომ ბრიტანეთი პაციფისტური და გადაჯიშებული ქვეყანა იყო. მას მიაჩნდა, რომ, თუმც მებრძოლი სულისკვეთებით გამსჭვალულმა უმცირესობამ აიძულა ჩემბერლენი და დალადიე, ომი გამოეცხადებინათ, ორთავენი შეძლებისდაგვარად შეამცირებდნენ ბრძოლის მასშტაბებს და, როგორც კი პოლონეთი დაეცემოდა, აღსრულებულ ფაქტს ისევე ცნობდნენ და აღიარებდნენ, როგორც ეს ერთი წლის წინათ ჩეხეთ-სლოვაკეთის მიმართ ჩაიდინეს. აქამდე მთელ რიგ შემთხვევებში ჰიტლერისათვის ალღოს არ უმტყუნია, მისი გენერლების შიში და იჭვნეული მოსაზრებანი კი მუდამ ბათილდებოდა. ერთი კია, ის ვერ აღიქვამდა იმ სიღრმისეულ ცვლილებს, ბრძოლისაკენ მოწოდების დროს რომ იჩენდა ხოლმე თავს დიდ ბრიტანეთსა და მთელს ბრიტანეთის იმპერიაში. მას არც ის ესმოდა, რომ სწორედ ის ადამიანები, ყველაზე თავგამოდებით რომ ქადაგებენ მშვიდობას, თვალის დახამხამებაში იქცევიან ხოლმე გამარჯვებისათვის თავგადადებულ მოღვაწეებად. მას ვერ გაეცნობიერებინა გონებრივი და სულიერი ძალმოსილება ჩვენი კუნძულელი ხალხისა, რომელიც, ომისა და საომარი მზადებისადმი თავისი უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, საუკუნეთა მანძილზე შეეჩვია იმ აზრს, რომ მძლეველადაა მოვლინებული ამქვეყნად. ასეა თუ ისე, ომის დასაწყისში ბრიტანეთის არმია რაიმე არსებით როლს ვერ შეასრულებდა. ჰიტლერი იმაშიაც დარწმუნებული გახლდათ, რომ ომი არც ფრანგ

ხალხს ეხატებოდა გულზე. და ეს მართლაც ასე იყო. იგი თავისას იყინებდა და მისი ბრძანებები სრულდებოდა.

* * *

ჩვენს ოფიცრებს მიაჩნდათ, რომ პოლონეთის არმიის განადგურების შემდეგ გერმანიას მოუწევდა პოლონეთში თხუთმეტი დივიზიის დაბანდება, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის შემადგენლობაში იქნებოდნენ ნაკლებად ბრძოლისუნარიანი შენაერთები. და, თუ რუსეთის პაქტი დროდადრო მაინც ეჭვებს აღუძრავდა, არც იმაზე დაიხევდა უკან, რომ აღმოსავლეთში თავის მებრძოლთა რიცხვი ოცდაათ დივიზიამდე გაეზარდა. ასე რომ, ნაკლებად სასურველი ვარაუდებიდან გამომდინარე, გერმანია შეძლებდა აღმოსავლეთის ფრონტიდან ორმოცზე მეტი დივიზიის მოხსნას და დასავლეთში თავის მებრძოლთა რიცხვის ას დივიზიამდე გაზრდას. იმ დროისათვის ფრანგები მოახერხებდნენ სამოცდათორმეტი დივიზიის სრულ მობილიზაციას საფრანგეთში, რაც დაემატებოდა თორმეტი-თოთხმეტი დივიზიის ტოლფასი ძალის მქონე მეციხოვნეთა გარნიზონებს. ამის გარდა, იქნებოდა კიდევ ბრიტანეთის საექსპედიციო ჯარების ოთხი დივიზია. მაშასადამე, საბოლოოდ, გერმანიის წინააღმდეგ შესაძლებელი გახდებოდა სამოცდათექვსმეტი დივიზიის გამოყვანა. ასე რომ, მოწინააღმდეგეს მოკავშირეებთან შეფარდებით ექნებოდა უპირატესობა პროპორციით 4:3 და, ამის გარდა, საფიქრებელია, რომ იგი შეძლებდა თადარიგის დამატებითი დივიზიების ფორმირებას და სულ მალე თავის მოლაშქრეთა საერთო რაოდენობას ას ოცდაათ დივიზიამდე გაზრდიდა. ჩრდილოეთ აფრიკაში ფრანგების განკარგულებაში იყო კიდევ თოთხმეტი დივიზია, რომელთა ნაწილის კონტინენტზე გადასროლა შესაძლებელი იქნებოდა; და კიდევ, დამატებითი ძალები, რომელთა თანდათანობით გამოყვანას შეძლებდა დიდი ბრიტანეთი.

რაც შეეხება ავიაციას, ჩვენს საშტაბო კომიტეტს მიაჩნდა, რომ პოლონეთის განადგურების შემდეგ გერმანიას შეეძლო დასავლეთში თავი მოეყარა ორი ათასზე მეტი ბომბდამშენისათვის ცხრაას ორმოცდაათი თვითმფრინავის განმკარგულებელი საფრანგეთ-ბრიტანეთის გაერთიანებული ავიაციის წინააღმდეგ (სინამდვილეში გერმანელთა ბომბდამშენი ავიაცია იმხანად ითვლიდა 1546 თვითმფრინავს). აქედან გამომდინარე, ცხადი იყო, რომ, როგორც კი ჰიტლერი პოლონეთს გაუსწორდებოდა, ცაშიაც და ხმელეთზეც გვარიანად დაჯაბნიდა მის წინააღმდეგ პირშეკრულ ბრიტანეთსა და საფრანგეთს. ასე რომ, ლაპარაკიც ზედმეტი იყო გერმანელთა წინააღმდეგ ფრანგთა გალაშქრებაზე. როგორი იყო შანსები გერმანელთა გალაშქრებისა ფრანგების წინააღმდეგ?!

რა თქმა უნდა, მოიაზრებოდა სამგვარი გზა: პირველი — შვეიცარიიდან შეჭრა. ამ შემთხვევაში შეიძლებოდა „მაჟინოს ხაზის“ სამხრეთ ფლანგიდან შემოვლა, მაგრამ ამას წინ ეღობებოდა გეოგრაფიული თუ სტრატეგიული ხასიათის მთელი რიგი სიძნელეები; მეორე — საფრანგეთში შეჭრა ფინეთ-გერმანიის საზღვრიდან. ეს ვარიანტი ნაკლებდამაჯერებელი ჩანდა, ვინაიდან ითვლებოდა, რომ გერმანული არმია მაშინ ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ აღკაზმულ-აღჭურვილი „მაჟინოს ხაზის“ ძლიერი იერიშისათვის; მესამე — საფრანგეთში შეჭრა ჰოლანდია-ბელგიიდან. ეს ნიშნავდა მსვლელობას „მაჟინოს ხაზის“ შემოვლით და არ მოასწავებდა ისეთ დიდ დანაკარგებს, როგორსაც გამოიწვევდა მუდმივ ფორტიფიკაციებზე პირდაპირი იერიში. საშტაბო კომიტეტმა გამოთვალა, რომ ამგვარი თავდასხმისათვის დასავლეთში უკვე თავმოყრილი თავისი ჯარების გასამაგრებლად გერმანია იძულებული შეიქნებოდა, ბრძოლების პირველი ფაზისათვის აღმოსავლეთის ფრონტიდან 29 დივიზია გადმოესროლა, მათ შემდეგ კი ეშელონით გადმოეყვანა კიდევ თოთხმეტი დივიზია. ჯარების ამგვარ გადასროლასა და იმ იერიშის განხორციელებას, რომელიც მთლიანად უზრუნველყოფილი იქნებოდა საარტილერიო ძალებით, სულ

ცოტა, სამი კვირა მაინც დასჭირდებოდა. მსგავსი მოსამზადებელი ღონისძიებების შესახებ თავდასხმამდე ორიოდ კვირით ადრე შევიტყობდით. ამ ვეებერთელა ოპერაციის განხორციელება გერმანელებს წლის ბოლოს მოუწევდათ, მაგრამ მისი ალბათობა არ გამოირიცხებოდა.

ჩვენ, რასაკვირველია, უნდა ვცდილიყავით, შეგვეჩერებინა გერმანელთა ჯარების აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გადასროლა მათ კომუნიკაციებსა და თავშეყრის უბნებზე საჰაერო თავდასხმების მეშვეობით. ასე რომ, მოკავშირეთა სამხედრო-საჰაერო ძალთა დასასუსტებლად წინდაწინვე მოსალოდნელი იყო საჰაერო ბრძოლები აეროდრომებსა და საავიაციო ქარხნებზე თავდასხმების სახით. რაც შეეხება ინგლისს, იგი განზე არ გადგებოდა. ჩვენი შემდგომი ამოცანა გახლდათ ნიდერლანდებისათვის გერმანიის თავდასხმის თავიდან აცილება. ჩვენ ვერ შევხვდებოდით მოიერიშე გერმანელთა ჯარებს ისეთ შორს შეჭრილ უბნებზე, როგორიცაა ჰოლანდიის ტერიტორია, მაგრამ მოკავშირეთა ინტერესები მოითხოვდა ბელგიაში მტრის შეძლებისდაგვარად შეჩერებას.

„ჩვენ გვესმის, — იწერებოდა საშტაბო კომიტეტი, — რომ ფრანგთა ჩანაფიქრით, თუ ვინიცობაა ბელგიელები ფეხს მოიკიდებენ მაასის ხაზზე, საფრანგეთისა და ბრიტანეთის ჯარებმა უნდა დაიკავონ ჟივე-ნამიურის ხაზი, ბრიტანელთა საექსპედიციო ჯარები კი მარცხენა ფლანგს შეუტევენ. ჩვენ მიზანშეუწონლად მივიჩნევთ ამ თვალსაზრისის გაზიარებას, ბელგიელებს თუ არ მოვურიგდებით იმ გეგმების თაობაზე, რომლებიც ითვალისწინებენ გერმანელთა შემოტევამდე დარჩენილ დროში ამ ხაზის დაკავებას... თუ ბელგიელთა განწყობა არ შეიცვლება და ჟივე-ნამიურის ხაზზე (მაას-ანტვერპენის ხაზსაც რომ უწოდებენ) დროზე გასასვლელად გეგმის შემუშავება ვერ მოხერხდება, გადაჭრით მოვითხოვთ მზადყოფნას გერმანელთა იერიშის მოსაგერიებლად საფრანგეთის საზღვარზე".

ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, აუცილებელი იქნებოდა დაბომბვა ბელგიისა და ჰოლანდიის ქალაქებისა და სარკინიგ-

ზო კვანძებისა, რომელთაც გამოიყენებდნენ ან ხელთ იგდებდნენ გერმანელთა ჯარები.

საჭიროდ მიგვაჩნია აღნუსხვა ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის შემდგომი ისტორიისა. 20 სექტემბერს იგი სამხედრო კაბინეტის წინაშე წამოიჭრა და ხანმოკლე მსჯელობის შემდეგ უმაღლეს სამხედრო საბჭოს გადაეცა. თავის დროზე უმაღლესმა სამხედრო საბჭომ აზრის გამოთქმა სთხოვა გენერალ გამელენს. გენერალი გამელენი შემოიფარგლა განცხადებით იმის თაობაზე, რომ გეგმა „დ"-ის (ანუ მაას-ანტვერპენის ხაზზე გასვლის) საკითხი საკმარისად იყო გაშუქებული ფრანგთა დელეგაციის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში. ამ ანგარიშის ძირითადი არსის შემცველი მონაკვეთი იტყობინებოდა: „ინგლის-საფრანგეთის ჯარები, თუკი მათ დროულად მოუხმობენ, შევლენ ბელგიის ტერიტორიაზე, მაგრამ არა იმისათვის, რომ ხელჩართულ ბრძოლაში ჩაერთონ. საყოველთაოდ აღიარებულ თავდაცვით ხაზთა რიცხვს მიეკუთვნება შელდის ხაზი და მაას-ნამიურ-ანტვერპენის ხაზი". ბრიტანეთის საშტაბო კომიტეტი ფრანგების პასუხს რომ გაეცნო, კაბინეტს წარუდგინა ახალი ანგარიში, რომელშიაც განიხილებოდა ალტერნატივა შელდის ხაზზე გასვლისა, თუმც გაკვრითაც არსად იყო ნახსენები გაცილებით უფრო მძიმე ვალდებულება მაას-ანტვერპენის ხაზზე გადაადგილებისა. სამხედრო კაბინეტისათვის 4 ოქტომბერს წარდგენილ თავის მეორე ანგარიშში საშტაბო კომიტეტმა დუმილით აუარა გვერდი „დ" გეგმით გათვალისწინებულ უმნიშვნელოვანეს ვარიანტს. ამის საფუძველზე სამხედრო კაბინეტმა დაასკვნა, რომ ბრიტანეთის საშტაბო კომიტეტის თვალსაზრისი გაიზიარეს და რომ, აქედან გამომდინარე, არავის არაფერში წაადგებოდა რაიმე ახლებური ქმედებანი და გადაწყვეტილებანი. მე კაბინეტის ორთავ ამ სხდომას ვესწრებოდი და ეჭვადაც არა მქონია, რომ ჯერ კიდევ გადაუჭრელი შეიძლებოდა ყოფილიყო რაიმე მნიშვნელოვანი სადავო საკითხი. ვინაიდან ოქტომბერში ბელგიელებთან ვერანაირი გარიგება ვერ

მოხერხდა, გადაწყდა ჩვენი წინსვლის შეზღუდვა-შენელება შელდის ხაზზე.

იმავდროულად გენერალმა გამელენმა ბელგიელებთან საიდუმლო მოლაპარაკებათა მსვლელობაში მოითხოვა, რომ, ჯერ ერთი, ბელგიელთა არმიას შეენარჩუნებინა თავისი სრული საბრძოლო შემადგენლობა და, მეორეც, ბელგიელებს მოემზადებინათ თავდაცვითი საზღვარი უფრო გამოწეულ ნამიურ-ლუვენის ხაზზე. ნოემბრის დამდეგს მოხერხდა ამ საკითხებზე ბელგიელებთან მოლაპარაკება, ხოლო ხუთიდან თოთხმეტ ნოემბრამდე ჩატარდა რიგი თათბირებისა ვენსენსა და ლაფერში, თანაც მათ, ან კიდევ, რამდენიმე მათგანს ესწრებოდნენ აირონსაიდი, ნიუოლი და გორტი. ნოემბრის თხუთმეტს გენერალმა გამელენმა გამოაქვეყნა განკარგულება № 8, დამადასტურებელი თოთხმეტი ნოემბრის შეთანხმებისა, რომლის მიხედვითაც, „თუ გარემოებანი ნებას დაგვრთავდა", ბელგიელებს უნდა ჰქონოდათ მხარდაჭერის, ანუ მაას-ანტვერპენის ხაზზე წინსვლის, იმედი. ჩვიდმეტ ნოემბერს პარიზში დაიწყო მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს თათბირი. ჩემბერლენმა იახლა ლორდი ჰალიფაქსი, ლორდი ჩეთფილდი და სერ კინგსლი ვუდი. იმ დროისათვის მე ჯერ კიდევ არ მეკავა ისეთი ოფიციალური თანამდებობა, რომ, როგორც მოწვეული პირი, თან ვხლებოდი პრემიერ-მინისტრს ამ თათბირზე. მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილება: „ვინაიდან მხედველობაშია მიღებული დიდმნიშვნელოვანება გერმანელთა ლაშქრის შეჩერებისა რაც შეიძლება შორს აღმოსავლეთისაკენ, აუცილებელია დიდი ძალისხმევა მაას-ანტვერპენის ხაზის შესანარჩუნებლად ბელგიაში გერმანელთა შეჭრის შემთხვევაში". ამ სხდომაზე მისტერ ჩემბერლენი და დალადიე ხაზს უსვამდნენ იმას, რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ გადაწყვეტილებას და სწორედ ამან განსაზღვრა მთელი შემდგომი ქმედებანი. არსებითად, ეს გადაწყვეტილება „დ" გეგმის სასარგებლოდ მეტყველებდა და მან შეცვალა უფრო ადრინდელი გარიგება შელდის ხაზზე მოკრძალებული გადაადგილების თაობაზე.

მალე ამის შემდგომ წამოიჭრა საკითხი ფრანგების მეშვიდე არმიის გამოყენებისა. მოკავშირეთა ჯარების ზღვისპირა ფლანგზე ამ არმიის გასვლის საკითხი თავდაპირველად 1939 წლის ნოემბერის დამდეგს წამოიჭრა. გენერალი ჟირო, რომელიც თავის სათადარიგო არმიასთან ერთად რაიმსის მიდამოებში იდგა მოთმინებადაკარგული, მეშვიდე არმიის სარდლად დანიშნეს. „დ" გეგმის ამგვარი გაფართოების მიზანი გახლდათ ანტვერპენის გავლით ჰოლანდიაში შესვლა ჰოლანდიელთა დასახმარებლად და აგრეთვე ჰოლანდიის კუნძულების ვალჰერენისა და ბეველანდის ტერიტორიის ნაწილის დაკავება. საქმე შესანიშნავად დაგვირგვინდებოდა, გერმანელები ალბერტის არხთან რომ შეეჩერებინათ. ასე ეწადა გენერალ გამელენს. გენერალ ჟორჟს კი მიაჩნდა, რომ ეს ჩვენს შესაძლებლობებს აღემატებოდა. მისი აზრით, ამ მიზნისათვის განსაზღვრული ჯარები თადარიგში უნდა ჩაეყენებინათ ამ ხაზის ცენტრალურ მონაკვეთზე. ჩვენ არაფერი ვიცოდით აზრთა ამ სხვადასხვაობის შესახებ.

აი, ამ დღეში ვიყავით მთელი ზამთარი და ველოდით გაზაფხულის დადგომას. არც საფრანგეთ-ბრიტანეთის შტაბებს და არც მათ მთავრობებს არ მიუღიათ რაიმე ახლებური, სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილებანი იმ ექვსი თვის მანძილზე, გერმანელთა შემოსევამდე რომ დარჩენილიყო.

თავი IX

სკანდინავია, ფინეთი

ბალტიის ზღვის მისადგომებიდან პალარულ წრემდე ათასი მილის მანძილზე გადაჭიმულ ნახევარკუნძულს უზარმაზარი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ნორვეგიის მთები ოკეანისაკენ ეშვება და კუნძულთა წყებად განიფინება. ტერიტორიულ წყლებში ამ კუნძულებსა და მატერიკს შორის გადის დერეფანი, რომლითაც გერმანიას შეეძლო ესარგებლა ღია ზღვაში გასასვლელად ჩვენი ბლოკადისათვის ერთობ საგრძნობი დანაკარგებით. გერმანული სამხედრო მრეწველობა უმთავრესად ეფუძნებოდა შვედური რკინის მადნის მარაგს, რომელიც ზაფხულობით მოდიოდა ბოტნიის სრუტის ჩრდილოეთით მდებარე შვედური პორტიდან — ლულეოდან, ზამთრობით კი, როცა სრუტე იყინებოდა — ნარვიკის პორტიდან, ნორვეგიის დასავლეთ სანაპიროზე რომ მდებარეობდა. ჩვენ — ზღვაზე გაბატონებულ სახელმწიფოს — ამგვარი დერეფნის არსებობასთან შეგუება იმას გვიქადდა, რომ მთელი ეს ტვირთნაკადი, ნეიტრალიტეტის ნიღაბს ამოფარებული, დაუბრკოლებლად გაივლიდა. საზღვაო შტაბი ძალზე შეშფოთებული იყო ამ მნიშვნელოვანი უპირატესობით, გერმანიას რომ უნდა ეგდო ხელთ; ჰოდა, მეც, მომეცა თუ არა შესაძლებლობა, ეს საკითხი კაბინეტის წინაშე წამოვჭერი.

...თავდაპირველად ჩემს მოსაზრებებს კეთილგანწყობით გამოეხმაურნენ. მძიმე ვითარებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემს ყველა კოლეგაზე, თუმცა ყველანი ერთსულოვნად ვიზიარებდით შეუვალ პრინციპს მცირე სახელმწიფოთა ნეიტრალიტეტის დაცვისა.

სამხედრო-საზღვაო მინისტრი — სამხედრო-საზღვაო შტაბის უფროსსა და სხვებს

19 სექტემბერი, 1939 წელი

"ამ დილით კაბინეტის ყურადღება მივაპყარი იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს ნორვეგიელების მიერ შვედური რკინის მადნის ნარვიკიდან გადაზიდვის შეწყვეტას, რაც ბოტნიის სრუტის გაყინვისთანავე დაიწყება. მივუთითე, რომ 1918 წელს აშშ-ის ხელდასხმითა და თანადგომით დავნაღმეთ ველები ნორვეგიის ტერიტორიული წყლების სამმილიან ზონაში. შევთავაზე, უახლოეს ხანებში გაგვემეორებინა ეს ღონისძიება {როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ეს იყო არაზუსტი ფორმულირება, რაზედაც მალე მიმითითეს}. კაბინეტის წევრები, მათ შორის, საგარეო საქმეთა სამინისტროც, სავსებით კეთილგანწყობით შეხვდნენ ამ აქციას. გამომდინარე აქედან, საჭიროა ყველა ღონის ხმარება:

1.უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია მოლაპარაკების დაწყება ნორვეგიელებთან მათი გემების დასაქირავებლად.

2.სასურველია, ვაჭრობის სამინისტრო გაურიგდეს შვედებს ხსენებული რკინის მადნის შესყიდვაზე, ვინაიდან ჩვენ არა და არ გვსურს მათთან დავა.

3.საჭიროა, საგარეო საქმეთა სამინისტროს გავაცნოთ ჩვენი წინადადებები, ძირისძირობამდე გავაშუქოთ 1918 წლის ინგლისურ-ამერიკული აქციის ისტორია და დავასაბუთოთ ჩვენი მოთხოვნები.

4.თვით ოპერაცია უნდა შეისწავლონ სამხედრო-საზღვაო სამინისტროს თანამშრომლებმა, რომლებიც გათვითცნობიერებული არიან ამ საკითხში; და, თუ აუცილებელი შეიქნა, ამის შესახებ უნდა ეუწყოს ეკონომიკური ბლოკადის სამინისტროს.

გთხოვთ, სულ ერთთავად საქმის კურსში მამყოფოთ ამ გეგმის შესრულების თაობაზე, — გეგმისა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მტრის სამხედრო მრეწველობის მოსაშლელად.

ყველაფერი რომ მომზადდება, კაბინეტმა აუცილებელად უნდა შეიმუშავოს ახალი გადაწყვეტილება."

მას შემდეგ, რაც ეს საკითხი გამოწვლილვით შეისწავლეს სამხედრო-საზღვაო სამინისტროში, 29 სექტემბერს, ჩემი

კოლეგების თხოვნით, ამ — და აგრეთვე მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ — თვალსაზრისზე ნეიტრალური ქვეყნების გემების დაქირავების შესახებ კაბინეტს მოხსენებითი ბარათი წარვუდგინე...

სამხედრო-საზღვაო მინისტრი — სამხედრო-საზღვაო შტაბის უფროსის თანაშემწეს

29 სექტემბერი, 1939 წელი

"გთხოვთ, ხვალ დილით, კაბინეტის სხდომის დროს, განვაგრძოთ ხუთშაბათს დაწყებული სხდომა რკინის მადნის საკითხთან დაკავშირებით ჩემ მიერ შემუშავებულ წინადადებათა პროექტის განსახილველად. რა აზრი აქვს, ვეხვეწო კაბინეტის წევრებს, გაატარონ ჩვენ მიერ შეთავაზებული გადამჭრელი ღონისძიებანი ნეიტრალური ქვეყნების წინააღმდეგ, თუ ეს ყველაფერი უმნიშვნელოვანეს შედეგებს არ გამოიღებს?!

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საეჭვოა, მოიძებნოს ისეთი გერმანული თუ შვედური გემი, მადნის ამოღებას რომ შეეცდება ნარვიკის სამხრეთით; ისიც სათუოა, რომ ყინვების დადგომასთან ერთად გერმანელები, რომლებიც ზღვით სარგებლობენ, ოქსელიოსუნდში მადნის მოპოვებით იყვნენ დაკავებული და, ამგვარად, ზამთრის თვეებში კილის არხიდან რურში ბალტიის ზღვით ტვირთი გადაჰქონდეთ. სარწმუნოა თუ არა ეს ცნობები? ძალზე არასასიამოვნო იქნებოდა, ნორვეგიის ტერიტორიული წყლების დანაღმვა დამეწყო და ვინმეს ეთქვა, არაფერი გამოგივაო..."

როცა სამხედრო-საზღვაო სამინისტროში ყველაფერი მოგვარდა და გადაწყდა, კაბინეტის წინაშე მეორედ დავსვი ეს საკითხი. კვლავ ყველა ერთსულოვნად აღიარებდა ამგვარ ღონისძიებათა გატარების აუცილებლობას, მაგრამ ამოქმედების ნებას არა და არ მაძლევდნენ. საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსაზრებანი ნეიტრალიტეტის თაობაზე სარწმუნო გახლდათ და მათთვის უფრო მყარი საბუთები ვერა და ვერ დამეპირისპირე-

ბინა. როგორც შემდეგ გამოჩნდება, კვლავ მთელი ძალისხმევით ვცდილობდი, ჩემი გამეტანა. ოღონდ გადაწყვეტილება, რომლის მიღებასაც 1939 წლის სექტემბერში მოვითხოვდი, მხოლოდ 1940 წლის აპრილში მიიღეს, რაც მეტისმეტად ნაგვიანევი აღმოჩნდა.

* * *

თითქმის იმავდროულად {რამდენადაც ახლა ჩვენთვის ცნობილია} გერმანელებსაც იქითკენ ჰქონდათ მზერა მიპყრობილი. 3 ოქტომბერს სამხედრო-საზღვაო შტაბის უფროსმა — ადმირალმა რედერმა — ჰიტლერს წარუდგინა პროექტი, რომელიც ასე დაასათაურა — "ბაზების მოპოვება ნორვეგიაში." იგი ითხოვდა: "რაც შეიძლება სწრაფად შეატყობინეთ ფიურერს სამხედრო-საზღვაო შტაბის აზრი ოპერატიული ბაზის გაფართოების შესაძლებლობებზე ჩრდილოეთის მიმართულებით. უნდა დადგინდეს, შესაძლებელია თუ არა რუსეთისა და გერმანიის ერთობლივი ზეწოლის მეშვეობით ბაზების მოპოვება ნორვეგიაში ჩვენი სტრატეგიული და ოპერატიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით." ამასთან დაკავშირებით მან შეადგინა მთელი რიგი მოხსენებითი ბარათებისა და 10 ოქტომბერს ჰიტლერს წარუდგინა.

"ამ მოხსენებით ბარათებში, — წერდა იგი, — ყურადღებას ვამახვილებდი იმაზე, რომ ბრიტანელთა მიერ ნორვეგიის ოკუპაციის შემთხვევაში ერთობ არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით: ბალტიის მისადგომებზე კონტროლის დაკარგვა, ბრიტანეთის წინააღმდეგ მიმართული ჩვენი საზღვაო ოპერაციებისა და საჰაერო იერიშების შესუსტება თუ შვედეთზე ჩვენი ზეგავლენის აღმოფხვრა. ყურადღება გავამახვილე აგრეთვე იმაზე, თუ რა უპირატესობას მოგვანიჭებდა ნორვეგიის სანაპიროს ოკუპაცია: ჩრდილო ატლანტიკაში გასვლა, ბრიტანელთათვის ხელ-ფეხის შეკვრა ნაღმური ზღუდის აღმართვა-

ში ისევე, როგორც 1917-18 წლებში. ...ფიურერმა მყის გააცნობიერა ნორვეგიული პრობლემის ღირსმნიშვნელოვანება; მთხოვა, დამეტოვებინა მისთვის მოხსენებითი ბარათები და განაცხადა, რომ სურდა, თავად აეწონ-დაეწონა ეს საკითხი."

საგარეო საქმეებში ჩახედული ნაცისტური პარტიის წარმომადგენელი როზენბერგი — საზღვარგარეთის ქვეყნებში პროპაგანდისტული საქმიანობის საგანგებო ბიუროს გამგებელი — ადმირალის თვალსაზრისს იზიარებდა. იგი იმაზე ოცნებობდა, რომ "სკანდინავიისათვის თავს მოეხვია იდეა ნორდიული თემისა, ჩრდილოეთის ხალხებს რომ შეაკავშირებდა — ხალხებს, რომელთაც, თავისთავად ცხადია, გერმანია უწინამძღოლებდა." მან ჯერ კიდევ 1939 წლის დამდეგს ივარაუდა, რომ ნორვეგიის უკიდურესად ნაციონალისტური პარტიის სახით — რომელსაც ყოფილი სამხედრო მინისტრი ვიდკუნ კვისლინგი ხელმძღვანელობდა — მიაკვლია იარაღს ამ იდეის ხორცშესასხმელად. დამყარდა კონტაქტი და როზენბერგის ორგანიზაციისა და ოსლოში გერმანელი სამხედრო-საზღვაო ატაშეს შუამავლობით კვისლინგის მოღვაწეობა გადაენასკვა გერმანული სამხედრო-საზღვაო შტაბის გეგმებს.

14 დეკემბერს კვისლინგი თავის თანაშემწე ჰაგელინთან ერთად ბერლინში ჩამოვიდა, სადაც რედერმა ისინი ჰიტლერს წარუდგინა ნორვეგიაში პოლიტიკური იერიშის გეგმის განსახილველად. კვისლინგმა ჩამოიტანა გამოწვლილვითი გეგმა. ჰიტლერს, იმის შიშით, საიდუმლო არ გავამხილოო, თავი ისე ეჭირა, თითქოს არ სურდა ზედმეტი პასუხისმგებლობის აკიდება; ამიტომ განაცხადა, — მირჩევნია, სკანდინავია ნეიტრალურ ქვეყნად დარჩესო. და მაინც, როგორც რედერი ირწმუნება, იმ დღესვე უბრძანა უმაღლეს მთავარსარდლობას, ნორვეგიული ოპერაციისათვის მომზადებულიყო.

.ჩვენ, რასაკვირველია, არაფერი ვიცოდით ამის შესახებ {როგორც ინგლისის, ისე გერმანიის სამხედრო-საზღვაო სარდლობა ზედმიწევნით ზუსტად აწარმოებდა ანგარიშს ერთსა და იმავე სტრატეგიულ ხაზებზე და ერთ-ერთმა მათგანმა მიაღებინა კიდეც საკუთარ მთავრობას კონკრეტული გადაწყვეტილებანი}.

* * *

ამასობაში სკანდინავიის ნახევარკუნძული იქცა ასპარეზად მოულოდნელი შეხლა-შემოხლისა, აღშფოთების ტალღა რომ ააგორა ბრიტანეთსა და საფრანგეთში და ერთობ ძლიერი ზეგავლენა იქონია ნორვეგიული პრობლემის განხილვაზე. როგორც კი გერმანია ჩათრეული აღმოჩნდა დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთთან ომში, გერმანიასთან დადებული პაქტის სულისკვეთებით გამსჭვალული საბჭოთა რუსეთი დასავლეთიდან საბჭოთა კავშირისაკენ მიმავალი ყველა ხაზის ბლოკირებას შეუდგა. მათგან ერთ-ერთი აღმოსავლეთ პრუსიიდან მოდიოდა და ბალტიისპირეთის ქვეყნებს ჭრიდა; მეორე ფინეთის სრუტის წყლებზე გადიოდა, მესამე — თავად ფინეთსა და კარელიის ყელზე და იმ პუნქტამდე აღწევდა, სადაც ფინეთის საზღვარი ლენინგრადის გარეუბნებიდან ოციოდე მილით იყო დაშორებული. საბჭოეთს არ დავიწყებოდა საფრთხე, ლენინგრადს რომ დაემუქრა 1919 წელს. თვით კოლჩაკის თეთრგვარდიულმა რუსულმა მთავრობამ აცნობა სამშვიდობო კონფერენციას პარიზში, რომ ბაზები ბალტიისპირეთის სახელმწიფოებსა და ფინეთში აუცილებელი ფარი იყო რუსეთის დედაქალაქისათვის. სტალინმაც ამაზე ჩამოუგდო სიტყვა ბრიტანეთისა და საფრანგეთის მისიებს 1939 წლის ზაფხულში. წინა თავებში გაცხადდა, თუ როგორ დააბრკოლა ამ მცირე სახელმწიფოთა ბუნებრივმა შეშფოთებამ ინგლის-საფრანგეთსა და რუსეთს შორის კავშირის დამყარება და როგორ გაუკაფა გზა მოლოტოვ-რიბენტროპის შეთანხმებას.

სტალინი დროს არ კარგავდა. 24 სექტემბერს მოსკოვში გამოიძახეს ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი და ოთხი დღის შემდეგ მისმა მთავრობამ ხელი მოაწერა ურთიერთდახმარების პაქტს, რომლის თანახმადაც რუსებს ენიჭებოდათ უფლება თავიანთი გარნიზონების განლაგებისა ესტონეთის საკვანძო პუნქტებში. 21 ოქტომბერს წითელი არმია და სამხედრო-საჰაერო ძალები უკვე ადგილზე იყვნენ. იგივე პრო-

ცედურა იმავდროულად განმეორდა ლატვიაში; საბჭოთა ჯარები გაჩნდნენ ლიტვაშიც. ასე რომ, სამხრეთის გზა ლენინგრადისაკენ და ფინეთის სრუტის სანაპირო ზოლის ნახევარი მყის ჩაკეტეს საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა იმ შემთხვევისათვის, თუკი გერმანელები ავ ზრახვას გაივლებდნენ გულში. გზახსნილი რჩებოდა მისადგომები მხოლოდ ფინეთიდან.

ოქტომბრის დამდეგს მოსკოვს გაემგზავრა პაასიკივი, ფინელი სახელმწიფო მოღვაწე, 1921 წელს საბჭოთა კავშირთან სამშვიდობო შეთანხმებას რომ მოაწერა ხელი. საღერღელაშლილი საბჭოეთი ითხოვდა: კარელიის ყელზე ფინეთის საზღვრის კარგა მანძილით გადაწევას, რათა ლენინგრადი მტრის არტილერიის სამიზნედ არ დარჩენილიყო; ფინეთის სრუტეში განლაგებული ზოგიერთი ფინური კუნძულის დათმობას; მეთევზეთა ნახევარკუნძულის იჯარით გაცემას ფინეთის ერთადერთი გაუყინვადი პეტსამოს ნავსადგურით ჩრდილოეთის ზღვაში; და, რაც მთავარია, ამ ყველაფერს აგვირგვინებდა საბჭოეთის მოთხოვნა ფინეთის სრუტის მისადგომებთან ხანკოს პორტის იჯარით გაცემისა იმ მიდამოებში რუსული სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზების გასამართავად. ფინელები მზად იყვნენ, ყველაფერი დაეთმოთ, ოღონდ ამ ბოლო პუნქტს ვერ დათმობდნენ. მათ მიაჩნდათ, რომ იმ წუთიდან, როგორც კი ფინეთის სრუტის გასაღები რუსებს ჩაუვარდებოდათ ხელთ, ფინეთის სტრატეგიულ და ეროვნულ უსაფრთხოებას წერტილი დაესმებოდა. 13 ნოემბერს მოლაპარაკებები ჩაიშალა და ფინეთის მთავრობა შეუდგა კარელიის საზღვარზე თავისი ჯარების მობილიზებასა და გაძლიერებას. 28 ნოემბერს მოლოტოვმა მოახდინა დენონსაცია ფინეთსა და რუსეთს შორის დადებული თავდაუსხმელობის პაქტისა. ორი დღის შემდეგ რუსებმა იერიში მიიტანეს ათას მილზე გადაჭიმულ ფინეთის ფრონტზე განლაგებულ რვა პუნქტზე; იმავ დილით წითელმა სამხედრო-საჰაერო ძალებმა დაბომბეს ფინეთის დედაქალაქი ჰელსინკი.

რუსები პირველ რიგში კარელიის ყელზე განლაგებულ ფინელ მესაზღვრეთა გამაგრებებს შეესივნენ. ისინი მოიცავდ-

ნენ გამაგრებულ ზონას, რომლის სიღრმე ოც მილს აღწევდა და თოვლის სქელი საბურველით დაფარულ ტყიან ფართობზე გადაჭიმულიყო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. ეს გამაგრებები "მანერჰაიმის ხაზადაა" სახელდებული იმ ცნობილი ფინელი მთავარსარდლის პატივსაცემად, 1917 წელს ფინეთი ბოლშევიკთა ბატონობისაგან რომ იხსნა. მცირერიცხოვან, შეუპოვარი სულისკვეთების მქონე და დიდად ცივილიზებულ ერზე ვეებერთელა საბჭოთა სახელმწიფოს არაპროვოცირებული თავდასხმით გამოწვეული აღშფოთება ინგლისში, საფრანგეთსა და, კიდევ უფრო მეტი სიმძაფრით, ამერიკის შეერთებულ შტატებში, მალე გაოცებითა და ნუგეშიანი განწყობილებით შეიცვალა. ბრძოლის პირველ კვირებს წარმატება არ მოუტანია საბჭოთა ჯარებისათვის, რომლებიც თავდაპირველად თითქმის მთლიანად ლენინგრადის გარნიზონით იყვნენ დაკომპლექტებული. ფინეთის არმიამ, რომლის სრული საბრძოლო შემადგენლობა 200000-მდე კაცს თუ მიითვლიდა, თავი ისახელა. რუსული ტანკები მედგარ წინააღმდეგობას წააწყდნენ, — მათ დაუშინეს ახალი ტიპის ხელყუმბარები, რომლებსაც მალე "მოლოტოვის კოქტეილი" შეარქვეს.

შესაძლოა, საბჭოთა მთავრობა სამხედრო მსვლელობაზე ამყარებდა იმედს. არცთუ მაინცადამაინც ძლიერი საჰაერო იერიშები, ჰელსინკსა და სხვა უბნებზე რომ განახორციელეს თავდაპირველად, შიშის დასათესავად იყო გამიზნული. თავიდან საბჭოთა ჯარები რიცხობრივად ბევრად სჭარბობდნენ მოქიშპეს, მაგრამ ბრძოლისუნარიანობითა და მომზადებით ჩამორჩებოდნენ. საჰაერო თავდასხმებმა და მათ მიწა-წყალზე შემოჭრამ ბრძოლის ჟინი გაუღვივა ფინელებს; ერთ მუშტად შეიკვრნენ აგრესორის წინააღმდეგ და, უაღრესად შემართულებმა, დიდოსტატური ბრძოლა გააჩაღეს. მართალია, პეტსამოსაკენ დაძრულ რუსულ დივიზიას მაინცდამაინც არ გაუჭირდებოდა ამ რაიონის დამცველი შვიდასი ფინელის უკუქცევა; მაგრამ ფინეთის "წელის" იერიში დამღუპველი აღმოჩნდა მომხდურთათვის. ეს ადგილი, ალაგ-ალაგ შეფერდებული, თითქმის

მთლიანად ფიჭვნარია, იმხანად კი თოვლის მკვრივი საფარველით დაფარულიყო. სუსხი ძვალ-რბილში ატანდა. ფინელებს თხილამურებისა და თბილი ფორმის ტანსაცმლის დიდი მარაგი ჰქონდათ, რუსებს კი არც ერთი ჰქონდათ და არც მეორე. უფრო მეტიც, ფინელები აღმოჩნდნენ შეუპოვარი მებრძოლები და შესანიშნავი მზვერავები — მშვენივრად მომზადებულნი ტყეში საბრძოლველად. რუსები ამაოდ ამყარებდნენ იმედს რიცხობრივ უპირატესობასა და უფრო მძიმე შეიარაღებაზე. მთელ ამ ფრონტზე ფინელ მესაზღვრეთა ნაწილები ნელ-ნელა იხევდნენ უკან, რუსთა კოლონების მიერ დევნილნი; მაგრამ როგორც კი რუსები ოცდაათი მილის სიღრმეში შეიჭრებოდნენ, ყოველი მხრიდან თავს ესხმოდნენ ფინელები. ეს კოლონები ტყეებში ფინურ თავდაცვით ნაგებობებს აწყდებოდნენ და დღითა თუ ღამით უმოწყალო იერიშების ობიექტები ხდებოდნენ; გადაიკეტა მათი კომუნიკაციები ზურგში. მათი კოლონები წყდებოდა, ან კიდევ, ბედი თუ გაუღიმებდათ, მძიმე დანაკლისით ბრუნდებოდნენ შინ. დეკემბრის ბოლოსათვის ჩაიფუშა რუსების მთელი ეს გეგმა "წელის" იერიშისა.

იმავდროულად არც "მანერჰაიმის ხაზის" იერიშის საქმე მიდიოდა უკეთ კარელიის ყელზე. ლადოგის ტბის ჩრდილოეთით ორიოდე საბჭოთა დივიზიის მიერ წამოწყებული გარშემოვლითი მსვლელობა ისევე დასრულდა, როგორც ოპერაცია შორეულ ჩრდილოეთში. "მანერჰაიმის ხაზის" წინააღმდეგ თორმეტამდე დივიზია ახორციელებდა მრავალგზის მასირებულ იერიშს, დეკემბრის დამდეგს რომ დაიწყო და მთელ თვეს გასტანა. საარტილერიო დაბომბვა საკმარისი არ აღმოჩნდა; რუსებს, ძირითადად, მსუბუქი ტანკები ჰყავდათ და მათი არაერთგზისი ფრონტალური იერიშები მოიგერიეს. რუსებმა მძიმე დანაკლისი განიცადეს, წარმატებას კი ვერა და ვერ მიაღწიეს. წარუმატებლობამ მთელს ფრონტზე წლის ბოლოს დაარწმუნა საბჭოთა მთავრობა, რომ მას საქმე ჰქონდა ისეთ მეტოქესთან, როგორსაც სულ არ ელოდა, ამიტომაც გადაწყვიტა, მეტი ძალისხმევით შესდგომოდა საქმეს. იგი მიხვდა,

რომ ჩრდილოეთში, ტყიან ადგილებში, ისინი მხოლოდ რიცხობრივი უპირატესობით ვერ დაჯაბნიდნენ უკეთ გაწრვთნილ და ტაქტიკურად უფრო მოქნილ ფინელებს; ჰოდა, მოისაზრა, თავი მოეყარა თავისი ძალებისათვის და "მანერჰაიმის ხაზი" საალყო ბრძოლის მეთოდით გაერღვია, რაც მასირებული არტილერიისა და მძიმე ტანკების სიმძლავრის სრულად გამოყენების საშუალებას მისცემდა. ეს გვარიან მომზადებას საჭიროებდა, ამიტომ წლის ბოლოს ფინეთის მთელ ფრონტზე შეწყდა საბრძოლო მოქმედებანი და ფინელებმა გვარიანად დაჯაბნეს თავიანთი ძლევამოსილი მეტოქე. ამ საკვირველმა ამბავმა შვება მოჰგვარა მთელს მსოფლიოს — როგორც მებრძოლ, ისე ნეიტრალურ ქვეყნებს. წითელ არმიას ამ მარცხმა გვარიანად გაუტეხა სახელი. ინგლისის გარკვეულ წრეებში ბევრი მიიჩნევდა, რომ მოსალოცად გვქონდა საქმე, ვინაიდან არცთუ დიდად გავრჯილვართ საბჭოეთის ჩვენს მხარეზე მოსაქცევად; ჰოდა, საკუთარი შორსმჭვრეტელობა გვეამაყებოდა. ხალხმა მყის დაასკვნა, რომ წმენდამ დაღუპა რუსეთის არმია და რომ ეს ყველაფერი ადასტურებდა რუსთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობის ორგანულ დამყაყებასა და რღვევას. ამ თვალსაზრისს არა მარტო ინგლისში იზიარებდნენ. უეჭველია, ჰიტლერიც, მთელი მისი გენერალიტეტით, მწარედ ჩააფიქრა ფინეთის გაკვეთილმა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა მის განზრახვათა ჩამოყალიბებაში.

რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტით აგორებული აღშფოთების ტალღა, მიმართული საბჭოთა მთავრობისაკენ, ახლა მთელი ძალით აზავთდა სიტლანქისა და აგრესიის წყალობით, შიშის დათესვას რომ ისახავდა მიზნად. ამას ზედ ერთვოდა საბჭოთა ჯარების უნიათობით გაღვივებული სიძულვილი და ფინელების გმირობით გამოწვეული აღფრთოვანება.

თუმც მსოფლიო ომი უკვე დაწყებულიყო, ყველგან თავს იჩენდა ძლიერი სურვილი ფინელების დახმარებისა ავიაციითა და სხვა ფასეული სამხედრო საშუალებებით, აგრეთვე, მოხალისეებით ინგლისიდან, შეერთებული შტატებიდან და, მეტა-

დრე, საფრანგეთიდან. მაგრამ ფინეთში საბრძოლო აკაზმულობის გადასატანად და მოხალისეთა გადასაყვანად ერთადერთი გზა არსებობდა. ნარვიკის პორტს, მისი მთიანი სარკინიგზო გზით შვედური რკინის საბადოებისაკენ, სტრატეგიული თუ არა, ახლებური ზნეობრივი მნიშვნელობა უთუოდ მიენიჭა. ნარვიკის გამოყენება ფინური ჯარების მოსამარაგებლად ხელყოფდა ნორვეგიისა და შვედეთის ნეიტრალიტეტს. ორთავ ამ სახელმწიფოს, ერთნაირად რომ ზაფრავდა გერმანიაცა და რუსეთიც, ერთი რამ სურდა მხოლოდ — არავის ჩაეთრია კარსმომდგარ ომებში, რომლებიც შთანთქმით ემუქრებოდა მათ. თავდაცვის ერთადერთ საშუალებად ისინი ნეიტრალიტეტს მიიჩნევდნენ. ინგლისის მთავრობას, რა თქმა უნდა, არ სურდა თუნდაც ფორმალურად დაერღვია ნორვეგიის ტერიტორიული წყლები, როცა ნორვეგიის დარეფანს ნაღმავდა გერმანიასთან თავისი უპირატესობის უზრუნველსაყოფად; მაგრამ მან, გამსჭვალულმა უფრო კეთილშობილური ზრახვებით, მხოლოდ შორეულად რომ ეხმიანებოდა ჩვენს სამხედრო ინტერესებს, შვედეთსა და ნორვეგიას გაცილებით უფრო სერიოზული მოთხოვნა წაუყენა — ხალხი თავისუფლად გაეტარებინათ და ფინეთის მომარაგების საშუალება მიეცათ.

მე მხურვალედ თანავუგრძნობდი ფინელებს და მხარს ვუჭერდი მათ სასარგებლოდ გამიზნულ ყველა წინადადებას. სიხარულს მანიჭებდა ეს ახლებური და სასიკეთო განწყობილებანი, რადგან მიმაჩნდა, რომ ისინი ხელს შეგვიწყობდნენ გვარიანი სტრატეგიული უპირატესობის მოპოვებაში გერმანიაზე, რომელიც სრულიად მოსწყდებოდა რკინის მადნის მისთვის მნიშვნელოვან წყაროებს. თუკი ნარვიკი ფინელთა მოსამარაგებელ თავისებურ მოკავშირე ბაზად იქცეოდა, უეჭველია, არ გაგვიჭირდებოდა ხელის შეშლა გერმანელთა გემებისათვის, რომელნიც იქ მადნით უნდა დაეტვირთათ და დაუბრკოლებლად გაეტარებინათ დერეფანში გერმანიაში გასამგზავრებლად. თუკი ნორვეგიელებსა და შვედებთან ამ საკითხზე მოვრიგდებოდით, უფრო მნიშვნელოვანი ღონისძიებების გასატარებლად

ნაკლები ძალისხმევა დაგვჭირდებოდა. სამხედრო-საზღვაო სამინისტროს ყურადღება იმხანად მიმართული იყო დიდი და მძლავრი რუსული ყინულმჭერლისაკენ, რომელიც მურმანსკიდან გერმანიაში უნდა გაემგზავრებინათ ვითომდა სარემონტოდ, უფრო სარწმუნოდ კი იმისათვის, რომ მადნის გადასაზიდავად ჩამომდგარი გერმანელთა გემებისათვის გზა გაეხსნათ იმხანად გაყინული ბალტიის ნავსადგურის — ლულეოსაკენ. მე კვლავ შევეცადე თანხმობა მიმეღო ნორვეგიული დერეფნის დანაღმვის უმარტივეს და უსისხლო ოპერაციაზე, მით უმეტეს, რომ ამგვარი რამ უკვე ნაცადი ჰქონდათ პირველ მსოფლიო ომში. რაკი ამ საკითხს ზნეობრივი მხარეცა აქვს, საჭიროდ მიმაჩნია მისი წარმოჩენა იმ დასრულებული სახით, როგორადაც წარმოვიდგინე ხანგრძლივი ფიქრისა და განსჯის შემდეგ.

ნორვეგია. რკინის მადნის გადაზიდვა.
სამხედრო-საზღვაო მინისტრის შენიშვნები.

16 დეკემბერი, 1939 წელი

"ა. აქტიური შეწყვეტა რკინის მადნის გადაზიდვისა ნორვეგიიდან გერმანიაში მსხვილი საიერიშო სამხედრო ოპერაციის ტოლფასი იქნებოდა. ჩვენ მრავალი თვის განმავლობაში აღარ მოგვეცემა ასეთი ნაღდი შესაძლებლობა ომისა და ნგრევისაგან მიყენებული ზარალის შემცირებისა ან თუნდაც იმ საშინელი სისხლისღვრის შეჩერებისა, რომელიც დაიწყება, როგორც კი ერთმანეთს შეეჯახებიან არმიის მთავარი ძალები.

ბ. რკინის მადნის გადმოზიდვა ლულეოდან (ბალტიის ზღვაში) უკვე შეჩერდა ყინულის წყალობით და არ უნდა დავუშვათ, რომ საბჭოთა ყინულმჭრელმა დაამსხვრიოს იგი, თუკი შევნიშნავთ ამის მცდელობას. ნორვეგიის ტერიტორიულ წყლებ-

ში ორ-სამ შესაფერის პუნქტში თანდათან უნდა შეიქმნას რიგი მცირე ზომის დანაღმული ველებისა და ამის შედეგად შეწყდეს ნარვიკიდან მადნის მოწოდება; ეს ველები აიძულებენ გერმანიისაკენ დაძრულ რკინის მადნით დატვირთულ გემებს, დატოვონ ტერიტორიული წყლები და გავიდნენ ღია ზღვაში, სადაც გერმანელთა კუთვნილი გემები მათი ნადავლი გახდება, ნეიტრალურები კი შემოწმდება. ასევე ხელი უნდა შევუშალოთ რკინის გაგზავნას ბალტიკის მთავარი გაუყინავი პორტიდან — ოქსელიოსუნდიდან — ისეთი მეთოდებით, რომელთაც არც დიპლომატიური ხასიათი ექნებათ და არც — სამხედრო. ამ სამივე პორტის წინააღმდეგ უნდა გამოვიყენოთ სხვადასხვაგვარი ზომები და, რაც შეიძლება, სწრაფად.

გ. იმას თუ მივაღწიეთ, რომ მაისისათვის გერმანიის მეტალურგიულ და სამხედრო საწარმოებს რკინა საგრძნობლად შემოაკლდათ, მაშინ, ალბათ, ჩვენს ფლოტს მთავარ ამოცანად დავუსახავთ, დააბრკოლოს ლულეოში პორტის ხელახლა გახსნა. ინგლისური წყალქვეშა ნავების მიერ ლულეოს შორიახლო დანაღმული ველის შექმნა — რაშიაც მაგნიტური ნაღმებიც იგულისხმება — ერთი გზა გახლავთ, მაგრამ არსებობს სხვა გზებიც. გერმანიის შვედური მადნისაგან მოწყვეტას რომ შევძლებდეთ 1940 წლის მიწურულამდე, ისეთ დარტყმას მივაყენებდით მის სამხედრო მრეწველობას, რომ ხმელეთსა თუ ჰაერში მოპოვებული უბრწყინვალესი გამარჯვების ტოლფასი იქნებოდა და თანაც ავიცილებდით ადამიანთა სერიოზულ დანაკარგებს. ეს კი მყის გადამწყვეტ შედეგებს გამოიღებდა.

დ. ნორვეგიის სიმპათია ჩვენს მხარეზეა და გერმანიისაგან მისი მომავალი დამოუკიდებლობა მოკავშირეთა გამარჯვებასთანაა დაკავშირებული.

ე. თუკი გერმანია ჩათვლის, რომ მისი ინტერესები მოითხოვს სკანდინავიის ნახევარკუნძულზე ძალისმიერი ბატონობის დამყარებას, ის უეჭველად უხეშ ძალას გამოიყენებს მასთან მიმართებით იმისგან დამოუკიდებლად, თუ ჩვენ რა ნაბიჯებს გადავდგამთ. ამ შემთხვევაში ომი გაგრძელდება ნორვეგიასა

და შვედეთში; ჰოდა, რაკი ჩვენ ვბატონობთ ზღვაზე, გერმანელ დამპყრობლებს სკანდინავიის მიწა-წყალზე ვითომ რატომ არ უნდა დაუხვდნენ საფრანგეთისა და ინგლისის ჯარები?! ყოველ შემთხვევაში, ჩვენ უთუმცაოდ შეგვიძლია დავიკავოთ და შევინარჩუნოთ ნებისმიერი კუნძული თუ ხელსაყრელი პუნქტი ნორვეგიის სანაპიროზე. მაშინ ჩვენ მიერ მოწყობილი გერმანიის ბლოკადა ჩრდილოეთით სრულყოფილ ხასიათს მიიღებს. ჩვენ შეგვიძლია, მაგალითად, ნარვიკისა და ბერგენის ოკუპირება, მათი სავაჭროდ გამოყენება და, იმავდროულად, გერმანიისათვის მათკენ მთლიანად გზის მოჭრა. არა მგონია, განსაკუთრებული ხაზგასმა სჭირდებოდეს იმას, რომ ნორვეგიის სანაპიროზე ინგლისელთა კონტროლის დაწესება უპირველესი მნიშვნელობის სტრატეგიული ამოცანაა.

* * *

22 დეკემბერს კაბინეტი იხილავდა ჩემს მემორანდუმს; მხურვალე სიტყვა წარმოვთქვი მის დასაცავად, მაგრამ ვერა და ვერ მივიღე თანხმობა, რომელიც მომცემდა მოქმედების საშუალებას. შევთანხმდით იმაზე, რომ ნორვეგიისათვის შეგვეძლო გამოგვეცხადებინა დიპლომატიური პროტესტი იმ საბაბით, რომ გერმანია ბოროტად იყენებდა მის ტერიტორიულ წყლებს; და კიდევ იმაზე, რომ შტაბების უფროსებს რამენაირად უნდა გაეთვალათ სკანდინავიის ტერიტორიაზე ნებისმიერი სამომავლო სამხედრო მოქმედებების მოსალოდნელი შედეგები. შტაბების უფროსებს დაავალეს ნარვიკში სადესანტო ოპერაციის გეგმის შემუშავება ფინელებისათვის დახმარების გასაწევად და აგრეთვე გერმანიის მიერ სამხრეთ ნორვეგიის ოკუპაციის სამხედრო მნიშვნელობის განხილვა. ეგაა, რომ საზღვაო სამინისტროსათვის არანაირი ოპერატიული ბრძანებები არ მიუციათ...

თავი XVII

მთავრობის გადადგომა

მრავალრიცხოვანმა იმედგაცრუებამ და უბედურებამ, თავს რომ დაგვატყდა ნორვეგიაში ხანმოკლე კამპანიის დროს, ძლიერი შეშფოთება გამოიწვია ჩვენს ქვეყანაში და ისინიც კი ვნებათაღელვით აღავსო, ვინც ომამდელ წლებში უკიდურესი აპათიით გამოირჩეოდა და თვალზე ბინდი გადაჰკვროდა. ოპოზიცია ითხოვდა საომარი მდგომარეობის შესახებ თათბირის მოწვევას და ის შვიდ მაისს დაინიშნა. თემთა პალატა აივსო დეპუტატებით, რომლებიც უკიდურესად გაღიზიანებული და გულგატეხილი ჩანდნენ. მისტერ ჩემბერლენის შესავალმა განცხადებამ მტრული განწყობა ვერ შეარბილა. მას დამცინავად აწყვეტინებდნენ სიტყვას და ახსენებდნენ მის მიერ ოთხ აპრილს სრულიად უადგილოდ და გაუფრთხილებლად წამოსროლილ სიტყვებს, „ჰიტლერს მატარებელზე დააგვიანდაო". მან გამოხატა თავისი თვალსაზრისი ჩემი ახალი მდგომარეობისა და შტაბის უფროსებთან ჩემი ურთიერთობის შესახებ; პასუხი გასცა მისტერ ჰერბერთ მორისონს და განმარტა, რომ მე არ მქონია მონიჭებული უფლებამოსილებანი იმ დროს, როდესაც ნორვეგიაში ოპერაციები ხორციელდებოდა. პალატის ორთავ მხრიდან ორატორები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და ტაშის გრიალში არნახული გააფთრებითა და გზნებით თავს ესხმოდნენ მთავრობასა და, განსაკუთრებით, მის თავკაცს...

მეორე დღეს, რვა მაისს, თათბირს, რომელიც თითქოსდა უნდა შეწყვეტილიყო, უნდობლობის ელფერი დაჰკრავდა და მისტერ ჰერბერტ მორისონმა ოპოზიციის სახელით კენჭისყრა მოითხოვა. პრემიერ-მინისტრი კვლავ წამოდგა, მიიღო ეს

გამოწვევა და იმედგადაწურული კაცის იერით მოუხმო თავის მეგობრებს, მხარში ამოსდგომოდნენ. მას ჰქონდა ამის უფლება, ვინაიდან მისი მეგობრები მუდამ მხარს უჭერდნენ მის მოქმედებასა თუ უმოქმედობას და, აქედან გამომდინარე, მასთან ერთად ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა „კალიების შემოსევის“ ომამდელ წლებში. მაგრამ ახლა, შეცბუნებულნი, კრინტს ვეღარ ძრავდნენ, ზოგი კი მტრულ დემონსტრაციას მიტმასვნოდა. ეს დღე თემთა პალატაში მისტერ ლოიდ ჯორჯის უკანასკნელი, გადამწყვეტი, გამოსვლის დღე იყო. სიტყვაში, ოც წუთზე მეტ ხანს რომ არ გაგრძელებულა, მან გამგმირავი დარტყმა მიაყენა მთავრობის თავკაცს და შეეცადა, გამომსარჩლებოდა: „არა მგონია, რომ სამხედრო-საზღვაო სამინისტროს პირველ ლორდს ეკისრებოდეს მთელი პასუხისმგებლობა იმაზე, რაც მოხდა ნორვეგიაში“, რაზედაც მყის შევეპასუხე: „ვკისრულობ სრულ პასუხისმგებლობას სამხედრო-საზღვაო სამინისტროს ყოველ ქმედებაზე და მთელი არსებით მზადა ვარ, ვიტვირთო იგი“. მისტერ ლოიდ ჯორჯმა გამაფრთხილა, „ნუ დაუშვებთ იმას, რომ კოლეგებმა თავშესაფრად გაგიხადონ ყუმბარების ნამსხვრევებისაგან თავის შესაფარებლადო“ და მისტერ ჩემბერლენს შეუტია: „საქმე ის კი არაა, ვინ არიან პრემიერ-მინისტრის მეგობრები; საკითხს ბევრად უფრო ღრმად უნდა ჩავწვდეთ. მან თავგანწირვისაკენ მოგვიწოდა. ქვეყანა მზადაა გაიღოს ნებისმიერი მსხვერპლი, სანამ მას პატრონი ჰყავს, სანამ მთავრობა ცხადად წარმოაჩენს თავის მიზანს და სანამ ხალხს სწამს, რომ ქვეყნის მესვეურები თავს არა ზოგავენ და ძალღონეს არ იშურებენ“. „საზეიმოდ ვაცხადებ, — თქვა მან ბოლოს, — რომ პრემიერ-მინისტრმა უნდა გვიჩვენოს მაგალითი თავგანწირვისა, რადგან მხოლოდ მაშინ გვიწერია გამარჯვება ამ ომში, თუ იგი სკამს შეელევა, — ამაზე უკეთ ვერაფერი შეგვეწევა“.

ჩვენ, მინისტრები, ერთსულოვანი ვიყავით. სამხედრო და ავიაციის მინისტრები უფრო ადრე გამოვიდნენ სიტყვით. განსჯა-კამათი დასასრულს უახლოვდებოდა, სიტყვა რომ ვითხ-

ოვე. ვალდებული ვიყავი, ასე მოვქცეულიყავ არა მარტო იმ ხელმძღვანელისადმი ლოიალობისა გამო, რომლის სამსახურშიაც გახლდით; მოვალე ვიყავ იმიტომაც, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი მეკისრებოდა მაშინ, როდესაც თავგანწირვით ვცდილობდით, დავხმარებოდით ნორვეგიას, რომლისთვისაც უნდა მიგვეშველებინა ჩვენი უკმარი ძალები. ყველაფერი ვიღონე იმისათვის, რომ მთავრობისათვის პალატაზე კონტროლი დამებრუნებინა, თუმც გაუთავებელი რეპლიკები ისმოდა, უმთავრესად, ლეიბორისტული ოპოზიციის რიგებიდან. გულდადინჯებით ვირჯებოდი, რადგან მახსოვდა მათი მცდარი და საშიში პაციფიზმი წარსულ წლებში და ისიც, რომ ომის დაწყებამდე სულ რაღაც ოთხიოდე თვის წინათ კენჭისყრისას მათ ერთსულოვნად მისცეს ხმა სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ. მიმაჩნდა, რომ მეცა და ჩემს მხარდამჭერ რამდენიმე მეგობარსაც, ოღონდ არა ლეიბორისტთა რიგებიდან, გვქონდა ამგვარი განსჯის უფლება, მათ კი — არ ჰქონდათ. ისინი თავს რომ დამესხნენ, მედგრად დავუხვდი და იქით შევუტიე. დროდადრო ისეთი გნიასი ატყდებოდა ხოლმე, რომ ჩემი სიტყვები აღარც კი ისმოდა. და მაინც, მთელი ამ ხნის განმავლობაში აშკარად ჩანდა, რომ მათი რისხვა მიმართული იყო არა ჩემკენ, არამედ პრემიერ-მინისტრისაკენ, რომელსაც თავგამოდებით ვიცავდი და ანგარიშს არ ვუწევდი არანაირ სხვა მოსაზრებას. თერთმეტ საათზე, ჩემს ადგილს რომ მივაშურე, პალატაში კენჭისყრა გაიმართა. მთავრობამ ხმათა უმრავლესობა მიიღო 81 ხმის რაოდენობით, მაგრამ 50 კონსერვატორი კენჭისყრაში ჩაერთო ლეიბორისტულ და ლიბერალურ ოპოზიციასთან ერთად. შეიძლებოდა, სათუოდ არც კი მიგვეჩნია ის, რომ, თავისი არსით, განსჯაცა და კენჭისყრაც მისტერ ჩემბერლენისა და მისი მთავრობისადმი უნდობლობის ნათელი დადასტურება იყო.

განსჯა-კამათი რომ დასრულდა, მთხოვა, მასთან შემევლო და მყის მივხვდი, რომ მასზე ერთობ შთამბეჭდავი კვალი დაეტოვებინა პალატის მისდამი ამგვარ დამოკიდებულებას;

ფიქრობდა, რომ ასე გაგრძელება აღარ ეგებოდა. უნდა შექმნილიყო ეროვნული მთავრობა. ერთ პარტიას არ ძალუძდა ამოდენა ტვირთის ზიდვა. ვინმეს უნდა ეტვირთა ისეთი მთავრობის ჩამოყალიბება, რომელშიაც წარმოდგენილი იქნებოდა ყველა პარტია, რადგან სხვაგვარად ვერ გავუმკლავდებოდით დასახულ ამოცანებს. განსჯა-კამათის მტრული ხასიათით აღელვებულმა და საეჭვო საკითხებთან დაკავშირებით ჩემს უნინდელ ქმედებათა მართებულობაში დარწმუნებულმა, მტკიცედ გადავწყვიტე, ბრძოლა გამეგრძელებინა. „კამათი მართლაც მწვავე იყო, მაგრამ თქვენ დააგროვეთ ხმათა დიდი უმრავლესობა. ნუ მიიტანთ გულთან ახლოს ამ ამბავს. ნორვეგიასთან დაკავშირებით იმაზე მეტი გასამართლებელი საბუთი გვაქვს, ვიდრე პალატისათვის შეიძლებოდა გვემცნო. გააძლიერეთ თქვენი მთავრობა ყველა პარტიის წარმომადგენლებით და კვლავაც საქმეს მივხედოთ, სანამ ჩვენი უმრავლესობა არ მიგვატოვებს", — ასე გამოვხატე ჩემი სათქმელი, მაგრამ ამან ჩემბერლენი ვერც დაარწმუნა და ვერც ანუგეშა. შუაღამისას დავტოვე იგი იმ შეგრძნებით, რომ ის, სხვა გზას თუ ვერ ნახავდა, უმალ თავს დადებდა და ბოლომდე შეუპოვრად უერთგულებდა თავის არჩევანს; ერთპარტიული მთავრობის ხელში ბრძოლის გაგრძელებას კი აღარც შეეცდებოდა.

ზუსტად არ მახსოვს, როგორ განვითარდა მოვლენები ცხრა მაისის დილას, მაგრამ ერთი კია: ავიაციის მინისტრს, სერ კინგსლი ვუდს, როგორც კოლეგასა და მეგობარს, ძალზე ახლო ურთიერთობა ჰქონდა პრემიერ-მინისტრთან. ისინი კარგა ხანს მუშაობდნენ ერთად და ბოლომდე ენდობოდნენ ერთმანეთს. მისგან შევიტყვე, რომ მისტერ ჩემბერლენს ეროვნული მთავრობის ჩამოყალიბება გადაეწყვიტა და, თუ ვინიცობაა, თავად ვერ გაუძღვებოდა მას, თანამდებობას დაუთმობდა ნებისმიერ პიროვნებას, რომელსაც ამის უნარი შესწევდა და რომლისადმიც ნდობით იქნებოდა გამსჭვალული. ამგვარად, ნაშუადღევს უკვე ვიცოდი, რომ, ალბათ, მე შემომთავაზებდნენ მთავრობის თავკაცობას. ამ პერსპექტივას არც ავუღელვებივარ და არც

შევუშფოთებივარ. ჩემი ვარაუდით, ეს საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა. კვანძის გახსნას დაველოდე. დღის მეორე ნახევარში პრემიერ-მინისტრმა გამომიძახა დაუნინგ-სტრიტზე, სადაც შევხვდი ლორდ ჰალიფაქსს. ზოგადი ვითარების მიმოხილვის შემდეგ გვამცნეს, რომ რამდენიმე წუთში კონსულტაციისათვის გვესტუმრებოდნენ მისტერ ეთლი და მისტერ გრინვუდი.

მობრძანდნენ და, ჩვენ, სამი მინისტრი, მაგიდის ერთ მხარეს დავსხედით, ოპოზიციის ლიდერები კი — მეორე მხარეს. მისტერ ჩემბერლენმა განაცხადა, რომ გარდაუვალი აუცილებლობა მოითხოვდა ეროვნული მთავრობის ჩამოყალიბებას და სურდა შეეტყო, დაყაბულდებოდა თუ არა ლეიბორისტული პარტია მის, ჩემბერლენის, თავკაცობას. ამ დროს ბორნემუთში ტარდებოდა ლეიბორისტული პარტიის კონფერენცია. საუბარი მიმდინარეობდა თავაზიანზე თავაზიანი კილოთი, მაგრამ ცხადი იყო, რომ ლეიბორისტთა ლიდერები თავისიანებთან მოუთათბირებლად ვერანაირ ვალდებულებას ვერ იკისრებდნენ და არაორაზროვნად მიანიშნეს, რომ, მათი აზრით, პასუხი არც თუ დამაიმედებელი იქნებოდა. ამის შემდეგ მათ დაგვტოვეს. ნათელი, მზიანი დღე იდგა. ლორდ ჰალიფაქსთან ერთად ერთხანს სახლი №10-ის ბაღში სკამზე ვისხედით და თავს ვიქცევდით წვრილმან ამბებზე საუბრით; მერე კი სამხედრო-საზღვაო სამინისტროში დავბრუნდი, სადაც მთელი საღამო და თითქმის მთელი ღამე მძიმე სამუშაოს შესრულებას შევალიე.

დადგა ათი მაისის დილა, რომელსაც მოჰყვა უმნიშვნელოვანესი ამბები. სამხედრო-საზღვაო, სამხედრო და საგარეო საქმეთა სამინისტროებიდან დასტა-დასტად ცვიოდა ტელეგრამები. გერმანელები შეტევაზე გადასულიყვნენ, რასაც ყველა, დიდი ხანია, ელოდა. ისინი შეიჭრნენ ჰოლანდიასა და ბელგიაში, სადაც არაერთგან გადალახეს საზღვარი. დაიწყო გერმანიის არმიის შეჭრა დაბლობ ქვეყნებსა და საფრანგეთში.

დილის ათი საათისათვის მეწვია სერ კინგსლი ვუდი, რომელიც უშუალოდ პრემიერ-მინისტრისაგან მობრძანდებოდა. თურმე მისტერ ჩემბერლენის თვალსაზრისი იქითკენ გადახრილიყო, რომ ქვეყნის თავს დამტყდარი ომისა და უბედურების გამო თავი ვალდებულად მიეჩნია, თავის პოსტზე დარჩენილიყო. ამაზე კინგსლი ვუდს უპასუხია, — ახალი კრიზისი, პირიქით, კიდევ უფრო საშურს ხდის ეროვნული მთავრობის ჩამოყალიბებას, რადგან მარტო ამ გზით თუ აღვუდგებით მასო. მისტერ ჩემბერლენმა გაიზიარა ეს თვალსაზრისიო, — დასძინა მან. თერთმეტ საათზე პრემიერ-მინისტრმა კვლავ გამომიძახა დაუნინგსტრიტზე. იქ კიდევ ერთხელ შევხვდი ლორდ ჰალიფაქსს. მაგიდას მივუსხედით და მისტერ ჩემბერლენის პირდაპირ მოვთავსდით. მან მითხრა, რომ, ალბათ, ვერ შეძლებდა ეროვნული მთავრობის ჩამოყალიბებას. პასუხმა, ლეიბორისტული პარტიის ლიდერთაგან რომ მიიღო, ყოველგვარი ეჭვი გაუქარწყლა. ამიტომ წამოიჭრა საკითხი, თუ ვინ უნდა წარედგინა მეფისათვის მას შემდეგ, რაც დააკმაყოფილებდნენ მის თხოვნას გადადგომის თაობაზე. თავი ეჭირა დინჯად, აუღელვებლად, თითქოს სრულიად განრიდებოდა ყველაფერს, რაც პიროვნული თვალსაზრისიდან გამომდინარეობდა.

ჩემი საზოგადოებრივი მოღვაწეობის წლებში არაერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა მქონია, მაგრამ ეს უთუოდ ყველაზე ღირსშესანიშნავი გახლდათ. მე, ჩვეულებრივ, ბევრს ვლაპარაკობ, მაგრამ ამჯერად ვდუმდი. ჩემბერლენს აშკარად მხედველობაში ჰქონდა ის მღელვარე წარმოდგენა, ორიოდ დღის წინ თემთა პალატაში რომ გათამაშდა, როდესაც ლეიბორისტულ პარტიასთან მართლაც ცხარე კამათში ჩავები. თუმც ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ მხარში ამოვდგომოდი და გამოვსარჩლებოდი, მას მაინც გაცნობიერებული ჰქონდა, რომ ამას შეეძლო ხელი შეეშალა ლეიბორისტებისათვის, არსებულ პირობებში ჩემდამი თანადგომა გამოეხატათ. ზუსტად არ მახსოვს მისი სიტყვები, მაგრამ სწორედ ეს გახლდათ ნათქვამის დედაარსი. მისი ბიოგრაფი, მისტერ ფეილინგი, გარკვევით ამბობს, რომ

იგი უპირატესობას ანიჭებდა ლორდ ჰალიფაქსს. რაკი მდუმარედ ვიჯექი, ხანგრძლივი პაუზა ჩამოვარდა. მე ის უთუოდ უფრო ხანგრძლივი მომეჩვენა, ვიდრე ორწუთიანი დუმილი დაზავების საზეიმო აღნიშვნისას. შემდეგ სიტყვა აიღო ჰალიფაქსმა. მან თქვა, რომ, მისი აზრით, პალატის წევრობისაგან განყენებულად, ასეთ ომში პერის მდგომარეობა ხელს შეუშლიდა პრემიერ-მინისტრის ვალდებულებათა აღსრულებაში. იგი ნებისმიერ პასუხისმგებლობას იკისრებდა, მაგრამ ვერ უხელმძღვანელებდა ამ პარლამენტს, რამდენადაც ყოველი მთავრობის სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია საკანონმდებლო ორგანოს სიმტკიცეზე. ამნაირი განწყობით საუბრობდა იგი რამდენიმე წუთის განმავლობაში და ბოლოს ცხადი შეიქნა, რომ ეს ტვირთი მე უნდა დამკისრებოდა და, ფაქტიურად, უკვე დამეკისრა კიდეც. ჰოდა, პირველად ამოვიღე ხმა. განვაცხადე, რომ არ შევუდგებოდი მოლაპარაკებას არც ერთ ოპოზიციურ პარტიასთან, სანამ მეფე არ დამავალებდა მთავრობის ჩამოყალიბებას. ამაზე შეწყდა ეს დიდმნიშვნელოვანი საუბარი და ჩვენ კვლავ იმ ჩვეულებრივ, უბრალო და ახლობელ ადამიანებად ვიქეცით, რომელთაც წლების განმავლობაში ერთად უმუშავიათ და რომელთა ცხოვრებაც სამსახურებრივ სარბიელსა თუ მის მიღმა ინგლისური პოლიტიკისათვის ჩვეული გულითადობით აღბეჭდილა. მოგვიანებით სამხედრო-საზღვაო სამინისტროში დავბრუნდი, სადაც, უთუოდ იოლად დამერწმუნებით, უამრავი საქმე მელოდა.

კაბინეტში დამხვდნენ ქანცგაწყვეტილი, განაწამები და თვალებში ძრწოლაჩამდგარი ჰოლანდიელი მინისტრები, რომლებიც, ის-ის იყო, ჩამოფრენილიყვნენ ამსტერდამიდან. მათ ქვეყანას სრულიად მოულოდნელად და გაუფრთხილებლად დასხმოდნენ თავს. საზღვრებს ცეცხლისა და ფოლადის ზვავი მოსწყდომოდა. ამხედრებულმა ჰოლანდიელმა მესაზღვრეებმა ცეცხლი რომ გახსნეს, ყოვლისშემმუსვრელი საჰაერო იერიში დაატყდათ თავს. შეძრწუნდა მთელი ქვეყანა. ამოქმედდა დიდი ხნის წინათ მომზადებული თავდაცვის გეგმა, გაიხსნა კაშხლე-

ბი და წყალმა გადმოხეთქა ყოველი მხრიდან. მაგრამ გერმანელებს უკვე გადაელახათ გარე სასაზღვრო ზოლები და ახლა იმ ჯებირს მისდგომოდნენ, ზუიდერზეეს რომ ეღობებოდა. შეგვწევდა კი ძალა, რაიმე გვეღონა ამის თავიდან ასაცილებლად?! საბედნიეროდ, იქვე გვეგულებოდა ჩვენი ფლოტილია, რომელსაც სასწრაფოდ უბრძანეს, ცეცხლი გაეხსნა ჯებირისათვის და, რაც შეიძლება, დიდი ზარალი მიეყენებინა მომხდურთათვის. დედოფალი ჯერ კიდევ ჰოლანდიაში იმყოფებოდა, მაგრამ მისი იქ დიდი ხნით დარჩენა სათუო იყო.

ამ მოლაპარაკებათა შედეგად სამხედრო-საზღვაო სამინისტრომ მეზობლად მყოფი ჩვენი გემების მისამართით არაერთგზისი განკარგულება გასცა. მჭიდრო კავშირი დამყარდა ჰოლანდიურ სამხედრო-საზღვაო ფლოტთან. თუმც ჰოლანდიელ მინისტრებს თვალწინ ჰქონდათ ცინცხალი მაგალითი ნორვეგიასა და დანიაში შეჭრისა, მაინც ვერ გაეცნობიერებინათ, როგორ იკადრა ასეთი უეცარი, საზარელი და მხეცური თავდასხმა დიდმა გერმანელმა ერმა, ჯერ კიდევ წუხელ მხოლოდ მეგობრობას რომ ქადაგებდა. ამგვარ საუბრებსა და სხვა საქმეების მოგვარებაში გავიდა ერთი-ორი საათი. ყველა იმ სასაზღვრო ზოლიდან, რომელთაც უკვე ეწვნიათ სიმწარე გერმანული ჯარის წინსწრაფვისა, უამრავი ტელეგრამა მოდიოდა. თითქოს შლიფენის ძველი გეგმა მთელი ძალით ამოქმედებულიყო და ახლა ჰოლანდიაში უნდა შესხმოდა ხორცი. 1914 წელს გერმანელ თავდამსხმელთა მარჯვენა ფრთამ ბელგიას დაარტყა, მაგრამ ჰოლანდიის მისადგომებთან დაამუხრუჭა. მაშინ ყველას მშვენივრად მოეხსენებოდა, რომ ეს ომი სამიოთხი წლით თუ გადაიდებოდა, გერმანელები დამატებით ლაშქარს შექმნიდნენ და სარკინიგზო სადგურებსა და კომუნიკაციებს მიადგებოდნენ, რათა ჰოლანდიაზე გავლა შეძლებოდათ. ახლა კი ეს ღირსშესანიშნავი მსვლელობა ძალზე იოლად განხორციელდა და იგი გასაოცარი მუხანათობით იყო დაღდასმული. მაგრამ წინ კიდევ სხვა ამბები გველოდა. მოწინააღმდეგის გადამწყვეტი დარტყმა მოიაზრებოდა არა ფლანგიდან

შემოვლითი მოძრაობების სახით, არამედ მთავარი ფრონტის გარღვევით. ეს ვერც ჩვენგან და ვერც ფრანგ პასუხისმგებელ ხელისუფალთაგან ვერვინ განჭვრიტა. წლის დასაწყისში გამოქვეყნებულ ინტერვიუში მე ვაფრთხილებდი ამ ნეიტრალურ ქვეყნებს იმ საშიშროების შესახებ, რომელიც თავს უნდა დასტყდომოდათ; ამას მეტყველებდა ჯარების განლაგება და გზატკეცილებისა თუ რკინიგზების მშენებლობა, აგრეთვე, ჩვენს ხელთ ჩავარდნილი გერმანელთა გეგმები. ჩემმა სიტყვებმა მხოლოდ უკმაყოფილება გამოიწვია.

ამ კოლოსალური, შემმუსვრელი ბრძოლის ფონზე გახუნდა და უკანა პლანზე გადავიდა დინჯი საუბრები, დაუნინგსტრიტზე რომ ვმართავდით ხოლმე. მაგონდება, რომ, როგორც მაშინ მითხრეს, მისტერ ჩემბერლენი მეფეს ესტუმრა თუ დაეპირა სტუმრობა და ეს, ბუნებრივია, მოსალოდნელიც იყო. შემდეგ მოვიდა შეტყობინება, — სასახლეში მიბარებდნენ და ექვს საათზე უნდა გამოვცხადებულიყავი. სამხედრო-საზღვაო სამინისტროდან სასახლემდე მანქანით ორიოდე წუთის სავალი იყო. თუმც, როგორც ვვარაუდობდი, საღამოს გაზეთები სავსე იყო კონტინენტიდან მომავალი შემაძრწუნებელი ამბებით, მთავრობის კრიზისზე არაფერი თქმულა. ბევრს ჯერაც ვერ გაეცნობიერებინა, რა ხდებოდა საზღვარგარეთ თუ ჩვენს ქვეყანაში, ამიტომ სასახლის კართან ხალხი აქამდე არ მოგროვილიყო.

მყის მეფეს მაახლეს. მისმა უდიდებულესობამ ძალზე თავაზიანად მიმიღო და სკამი შემომთავაზა. რამდენიმე წამს გამომცდელი და კვიმატი მზერით შემომცქეროდა და შემდეგ მიბრძანა: „ვგონებ, არ უწყით, რაზედ მოგიხმეთ?!..“ და მეც იმავ კილოზე მივუგე: „აზრადაც კი არაფერი მომდის, სერ!“ გაეცინა და განმიცხადა, მთავრობის ჩამოყალიბება უნდა გთხოვოთო. ვუპასუხე, რომ, რა თქმა უნდა, შევასრულებდი ამ დავალებას.

მეფეს არანაირი პირობა არ წამოუყენებია იმის თაობაზე, მთავრობა ეროვნული უნდა ყოფილიყო თუ არა თავისი არსით; მივხვდი, რომ ოფიციალურად არაფერი მზღუდავდა ამ საკითხის მოგვარებაში, მაგრამ იმ ვითარებდან გამომდინარე,

რამაც მისტერ ჩემბერლენის გადადგომა გამოიწვია, მდგომარეობა აშკარად მოითხოვდა ეროვნული მთავრობის ჩამოყალიბებას. ოპოზიციურ პარტიებთან შეთანხმება თუ ვერ მოხერხდებოდა, კონსტიტუცია ვერ ამიკრძალავდა უფრო ძლიერი მთავრობის შექმნას იმათ რიგებიდან, ვინც მზად იყო მხარში ამოსდგომოდა ქვეყანას გაჭირვების ჟამს იმ პირობით, რომ იგი მოახერხებდა უმრავლესობის განკარგვას თემთა პალატაში. მეფეს მოვახსენე, რომ მყის გავგზავნიდი კაცს ლეიბორისტული და ლიბერალური პარტიების ლიდერთა საახლებლად, რომ ვაპირებდი სამხედრო კაბინეტის შექმნას ხუთი-ექვსი მინისტრის შემადგენლობით და რომ იმედი მქონდა, შუაღამემდე ხუთიოდე გვარს მაინც ვამცნობდი. ამით დასრულდა ჩემი აუდიენცია, რის შემდეგაც სამხედრო-საზღვაო სამინისტროში დავბრუნდი.

შვიდიდან რვა საათამდე შუალედში ჩემი თხოვნით მისტერ ეთლი მეწვია მისტერ გრინვუდის თანხლებით. ვუთხარი, რომ დავალებული მქონდა მთავრობის ჩამოყალიბება და ვკითხე, შემოგვიერთდებოდა თუ არა ლეიბორისტული პარტია. მათ დადებითი პასუხი გამცეს. მე მათ ადგილების მესამედზე მეტი შევთავაზე — ხუთი-ექვსი ადგილიდან ორი სამხედრო კაბინეტში — და მისტერ ეთლის ვთხოვე, წარმოედგინა სია, რათა სასწრაფოდ მოგვეთათბირებინა კონკრეტული თანამდებობების განაწილების თაობაზე. მისტერ ბევინი, მისტერ ალექსანდერი, მისტერ მორისონი და მისტერ დალტონი მაღალ თანამდებობებზე დასანიშნავ ძალზე საშურ პირებად მოვიხსენიე. რაღა თქმა უნდა, ეთლისა და გრინვუდს დიდი ხანია ვიცნობდი თემთა პალატიდან. ომის წინამორბედი თერთმეტი წლის განმავლობაში მეტ-ნაკლებად შეუზღუდავი გახლდით და გაცილებით უფრო ხშირად მიხდებოდა შეჯახება კონსერვატიულ და ეროვნულ მთავრობებთან, ვიდრე ლეიბორისტულ და ლიბერალურ ოპოზიციასთან. ერთხანს სიამოვნებით ვისაუბრეთ... ბოლოს დამემშვიდობნენ, რათა ბორნემუთში ტელეფონით დაკავშირებოდნენ თავიანთ მეგობრებსა და მომხრეებს, რომ-

ლებთანაც, უეჭველია, მჭიდრო კონტაქტი ჰქონდათ ბოლო ორ-მოცდარვა საათის განმავლობაში.

მისტერ ჩემბერლენს შევთავაზე, სათავეში ჩასდგომოდა თემთა პალატას ლორდის — საბჭოს თავმჯდომარის — როლში. ტელეფონით მიპასუხა, რომ იღებდა ჩემს წინადადებას და შემატყობინა, რომ იმ საღამოს, ცხრა საათზე, რადიოთი გამოვიდოდა განცხადებით თავისი გადადგომის შესახებ და მოუწოდებდა ყველას, მხარში ამოსდგომოდნენ და დახმარებოდნენ მის შემცვლელს. ეს ყველაფერი მან ერთობ დიდსულოვნად გამოხატა. ლორდ ჰალიფაქსს ვთხოვე სამხედრო კაბინეტის წევრობა და, იმავდროულად, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტის შენარჩუნება. დაახლოებით ათი საათისათვის მეფეს დაპირებისამებრ გავუგზავნე ხუთი გვარისაგან შემდგარი სია. უკიდურესი აუცილებლობა მოითხოვდა სამი სამხედრო მინისტრის დანიშვნას. უკვე გადაწყვეტილი მქონდა, ვინ უნდა დამენიშნა. მისტერ იდენს უნდა ჩაებარებინა სამხედრო სამინისტრო, მისტერ ალექსანდერს — სამხედრო-საზღვაო სამინისტრო, ხოლო ლიბერალური პარტიის ლიდერს, სერ არჩიბალდ სინკლერს — ავიაციის სამინისტრო. იმავდროულად ჩემად ვიგულებდი თავდაცვის მინისტრის პორტფელს, თუმც არცა ვცდილვარ, გამერკვია მის უფლებამოსილებათა მასშტაბები.

ამგვარად, ათი მაისის საღამოს, ამ ყოვლისმომცველი ბრძოლის დამდეგს, უდიდესი ძალაუფლებით გახლდით აღჭურვილი იმ სახელმწიფოში, რომელსაც, იმ დღიდან მოყოლებული და ხელისუფლების კიდევ უფრო მაღალ მწვერვალზე ასული, ხუთი წლისა და სამი თვის განმავლობაში ვმართავდი მსოფლიო ომის დასრულებამდე. ომის დამთავრებისას, როდესაც ყველა ჩვენმა მტერმა სრული კაპიტულაცია გამოაცხადა ან დააპირა გამოეცხადებინა, ინგლისელმა ამომრჩევლებმა მყის განმარიდეს მათი ყველანაირი საქმიანობის მესვეურობას.

პოლიტიკური კრიზისის ამ ბოლო მოვლენებით დახუნძლულ დღეებში ჩემი მაჯისცემა ერთხელაც არ აჩქარებულა. ყველა მოვლენას ისე აღვიქვამდი, როგორიც ის იყო თავისი არსით.

მაგრამ არ ძალმიძს ამ წრფელი გულით ნაამბობის მკითხველს დავუმალო, რომ, როდესაც დღის სამი საათისათვის სასთუმალზე მივწექი, შვებით ამოვისუნთქე. ბოლოს და ბოლოს ხელმეწიფებოდა მთელი ამ სფეროს განკარგვა. თავი ბედის რჩეულად ვიგრძენი და მივხვდი, რომ მთელი ჩემი გარდასული ცხოვრება სწორედ ამ საათისა და ამნაირი გამოცდისათვის მზადება იყო მხოლოდ. პოლიტიკური მცონარობის იმ თერთმეტი წლის წყალობით თავი დავაღწიე ჩვეულებრივ პარტიულ ანტაგონიზმს. ყველაფერი, რაც კი ბოლო ექვსი წლის მანძილზე მრავალგზის განმეჭვრიტა, სულ წვრილად და შემზარავი სიზუსტით ამხდარიყო და ან ველარავინ შემედავებოდა. ვერვინ დამწამებდა სისხლისღვრის გაჩაღების მცდელობასა თუ ომის გულხელდაკრეფით ლოდინის წყურვილს. მიმაჩნდა, რომ ყველაფერში მშვენივრად ვიყავ გათვითცნობიერებული და მწამდა, არ ვიჭაკებდი. ამიტომ, თუმც მოუთმენლად ველოდი გათენებას, მშვიდ, ღრმა ძილს მივეცი თავი; სულაც არ მჭირდებოდა გამამხნევებელი ზმანებანი. სინამდვილე ხომ სიზმარსა სჯობს!..

სარჩევი

„...ნობელიანტის ფაქტების პოეზიამ ისტორია შეცვალა“ 3
ავტორის წინასიტყვაობა 10

მოახლოებული ქარიშხალი

წიგნი I: ომიდან ომამდე

თავი I
გამარჯვებულთა უგუნურება 15

თავი III
მალული საფრთხე 36

თავი IV
ადოლფ ჰიტლერი 55

თავი V
კალიების შემოსევის წლები 66

თავი VI
ხედი მუქდება (1934 წ.) 81

თავი XX
საბჭოეთის გამოცანა 98

წიგნი II: ომის ბინდ-ბუნდში

თავი I
ომი 125

თავი III
პოლონეთის დაღუპვა 146

თავი V
საფრანგეთის ფრონტი 154

თავი IX
სკანდინავია, ფინეთი 174

თავი XVII
მთავრობის გადადგომა 188

საგამომცემლო ჯგუფი

ლაშა გადელია
ირაკლი გელაშვილი
ანა კვანჭიანი
ნინო კოვზირიძე
დარეჯან მზარელუა
ლიკა სხირტლაძე

გარეკანის დიზაინი

ილია ხელაიასი

გამომცემლობა
ინტელექტი

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №17 ბ
25-05-22, 8(99) 25-05-22, 8(99) 53-05-22, 8(99) 55-66-54
inteleqti@telenet.ge